საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (217)
14 – 20 აგვისტო, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## 4 «ბადა-ტვირთვა» დასრულდა. რა ელის საქართველოს?

# შე ინტელიგენტო, შენა... 2



რისი იმედი აქვს ბიძინა ივანიშვილს, თუკი შუაგულ სამეგრელოში ზვიად გამსახურდიას ინტელიგენტობას უწუნებს, ხოლო მარგველაშვილს ამომრჩეველთან თავის პირველ შეხვედრაზე «სამი ავტობუსი მხარდამჭერი» ვერ მოუგროვებია?!

# ამერიკელები ადასტურებენ, რომ 26 მაისს სააკაშვილმა აქცია სწორად დაარბია 16



8 «თავდაცვის სამინისტრო არის კოაბიტაციის პოლიგონი»

11 «ხელისუფლება პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე მიდის»

12 «ტყვიის გასროლის გარეშეც შეიძლება ქვეყნის დაპყრობა»

13 პედერასტები ოლიმპიადის, ხიზილალის, არყისა და რუსეთის წინააღმდეგ

14 «სექტემბრიდან ვითარება შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს»

15 შეუძლია თუ არა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს დამოუკიდებლად ცხოვრება?

18 საგანგებო დავალება: ცსს-ს აგენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ადამიანებს იტაცებენ

## «დღევანდელ ქართულ დროშაზე გამოსახულია «ხაჩ ვორდან კირმიზის» ხუთეული» 24

## ჯარში საბოტაჟია

«ავღანეთიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა თქვეს, რომ ძალიან საეჭვოდ მოძრაობენ, იქ რაიმე საბოტაჟი არ მოაწყონო» 6

## 10 მოვითხოვ პასუხს კითხვაზე — ვისი ბრძანებით აუპატიურებდნენ ხალხს ახალაიები და კოდუები?

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რატომ უნდა დასრულდეს ის, რაც კარგია, როგორც ამაში მმართველი კოალიციის ლიდერები გვარწმუნებენ?! ხოლო, თუ იციან, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის ეს, კოაბიტაციად წოდებული მახინჯი მოვლენა მიუღებელია, რატომ არ ამთავრებენ მას 27 ოქტომბრამდე?**

# შე ინტელიგენტო, შენა...

**ნოქალაქევში, ჭყონდიდელის სამკვიდროსა და კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმიდან თხუთმეტიოდე კილომეტრში სამეგრელოს მოსახლეობისთვის „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მარგველაშვილის სახით საქართველოს, ბოლოსდაბოლოს, ინტელიგენტი პრეზიდენტი ეყოლება! ბევრი რამ უთქვამთ ზვიად გამსახურდიაზე: ზოგი პოლიტიკას უწუნებდა, ზოგი — საკადრო გადაწყვეტილებებს, მაგრამ მისი ინტელიგენტობა ეჭვქვეშ ყველაზე შეურიგებელ მტრებსაც კი არ დაუყენებიათ!**

ვერ გეტყვით, რას ემსახურებოდა „ქართულ ოცნებაზე“ უამისოდაც უკიდურესად განაწყენებული სამეგრელოს მოსახლეობისთვის იმის თქმა, რომ პრეზიდენტი გამსახურდია ინტელიგენტიც ვერ ყოფილა, მაგრამ იმას, რომ ასეთი შეხვედრა ისე ჩაატარო, არც ერთხელ არ ახსენო სამეგრელო ან მეგრელები, ნამდვილად უნდა მოხერხება და მარიფათი.

დიდი ძალისხმევა უნდა იმასაც, რომ ამომრჩეველთან საპრეზენტაციო შეხვედრაზე, ისიც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონში, რამდენიმე ასეულ ადამიანზე მეტს ვერ მოუყარო თავი. **მარგველაშვილის ასეთი ფორმით წარდგენას, მსუბუქად რომ ვთქვათ, საბოტაჟის სუნი ასდის** და ამიტომაც ხუმრობდნენ სამეგრელოში: — **თუ ივანიშვილს არ უნდა, რომ მარგველაშვილი ავირჩიოთ, პირდაპირ გვითხრას, მაინც არ ვაპირებთ მისთვის ხმის მიცემას; მაგრამ, თუ უნდა „ინტელიგენტი პრეზიდენტი“ და მაინც ასე იქცევა, გაუგებარია, რისი იმედი აქვსო.**

ივანიშვილის იმედებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთ ფაქტს გავიხსენებ: 10 წლის წინ, 2003 წლის აგვისტოში, ნოქალაქევში სახალხო მოძრაობა „სამეგრელომ“ ჩაატარა მესამე ყრილობა, რომელსაც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან 8 ათასი ადამიანი, ხოლო თბილისიდან 1000-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა... **მართლაც, რისი იმედი აქვს ივანიშვილს, თუკი შუაგულ სამეგრელოში ზვიად გამსახურდიას ინტელიგენტობას უწუნებს, ხოლო მარგველაშვილს ამომრჩეველთან თავის პირველ შეხვედრაზე „სამი ავტობუსი მხარდამჭერი“ ვერ მოუგროვებია?!**

ამ შეუსაბამო ვითარებიდან შესაბამის დასკვნებს მკითხველი და, შესაბამისად, ამომრჩეველიც უსათუოდ გამოიტანს.

ახლა რაც შეეხება 12 აგვისტოს. 1021 წლის 12 აგვისტოს დიდგორზე დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით მოვიპოვეთ გამარჯვება, რომელიც „ძლევაი საკვირველის“ სახელითაა ცნობილი.

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც „ყივჩაღი ცოლის“ მოყვანაშიც გაეჯიბრა დავით აღმაშენებელს, 2008 წლის შემდეგ 12 აგვისტო და „ძლევაი საკვირველი“ მიივიწყა; იგი ისე გაურბოდა დიდგორობის არათუ აღნიშვნას, არამედ ხსენებასაც კი, როგორც ეშმაკი ჯვარს, და ეს გასაგებიცაა...

სამაგიეროდ, **სავსებით გაუგებარია, როგორ უნდა მოახერხო, რომ 12 აგვისტოს, დიდგორობა დღეს, შუაგულ სამეგრელოში ამომრჩეველს შეხვდე და** (ზვიად გამსახურდიას არაინტელიგენტად მოხსენიებას და „სამი ავტობუსი“ მხარდამჭერის ვერშეკრებას ვინ ჩივის) **არც „ძლევაი საკვირველი“ გაგახსენდეს, არც აღმაშენებელი და არც ჭყონდიდელი?!**

სააკაშვილისგან განსხვავებით, პრემიერი დავით აღმაშენებლობას არ იჩემებს; სამაგიეროდ, იუმორში გურულების დაჯაბვნას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ.

ასი წლის წინ გურულები ხუმრობდნენ, საცაა, კრეისერი შემოვა სუფსაში და გვეშველებაო! იმის შემდეგ სუფსას ნავთობსადენი კი ეღირსა, მაგრამ კრეისერი არავის უნახავს. **თუ ჩვენს „კოჭლ იხვს“ დავუჯერებთ, 2008-შიც მოგვდგომია შეიარაღებით დატვირთული კრეისერები, მაგრამ თვალხილულად მხოლოდ პამპერსები და სასმელი წყალი ჩანდა. იარაღი კი, რაც მანამდე ჰქონდა ნაყიდი და შემოზიდული, „კოჭლმა იხვმა“ დიდი წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარა „ჟანგიანი ტანკების“ პატრონს.**

მერე და მერე, უკვე ომის 5 წლისთავზე „კოჭლმა იხვმა“ ისიც გვამცნო, რომ კრემლში მედვედევს ურეკავდა, ტელეფონს კი პუტინი იღებდა, ხოლო, როცა ამის შესახებ ჯორჯ ბუშ-უმცროსს შეატყობინა, მან უპასუხა, ვიცი, რაზეც ილაპარაკეთო. ესე იგიო, დაასკვნა „კოჭლმა იხვმა“, ამერიკელებს რომ აბრალებდნენ, ყველას უსმენენო, მართალი ყოფილაო! დავზოგოთ მკითხველის ნერვები და სხვადასხვა რეზოლუციის დახვევაზე და „ერთ ადგილას“ მოთავსებაზე ნუღარ ვილაპარაკებთ!

ამ ყველაფრის შემდეგ **ჩვენებურმა ელიტამ ხან უკვე ორივე ფეხით დაკოჭლებული იხვის მიერ „ამერიკელების დაშანტაჟებაზე“ ილაპარაკა, ხანაც „იხვის“ არაადეკვატურობაზე, მაგრამ, რაც ბათუმში შემოსული კრეისერის გადასატან ტრიბუნასთან მოხდა, იმისთვის სახელის დარქმევა ერთობ გაჭირდა.**

**ამიტომაც ხუმრობდნენ სამეგრელოში: — თუ ივანიშვილს არ უნდა, რომ მარგველაშვილი ავირჩიოთ, პირდაპირ გვითხრას, მაინც არ ვაპირებთ მისთვის ხმის მიცემას; მაგრამ, თუ უნდა «ინტელიგენტი პრეზიდენტი» და მაინც ასე იქცევა, გაუგებარია, რისი იმედი აქვსო**

**ჩვეული პათოსით მოლაპარაკე ჯერაც მოქმედ პრეზიდენტს მისი ამომგდები პრემიერმინისტრი ხან სიტყვას აწყვეტინებდა, ხანაც თითს იშვერდა მისკენ, შუალედებში კი ისიც და თვით აშშ-ის ელჩიც სიცილისგან ლამის ერთმანეთს ასკდებოდნენ.** ძნელი მოსაძებნია ნორმალური ადამიანი, პოლიტიკური სიმპატიების მიუხედავად, ამ სცენის ნახვის შემდეგ კარგ გუნებაზე დამდგარიყო, თუმცა ხუმარებს რა დალევს და ბევრს დაცინვის ობიექტად ქცეული პრეზიდენტის ხილვამ გვარიანად მოფხანა გული.

გაკოტრებული „ნაცმოძრაობის“ ბირთვი იმავე დღეს შეიკრიბა და პრემიერმინისტრს ბრალი დასდო, რომ იგი ომში დაღუპულ გმირებს პატივს კი არ მიაგებს, არამედ იცინის, როცა პრეზიდენტი მათ შესახებ ლაპარაკობს. მის გვერდით ბატონი ნორლანდიც რომ ვერ იკავებდა სიცილს, ესეც ემცხეთათ და გოგა ხაჩიძემ დაიჩივლა: „ამერიკის ელჩში ისევ არ გაგვიმართლაო“!

ახლა ელჩს ჰკითხეთ, როგორ არ გაუმართლა, რომ სწორედ ახლა და სწორედ ამ ქვეყანაში მოუწია მუშაობა! როგორია, ახალ ხელისუფლებას კოაბიტაციას თხოვდე იხვთან, რომელიც მის ზესახელმწიფოს ყოველდღე აშანტაჟებს სატელევიზიო გამოსვლებში? **იქნებ ამიტომაც იცინოდა ბატონი ნორლანდი, რათა ყველას დაენახა, თუ რა არასერიოზულად აღიქვამს აშშ ორივე ფეხით დაკოჭლებულ და ფრთამოტეხილ იხვს?**

სიცილ-კისკისმა კრეისერის გემბანზე ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ აშშ-ის საელჩო იძულებული გახდა, ელჩის სახის გამომეტყველებაზე განმარტება გაეკეთებინა: **„სამწუხაროა, რომ ცალკეულმა პირებმა ელჩი ნორლანდის სახის გამომეტყველების თავისებური ინტერპრეტაცია მოახდინეს. ელჩი იღიმებოდა, რამდენადაც მისი ძალისხმევა, აღედგინა პროტოკოლით გათვალისწინებული ზომები ამ წარმომადგენლობით ღონისძიებაზე, უშედეგო აღმოჩნდა“.**

ეს, ალბათ, **მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა საელჩოს მხრიდან ელჩის სახის გამომეტყველებაზე კეთდება ოფიციალური კომენტარი!** განცხადების შინაარსიც ასეთივე უპრეცედენტოა — ნორლანდმა „ვერ აღადგინა პროტოკოლით გათვალისწინებული ზომები“, ანუ ვერ დაიცვა ორივე ფეხით დაკოჭლებული და ფრთამოტეხილი იხვი პრემიერის დაცინვისგან! საინტერესოა, რატომ მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენგან იმას, რასაც მისი ყოველმხრივ გამოცდილი ელჩი ვერ ახერხებს?

დიახ, კოაბიტაციას ვგულისხმობ და ამ სიტყვის მიმართ საყოველთაო სიძულვილმა, როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებამდეც“ მიაღწია; მისმა **პრეზიდენტობის კანდიდატმა ნოქალაქევში წარდგენისას საზეიმო პირობა დადო, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაციას დაასრულებს.** მარგველაშვილის პიარი შალვა რამიშვილმა ჩაიბარა და ეს სვლაც, სავარაუდოდ, მას მიეწერება, თუმცა გაურკვეველი რჩება, **რატომ უნდა დასრულდეს ის, რაც კარგია, როგორც ამაში მმართველი კოალიციის ლიდერები გვარწმუნებენ?! ხოლო, თუ იციან, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის ეს, კოაბიტაციად წოდებული მახინჯი მოვლენა მიუღებელია, რატომ არ ამთავრებენ მას 27 ოქტომბრამდე?**

ახსნა მარტივია: შალვა რამიშვილი სულ ახლახან ღია ეთერში სინანულით აღნიშნავდა, რომ ნინო ბურჯანაძის რეიტინგი ძალიან სწრაფად იზრდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სხვა დანარჩენთან ერთად, სწორედ კოაბიტაციის დასრულების შესახებ ბურჯანაძის დაპირებაა და შალვამაც მოკლეზე მოჭრა: მარგველაშვილს ათქმევინა, რომ კოაბიტაციას 27 ოქტომბერსვე დაამთავრებს. **ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის გამონათქვამი მეორეს ისევე უხდება, როგორც ბურჯანაძისთვის უკვე ბრენდადქცეული მარგალიტის მძივი მოუხდებოდა წვერგაპარსულ მარგველაშვილს!**

ამიტომაც აძლევს საკუთარ თავს უფლებას ნანუკა ჟორჟოლიანი, რომ განაცხადოს — როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვთ, მარგველაშვილმა წააგოსო! როცა ერთ საკითხზე ორ, პოლარულად განსხვავებულ პიროვნებას ერთი აზრი აქვს, ამან, სულ ცოტა, უნდა დაგაფიქროს. „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ასე გამოეხმაურა შალვა რამიშვილს: **„ყველამ ვიცით, ვინ ვინ არის, ისიც ვიცით, ვინ რა იყო სკოლაში თუ სტუდენტობისას, ამიტომ, სანამ პასუხს გამცემდნენ, ამაზე დაფიქრდნენ. მოკლედ, მივმართავ იმათ, ვინც მარგველაშვილს პიარკამპანიას უგეგმავს, ანუ რამიშვილს მივმართავ, რადგან ყველა ხვდება, რომ ლოზუნგი „კოაბიტაცია 27 ოქტომბერს მთავრდება“ შალვას მოგონილი ფანდია.**

**მისმინეთ: ქართველი ერი დებილი ნუ გგონიათ, რომ ეს ზღაპარი დაიჯეროს, ამიტომ სხვა პიარხერხი მოიფიქრეთ ხალხის დასაბოლებლად, ნუ აყენებთ შეურაცხყოფას ქართველ ერს და საქართველოს მოსახლეობას, ნუ გგონიათ ქართველნი ასეთი პრიმიტიულები, რომ ამას დაიჯერებენ. მგონი, გასაგებად ავხსენი და, თუ რაიმე გაუგებარი დარჩა, ვეცდები, ყოველივე შემდგომში გასაგები ენით ავხსნა, თუმცა არა მგონია, ეს სასარგებლო იყოს მათთვის, ვინც ქართველთა მოტყუებას აპირებს!!! როგორც იტყვიან, მე ჩემი გითხარით და აწი გათენდება თუ არა, ეს თქვენზეა დამოკიდებული!!!!**

**P.S. თუ ვინმეს ძილი დაგიფრთხეთ, ნუ ინერვიულებთ, მოიქეცით კარგად ქართველთა მიმართ და პირობას გაძლევთ, არაფერს ვიტყვი!!!“**

ცხადია, მხოლოდ შალვა რამიშვილის ფაქტორი მარგველაშვილს ვერც მოაგებინებს და ვერც წააგებინებს, მაგრამ ყველაფერი რომ ვერ არის კარგად მმართველ კოალიციაში, ნათელია; თავად მისი ლიდერები ვერ უარყოფენ, რომ **მარგველაშვილს ხმას ივანიშვილის ხათრით თუ მისცემენ,** თუმცა ივანიშვილმა უკვე არა ერთხელ განაცხადა პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე და ამომრჩევლიც უკვე საგონებელშია: **თუ ივანიშვილთან ერთად მარგველაშვილის პრეზიდენტობა შეიძლება დაუშვან კიდეც, მისი პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში მარტო დარჩენილი მარგველაშვილი რომელ ერთ ამოცანას გაართმევს თავს?**

მართალმა მარგველაშვილმა ქართველების არცთუ საყვარელ პერსონაჟს, კახა ბენდუქიძეს, ვერ მოუგო; სტუდენტებს სწავლა გაუიაფა, მაგრამ განაცხადა, რომ სწავლა ძვირდება; პლასტელინსა და ქსოვაზე ნულარაფერს ვიტყვით, მაგრამ რომელი სახელმწიფოს პრეზიდენტთან შეძლებს იგი საერთო ენის გამონახვას ან რაიმეში რომელიმეს დარწმუნებას?

მარგველაშვილის წარდგენისას ნოქალაქევში ერთიორი ინციდენტიც მოხდა. ადგილობრივებმა ჯერ დეპუტატ გურამ მისაბიშვილზე მიიტანეს იერიში და მანაც, როგორც ჭეშმარიტ „ნაციონალს“ შეეფერება, სულ „ავადმყოფები“ უძახა. ვიდრე ▶

**საააკაშვილმა, ამასთანავე, მოგვითხრო, თუ როგორ განაცხადა უარი სამშვიდობო შეთანხმების იმ პუნქტის ხელმოწერაზე, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის საერთაშორისო განხილვას ითვალისწინებდა, რითაც, ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, საკუთარი ხელით მოსპო უკანასკნელი ბარიერი, რომელსაც შეეძლო რუსეთის მიერ სეპარატისტული რესპუბლიკების ცნობა დაებლოკა.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მისაბიშვილი „ნაციონალობდა“, ლალი ანთია ციხეს ხეხავდა და არც ახლა დაიხია უკან: **„ის ხალხი, რომელიც შარშან აგვისტოში ქვებით დასდევდა ივანიშვილს, ახლა მარგველაშვილს უჭერს მხარს. სამარცხვინოა“!** იქვე გაისმა გაფრთხილება, რომ **სამეგრელო ამას არ აიტანს და არჩევნებში სულ სხვა შედეგები დაიდება.** სავარაუდოა, რომ **ყოფილი „ნაციონალების“ მხარდაჭერილ მარგველაშვილს იქ გამარჯვების შანსი არ ექნება.**

ან როგორ შეიძლება ჰქონდეს, როცა, როგორც უკვე გითხარით, შუაგულ სამეგრელოში, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმიდან თხუთმეტიოდე კილომეტრში, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ **მარგველაშვილის სახით საქართველოს, ბოლოსდაბოლოს, ინტელიგენტი პრეზიდენტი ეყოლება! ბევრი რამ უთქვამთ ზვიად გამსახურდიაზე, ზოგი პოლიტიკას უწუნებდა, ზოგი – საკადრო გადაწყვეტილებებს, მაგრამ მისი ინტელიგენტობა ეჭვქვეშ ყველაზე შეურიგებელ მტრებსაც კი არ დაუყენებიათ!**

პიარის ამ კატასტროფულ ჩავარდნას შალვა რამიშვილს ნამდვილად ვერ დააბრალებ, ისევე, როგორც ამერიკული კრეისერის გემბანზე ატეხილ სიცილ-კისკისს. საფიქრებელია, რომ აქაც პრემიერ ივანიშვილის პოლიტიკისგან დიდხანს შორს ყოფნის გამოძახილთან გვაქვს საქმე. **ვიდრე მისი გარემოცვა კვლავაც იმაზე იქნება გამეცადინებული, რომ ახლოს არავინ მიაკაროს და საკუთარი პარტიკულარული ინტერესები დაიცვას, ასეთივე აბსურდულ ვითარებაში ვიქნებით: „ნაციონალები“ ჯერ არ წასულან, „ოცნებამ“ კი ჯერაც ვერ გაიგო, რომ უკვე ხელისუფლებაშია!**

2008 წელს დაღუპული გმირების ცხედრების ბრძოლის ველზე დამტოვებლმა, კოაბიტაციისგან ბევრი პითონივით გამაძღარმა „ნაციონალებმა“ კი ამ დღეებში სულაც ბუტაფორიული ყაყაჩოები დაიმაგრეს მკერდზე და მათი სულების პატივისცემას გვასწავლიან. **„სარკო, სარკოს“ ძახილით და ტაშ-ფანდურით რუსთაველზე მდგომებს, ალბათ, ვერც კი წარმოედგინათ, რომ ოდესმე ხელისუფლებაში აღარ იქნებოდნენ. ვარდებით ხელში პარლამენტში შესულებს ისე იოლად ჩაუვარდათ ხელში ძალაუფლება, რომ დღესაც არ სჯერათ მისი დაკარგვის.** ახლა ჰოლანდიურ ვარდებს ქაღალდის ყაყაჩოები ჩაენაცვლა.

სიმბოლოების სიყვარულით განთქმული სააკაშვილი ქართულ ლიტერატურაზე მეტად უცხო ენებს ეწაფებოდა, არადა, ბავშვობაში ყველას გვასწავლიდნენ მურმან ლებანიძის ლექსს და, წესით, უნდა გვახსოვდეს — **„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა“. ეს ქაღალდის ყაყაჩოები, გმირების ხსოვნას კი არა, სისხლისღვრის მუქარას უფრო ჰგავს.** სიცილით და თითის გაშვერით მუქარაზე პასუხი არ ჭრის, მით უფრო — მასთან კოაბიტაცია, თუნდაც 27 ოქტომბრამდე!

# მოგონებები ჰალსტუხის გარეშე

**წავიდა, ჰეი, ის ცხოვრება აღარ არის. სხვა დრო იყო... არადა, ნამდვილად იყო დრო, როდესაც მიხეილ სააკაშვილის სკანდალურ განცხადებებს მასმედია და ინტერნეტ-საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა. დღეს კი, როდესაც ფიგურანტი ისეთ მონოლოგებს წარმოთქვამს, რომელთაც სამამულო ფსიქიატრიის ოქროს ხანაში ასათიანზეც კი ვერ მოისმენდი, აუდიტორიის დიდი ნაწილი მას აინუნშიც არ აგდებს. ალბათ, არის ამაში რაღაც საოცრად სევდიანი და უსამართლო და, ამავე დროს, სახალისო და სამართლიანი.**

აგვისტოს ომის მეხუთე წლისთავზე სააკაშვილმა ტელევიზიებს სამი ვრცელი ტელეინტერვიუ მისცა. „რუსთავი 2“-თან ჰალსტუხის გარეშე ისაუბრა, ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელთან და უკრაინულ „ზიკთან“ — ცისფერი ჰალსტუხით. თავისი ლეგენდარული საბრძოლო, წითელი ჰალსტუხის გაკეთებისგან „ნაცმოძრაობის“ ბელადმა რატომღაც თავი შეიკავა.

**ინტერვიუში „რუსთავი 2“-თან ფიგურანტმა ელეგანტური მოძრაობით ცელი გამოუსვა მშობლიურ „ნაცმოძრაობას“ და მითს იმის თაობაზე, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება მისთვის ზეპრიორიტეტული ამოცანა იყო.** ალბათ, ყველას გვახსოვს თუ როგორ ეწინააღმდეგობოდნენ „ნაცები“ საკითხის ასე დაყენებას: „ნატოზე უარის თქმა ქვეყნის გამთლიანების სანაცვლოდ“ და ყველას, ვინც ამაზე საუბრობდა, მოღალატეებად თუ არა, გონებასუსტ მარგინალებად აცხადებდნენ. და ამავე დროს თურმე... **„ჩვენ ვუთხარით, რომ მაშინ მზად ვართ, ნატოზე ვთქვათ უარი, ვადასტურებ, რომ ასე ვუთხარი... (ჩვენ დელეგაციაში იყო 6 თუ 7 წევრი — გელა ბეჟუაშვილი, ვაშაძე, თუ არ ვცდები ბაქრაძე, კიდევ რამდენიმე კაცი; რუსული დელეგაცია მრავალრიცხოვანი იყო), რომ ჩვენ მზად ვართ, ვთქვათ ნატოზე უარი. კი, ჩვენ ხელშეკრულებით ვართ მზად, უარი ვთქვათ ამერიკასთან უფრო წინ წასულ ურთიერთობებზე, თუ თქვენ თავის მხრივ დაგვეხმარებით ტერიტორიებზე პროგრესზე, ოღონდ ეს ხელშეკრულებით დავაფიქსიროთ“.** როგორ იყო? ევროატლანტიკური არჩევანის უალტერნატივობაო? პლებისციტზე გამოხატული ურყევი ნებაო? ისე, საინტერესო კია, როგორ წარმოედგინა ამ ახალ მეტერნიხს ხელშეკრულებით დაფიქსირებული უარი „უფრო წინ წასულ ურთიერთობებზე“? თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას არ აქვს; **ფაქტი ერთია — სააკაშვილის ხელისუფლება მისი ამერიკელი სპონსორებისა და ქართული საზოგადოების ზურგს უკან აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებებს რუსეთთან იმ საკითხზე, რომლის განხილვას საქართველოში გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა.**

გოროზად, როგორც ფრიდრიხ დიდისა და ნაპოლეონის რეინკარნაციამ ერთ ფლაკონში, მთავარსარდალმა მოგვითხრო თავისი საკვანძო მანევრის შესახებ და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არა ცხინვალში ჯარის შეყვანას, არამედ იქიდან მის გამოყვანას შეეხო: **„რატომ მივიღე გადაწყვეტილება ცხინვალიდან გამოყვანის ჯარის და ესეც ხალხმა უნდა გაიგოს... ჩვენ რაც გვყავდა ჯარი, გვყავდა ცხინვალში, აფხაზეთიდან უკვე მოდიოდნენ, ნუ, კარგი (??) რიკოტის გადაკეტვა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ამასობაში მოადგა 20-ათასიანი კოლონა ლარსს, ყაზბეგს, სტეფანწმინდას. ეს რას ნიშნავდა, რომ როგორც კი ეს კოლონა გადმოლახავდა იქაურობას, ისინი შემოვიდოდნენ და ჩვენ ცხინვალში მყოფ ჯარს, ნატახტარის ჩრდილოეთით მყოფ ჯარს მთლიანად კეტავდნენ და მთლიანად აქცევდნენ ალყაში... ეს სცენარი პირველივე დღეს ჩვენი მეგობრების სადაზვერვო სამსახურებმა მოგვაწოდეს... რვაში დილით უკვე გვქონდა ეს სცენარი... ამ შემთხვევაში ამერიკას არ ვგულისხმობ, ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის იყო ეს“** (საზოგადოებრივი მაუწყებელი).

ამ პასაჟით სააკაშვილმა აგვისტოს ომის ისედაც ბუნდოვან ისტორიაში დამატებითი ქაოსი შემოიტანა. **საჯარო საუბარი იმაზე, რომ ფუნდამენტურ გადაწყვეტილებებს გაგანია ომის დროს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებდა, თავისთავად კლინიკურ ხასიათს ატარებს,** მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ამ ნიუანსების მნიშვნელობა სააკაშვილს აპრიორი არ ესმის და, ალბათ, ისიც ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება დეზინფორმაციისა და მანიპულირების სამიზნე გახდეს (თუნდაც იმავე რუსების მხრიდან; ამ კონტექსტში, ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ მისი ისტორიული რეპლიკა **„რუსებს წამოსცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებს. ეს მათ წამოსცდათ“** (2007 წლის 4 დეკემბერი). მთავარი პრობლემა ისაა, რომ **ამ განცხადების შემდეგ ომის „ნაციონალურ ვერსიაში“ ორივე საკვანძო ეპიზოდი** (ცხინვალში შესვლა და გამოსვლა) **იმპულსურ იმპროვიზაციას დაუკავშირდა. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი კი არ ომობდა, არამედ საქსოფონზე უკრავდა.**

თავის დროზე, გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა ზაზა გოგავამ ომის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე თქვა: **„დასაწყისში არ იგეგმებოდა ცხინვალზე შეტევა, ეს უკვე შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მოხდა“.** ახლა კი გამოდის, რომ არა მხოლოდ შესვლა ცხინვალში, არამედ გამოსვლაც ექსპრომტად, რაღაც „საიდუმლო მასალების“ გამო მოხდა. **იმპროვიზაცია ცენტრალურ ადგილს ცხინვალის ქაოტურ შტურმშიც იკავებს — მისი დაუყონებლივი დაკავების დაჟინებულმა სურვილმა შეიწირა** (ასე თუ ისე) **ლოგიკური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მე-3 და მე-4 ბრიგადების ქვედანაყოფების წინსვლას საერთო მიმართულებით დიდი გუფთისკენ** (ერთის მხრივ, სარაბუკისა და თლიაყანის სიმაღლეების, მეორე მხრივ, ხეთაგუროვოს და ძარის გზის გაკონტროლებით). მე-4 ბრიგადის ქვედანაყოფების ნაწილი ძარის გზიდან ცხინვალის დასავლეთ ნაწილისკენ მოატრიალეს (42-ე ბატალიონის ტრაგედია ამით დაიწყო). როდესაც ჩვენ ვუყურებთ ვიდეოს, რომელზეც აღბეჭდილია „დუბოვაია როშჩაში“ მიტოვებული, 42-ე ბატალიონის მებრძოლების ცხედრები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, შესაძლოა, მომხდარის მთავარი მიზეზი გახდა სააკაშვილის დაუოკებელი სურვილი, ცხინვალში სასწრაფო წესით თავისი ტრიბუნა შეეტანა.

როგორც ჩანს, **იგი ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ თავისი ავანტიურისტული გეგმისთვის ასობით ადამიანის სიცოცხლე არ შეუწირავს და საერთოდაც არ დამარცხებულა, არამედ გენიალური მანევრით, ცხინვალის დატოვებით ჯარი გადაარჩინა.** ამ თვითგამოცხადებულმა კლაუზევიცმა **ბარემ ისიც აგვიხსნას, როგორ მოხვდა იქ ჯარი და ვინ უბრძანა** (8 აგვისტოს მოვლენები დროებით გვერდზე გადავდოთ) **9-ში, დღის მეორე ნახევარში** (!) **კიდევ ერთხელ შეეტია ცხინვალისთვის?** თუ სააკაშვილმა თავისი უკვდავი მანევრი 10-ში დაიწყო? თუ 11-ში? ისე, ამქვეყნად, ალბათ, არსებობს არა მხოლოდ „ტყუილი, დიდი ტყუილი და სტატისტიკა“, არამედ „უსინდისობა, დიდი უსინდისობა და სააკაშვილის ქცევა აგვისტოს ომის დროს“ (და მისი მოგონებები ამ ომზე).

ადმირალ ნელსონის ტონალობაში, სააკაშვილმა გვამცნო, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოსკენ დაძრული **ამერიკული მე-6 ფლოტის „ფლაგმანს ჰქონდა საკმარისი ფრთიანი რაკეტები, რომ საერთოდ წარმოუდგენელი ზიანი მიეყენებინა რუსეთის ყველა შეირაღებული კომპონენტისთვის“** და კიდევ: **„შემოვიდა მათი ისა, ყველაზე ფლაგმანი დაიძრა“.** და ეს მაშინ, როდესაც მეექვსე ფლოტის ფლაგმანს — **„მაუნტ უიტნის“** (სუფთა თავდაცვით შეიარაღებას რომ არ შევეხოთ) გააჩნია მხოლოდ ორი 25 მმ. ქვემეხი და 4 ტყვიამფრქვევი. რა ფრთოსანი რაკეტები, საიდან? **ეს (ძალიან კარგი) სამეთაურო ხომალდია, ელექტრონიკით სავსე „ტვინი“, რომელიც „ერთი-ერთზე“ დაჯანგულ საარტილერიო კატარღასაც „ვერ მოერევა“.** თან „ყველაზე ფლაგმანიო“, რაც დაახლოებით ისე ჟღერს, როგორც „ყველაზე პრეზიდენტი“.



რაც შეეხება ერთ-ერთი ევროპული სპეცსამსახურის მიერ სააკაშვილისთვის თითქოსდა მიწოდებულ ინფორმაციას, შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ მან იგულისხმა საფრანგეთის სამხედრო დაზვერვის პატაკი, რომელიც მოხსენიებულია „ნუველ ობსერვატერის“ 2008 წლის 13 ნოემბრის სტატიაში (სწორედ მასში აღიწერა პირველად პუტინისა და სარკოზის დიალოგი სააკაშვილის „გარკვეულ ორგანოზე“, ამიტომ ფიგურანტმა ის, სავარაუდოდ, ზეპირად იცის). **გამოცემის ცნობით, ფრანგმა მზვერავები შეატყობინეს სარკოზის, რომ რუსეთის „გენშტაბის ზოგიერთი წევრი მოუწოდებს თავიანთ ხელმძღვანელებს, რომ წინსვლა გააგრძელონ, რადგან გზა თავისუფალია“. საინტერესოა, შეეძლო თუ არა სარკოზის ეს ან მსგავსი დოკუმენტი სააკაშვილისთვის ეჩვენებინა, რათა შეეშინებინა ის და უფრო მართვადი გაეხადა? ალბათ, შეეძლო, თუმცა საეჭვოა, ეს „რვაში დილით“ მომხდარიყო.**

„პუტინმა უყვირა, თქვა, რომ სააკაშვილი ერთი ადგილით უნდა დავკიდო, ჰალსტუხზე ეჯაჯგურა, რაც მე თვითონ სარკოზიმ მომიყვა“. აღსანიშნავია, რომ ეს ორი, მისთვის მტკივნეული თემა, კერძოდ კი **„ჰალსტუხი“ და „ერთი ადგილი“ სააკაშვილმა ერთი წინადადების ჩარჩოებში პირველად მოაქცია.** არადა, ჯერ სად ვართ... ასე თუ გააგრძელა, მისი მემუარები, სავარაუდოდ, შემდეგ სახეს მიიღებს: სათაური — **„ჩემი ჰალსტუხი“** („ჩემი ბრძოლის“ მსგავსად), ქვესათაური — **„ჩემი ერთი ადგილი საქართველოს ისტორიაში“.**

სააკაშვილი, აგრეთვე, აფრიალებდა წერილს, რომელიც მედვედევს გაუგზავნა და შემდეგი რამ შესთავაზა: **„გადაინაცვლეთ რამდენიმე ათეული კილომეტრით ჩრდილოეთში, კოდორზე, ესე იგი, ყველაფერი, თქვენ რაც გაინტერესებთ, ხდება კოდორის ჩრდილოეთით, სამაგიეროდ, ამის სანაცვლოდ (და შევიყვანოთ ჩვენი დევნილები, საერთაშორისო ადმინისტრაციის ქვეშ, არა ქართული ადმინისტრაციის ქვეშ), სამაგიეროდ, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, და სუვერენიტეტი ჩვენია იმის ჩრდილოეთით, დაგიკანონებთ თქვენ სოხუმის აეროპორტით სარგებლობას, დაგიკანონებთ ყველა თქვენ ეკონომიკურ ინტერესს ბიჭვინთაში, გაგრაში, სოხუმში, ჩვენთან დაგიკანონებთ... რკინიგზით სარგებლობას და გავხსნით რკინიგზას სომხეთზე“** („რუსთავი 2“). ოციოდე წამში კი (დამწყები შულერის ინტონაციით) ჟურნალისტს უთხრა: **„რა თქმა უნდა, ამას ჩვენ შევაყოლებდით ჩვენ სამოქალაქო ადმინისტრაციას, მმართველობის სტრუქტურებს. მარა, ნუ, ეს პაკეტის ნაწილი იყო, მარა ამას აქ არ ვწერ“.** ფენომენალურია — ერთის მხრივ, **„არა ქართული ადმინისტრაციის ქვეშ“,** მეორე მხრივ კი — **„შევაყოლებდით ჩვენ ადმინისტრაციას“.** ფაქტობრივად, ტალეირანს აჯობა — უნარშეზღუდულ ფრანგ მინისტრს რუსეთთან ასეთი თამაშის წარმოება აზრადაც არ მოსვლია; საზრალო საკმარისად ცბიერი არ იყო.

**სააკაშვილმა, ამასთანავე, მოგვითხრო, თუ როგორ განაცხადა უარი სამშვიდობო შეთანხმების იმ პუნქტის ხელმოწერაზე, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის საერთაშორისო განხილვას ითვალისწინებდა, რითაც, ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, საკუთარი ხელით მოსპო უკანასკნელი ბარიერი, რომელსაც შეეძლო რუსეთის მიერ სეპარატისტული რესპუბლიკების ცნობა დაებლოკა.** აგრეთვე, იყო მოგონებები მექსიკური ტელესერიალის სტილში, თუ როგორ დასდევდა მშვიდობისმოყვარე სააკაშვილი მედვედევს ასტანაში დისკოთეკაზე, როგორ ურეკავდა მას, მაგრამ ყურმილს პუტინი იღებდა, რომელმაც გალანძღა აშშ-ის პრეზიდენტი, სააკაშვილმა კი დაუყოვნებლივ ბუშთან დაიბეზღა. იყო სხვა კომიკური მომენტებიც, თუმცა მათზე ყურადღების გამახვილება, ალბათ, არ ღირს, რადგან ყოველივე ამის უკან, სავარაუდოდ, ძალიან დიდი სიცარიელე, მარტოობა და ისტორიის გადაწერის (კომპიუტერული თამაშის თავიდან დაწყების მსგავსად) ცუდად შენიღბული სურვილი დგას. **სააკაშვილი თითქოს ცდილობდა, რაღაც დაემტკიცებინა წარსულის აჩრდილებისთვის, რომელთაც თვალს ვერ უსწორებს, შესაძლოა იმიტომ, რომ გამბედაობა არ ჰყოფნის, მაგრამ ეს მისი პრობლემაა და არა ჩვენი; ამ შემთხვევაში ნამდვილად ვერაფრით დავეხმარებით.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საააკაშვილს, როგორც ჩანს, უბრალოდ არ ესმის, რას ნიშნავს პასუხისმგებლობა გლობალურ უსაფრთხოებაზე და თავშეკავება, რომელიც მისგან გამომდინარეობს. აგრეთვე, მან, სავარაუდოდ, დღემდე ვერ გააცნობიერა, რომ აშშ-ს არ შეუძლია მოუგოს ბირთვული ომი რუსეთს და რომ ამ დაპირისპირებაში ვერავინ გაიმარჯვებს, ხოლო პლანეტა განადგურდება.**

# «გადატვირთვა» დასრულდა. რა ელის საქართველოს?

**„გადატვირთვა“ ჩიხში შევიდა, აშშ-რუსეთის ურთიერთობა სულ უფრო პრობლემური ხდება. საუბარი ყოვლისმომცველ კონფრონტაციაზე ან „ახალ ცივ ომზე“ ჯერჯერობით ნაადრევი ჩანს, თუმცა ნეგატიური ტენდენციები სახეზეა. მოახდენს თუ არა ეს გავლენას საქართველოზე? როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი ხელისუფლება, რომ ქვეყანას ამ პერიოდში დამატებითი პრობლემები არ შეექმნას? უნდა ვცადოთ თუ არა თევზის დაჭერა კონფრონტაციის მღვრიე წყალში, რაზეც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ოცნებობდნენ?**



## კოზაკი აქლემებს შორის

**არის ერთი ძველი დიალოგი, რომელმაც საქართველოს პოზიციისთვის აშშ-რუსეთის ან ნებისმიერი ზესახელმწიფოის (დღევანდელ თუ მომავალ) დაპირისპირებაში შეიძლება ერთგვარი ქვაკუთხედის როლი შეასრულოს.** როდესაც შაჰმა ვახტანგ გორგასალს უთხრა: **„ითხოვე ჩემგან, რაცა გნებავს თავისა შენისათვის“**, მეფემ უპასუხა: **„მნებავს, რათა იყოს მშვიდობა შენ შორის და კეისრისა“.** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მსგავსი იდეები პოპულარული არ იყო, ითვლებოდა, რომ საქართველომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ორი გიგანტის დაპირისპირების გაღრმავებას და მასში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

**ამ მისწრაფებებმა სააკაშვილის რეჟიმის კრახში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულეს, მისი რიტორიკა და კონფრონტაციის გაღრმავების უშედეგო, თუმცა ენერგიული მცდელობები „გადატვირთვის“ პიკზე ობამას ადმინისტრაციისთვის სასურველ რეალობასთან გადაულახავ წინააღმდეგობაში შევიდა.** რა თქმა უნდა, ეს არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რომლის გამო ვაშინგტონმა სააკაშვილის რეჟიმის აქტიურ მხარდაჭერაზე ხელი აიღო, თუმცა მან საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. **სააკაშვილს „გადატვირთვის“ დასრულებამდე რომ გაეძლო, მისი ჩამოცილება ხელისუფლებიდან, შესაძლოა, შედარებით რთული** (მაგრამ, ალბათ, მაინც გარდაუვალი) **გახდებოდა.**

დღეს დიდი ხმაურია სნოუდენის ინციდენტის, რუსეთში სექსუალური უმცირესობების უფლებების, აგრეთვე, რიგი სხვა რეზონანსული თემების გარშემო, მაგრამ, სავარაუდოდ, გაცილებით დიდი მნიშვნელობა იმ გამოცდილებას აქვს, რომელიც ვაშინგტონმა სირიაში მიიღო. პირველად „ცივი ომის“ შემდეგ სამმა უცხო სახელმწიფომ — რუსეთმა, ჩინეთმა და ირანმა — მისი ინტერესების გატარებას საკმაოდ ეფექტური წინააღმდეგობა გაუწია, თანაც ამის გაკეთება ძალების რამდენადმე შესამჩნევი დაძაბვის გარეშე მოახერხა. მათ არ შეუქმნიათ ფორმალური ალიანსი (ეს ღია გამოწვევა იქნებოდა) ან რაიმე საკოორდინაციო სტრუქტურა, მაგრამ აშშ-ს და მათ მოკავშირეებს ძალზე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს.

**სირიის საკითხი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, აშშ-ისთვის ზეპრიორიტეტული არ არის, თუმცა იქ მიღებულმა გამოცდილებამ, სავარაუდოდ, დააფიქრა პოლიტიკოსები ვაშინგტონში იმაზე, რომ მსგავსი პრობლემა შეიძლება მომავალშიც, უფრო მნიშვნელოვან სიტუაციებშიც შეექმნათ და, როგორც ჩანს** (ბოლოდროინდელი სიგნალებით თუ ვიმსჯელებთ), **მივიდნენ დასკვნამდე, რომ ახლო მომავალში მოსკოვისა და პეკინის გლობალური ამბიციების შეზღუდვაზე ორიენტირებული ნაბიჯები უნდა გადადგან.**

საერთოდ, საქართველოში „ნაციონალების“ პროპაგანდის გადამკიდე, თეთრი სახლის ნებისმიერი, რუსეთის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება ან თუნდაც განცხადება ხშირად აღიქმება, როგორც რუსეთის საბოლოო „ჩამოშლაზე“ ორიენტირებული აქტი. მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, მიზანშეწონილია სწორედ ეს ტერმინი — „შეზღუდვა“ გამოვიყენოთ. **რუსეთის „ჩამოშლა“ ისეთი სახით, როგორც ეს „ნაციონალებს“ წარმოუდგენიათ, წარმოშობს „გეოპოლიტიკურ ვაკუუმს“ მთელ რიგ ზონებში** (ცენტრალური აზია, ან სულაც — ციმბირი), **რომელსაც, 99%-იანი ალბათობით, დაუყონებლივ შეავსებს ჩინეთი, რაც მას უზომოდ გააძლიერებს. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ამერიკელებს ბანალურად რუსეთის სრული დაქცევა სურთ, ალბათ, მაინც უადგილოა; ამოცანები, სავარაუდოდ, შედარებით მოკრძალებულია.** იგივე ეხება ჩინეთსაც, თუმცა იქ განსხვავებული კონტექსტია, რომლის აღწერა ამ წერილის ჩარჩოებს სცდება. მარტივად რომ ვთქვათ, **მოსკოვი და პეკინი გაძლიერდნენ და მათი მზარდი ამბიციები, რომელთა ერთ-ერთი გამოვლინება სირიაში ვიხილეთ, ვაშინგტონს აფრთხობს.**

**საქართველოს ხელისუფლებისთვის ამ სიტუაციაში ძალზე მნიშვნელოვანია, დაადგინოს, თუ რამდენად მაღალია „დაპირისპირების გრადუსი“ და არ აღმოჩნდეს იმ სიტუაციაში, რომელშიც სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოში მოხვდა.** რა არის გიგანტების დაპირისპირებაში რეალური და რა წარმოსახვითი? რა ნაბიჯებს გადადგამენ (თუ გადადგამენ) მხარეები სამხრეთ კავკასიაში?

ზოგადად, ობამას ადმინისტრაციისთვის უცხოა პოსტსაბჭოთა სივრცეში ღრმა შეჭრისა და რუსეთის „ფერადი რევოლუციების“ რკალში მოქცევის იდეები, რომელიც „ნეოკონებს“ არ ასვენებდა. აგრეთვე, ძნელი წარმოსადგენია, რომ მან საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ღია კონფრონტაციისკენ მოუწოდოს; მისი მეთოდები შედარებით დახვეწილი და, ასე ვთქვათ, „შემოვლითია“. თუმცა **რუსეთთან დღევანდელი დაპირისპირების ლოგიკამ რაღაც მომენტში შეიძლება უბიძგოს თეთრ სახლს, დღის წესრიგში დააბრუნოს საქართველოს ნატოში სწრაფი გაწევრიანების, აგრეთვე, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. მაგრამ მოახდენს თუ არა ის რეალურ ზეწოლას ევროპელ მოკავშირეებზე, რათა მათ საქართველოს ნატოში გზა გაუხსნან? რამდენად მოსალოდნელია, რომ ამერიკელებმა საქართველოს გამთლიანება ღირსების საქმედ გაიხადონ, როგორც ეს თავის დროზე** (მაგალითად) **დასავლეთ ბერლინის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით გააკეთეს?**

არსებობს რამდენიმე ტესტი, რომლებიც ამ კითხვებზე პასუხის გაცემას აიოლებს. მაგალითად, **საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია ვაშინგტონს სერიოზული შეიარაღების მოწოდება სთხოვოს, რის გაკეთებისგან ის აქამდე თავს იკავებდა. თეთრი სახლის პასუხი კი ერთგვარი ინდიკატორის როლს შეასრულებს. სააკაშვილი ასეთ სიტუაციაში ამ საკითხს წინა პლანზე აუცილებლად წამოწევდა. რას მოიმოქმედებს ივანიშვილის ხელისუფლება?** ჩაატარებს ამ სარისკო ექსპერიმენტს თუ დაელოდება მკაფიო სიგნალს ვაშინგტონიდან: „იყიდეთ ან სულაც უფასოდ აიღეთ ჩვენი იარაღი“? მსგავსი „სატესტო თემა“ ბევრია და მათი დაყენება (ან არდაყენება) დღის წესრიგში ივანიშვილის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის (ჯერაც ბოლომდე ამოუცნობ სტილზე) საკმაოდ ბევრს მოგვითხრობს.

## ხომალდები, მითები და ლეგენდები

„რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა ვრცლად ისაუბრა 2008 წლის ომზე და ამერიკული ფლოტის როლზე თბილისის გადარჩენაში. აღსანიშნავია, რომ ეს თემა „ნაციონალების“ მითოლოგიაში თანდათან ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს. სააკაშვილის მთავარი პრობლემა ამ შემთხვევაში კონფლიქტის ქრონოლოგიაშია; ბუშის 13 აგვისტოს განცხადებას ჰუმანიტარული (და არა სამხედრო) ოპერაციის დაწყების შესახებ, წინ უძღოდა მედვედევის განცხადება საბრძოლო მოქმედებების დასრულების შესახებ (30 საათით ადრე), სარკოზისა და მედვედევის მიერ დარეგულირების პრინციპების გაცხადება (24 საათით ადრე) და სააკაშვილის პრინციპული თანხმობა, სამშვიდობო გეგმა მიეღო (6 საათით ადრე). **პირველი ამერიკული ხომალდი, „მაკფოლი“ შავ ზღვაში 21 აგვისტოს შემოვიდა. ვისთან უნდა ეომა ან ვინ უნდა შეეშინებინა მას ამ პერიოდში, როდესაც საბრძოლო მოქმედებები აშკარად დასრულებული იყო, ხოლო სამშვიდობო შეთანხმება ხელმოწერილი?**

აგვისტოს მესამე დეკადაში თბილისის შტურმზე არც შინ, არც გარეთ აღარავინ საუბრობდა. იქნებ საქმე ავიაციაშია, რომლის შესახებ სააკაშვილი ასე მოგვითხრობს: **„პატრულირება საქართველოს საზღვრების გასწვრივ და პატრულირება რას ნიშნავს, იქიდან რამე რომ მოსვლოდა ამ თვითმფრინავს, დაახლოებით ორი წამის ამბავი იყო, რომ პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია, შეტაკება — ეს რუსებმა მშვენივრად იცოდნენ, ამან გააჩერა“.** ამ ფრაზიდან, ალბათ, უნდა დავასკვნათ, რომ თბილისის აღება აუცილებლად მოითხოვდა თურქეთის საჰაერო სივრცეში ამერიკულ თვითმფრინავებზე იერიშის მიტანას; რუსეთის მანიაკალურ გენშტაბს, სააკაშვილის ლოგიკას თუ მივყვებით, სხვაგვარად არ ძალუძს. როგორც ჩანს, მან უკვე აღარ იცის, რა თქვას, რათა ამერიკელები თბილისის მხსნელებად გამოიყვანოს. ნიკოლა სარკოზის კი ამასთან დაკავშირებით ალტერნატიული ვერსია აქვს, 2008 წლის ნოემბერში მან შემდეგი განცხადება გააკეთა: **„როდესაც 8 აგვისტოს ვიღაც უნდა გაფრენილიყო მოსკოვსა და თბილისში, ვინ იცავდა მაშინ ადამიანის უფლებებს? აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც თქვა „ეს მიუღებელია?“ თუ საფრანგეთი, რომელმაც რუსეთისა და საქართველოს ლიდერებს შორის შუამავლის როლი შეასრულა? მოსკოვში გაფრენის წინ ამერიკის პრეზიდენტმა მითხრა: „არ გაფრინდე იქ, მათ** (რუსებს) **თბილისის აღება სურთ, მათ მხოლოდ 40 კილომეტრი დარჩათ. უბრალოდ, დაგმეთ მათი მოქმედება“** (ბი-ბი-სი).

**ჯორჯ ბუშსაც კი, რომელიც საკმაოდ პატივმოყვარე ადამიანია, არასოდეს დაუბრალებია საკუთარი თავისთვის, რომ მან** (და აშშ-მა ზოგადად) **თბილისი გადაარჩინა. მიუხედავად ამისა, სააკაშვილი ამ ვერსიას ჯიუტად ავითარებს და ყოველ ახალ ინტერვიუში სულ უფრო შორს მიდის.** გასულ კვირას მან კიდევ ერთხელ ისაუბრა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის, დიკ ჩეინის, წინადადებაზე, როკის გვირაბი დაებომბათ (რაც არც ერთი სხდომის ოქმში არ დაფიქსირებულა, თუმცა გამორიცხული არაა, რომ არაოფიციალურად ჩეინიმ მსგავსი რამ მართალაც თქვა). თავი დავანებოთ იმ აპოკალიპტური პერსპექტივების განხილვას, რომლებიც ამას მოჰყვებოდა და ნურც იმას წარმოვიდგენთ, რას დაემსგავსებოდა საქართველო, თუ მხარეები სრულმასშტაბიანი ესკალაციის შემთხვევაში მის ტერიტორიაზე ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებდნენ. **მთავარი აქ, სავარაუდოდ, სააკაშვილის ძირითადი მესიჯია: ამერიკელები ყოვლისშემძლეები არიან, მათ ყველგან, მათ შორის საქართველოში, შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც მოეხასიათებათ. ეს, ალბათ, ძალზე საშიში მიდგომაა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში კრახი მოგვიტანა.**

სააკაშვილს, როგორც ჩანს, უბრალოდ არ ესმის, რას ნიშნავს პასუხისმგებლობა გლობალურ უსაფრთხოებაზე და თავშეკავება, რომელიც მისგან გამომდინარეობს. აგრეთვე, მან, სავარაუდოდ, დღემდე ვერ გააცნობიერა, რომ აშშ-ს არ შეუძლია მოუგოს ბირთვული ომი რუსეთს და რომ ამ დაპირისპირებაში ვერავინ გაიმარჯვებს, ხოლო პლანეტა განადგურდება.

## „გადატვირთვის“ მძიმე ტვირთი

**სააკაშვილი უკვე პოლიტიკური წარსულის კუთვნილებაა და მის ამბიციებზე გაცილებით საშიში მის მიერ ქართულ პოლიტიკაში დატოვებული ნაღმია — არაკორექტული მოსაზრება** ▶

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „სინამდვილეში კი, ვინ იყო სააკაშვილი? — ბუშის მონა. რასაც იქიდან ეტყოდნენ და უბრძანებდნენ, კუდის ქიცინით ასრულებდა ყველაფერს.“



გია მაისაშვილი:

# ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ოპოზიციაში იყვნენ პოლიტიკური მასტურბაციით დაკავებულნი, ახლა ხელისუფლებაში აკეთებენ იმავეს

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება ეკონომისტი გია მაისაშვილი.**

**— ბატონო გია, 2009 წელს, როცა ოთხთვიანი საპროტესტო გამოსვლები რუსთაველის გამზირზე უშედეგოდ დასრულდა, თქვენ განაცხადეთ, რომ ოპოზიცია პოლიტიკური მასტუბრაციითაა დაკავებული. ახლა იმ ოპოზიციის დიდი ნაწილი ხელისუფლებაშია. როგორ შეაფასებთ დღესდღეობით მათ საქმიანობას?**

— ისინი, ფაქტობრივად, დღესაც იმავეს აგრძელებენ. საზოგადოება კარგად ხედავს, რომ ათი თვის მანძილზე ბევრი ვერაფერი გაკეთდა. არადა, როცა ერთი საძულველი ხელისუფლება იცვლება ახლით, ამ დროს ხალხში არის ხოლმე უზარმაზარი ოპტიმიზმის განცდა, რომელიც, თავის მხრივ, აუცილებელი ფაქტორია ქვეყნის წინსვლისთვის. **ყველა დასავლურ განვითარებულ ქვეყანაში, უწინარესად, ოპტიმიზმის დონეს ზომავენ მოსახლეობაში. ჩვენთან, რასაკვირველია, ამას არავინ აკეთებს, მაგრამ გაზომვის გარეშეც უნდა ვიცოდეთ, რომ არჩევნების შემდეგ მოლოდინები იყო. აი, ამ მოლოდინების გამართლება-არგამართლებაზეა დღეს ბევრი რამ დამოკიდებული და, უპირველესად, ამას უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ ყურადღება...**

**— დასავლურ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე საქართველოში, ხალხის ოპტიმიზმს ყოველთვის აქვს ხოლმე კონკრეტული საფუძველი. ჩვენთან რა საფუძველი არსებობდა ან არსებობს დღეს?**

— ჩვენთან ეს საფუძველი აბსოლუტურად ზერელე იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, კიდევ ვიმეორებ, ოპტიმიზმი არსებობდა. **ძალიან დიდი ფორა ჰქონდა ახალ ხელისუფლებას და უნდა გამოეყენებინა...**

საერთოდ, ლიდერმა, ხელმძღვანელმა მკაფიოდ უნდა დაანახოს ხალხს სურათი, სად ვართ და მომავალში სად შეიძლება ვიყოთ. ოღონდ ეს ისე მიმზიდველად უნდა მიაწოდოს მოსახლეობას, რომ თითოეულ ჩვენგანს მოუნდეს ამ „რა შეიძლება ვიყოთ“ საქართველოსკენ წასვლა. სხვანაირად ერის მობილიზება ვერ მოხდება, საზოგადოება ერთიან სხეულად ვერ იქცევა. მით უფრო, რომ საქართველოს არასდროს ჰქონია ერთიანი ეროვნული გეგმა იმისა, თუ რა არის ჩვენი მთავარი ამოცანა და როგორ მივაღწიოთ მას. სხვათა შორის, ზუსტად ამის ჩამოყალიბება იყო ახალი ხელისუფლების პრიორიტეტიც. მე ერთი წლის წინ ვუთხარი კიდეც ბიძინას, თუ მოლოდინს არ გაამართლებ, ყველაფერი, ყველა ჩანაფიქრი და საქმე, რომელთაც აპირებ, ჩაგეშლება-მეთქი. მერე, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ იგივე ხალხი, იგივე ადამიანები, რომლებიც ოპოზიციაში უმაქნისები იყვნენ, აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში.

**— და ამით რა მივიღეთ?**

— თუ ერთ ამპლუაში უმაქნისი ხარ, მეორე ამპლუაში უცებ მაქნისი ვერ გახდები. იმის თქმა მინდა, რომ **ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ოპოზიციაში იყვნენ პოლიტიკური მასტურბაციით დაკავებულნი, ახლა ხელისუფლებაში აკეთებენ იმავეს. განსხვავება მხოლოდ ერთია: დღეს მათი ეს თამაში ბევრად უფრო სახიფათოა ქვეყნისთვის, იმიტომ, რომ ახლა ისინი სახელმწიფოს მმართველობის სათავეში დგანან.**

**— 1 ოქტომბრის შემდეგ დაწყებულ სამართლებრივ პროცესზე რას ფიქრობთ, რამდენად ობიექტურად მიმდინარეობდა ის და თუ არ მიმდინარეობდა, რა არის ამის მიზეზი?**

— პოტენცია. იმპოტენტი მასტურბაციითაა დაკავებული და, ვისაც მაღალი პოტენცია აქვს, ის — სიყვარულის აქტით. ახლა ეს პოლიტიკურ ენაზე რას ნიშნავს: **იმისათვის, რომ შენ აღადგინო სამართლიანობა, ამას ათი თვე არ სჭირდება. ხოლო თუ პროცესს წელავ, ეს უკვე დანაშაულია.**

**— იქნებ ამ პროცესის გაწელვა კადრების ნაკლებობითაა გამოწვეული?**

— გამოსავალი ასეთ შემთხვევაშიც არსებობს. მაგალითად, როგორც სამხრეთ აფრიკაში მოხდა, როცა ნელსონ მანდელა მოვიდა და თეთრებისა და შავების შერიგების კომისია შეიქმნა, ასევე შეიძლებოდა აქაც. უნდა ჩამოგვეყვანა მსოფლიო დონის ევროპელი, ამერიკელი გამომძიებლები და მათ გვერდით ჩამოგვეყალიბებინა ქართველ ახალგაზრდა გამომძიებელთა ჯგუფი, რომელიც მიიღებდა შესაბამის კვალიფიკაციას. აი, ასე წარიმართებოდა ეს პროცესი დეპოლიტიზებულად, ღიად და რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც სულ სხვა გზით წავიდა...

**— გასაგებია, მაგრამ ის ამერიკელები და ევროპელები, თქვენ რომ ახსენეთ, გამუდმებით საუბრობენ პოლიტიკურ დევნაზე. თუნდაც ნორლანდის ბოლოდროინდელ განცხადებები ამის ნათელი მაგალითია.**

— მე მათზე არ ვლაპარაკობ. **ამ როლანდის და მისი წინამორბედის, ბასის, ქმედებებიც პირდაპირ გულისამრევია.** შერიგების კომისია რომ ვახსენე, მხედველობაში მყავდა მსოფლიო კლასის ავტორიტეტული იურისტები და გამომძიებლები, რომლებსაც არც ერთი ქვეყნის მთავრობასთან კავშირი არ აქვთ. მაგათ გაკეთებულ დასკვნას უკვე, მერწმუნეთ, ვერც ნორლანდი, ვერც ბასი და ვერც მამაძაღლი ეჭვქვეშ ვერ დააყენებს. ასე რომ, ბევრად უფრო სწრაფად წარიმართება პროცესი.





## «ამ როლანდის და მისი წინამორბედის, ბასის, ქმედებებიც პირდაპირ გულისამრევია»

**— მაშინ რა უშლის ხელს ხელისუფლებას, რომ მოიწვიოს ეს ხალხი?**

— ამაზე მათ უნდა გიპასუხონ, მაგრამ, საერთოდ, **იმდენად უვიცია ეს ხელისუფლება, რომ ლამის ფიანდაზად გაეფინოს ევროპელებსა და ამერიკელებს. ამით საზოგადოებაში საკუთარი თავისადმი რწმენას, პატივისცემას მთლიანად ანადგურებს, ხალხს მონურ აზროვნებას აჩვევს...**

**— პარლამენტმა, დასავლეთის საამებლად, საგარეოპოლიტიკური კურსის უცვლელობის შესახებ რეზოლუციაც მიიღო.**

— ეს „ნაცმოძრაობის“ მოთხოვნით გაკეთდა, თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას გაუსვეს ვითომ ხაზი. **სინამდვილეში კი ვინ იყო სააკაშვილი? — ბუშის მონა. რასაც იქიდან ეტყოდნენ და უბრძანებდნენ, კუდის ქიცინით ასრულებდა ყველაფერს.** მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ნორლანდები და ბასები კი არა, ის ღირებულებები უნდა მოგვწონდეს, რომლებზეც დგას ცივილიზებული დასავლეთი. რაც შეეხება რუსეთს, მათთანაც გარკვეული არასრულფასოვნების კომპლექსი გვაქვს, რაც ჩვენთვისაა საზიანო. **მე არ მინდა რუსეთს განვიხილავდე, როგორც მტერს, და არ მინდა, მასთან ვიყო, როგორც მონა. ორივე მიდგომა ჩვენთვის დამღუპველია და თვითონ კრემლსაც უქმნის ამგვარ პრინციპებზე აგებული ურთიერთობა დისკომფორტს, ამიტომ ეს მომგებიანი არავისთვისაა.**

**— დღეს ბევრს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე რუსეთთან დიალოგი შეუძლებელია.**

— შეუძლებელი, იცით, რა არის? რომ ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ქვეყანა, რომელსაც ბევრი ბუნებრივი სიმდიდრე არ გააჩნია, რუსეთისთანა უზარმაზარ სახელმწიფოსთან ჭიდილით წინ წავიდეს. რა თქმა უნდა, ურთიერთობა მოსაგვარებელია და, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენ ეს არ გვჭირდება ან შეუძლებელია, მას, უბრალოდ, არ ესმის, რა გეოპოლიტიკურ რეალობაში იმყოფება დღეს საქართველო.

**— რა გზით წარმოგიდგენიათ თქვენ კრემლთან საერთო ენის გამონახვა?**

— უპირველესად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ ქვეყნის ისტორია, მისი ამოცანები და მიმართულება. **რუსეთისთვის ძალიან მტკივნეული საკითხია სასაზღვრო ზოლის დაცვა, ამიტომ ის თუ აქ დაინახავს მტრულ ძალას, რომელიც ყოველდღიურად ცდილობს, უკბინოს მას და ამისთვის ხან დაღესტანს აქეზებს, ხანაც ჩერქეზების გენოციდის აღიარებით მანიპულირებს, რასაკვირველია, დიალოგი არ გამოვა.**

**— მედვედევმა განაცხადა, რომ ის ნატოს გაფართოებაში რუსეთის საფრთხეს ხედავს.**

— მერე რატომ გიკვირთ?! ის საკუთარი ინტერესებიდან ამოდის. ზუსტად ამიტომ უნდა დაარწმუნოს საქართველომ რუსეთი, რომ ჩვენ მათი მტერი კი არ ვართ, არამედ გვინდა, ისეთი ფორპოსტი შევქმნათ აქ, რომელიც მათი სამხრეთი ზონის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

**— ჩერქეზების გენოციდი ახსენეთ. თქვენი აზრით, ეს შეცდომა იყო?**

**— რასაკვირველია. შეცდომა კი არა, დანაშაული იყო ჩვენი ქვეყნის წინაშე. ადამიანურად ეს ყველას გვესმის, შეგვიძლია, თანავუგრძნოთ იმ ჩერქეზებსა და ინგუშებსაც, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურს ამის უფლება არ აქვს. შენ როცა ქვეყნის საჭე გაბარია და ხალხის ბედი გიპყრია ხელთ, იმდენი უნდა გესმოდეს, რომ ასეთი სისულელე არ გააკეთო.**

**— ხელისუფლების შეცვლიდან მეთერთმეტე თვე მიდის და საზოგადოებაში უკვე შეუსრულებელ დაპირებებზე საუბრობენ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ ხნის მანძილზე მეტის გაკეთება შეიძლებოდა?**

— ერთის მხრივ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რა მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა ამ ხელისუფლებას წინამორბედმა, მაგრამ ეს, რასაკვირველია, უმოქმედობის გამართლება არაა. ვფიქრობ, **„ოცნება“, მინიმუმ, ორჯერ უფრო ქმედითი მაინც უნდა გახდეს, რომ შეძლოს იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართველი ერისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დაპირებები დაპირებებად დარჩება.**

**— დასასრულ, კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ, — რა ამოცანების წინაშე დგას დღეს ხელისუფლება.**

— უწინარესად, ერი უნდა დავრაზმოთ და ვუთხრათ, რომ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია, 12-დან 14-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა. ასევე უნდა შევქმნათ ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომ ათ წელიწადში მოვხვდეთ ათ ყველაზე განათლებულ ერთა შორის. სხვა შემთხვევაში ჩვენ გადარჩენის შანსი არ გვაქვს და, რაც უფრო ადრე მივხვდებით ამას, ჩვენთვისვე იქნება უკეთესი.

**— რამდენად არის დღეს ხალხი მზად ამის მისაღწევად?**

— ხალხი ბევრი რამისთვის არის მზად და ამიტომ ვამბობ ყოველთვის, რომ ჩვენ გვჭირდება ისეთი სოლიდარობის საზოგადოება, რომელშიც შენ და მე „სხვისი ჭირი — ღობის ჩხირის“ პრინციპით არ ვიმოქმედებთ. იმედს ვიტოვებ, რომ ახალ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, წინამორბედის საბედისწერო შეცდომები არ გაიმეოროს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

---

**„ამერიკელებს ყველაფერი შეუძლიათ“.** ამერიკელებს შეუძლიათ ძალიან ბევრი რამ, მაგრამ არა ყველაფერი და ახალი ხელისუფლების პრიორიტეტული ამოცანაა, ზედმიწევნით ზუსტად დააგინოს, რაზე არიან ისინი წამსვლელები სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ბოლო წლებში მათი ინტერესების პერიფერიაზე მოექცა, თუმცა ახალმა დაპირისპირებამ რუსეთთან ეს რეგიონი შეიძლება ავანსცენაზე გამოიყვანოს.

**„გადატვირთვა იცავს საქართველოს, რადგან დღეს რუსეთს დასაკარგი ნამდვილად აქვს. მანამდე მოსკოვში არავინ უფიქრდებოდა იმას, თუ რას იფიქრებდნენ ვაშინგტონში, რადგან ეს მისთვის სულერთი იყო, ახლა კი უფიქრდებიან“,** — განუცხადა 2010 წლის დეკემბერში „ფორეინ პოლისის“ ამერიკული პროგრესის ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის დირექტორმა სამუელ ჩარაპმა. ეს, ალბათ, ძალიან საინტერესო მოსაზრებაა, რომელშიც „გადატვირთვა“ განიხილება, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუ ის დასრულებულია, რაზეც დღეს არაერთი ექსპერტი საუბრობს, ეს ნიშნავს (თუ ათვლის წერტილად ჩარაპის იდეას განვიხილავთ), რომ **საქართველოს უსაფრთხოების არანაირი გარანტია აღარ აქვს, რადგან ის არც რომელიმე სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების წევრი არის და, უკრაინისგან განსხავებით, აქტივში არც „ბუდაპეშტის მემორანდუმის“ მსგავსი, თუნდაც არასრულყოფილი დოკუმენტი აქვს.**

**შესაძლოა, საქართველოს შანსი ისაა, რომ ბოლომდე „გადატვირთვის ნაკრძალად“ დარჩეს და რაიმე ტიპის კონფრონტაციაში ჩაბმისგან თავი რაც შეიძლება დიდხანს შეიკავოს.** ცხადია, სულ მალე ჩვენ გავიგონებთ იმ ადამიანების შეძახილებს, რომლებიც, საგარეოპოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებიდან გამომდინარე, ხმამაღლა მოგვიწოდებენ, მოსკოვს აქტიურად დავუპირისპირდეთ ან პირიქით, „ამერიკას თავი დავანებოთ და რუსეთს ჩავეხუტოთ“. მაგრამ აქვს კი ქვეყანას რესურსი ასეთი მკვეთრი მოძრაობებისთვის? ხომ არ არის ფრთხილი ბალანსი ყველაზე ადეკვატური ტაქტიკური გადაწყვეტილება ასეთ სიტუაციაში?

**რეცეპტი, რომელიც ყველა პრობლემას ერთბაშად მოგვიხსნის, არ არსებობს და ამ ეტაპზე პრიორიტეტულ ამოცანად, ალბათ, ილუზიებისგან გათავისუფლება უნდა განვიხილოთ, რადგან დღეს, როგორც არასდროს რეალობის ადეკვატური აღქმა გვჭირდება. ალბათ, უმჯობესი იქნება, დავემშვიდობოთ სააკაშვილის ხილვებს ყოვლისშემძლე ავიამზიდებზე, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან მომენტს, როდესაც საქართველოს საშველად გამოეშურებიან. აშშ-სა და რუსეთს შორის დაპირისპირების გაღრმავებამ ცრუ ილუზიები არ უნდა შეგვიქმნას.**

**დიმიტრი მონიავა**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რამდენიმე წლის წინ საქართველომ შეისყიდა საბრძოლო ტექნიკა, რომელმაც ომის დროს არ ივარგა, ამიტომაც საჰაერო-საზენიტო არტილერიის ნამოქმედარი თავად მიიწერეს... შეიძინეს ძველი, უვარგისი ტექნიკა და ეს რომ არ ამოტივტივებულიყო, იმიტომ გააუქმეს ამდენი ბატალიონი. ისინი ხომ არ ელოდნენ, რომ მთავრობა შეიცვლებოდა“**

# ჯარში საბოტაჟია

**ამა წლის ივნისში გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ უკრაინაში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენთან, რომელიც ამბობდა, რომ სააკაშვილმა უკრაინაში შეიძინა საბრძოლო იარაღი, რომელიც 40-იან წლებში იყო გამოშვებული და მის გასანადგურებლად უკრაინის მთავრობას თანხა ჰქონდა გამოყოფილიო. ჩამოვიდა თუ არა აღნიშნული იარაღი და გამოიყენეს თუ არა ის აგვისტოს ომის დროს „საქართველო და მსოფლიოს“ სამხედრო მაღაჩინოსნები ესაუბრებიან.**



## „რაც მოგიყევით სისხლის სამართლის დანაშაულია, უფრო მეტიც, ამას სამშობლოს ღალატი ჰქვია“

**რეზო სახვაძე, ვიცეპოლკოვნიკი:**

— ომის შემდეგ ჯერ მუხროვანის ქვედანაყოფი დაიშალა, მერე — ცალკეული საზენიტო დივიზიონი, შემდეგ სამედიცინო ნაწილი, ანუ ქვედანაყოფები, რომლებმაც რეალურად იბრძოლეს და მტერს წინააღმდეგობა გაუწიეს, ყველა მოიშორეს. ჩვენ არავის ვაკნინებთ, სხვებმაც იბრძოლეს, მაგრამ რატომღაც ქმედითი, საბრძოლო ქვედანაყოფები დაიშალა. მუხროვანს ამბოხება დააბრალეს და დაშალეს. საეჭვოა, როცა დანაყოფებს, რომლებიც გუშინ ომში იყვნენ და გაიწვრთნენ, მეორე დღეს შლი. რა მოსაზრებით შეიძლება ამის გამართლება? თუ დარღვევები დაფიქსირდა, ყველა დანაყოფს თავისი პატრონი ჰყავს და შეიძლება პასუხი მოეთხოვოს. ქვედანაყოფი თავისი ფუნქციითა და ამოცანით უნიკალურია. ეს საქართველოს სჭირდება, ყველა ჩვენგანს სჭირდება. ეს არის ქვედანაყოფი, რომელიც ბრძოლის დროს ქვეყანას იცავს ჰაერიდან.

**ქვედანაყოფმა, რომელმაც იბრძოლა და მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 12 საფრენი აპარატი, მიიწერა დიდმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებმა იმისთვის, რომ თანხები გაეთეთრებინათ.**

საქმე ისაა, რომ **რამდენიმე წლის წინ საქართველომ შეისყიდა ტექნიკა, რომელმაც ომის დროს არ ივარგა, ამიტომაც საჰაერო-საზენიტო არტილერიის ნამოქმედარი თავად მიიწერეს, ჯილდოებიც აიღეს და გაფუჭებული ტექნიკა კი ჩვენ დაგვიტოვეს.**

მავთულხლართებზე ვსაუბროთ... მტერი რომ შემობრუნდეს, თბილისამდე რომ გადმოწიონ საზღვარი, ხომ უნდა შევებრძოლოთ, შევეწინააღმდეგოთ? **დღეს ქვეყანას აღარ ჰყავს ჯარისკაცები, რომლებიც მტერს წინააღმდეგობას გაუწევენ. საშინელი ვითარებაა. 2008 წელს ბევრად ბრძოლისუნარიანები ვიყავით, ვიდრე დღეს. საერთოდ აღარ გაგვაჩნია არაფერი, მხოლოდ 20 პროცენტმა შეიძლება შეძლოს თავდაცვის საჰაერო ოპერაციების განხორციელება.**

**— რაზე გაქვთ ეჭვი? რა მოხდა?**

— ეჭვი რა შუაშია, ზუსტად ვიცით, რაც მოხდა. **შეიძინეს ძველი, უვარგისი ტექნიკა და, ეს რომ არ ამოტივტივებულიყო, გააუქმეს ამდენი ბატალიონი. ისინი ხომ არ ელოდნენ, რომ მთავრობა შეიცვლებოდა.**

გიგი კალანდაძის ქვედანაყოფმა ომში უარი გვითხრა რაკეტების მიღებაზე. მე, როგორც სახმელეთო თავდაცვის საჰაერო ჯარების უფროსი, ამ რაკეტებს ვანაწილებდი. ვისაც ვუბრძანე, ყველამ აიღო. არ აიღო მე-4 ბრიგადამ — კალანდაძის ბრიგადამ; მიზეზად დაასახელა ის, რომ ჯარისკაცი გადაიტვირთებოდა.

იყო ასეთი, 42-ე ბატალიონი, რომლის მეთაური იყო მერაბ კიკაბიძე, რომელმაც ცხინვალში, მუხის ხეივანში მოაწყო ბატალიონი. ამ დროს გამოჩნდნენ რუსების თვითმფრინავები. მათ დაინახეს მოწყობილი ბატალიონი. მოწინააღმდეგის თვითმფრინავი ისე დაბლა დაეშვა, რომ ბიჭები მიყვებოდნენ, მათ სახეებს ვხედავდითო. აქედან გამომდინარე, მათ ხელმძღვანელს თავსუფლად შეეძლო გაეგო, თუ ვის ეკუთვნოდა თვითმფრინავი. თუ ვერ გაიგო, უნდა გადაერეკა შტაბში და დაედგინა, მაგრამ თუ მაინც ვერ დააზუსტებდა, ხალხი, რომელიც იქ მოაწყო და უკვე დანაშაული ჩაიდინა, უნდა გადაემალა, რათა არ დაებომბათ. მართლაც, მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა დაბომბა იქაურობა, შედეგად ოცი ჯარისკაცი დაიღუპა და ორმოცზე მეტი დაიჭრა. დანარჩენები დღემდე შოკში არიან. მათ არ ჰქონდათ საბრძოლო იარაღები, ამის გამო დაიღუპნენ ბიჭები. ომის შემდეგ ყველა ოცეულის მეთაური დაიჭირეს, რათა ეს ამბავი არ გახმაურებულიყო. კიკაბიძისა და კალანდაძის მეგობრობის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის.

**ქართულმა მართლმსაჯულებამ კალანდაძეს დანაშაული ვერ უპოვა. არადა, რაც მოგიყევით სისხლის სამართლის დანაშაულია, უფრო მეტიც, ამას სამშობლოს ღალატი ჰქვია.**

## «ტექნიკა, იცით, რა დონეზე იყო გაუბედურებული? სამკილომეტრიანი მარში ვერ გაიარა, გაჩერდა, მწყობრიდან გამოვიდა მთელი სისტემები, დასკდა რეზინის მილები, ტექნიკაში შიგნით ბალახი იყო ამოსული»

## „ალასანია გაბრუებულია და აზრზე ვერ მოდის...“

**გია ლილუაშვილი, ვიცეპოლკოვნიკი:**

— BUK M1 ტიპის საბრძოლო იარაღი საქართველომ კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრობის დროს შეისყიდა. მას უკრაინაში მერაბ ურიდიაც ახლდა, როლანდ ახალაიას ახლო მეგობარი, რომელიც დღესაც საჰაერო ძალების სარდალია. სწორედ ის განაგებს ყველაფერს.

2006 წლიდან საჰაერო დავდაცვის შექმნა დაიწყო. ქვეყანას თუ არ ჰყავს საჰაერო თავდაცვა, სახმელეთო ჯარი, როგორი მოტივირებულიც არ უნდა იყოს, მისი ქმედების კოეფიციენტი ნულია.

დაიწყეს უვარგისი ტექნიკის შემოტანა, იმ მომენტში იქ ვიყავი და გაოგნებული ვუყურებდი — ეს არ იყო ის ტექნიკა, რომელზეც მანამდე საუბრობდნენ. იცით, ალბათ, როდესაც ტექნიკას ყიდულობ, ადგილზე ყველაფერს ამოწმებ. ის, რაც შემოიტანეს, სულ სხვა რამ იყო. **ტექნიკას უკრაინიდან ხალხი ჩამოჰყვა, მათ ვიცნობდი და მითხრეს, რომ ჩვენც გაოგნებულები ვართ, ტექნიკა, რომლის შესყიდვაზეც იყო საუბარი, გაწკრიალებული იქვე დატოვეს, ეს ნაგვიდან ამოქექეს და წამოიღესო. ტექნიკა, იცით, რა დონეზე იყო გაუბედურებული? სამკილომეტრიანი მარში ვერ გაიარა, გაჩერდა, მწყობრიდან გამოვიდა მთელი სისტემები, დასკდა რეზინის მილები, ტექნიკაში შიგნით ბალახი იყო ამოსული.** როდესაც სხვა ქვეყნიდან ასეთი ტიპის ტექნიკა ჩამოდის და მას ჯგუფი მოჰყვება, ერთი თვე ადგილზე რჩებიან, გადმოგაბარებენ ყველაფერს და მიდიან, მაგრამ ამ შემთხვევაში, დიდხანს მოუხდათ აქ დარჩენა, რადგან ტექნიკას აქ აწყობდნენ. ნაწილები იხსნებოდა, ყუთებში ლაგდებოდა, კიევში იგზავნებოდა და იქიდან სხვა ნაწილი ჩამოდიოდა. ამ მანქანებთან ერთად შეისყიდეს დანადგარები, რომლებიც 3-დან 5 მილიონამდე ღირს, თუმცა საერთოდ გამოუსადეგარი იყო.

**ომი რომ არ დაწყებულიყო, ის ხალხი ამ დრომდე აქ იქნებოდა, მათი შენახვაცა და სამსახურიც უზარმაზარ თანხებთან იყო დაკავშირებული.**

**დღეს ეს ტექნიკა საჰაერო თავდაცვის სარემონტო ბაზაზე სრულიად განადგურებული ყრია, რომელშიც ათეულობით მილიონი დოლარია გადახდილი და რომელსაც ერთი საათიც კი არ უმუშავია.**

უშუალოდ ომის დღეს გავიხსენებ. გამოცხადდა საბრძოლო განგაში, 9 მანქანა უნდა გასულიყო, გავიდა ორი. მათგან მხოლოდ ერთმა მანქანამ შეძლო თავისი ფუნქციის შესრულება.

ომის შემდეგ ადამიანები დაჯილდოვდნენ გამარჯვების, ბრწყინვალების ორდენებით, იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებმაც მართლა იომეს. მაგალითად, ფოჩხუა გამარჯვების ორდენით დაჯილდოვდა. ეს ორდენი დიდი სამამულო ომის შემდეგ მხოლოდ 4 ადამიანმა მიიღო. ის ძვირფასი ქვებით არის მოოჭვილი. საჰაერო თავდაცვას დღესაც განაგებს ის ხალხი, რომელმაც თავის დროზე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. ახალგაზრდა ოფიცრებმა, რომლებმაც ომს გაუძლეს, შეიარაღებული ძალები დატოვეს; მათ დიდი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ისინი არავის სჭირდებოდა.

**— წავიდნენ თუ გაუშვეს?**

— თავისით წავიდნენ. მერე, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ვთხოვდი, დაბრუნებულიყვნენ, ახლა სხვაგვარად იქნება-მეთქი, ზოგი მართლაც დაბრუნდა, მაგრამ ჯარში სიტუაცია არ შეცვლილა. **დღეს უფრო უარესი ვითარებაა ქართულ ჯარში, ვიდრე მანამდე იყო.**

ჩვენ „ქართული ოცნების“ წევრები ვართ, მაგრამ ალასანიასთან შეხვედრა არ გვქონია, მის დილეტანტ მოადგილეებს შევხვდით, რომლებსაც ან არ ესმით ან არ უნდათ გაგება, თუ რა ხდება ჯარში. **ალასანია გაბრუებულია და** ▶

---

მოკლედ

## კახეთში «ქართული ოცნება» 250-ზე მეტმა თანამშრომელმა დატოვა

**კახეთის რვა რაიონის „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი 250-ზე მეტმა აქტიურმა თანამშრომელმა დატოვა და ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში გადავიდა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ კახეთის რაიონის კოორდინატორმა ვალერი შოშიაშვილმა განუცხადა, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო დაპირებების შესრულება.

**„მიუხედავად იმისა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდა, ის დაპირება, რომელიც წინასაარჩევნოდ იყო, 10 თვის მანძილზე არ შესრულებულა. გარდა ამისა, შტაბის დატოვების მიზეზად ისინი სამართლიანობის აღდგენის დაპირების შეუსრულებლობასაც ასახელებენ,“** — აღნიშნა შოშიაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბებს აქტიურად ტოვებენ საქართველოს სხვა რეგიონებშიც.



# „ბიჭებთან დაკავშირებით სხვა პრეტენზიაც გვაქვს. მათ, ვინც მედლებით დააჯილდოვეს, არც ერთს თანხა არ მისცეს, ორდენს 1000-1500 ლარი ფულადი ჯილდოც მოჰყვება. ისე გამოვიდა, რომ მიშას და კალანდაძეს პიარისთვის სჭირდებოდათ ეს დაჯილდოება“.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀აზრზე ვერ მოდის, სად არის. ჯარში საბოტაჟია. თავდაცვის სამინისტროში ინიშნებიან ხელმძღვანელების ნაცნობ-მეგობრები, ოჯახის წევრები, ახლობლები, „ნაცმოძრაობის“ ყოფილი აგიტატორები.**

გეტყვით, პირადად ჩემს შემთხვევაში რაც მოხდა. წარდგენილი ვიყავი საჰაერო ძალების თავდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ოღონდ მას შემდეგ, რაც მინისტრს მივწერე და გასაუბრება გავიარე, დამბლოკეს. ამის შემდეგ სამოქალაქო შტატზე ვინიშნებოდი, ადამიანი, რომელიც 23 წელიწადია ქვეყანას ვიცავ, აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო შტატზეც არ დამნიშნეს.

**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მზადდება საბოტაჟი, რომელიც გარეთ დიდი ხმაურით გამოვა.** დაწყებული გენშტაბიდან, სახმელეთო ჯარების სარდალი, მისი მოადგილე და ა.შ. ეს ადამიანები დადიან ოცეულის მეთაურის რანგამდე. დააწესეს ჯარიმები, ხელფასებს უქვითავენ თანამშრომლებს და თან ეუბნებიან, აი, თქვენი ახალი ხელისუფლებაო. **ერთი შემადგენლობა, ძნელაძის ხელშეწყობით, იკრიბება ავღანეთში. იქიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა თქვეს, რომ ძალიან საეჭვოდ მოძრაობენ, იქ რამე უბედურება არ მოაწყონო.**

ერთადერთი ადამიანი, რომელიც სამინისტროში რაღაცის გაკეთებას ცდილობს, არის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, მაგრამ ისიც იძულებულია, რომ სუბორდინაცია დაიცვას.

მუშაობს გენინსპექციაც და მისი ხელმძღვანელი ანდრო გოცირიძე, რომელიც გვისმენს, მაგრამ ვერაფერს აკეთებს. ამას წინათ 17 წლის უნახავი ჯარისკაცი შემხვდა და მითხრა, ბატონო გია, ისეთი სიტუაციაა, ესენი რაღაცას მოახდენენო. თანამდებობაზე ისევ კალანდაძის დატოვებული ხალხი ზის.

ადამიანები მე-5 პოზიციიდან სარდლები გახდნენ, ამის შეცვლას არაფერი უნდა, უბრალოდ საწყის პოზიციაზე უნდა დააბრუნო. ალასანია კი ამბობს, საკადრო ცვლილებებში არ ვერევიო.

## „ბრძოლის უნარი არ დამიკარგავს, უფრო მოტივირებული გავხდი. ვიბრძოლებ ბოლომდე“

**გოდერძი ორმოცაძე, თადარიგის კაპიტანი:**

— აღნიშნული სამხედრო ნაწილი შეიქმნა 1990 წელს, უშუალოდ საბრძოლო ოპერაციების წარმოებისას აფხაზეთის ომში, გია ყარყარაშვილის მინისტრობის პერიოდში. უშუალოდ ბრძოლაში ჩაბმულმა დივიზიონის პირადმა შემადგენლობამ გმირობისა და მამაცობის არაერთი ფაქტი გამოამჟღავნა, რიგ შემთხვევებში — საკუთარი სიცოცხლის ფასად.

აფხაზეთის ომის შემდეგ დივიზიონი დისლოცირებული იყო ქუთაისში 36-ე სამხედრო ქალაქის ბაზაზე.

განისაზღვრა დივიზიონის საბრძოლო დანიშნულება და არსი, რაც მდგომარეობს შემდეგში:

საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას დივიზიონის ქვედანაყოფები უზრუნველყოფდნენ მოწინააღმდეგის დაბალ სიმაღლეზე მფრინავი საბრძოლო აპარატების და მიწისზედა სახმელეთო, წყლის ზედა მიზნების მწყობრიდან გამოყვანასა და განადგურებას; სამხედრო ბაზებისა და ობიექტების საჰაერო დაცვას; საბრძოლო ოპერაციებში სამეთაურო და საშტაბო პუნქტების საჰაერო დაცვას; საბრძოლო ოპერაციებში ფეხოსანთა და ჯავშან-ტექნიკის გადაადგილებისას სახმელეთო და საჰაერო ცეცხლის მხარდაჭერას.

დივიზიონის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი საბრძოლო ქვედანაყოფები:

ორი საზენიტო ქვემეხი. ს-60 ბატარეა; გადასატანი საზენიტო დანადგარის ზეუ-23/2-ის ბატარეა; შემდგომში მოხდა გადასატანი საზენიტო დანადგარების ზეუ-23/2-ის დამონტაჟება თვითმავალ გამწე ტექნიკაზე ე.წ. მტლბ-ზე; თვითმავალი ავტომატიზირებული საზენიტო დანადგარი ზსუ 23/4 „შილკის“ ბატარეა; გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის სტრელა-2-ის ბატარეა; გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის „გრომის“ ბატარეა; უზრუნველყოფის ასეული.

დასავლეთის ოპერატიული მიმართულების განკარგულებაში მყოფი დივიზიონი, ზემდგომი ხელმძღვანელობის ბრძანებებითა და განკარგულებით, აქტიურად მონაწილეობდა პანკისის ხეობაში მიმდინარე ოპერაციებში, ინტენსიურად მონაწილეობდა კოდორის ხეობის საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფაში, ხოლო მას შემდეგ, რაც დივიზიონი გადავიდა სახმელეთო ჯარების დაქვემდებარებაში, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებდა კოპიტნარის, სენაკის, ბაზალეთის, გორში დისლოცირებული მეხუთე ქვეითი ბრიგადის, ვაზიანში დისლოცირებული მეოთხე ქვეითი ბრიგადის, სასწავლო ცენტრ კრწანისის, ქ. ქუთაისის დისლოცირებული მესამე ქვეითი ბრიგადის საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფას.

2008 წლის 7 აგვისტოს დივიზიონის ქვედანაყოფები საბრძოლო დავალების მიღებისთანავე უშუალოდ ჩაებნენ საჰაერო თავდაცვით ბრძოლებში, სადაც რეალურად და პრაქტიკულად დასაბუთდა მოწინააღმდეგის დაბალ სიმაღლეზე მფრენი საბრძოლო აპარატების წინააღმდეგ ბრძოლისას მისი უნიკალური შესაძლებლობები:

საზენიტო ცეცხლის კომპლექსური წარმოების მაღალი ეფექტურობა; სწრაფი მანევრირება; ეფექტური საზენიტო-საცეცხლე ბადის შექმნით მოწინააღმდეგის მხრიდან მოულოდნელობისა და დაბნეულობის ეფექტურობა; ყოველივე ამას საფუძვლად ედო პირადი შემადგენლობის მაღალი საბრძოლო მომზადება და მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა.



«ერთი შემადგენლობა, ძნელაძის ხელშეწყობით, იკრიბება ავღანეთში. იქიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა თქვეს, რომ ძალიან საეჭვოდ მოძრაობენ, იქ რაიმე უბედურება არ მოაწყონო»

ომის შეწყვეტის შემდეგ დივიზიონი, ზემდგომი მეთაურების ბრძანებების შესაბამისად, აგრძელებდა საჰაერო თავდაცვის ობიექტებისა და ზემოთ აღნიშნული ქვედანაყოფების საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფას.

დივიზიონმა საბრძოლო მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 11 მოიერიშე სუ-25 საფრენი აპარატი და 1 მოიერიშე მიგ-4 ვერტმფრენი, რაც, სამწუხაროდ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ თუ ვერ აღიარეს დიდი საჰაერო თავდაცვის, სამწუხაროდ, ახლაც შემორჩენილმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ბაჩო ახალაიას, ქვეშევრდომებმა — ბრიგადის გენერალმა ნაირაშვილმა, პოლკოვნიკმა ფოჩხუამ, პოლკოვნიკმა ურიდიამ. მათი აქტიური ქმედების შედეგად 2009 წლის 21 სექტემბერს ყოფილმა გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ჭანკოტაძემ და ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ მიიღეს, ჩემი აზრით, „საუკეთესო შემთხვევაში“, აღნიშნული დივიზიონის გაუქმების სპონტანური გადაწყვეტილება, აღშფოთებისა თუ შემფოთების ნიადაგზე, ხოლო ყველაზე „ცუდ შემთხვევაში“ — არაგონივრული, აბსურდული გადაწყვეტილება.

**ბრძოლის უნარი არ დამიკარგავს, უფრო მოტივირებული გავხდი. ვიბრძოლებ ბოლომდე. ალასანია ვერ ვნახე, მაგრამ სესიაშვილს ყველაფერი ვუთხარი. ამ დრომდე პასუხი არ არის. მე 16 წელი ფორმა მეცვა, ახლა ეს ადამიანები მეუბნებიან, უნდა შეგამოწმოთო. სირცხვილია.**

**— პროკურატურას ეს ინფორმაცია არ მიაწოდეთ?**

— კი, კბილაშვილს მივწერეთ. მან გადააწერა თავდაცვის სამინისტროში რომელიღაც გამომძიებელს, ხოლო იქიდან მოგვივიდა პასუხი, 2010 წელს რაც პასუხი მიიღეთ, იმით დაკმაყოფილდითო.

## „ვფიქრობდი, თუ ეს დღე გველოდა, ნეტავ, ბომბი ჩამოვარდნილიყო და ჩავხოცილიყავით-მეთქი“

**ვაჟა ჩომახიძე, თადარიგის ვიცეპოლკოვნიკი:**

— გენინსპექციას ჩვენება მივეცი და თან ვითხოვ პასუხს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზეზით გაუქმდა ჩვენი ნაწილი. **ნაწილი პრეზიდენტის ბრძანებით მხოლოდ სამ შემთხვევაში უქმდება: თუ ნაწილმა მშვიდობიანობის პერიოდში თავისი სიმბოლიკებიანი დროშა დაკარგა, თუ ომის პერიოდში დროშა მტერს ჩაუვარდა და მესამე — თუ ნაწილმა ბრძოლის დროს 70%-ზე მეტი პირადი შემადგენლობისა დაკარგა.**

არც ერთი ჩამონათვალთაგან არ მოგვსვლია. ჩვენ ერთი ადამიანიც კი არ დაგვიკარგავს. 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის აგვისტომდე ჩვენი ნაწილი სულ ტერიტორიებს იცავდა, ბაზაზე არ შევსულვართ. **ბაზაზე როდესაც დავბრუნდით, ძალიან მალე გააუქმეს ჩვენი ნაწილი.**

შუაღამისას განგაშით გამომიძახეს. რომ მივედი, ნიღბიანი თანამშრომლები დავინახე. ვერაფერს მივხვდი, რა ხდებოდა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა. თანამშრომლები უკვე შეკრებილი ჰყავდათ. **დევი ჭანკოტაძე იყო ჩამოსული. საინფორმაციო ოთახში შეგვკრიბეს. ჭანკოტაძემ ენით გამოუთქმელი შეურაცხყოფა მოგვაყენა და ისე გავიდა, რომ შეკითხვის დასმაც ვერ შევძელით.**

7-8 დღის გასვლის შემდეგ თბილისიდან ჩამოვიდა ხალხი და თქვეს, ტერიტორია უნდა დავათვალიეროთო, ამ ფაქტმა ძალიან დამაფიქრა. კომისიები მოდიოდა და მიდიოდა, მიჰქონდათ საიდუმლო საბუთები, რომლებშიც ხარვეზსაც კი ვერ პოულობდნენ. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, **ჩვენი ნაწილი გააუქმეს, მაგრამ რის საფუძველზე, ვერ მივხვდი. ერთი პერიოდი იმასაც ვფიქრობდი, თუ ეს დღე გველოდა, ნეტავ ომში, იქ, სადაც ჩვენ ვიდექით, ბომბი ჩამოვარდნილიყო და ჩავხოცილიყავით-მეთქი. ჩვენი ნაწილი ისე გადაინაწილეს, როგორც მტრის ქონება ბრძოლის შემდეგ.** ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო ლიცეუმი გააკეთეს, რომლის დაარსების აუცილებლობაც არ იყო, როგორც ჩანს, ვიღაცამ ამითაც ფული იშოვა.

ჩვენს საქმეს გრიფით საიდუმლო ადევს, ვითხოვ, რომ გახსნან ეს საქმე, პირობას ვაძლევ ყველას, რომ იქიდან ამუნია არ ამოვა.

**რუსებს გაუკეთებიათ გადაცემა, რომელიც ჩემი თვალით ვნახე. იქ ჩვენს ნაწილზეც არის საუბარი. რუსები ამბობენ, რაც ჩვენ ჩვენმა ხელმძღვანელობამ გაგვიკეთა. მათი კომენტარი ასეთი იყო: — აი, როგორ გაუსწორდნენ ყველაზე მებრძოლ ნაწილს.**

**— გენინსპექციაში რა თქვეს იმაზე, რომ ბიჭების სახელები და გვარები რუსებისთვის არის გადაცემული?**

— არაფერი, რა უნდა თქვან? ეს მათი აქილევსის ქუსლია. **ესენი უბრალო ჯარისკაცებს დასდევენ. მათ არ აქვთ უნარი, მაღალჩინოსნების საქმეები შეისწავლონ. ამ ბიჭებთან დაკავშირებით სხვა პრეტენზიაც გვაქვს. მათ, ვინც მედლებით დააჯილდოვეს, არც ერთს თანხა არ მისცეს, ორდენს 1000-1500 ლარი ფულადი ჯილდოც მოჰყვება.**

**ისე გამოვიდა, რომ მიშას და კალანდაძეს პიარისთვის სჭირდებოდათ ეს დაჯილდოება.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## გიგი უგულავა დედაქალაქის 2013 წლის ბიუჯეტის გაზრდას ითხოვს

**თბილისის მერი გიგი უგულავა თბილისის საკრებულოს მიმართავს დედაქალაქის 2013 წლის ბიუჯეტის გაზრდის მოთხოვნით. ცვლილება რამდენიმე მიმართულებას შეეხება. იგეგმება ავტობუსების პარკის განახლება, საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შემოერთებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.**

როგორც მერიის პრესსამსახურში აცხადებენ, მერია მზად არის, დევნილთა სამინისტროსთან ერთად თანადაფინანსებით დევნილთა საცხოვრებლებში გაზის მრიცხველების დამონტაჟება უზრუნველყოს. აღნიშნული ცვლილებებით, ბიუჯეტის მოცულობა 17 მილიონი ლარით გაიზრდება და 740 მილიონი ლარით განისაზღვრება.

თბილისის მერმა მზადყოფნა გამოთქვა, საკრებულოს ყველა ფრაქციასთან ითანამშრომლოს და თითოეული საკითხი მათთან ერთად დეტალურად გაიაროს.



ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამოვთქვამ იმედს, რომ მოვა დრო, დაიმსხვრევა მანკიერი სტერეოტიპები და თავდაცვის სამინისტრო არ გახდება 2008 წლის აგვისტოს „ომის“ შემოქმედთა ცოლების, საყვარლების, უახლოესი ნათესავების, მეგობრებისა და უბრალოდ „გოგონების“ თავშესაფარი, სადაც გენშტაბის უფროსი არ იქნება პოლიტიკური პერსონა, რომელიც ამავე ნიშნით დაბლოკავს პროფესიონალებს და არ იხმარს ჟარგონს „დამაბოლე“; სადაც პოლკოვნიკს დაქვემდებარებაში არ ეყოლება გენერალი და სადაც ქართული ღირებულებები და ინტერესები დადგება ყოველგვარ ღირებულებებსა და ინტერესებზე მაღლა!“**

# ლეიტენანტი დავით ნემსაძე: თავდაცვის სამინისტრო არის კოაბიტაციის პოლიგონი

**ჩემი დღევანდელი მოსაუბრე, 28 წლის დავით ნემსაძე, რომ იტყვიან, „სიმშვიდის“ დამრღვევთა ტიპს განეკუთვნება. ასეთი ადამიანები ძალზე არასასურველი ხელქვეითები არიან და მათ, როგორც ჭირს, გაურბიან ხელმძღვანელი მუშაკები. დავით ნემსაძემ 2008 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია, მსახურობდა ინჟინერ-ოპერატორად საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფში, მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს ომში, მსახურობდა სამხედრო პოლიციის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში, საიდანაც 2011 წელს დაითხოვეს „კადრების შემცირების“ საბაბით...**
**თუმცა მოვუსმინოთ თავად ლეიტენანტს.**



— სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ გამანაწილეს საზენიტო-სარაკეტო ნაწილში, სენაკში. დავიწყე მუშაობა უკრაინაში მილიონებად შეძენილ, მაგრამ მოძველებულ კომპლექსზე „Бук“ M-1-ზე. **სიძველეს ვინღა ჩივის! ამ შემთხვევაშიც „ბუკი“ შეძლებდა, მეტნაკლებად შეესრულებინა თავისი ფუნქცია; მაგრამ ეს კომპლექსი თავიდანვე დაზიანებული იყო და არც თუ ისე დიდი ხნის ჩამოტანილს, უკრაინიდან სარემონტო სპეციალისტებიც ჩამოჰყვნენ.**

ახლა შემეკითხებით, — რატომ არ შეიძინეს გამართული, დიდი რესურსის მქონე ტექნიკაო. ეს ექსპერტების საქმეა, მაგრამ ამ სფეროში ექსპერტები ძალიან ცოტა გვყავს და, ვინც ამ ტექნიკაზე დღემდე მუშაობს, მოგეხსენებათ, არავინ იტყვის, საკუთარი დედა მრუში მყავსო; ამ საქმის სხვა სპეციალისტები კი, დისკრიმინირებულნი და მოშორებულნი არიან შეიარაღებულ ძალებს! ამ რემონტზე კი ფული რომელმა გაათეთრა, ამის გარკვევა ფინანსური პოლიციის კომპეტენციაა.

**— და მაინც, როგორ იმუშავა ამ „ბუკმა“ აგვისტოს ომის დროს?**

**— აგვისტოს ამბებამდე 3-4 დღით ადრე ამ კომპლექსის ცალკეული სისტემებიდან საწვავის ავზები ამოიღეს. ვინც სამხედრო სფეროში ერკვევა, იცის, რომ დაზვერვის ინფორმაცია საომარი მდგომარეობის შესახებ გაცილებით ადრე, თუ გნებავთ, ერთი კვირით და თუნდაც სამი თვით ადრე უნდა სცოდნოდათ. რა მოხდა? ვინ გასცა ამის ბრძანება?** ამაზე ინფორმაცია არ მაქვს.

**— რატომ დაიშალა კომპლექსი?**

— ამ ავზების ამოღების მიზეზად დაასახელეს მათი საცობების დაგმანვა საწვავის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. ამოიღეს და ამასობაში გამოცხადდა ჯერ საბრძოლო მზადყოფნა და სულ მალე — საომარი მდგომარეობა. **ნაწილის მეთაურმა — თემურ შენგელიამ მოაწყო პირადი შემადგენლობა და გვიბრძანა გადაადგილება ცხინვალამდე კომპლექსის ავტორესურსით. ეს ნიშნავდა მოძველებული, ჯართადქცეული ტექნიკის საკუთარი შესაძლებლობით გადაადგილებას. არადა, ინსტრუქციით, ეს კომპლექსი გადატანილი უნდა ყოფილიყო სპეცმზიდი მანქანებით ან სარკინიგზო ეშელონით. ამ ინსტრუქციის დარღვევამ, ანუ მარშმა ავტორესურსით გამოიწვია მგზავრობის დროს ლამპური სისტემების ვიბრაცია, რასაც მოჰყვა მისი ჩაშლა-დაზიანება.** შედეგად კი საბრძოლო მუშაობის დროს კომპლექსში შემავალმა ობიექტმა მოწინააღმდეგის მიზანზე, გაუმართაობის გამო, გასროლა ვერ შეძლო.

პრობლემებმა თავი იჩინა ამავე კომპლექსის მართვის ობიექტშიც, რომელიც რიკოთის უღელტეხილზე გაიჭედა, გაჩერდა და ვერ იმოძრავა. **სისტემის ცალკეულმა დანაყოფმა ვერ მოახდინა საკუთარი ალგორითმის შესრულება და მაინცდამაინც მაშინ გამოვიდა მწყობრიდან, როდესაც რუსულმა მოიერიშე ავიაციამ სამხედრო ბაზას შეუტია, რასაც მოჰყვა მსხვერპლი პირად შემადგენლობაში...** აქვე აღვნიშნავ, რომ სრული რუტინის დარღვევით მოქმედებდა რადიოლოკაციური სადგური, რომელმაც, ფაქტობრივად, მიიყვანა ბაზაზე რუსული ბომბდამშენები!

ჩვენი მეთაური, **შენგელია,** ცხინვალთან იმყოფებოდა. საზენიტო-სარაკეტო დივიზიონის ბაზის მეთაურად დარჩა ამავე შტაბის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი **თემურ ფერაძე,** ზედმეტსახელად „ბულბულა“. ამდენად, სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი.

**— დავით, მეომარ კაცს ასეთი ნაზი სახელი საიდან?**

— ბატონი ვიცე-პოლკოვნიკი სრულიად ამართლებდა ამ მეტსახელს. იგი მობილურზე თავის სტვენას იწერდა, მერე ყურზე მიიდებდა და საკუთარი „გალობით“ ტკბებოდა.

**— კონკრეტულად, თუ შეიძლება, რა ქონება ჩაბარდა რუსებს?**

**— რუსებმა წაიღეს ნაწილის მთელი მსუბუქი შეიარაღება, ღირებული დოკუმენტაცია, უზრუნველყოფის მანქანები, დიდი რაოდენობით საწვავი და სხვა ქონება. ამაზე დეტალური საუბარი არ მსურს.** რაც შეეხება „ბულბულას“, იგი გაიქცა სენაკის ბაზიდან, რასაც მოგვიანებით „ტაქტიკური გადაადგილება“ დაარქვა!..

**— სად არის ახლა ვიცე-პოლკოვნიკი ფერაძე?**

— მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, დადის ჰალსტუხით, გატკიცინებული უნიფორმით და თავს გრძნობს ჩიტივით! ხოლო **გმირი ოფიცრები – მაიორი ლეკვეიშვილი და ვიცე-პოლკოვნიკი მოსეშვილი ე. წ. ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ გამოაპანღურეს შეიარაღებული ძალებიდან. ისინი დღეს უმუშევრები არიან.**

**— როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება 2008 წლის აგვისტოს შემდეგ?**

— გსმენიათ, „ომი ყველაფერს ჩამოწერსო“? ჰოდა, „ჩამოწერის“ საშუალება არ მივეცი უფროსობას. შეიარაღებული ძალებიდან დამითხოვეს, ვითომდა ჩემი მეთაურის — **ზაალ მაჩიტიძის** ღირსების შეურაცხყოფისთვის და კონტრაქტის მრავალჯერადი დარღვევისთვის. **„ღირსების შეურაცხყოფად“ ჩამითვალეს ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომლითაც ვუცხადებდი უნდობლობას მაჩიტიძეს, ვინაიდან იგი შემჩნეული მყავდა დიზელის ქურდობაში, საბრძოლო სულის გარყვნაში, ჯარისკაცთა დათრგუნვაში და თანხების არალეგალურ აკრებაში.** რატომღაც ამ ადამიანს თვე-ნახევარის შემდეგ გაახსენდა, რომ ღირსება შეულახეს. დანარჩენი „ბრალდება“ გამოიხატებოდა უადგილო ადგილას ჩემ მიერ სიგარეტის მოწევაში...

ყოველივე გავასაჩივრე, მაგრამ ზემდგომმა სამანდატო კომისიამ ძალაში დატოვა „პირველი ქურუმების“ გადაწყვეტილება. **საყურადღებოა, რომ ჩემს განთავისუფლებას დაეთანხმა, აგრეთვე, გენშტაბის დღევანდელი უფროსი, პოლკოვნიკი ძნელაძე, რომელიც დღესაც პოლიტიკური ნიშნით მბლოკავს და არ მაძლევს დასაქმების საშუალებას.** მისი თანაშემწე კი ჩემი ღირსების შეურაცხყოფას და ჩემს პროვოცირებას ცდილობს. რას იზამ, ასეთია ეკლიანი გზა სამართლიანობის აღდგენისკენ.

**— როგორ მოხვდით სამხედრო პოლიციაში?**

**— ეს გადაწყდა გია დგებუაძის („მასტერას“) კაბინეტთან, რომელმაც ღამის 3 საათზე გამომიძახა და მითხრა, რომ მე მართალი კაცი ვიყავი, ოღონდ პოლკოვნიკების დასჯა ჩემი საქმე არ იყო. იყო მუქარებიც. დგებუაძე მოითხოვდა სრულ სიჩუმეს და იმ მასალების გადაცემას, რომლებიც ჩემს სიმართლეს ადასტურებდა.** გადავეცი, მაგრამ ასლები წინდახედულად დავიტოვე. ასე, განთავისუფლებიდან სამ თვეში, „კონტრაქტის მრავალჯერადი დამრღვევი და მეთაურის ღირსების შეურაცხმყოფელი ოფიცერი“ სასწაულებრივად აღმოვჩნდი სამხედრო პოლიციის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში „მასტერას“ პირადი კონტროლის ქვეშ. აქ ვიმუშავე სამი თვე.

**— „მასტერას“ სისასტიკეზე ლეგენდები დადის. ეს ყველაფერი მართალია? რა იხილეთ იქ?**

**— მე არ მინახავს, რომ „მასტერას“ პირადად ვინმე ეცემოს. იგი საკუთარ თავს უწოდებდა „შეფს“ და ყველასგან მოითხოვდა, ასე მიემართა მისთვის. იყო წყნარი, მშვიდი და ორაზროვანი პიროვნება. თუ დგებუაძე რამეს იტყოდა მუქარით, ის აუცილებლად აღსრულდებოდა.** საერთოდ, ჩემდამი ნდობა არ ჰქონდათ. გამოძიების და დაკითხვის საქმეებს მე არ მასწრებდნენ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც პოლიტიკურ თემებზე არ მუშაობდა. ჩემ მიერ წარდგენილი ცნობები იყო მხოლოდ სამხედრო ხასიათის, რაც მათ არ აკმაყოფილებდათ. **2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, პირადად დამიბარეს დგებუაძემ და დაზვერვის უფროსმა ნუკრი ენდელაძემ. „მასტერა“ მეკითხებოდა, თუ რა პოლიტიკური საზრისი გამაჩნდა და რატომ არ ვწერდი პოლიტიკური შინაარსის ცნობებს.** მე განვუმარტე, რომ ვარ სამხედრო და პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფა არაა ჩემი საქმე-მეთქი. დგებუაძემ მკითხა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქვეყანას უჭირსო? ვუპასუხე: „ქვეყნის გაჭირვებას“ სამოქალაქო სექტორიდან ოპოზიცია მიხედავს-მეთქი. „მასტერამ“ ფეხები დამილაგა ცხვირწინ და მითხრა: შენთან ყველაფერი გარკვეულია, თავისუფალი ხარო.

**აქვე მინდა გავიხსენო, „მასტერას“ ბუნაგში როგორ აწამეს 18 წლის ბიჭი, რომელსაც „სამშობლოს ღალატს“ ტენიდნენ; როგორ უკანონოდ აღუკვეთეს მას თავისუფლება, არ აძლევდნენ ძილის საშუალებას, სცემდნენ, დედას აგინებდნენ. გულწასულს კი აბაზანაში აგდებდნენ და წყალს ასხამდნენ მოსასულიერებლად. მოგვიანებით ამ ბიჭმა მითხრა, თუ როგორ უნდოდა მეორე სართულიდან გადახტომა, რათა მისი წამება თვითმკვლელობით დაემთავრებინა, ან გაქცეულიყო.** ამ ბიჭის შემდგომი ბედი არ ვიცი. მახსოვს ისიც, თუ როგორ სცემდა ამჟამად თავდაცვის სამინისტროში კომენდანტად დაწინაურებული, ციხის ყოფილი ზედამხედველი **ლაფერაშვილი** სამოქალაქო პირებს, რომლებსაც „მასტერას“ ბუნაგში მოათრევდა ხოლმე. აქვე მინდა გავიხსენო **ლევან გაბუნიაც.**

**— ეს ვინღაა?**

— ეს არის თუ არის! დგებუაძის მარჯვენა ხელი! პირდაპირ შეეძლო ახალაიასთან შესვლა. **გაბუნია საქმის კურსში იყო იმ 18 წლის ბიჭის წამებასთან დაკავშირებით, მეტიც, ამ სიტუაციას აკონტროლებდა; 26 მაისს კი ხელაპყრობილი გაიძახოდა, რომ „ქვეყანა თავზე გვექცევაო“. სწორედ ეს ადამიანი გზავნიდა თანამშრომლებს მიტინგის და მიმდებარე ტერიტორიების დასაზვერად. სწორედ გაბუნია იყო ის პირი, რომელიც კურირებდა ყველა უკანონო, ფარულ მიყურადებას და, აგრეთვე, გეგმავდა პოლიტიკურ პერსონებზე თვალთვალს.**

**— გაბუნია დაკავებულია თუ „მასტერასავითაა“ მიმალული?**

— როგორ გეკადრებათ! მისი პატიოსნების შესახებ დღეს თავდაცვის სამინისტროში ლეგენდები დადის! და **თუ ამ ლეგენდების გამვრცელებელს შეახსენებ, ვინაა სინამდვილეში გაბუნია, ასეთ პასუხს მიიღებ: მაინც ვერაფერს უზამთ, იმიტომ, რომ ალასანიას მოადგილე — გეგეჭკორი „კრიშავსო“.**

გაბუნია კი თანამდებობრივ „ტრამპლინზეა“! იგი სამხედრო დაზვერვის უფროსის მოადგილეა. გეგეჭკორის მდივანს ვთხოვე, თავისი უფროსისთვის ეკითხა, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა გეგეჭკორი, იმ 18 წლის წამებული ბიჭის ადგილზე მისი შვილი რომ ყოფილიყო. მდივანმა შემატყობინა, რომ კითხვა გადავეცი და იგი დუმსო. მდივანმა თავისი აზრიც გამიზიარა, თურმე ქრისტეს მეგობარი იუდაც ყოფილაო. შევახსენე, რომ იუდა მისი მოწაფე იყო და არა მეგობარი. ამჯერად მდივანიც დადუმდა!

**ამდენი ხანია, ვითხოვ ჩემ მიმართ სამართლიანობის აღდგენას! უშუალოდ ახალაიამ მომცა თაბახის ფურცელი და მითხრა, რომ დამეწერა განცხადება წასვლის თაობაზე, რაზეც კატეგორიული უარი განვუცხადე. ეს მისი „წიხლი“ მომყვება დღემდე.** ჩემი პრინციპები გახდა ჩემი მსაჯული. დღეს თავდაცვის სამინისტრო არის ე. წ. კოაბიტაციის პოლიგონი, რომელსაც ეწირება ღირსეულ ოფიცერთა შემადგენლობა.

**— და რას წარმოადგენს ახლანდელი თავდაცვის სამინისტრო?**

— თავდაცვის სამინისტრო იქცა უწყებად, რომელიც ატარებს რაღაც ბრიფინგებს. მასში დასაქმებულები არიან სამოქალაქო პირები, რომლებიც წყვეტენ სამხედროების ბედს. თუ დარეკავთ, ტელეფონზე პასუხად გაიგონებთ: „ნინი გისმენთ“, „ნატკა გისმენთ“, „ნათი გისმენთ“ — ესაა დღეს მისი სუბორდინაციული რუტინა! სამინისტროს სახეებია: ლექსენი და „შუა ქალაქის შოუს“ უნიჭო „ვარსკვლავები“. ეს მაშინ, როდესაც ღირსეულ ოფიცრებს არ ეძლევათ მუშაობის საშუალება. მე პირადად ლექსენის და „ბიკინი“ საზოგადოების დასაცავი არაფერი მჭირს. **გამოვთქვამ იმედს, რომ მოვა დრო, დაიმსხვრევა მანკიერი სტერეოტიპები და თავდაცვის სამინისტრო არ გახდება 2008 წლის აგვისტოს „ომის“ შემოქმედთა ცოლების, საყვარლების, უახლოესი ნათესავების, მეგობრებისა და უბრალოდ „გოგონების“ თავშესაფარი, სადაც გენშტაბის უფროსი არ იქნება პოლიტიკური პერსონა, რომელიც ამავე ნიშნით დაბლოკავს პროფესიონალებს და არ იხმარს ჟარგონს „დამაბოლე“; სადაც პოლკოვნიკს დაქვემდებარებაში არ ეყოლება გენერალი და სადაც ქართული ღირებულებები და ინტერესები დადგება ყოველგვარ ღირებულებებსა და ინტერესებზე მაღლა!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**„ერთი პიროვნება ომის შემდეგ საერთოდ გაქრა, მერაბიშვილის მოადგილე — ამირან მესხელი, რომელიც კონტრდაზვერვას და საიდუმლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. სულ ვამბობდი, რომ საქართველოში არსებობს მე-5 კოლონა.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამუკა არეშიძე:

# სად არის ამირან მესხელი?

**აგვისტოს ომიდან ხუთი წელი გავიდა, მაგრამ დღემდე საქართველოს მოსახლეობამ სიმართლის დადგენა ვერ შეძლო.
ვინ დაიწყო ომი? ვინ გაიმეტა ხალხი დასაღუპად?
რა მოხდა ქართულ ჯარში ომის შემდგომ პერიოდში?
ექსპერტს კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძეს, აგვისტოს ომზე სასაუბროდ ვეწვიეთ. ის კატეგორიულად მოითხოვს ომის შემდგომი პერიოდის გამოძიებას.**



## «დღეს დუნე ქაოსში ვცხოვრობთ, ხვალ ყველაფერი აირევა»

**«მე არ ვეუბნები მათ, რომ უდანაშაულო მოსახლეობა თქვენ დახოცეთ-მეთქი, მაგრამ მათ ამ ადამიანების გადარჩენა ხომ შეეძლოთ?! მოსახლეობის დახოცვა მთავრობის ხელშეწყობით მოხდა»**



**— ბატონო მამუკა, წინა ხელისუფლების დადანაშაულება ძალიან ადვილია ნებისმიერ საკითხში, მაგრამ აგვისტოს ომიდან 5 წლის თავზე რაში ადანაშაულებთ „ნაციონალებს“?**

— მარტო ხელისუფლებას არა, საზოგადოებასაც ვადანაშაულებ, იმათ, ვინც პოლიტიკაშია ჩართული. მართალია, მეტი დანაშაული ხელისუფლებას მიუძღვის, ვიდრე საზოგადოებას, მაგრამ ის, რომ საზოგადოება აქტიური არ არის, ესეც ფაქტია.

**პირველი, რაშიც ხელისუფლებას ვადანაშაულებ, უყურადღებობაა; მეორე და ძალიან სერიოზულია ის, რომ მათ არ გააფრთხილეს მოსახლეობა.** 2008 წლის მარტში ჩემი თვალით ვნახე, ცხინვალში ომისთვის როგორ ემზადებოდნენ. იქ არის გმირების ქუჩა და სწორედ იმ ქუჩაზე ვნახე ორ კერძო სახლში როგორ კეთდებოდა ბუნკერები. და რა იქნებოდა მრავალსართულიან კორპუსებში, ხომ წარმოგიდგენიათ? **მათ 14 ათასი ადამიანი გაიყვანეს. ჩვენ კადრებში ცარიელ ქალაქს ვხედავდით. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება თავს იცავს, არ ვიცოდით, ომი რომ იწყებოდაო, ახლა ირკვევა, 2007 წელს უკვე სცოდნიათ.**

შოთა მალაშხია, რომელიც აქტიურად გამოჰყავთ და ალაპარაკებენ, ყველაზე ნაკლებად დამნაშავეა, მან თავად იცის ხოლმე თავის გამოდება და სხვაზე გადაფარება. დარწმუნებული ვარ, მას არავინ გადაეფარება. „ნაციონალები“ ხისტად იცავენ საკუთარ პოზიციას და დათმობა არ უნდათ; არ უნდათ, აღიარონ, რომ მაშინ შეცდომები დაუშვეს. ადამიანის მაღალი ინტელექტი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია შეცდომის აღიარება. ვფიქრობ, ისეთ უბრალო რამეზე დავა, რომ მოსახლეობა გაფრთხილებული არ იყო, სისულელეა. **მე არ ვეუბნები მათ, რომ უდანაშაულო მოსახლეობა თქვენ დახოცეთ-მეთქი, მაგრამ მათ ამ ადამიანების გადარჩენა ხომ შეეძლოთ?! მოსახლეობის დახოცვა მთავრობის ხელშეწყობით მოხდა.**

**სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობამ ხალხიცა და ჯარიც რომ მიატოვა, ესეც ფაქტია.**

**— ომის დაწყების შესახებ ინფორმაცია ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობამ იცოდა. მედვედევიც და სააკაშვილიც ამას ადასტურებენ. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ომი ორ ხელისუფლებას შორის შეთანხმებული იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— არ გამოვრიცხავ, შეთანხმებული ყოფილიყო. მხარეების გარკვეულმა ჯგუფებმა ამის შესახებ იცოდნენ. **ერთი პიროვნება ომის შემდეგ საერთოდ გაქრა, მერაბიშვილის მოადგილე — ამირან მესხელი, რომელიც კონტრდაზვერვას და საიდუმლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. სულ ვამბობდი, რომ საქართველოში არსებობს მე-5 კოლონა.**

ტყუილია, როდესაც ამბობენ, რომ არავინ აფრთხილებდა ხელისუფლებას და არავინ საუბრობდა შესაძლო ომზე. პირადად მე „კვირის პალიტრის“ 2008 წლის 13 ივლისის ნომერში ზუსტად გადმოვეცი, თუ როგორ განვითარდებოდა საომარი მოქმედებები, კოდორის ხეობის დაკარგვის ჩათვლით. ამის თაობაზე საუბრობდნენ სხვებიც და საუბრობდა მოსახლეობაც. რაც ყველაზე მთავარია, პავლე ფერგენგაუერი ჩამოვიდა, მივიდა ხელისუფლებასთან და გეგმაც მიუტანა. ამ ადამიანს ენდობოდნენ. მე შევხვდი მას, მითხრა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არაფრის გაგება არ უნდაო.

რბილად რომ ვთქვათ, ხელისუფლების გარკვეულ წრეებს ეს ხელს აძლევდა. **ხელისუფლებამ არ შეცვალა 2006 წელს დაწყებული საომარი რიტორიკა. პირველი ის, რომ მე-5 კოლონა არსებობდა, მეორეც, საბრძოლო განწყობა ჰქონდათ, რამაც საომარ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.**

მე, როგორც ქართველი, ვამბობ, რომ ომი დაიწყო რუსეთმა, მზადება დაიწყო რუსეთმა, რუსეთმა დააგო ხაფანგი, საქართველოს ხელისუფლებამ კი, ხაზს ვუსვამ, თავი გაყო ამ ყველაფერში.

**— ერთხანს აქტიურად საუბრობდნენ, რომ აგვისტოს ომის საქმეზე გამოძიება უნდა დაიწყოს, მერე კი შეწყდა. რა იცით ამის თაობაზე?**

— არ ვიცი, პროკურატურა რითაა დაკავებული. **უნდა გაუქმდეს დავითაიას კომისიის მიერ დადებული შედეგები და შეიქმნას ახალი საპარლამენტო ან საზოგადოებრივი კომისია და დაიწყოს საქმის ხელახალი გამოძიება.** დღეს ყოფილი ხელისუფლება სპეკულირებს, რომ ვითომ ჩვენ გვინდა ომის ამბების მათთვის გადაბრალება. ჩემთვის არ არის საინტერესო, ვინ დაიწყო ომი, ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, ომის დროს ვინ რას აკეთებდა. მაინტერესებს, **რატომ იყო მოსახლეობა მიტოვებული? რატომ შეიცვალა გენშტაბის გეგმა სამი დღით ადრე, სამოქალაქო პირების მიერ? რატომ მიატოვეს სამხედრო ხელმძღვანელებმა ჯარისკაცები? რეზერვთან დაკავშირებით რა მოხდა?** ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოსტსაომარი ვითარება: **რატომ აღმოჩნდა ამდენი ჯარისკაცი ციხეში? რატომ გათავისუფლდნენ სამსახურებიდან ოფიცრები? რატომ გაუქმდა სამხედრო ნაწილები, მაგალითად, საჰაერო-საზენიტო დივიზიონი? იმიტომ ხომ არა, რომ განსაკუთრებით ეფექტურად იომეს?**

მაქვს ინფორმაცია, რომ **რუსეთის დაზვერვამ პრაქტიკულად ყველაფერი იცოდა. არ იცოდა მხოლოდ ის, რაც არც საქართველოს უმაღლესმა სამხედრო ხელისუფლებამ იცოდა.** რუსეთმა არ იცოდა, რომ მოულოდნელად გამოჩნდებოდა სენაკის ბრიგადა, რადგან ეს სპონტანურად მოხდა; რაც დაგეგმილი იყო, მოწინააღმდეგე მხარემ დეტალურად იცოდა. საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობამ არ იცოდა, რომ საჰაერო დივიზიებს ჰქონდათ თავისი „ნოუ-ჰაუ“. მათ შექმნეს ავიაციის საწინააღმდეგო დანადგარები ძველი, საწყობში მიტოვებული მასალებისგან, ამორტიზებული სარაკეტო კომპლექსებისგან შექმნეს ეფექტური იარაღი. მათ, ნაცვლად 30 რაკეტისა, ჰქონდათ 220. არც ეს იცოდნენ რუსებმა. რუსეთისთვის მოულოდნელი იყო კვარდოციკლების ამბავი. ამას საქართველოს სამხედრო ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა. ეს მეზენიტეების მოფიქრებული იყო. მე არ ვარ სამხედრო სპეციალისტი, მაგრამ ძალიან ბევრი რამ ცუდად ჩანს და ბევრ კითხვას აჩენს.

სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ არ მაინტერესებს, ომამდე რაც ხდებოდა. აი, ომის შემდგომი პერიოდი კი ძალიან საინტერესოა. ბევრი მებრძოლი ან ციხეში აღმოჩნდა, ან სამსახურიდან დაითხოვეს, ზოგი საეჭვო პიროვნება კი დღემდე თანამდებობაზეა. **დღევანდელ თავდაცვის სამინისტროში იმ ადამიანების ნაწილი, რომელიც ომის დროს ლაჩრულად მოიქცა, ჯარისკაცების შევიწროებითა და აბუჩად აგდებით იყო დაკავებული, თანამდებობებზეა, ხოლო ვინც მართლა თავი გამოიჩინა და იომა, თავდაცვის სამინისტროში აღარ არის.**

ახლა შეიძლება ვინმემ თქვას, — რატომ არ აინტერესებს ომის წინ რა მოხდაო. გეტყვით, რომ ამით მინდა „ნაციონალებს“ სპეკულაციის საშუალება მოვუსპო. მე ვითხოვ ომისა და შემდგომი პერიოდის საქმის დეტალების გამოძიებას.

**— მავთულხლართების გადმოწევა საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის ბრალია? თქვენ თვლით, რომ ასეთ ვითარებაში სწრაფვა ნატოსკენ სწორია?**

— ამ საკითხის ასე ხმამაღლა აფიშირება საქართველოს შიდა პოლიტიკაში არსებული ვითარებიდან გამომდინარეობს. ამ საკითხის განსაკუთრებული ხაზგასმა იმის გამო ხდება, რომ ვაშინგტონსა და ბრიუსელში ვინმემ ეჭვი არ შეიტანოს, რომ საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია. ეს უბრალოდ განცხადებებია, ვიდრე რეალური ნაბიჯების წინაპირობა. **რეალური ნაბიჯები, სამწუხაროდ, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, ნატო ან მიგვიღებს, ან არა. მოსკოვში ჩვენს ასეთ რიტორიკას აგრესიულად არ უყურებენ, რადგან მათ ძალიან კარგად იცინ, რომ უახლოეს მომავალში ნატოში არავინ მიგვიღებს. მოსკოვისთვის ბევრად უფრო შემაშფოთებელია საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ. ქართულ-რუსული ურთიერთობის ფორმატში მთავარია, დღის წესრიგიდან ოკუპაციის საკითხი მოვხსნათ.** დღეს საქართველოს მთავრობას სხვა გზა არ აქვს, შიგნიდან სერიოზული ზეწოლაა, გარედანაც. იმისთვის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი რაღაც კალაპოტში ჩაჯდეს, ეს რიტორიკა საჭიროა.

**— ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ათი თვის თავზე ხალხს ქუჩაში გამოსვლის და პროტესტის გამოთქმის სურვილი გაუჩნდა.**

— ზეწოლის ის წარმოუდგენელი ფორმა, რომელსაც დასავლეთი დღევანდელ ხელისუფლებაზე ახორციელებს, არ უნდა დაგვავიწყდეს. ეს არის პუნქტი პირველი. მეორე კი ის, რომ ყველა ძალოვან უწყებაში ძალიან სერიოზული საბოტაჟია. ახლა აქ, ჩვენთან ერთად, სამივე სამინისტროს წარმომადგენელი რომ იჯდეს, გვეტყვიან, რომ ეს ასე არ არის. საბოტაჟი არ ნიშნავს მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებას, საბოტაჟი ნიშნავს, რომ არაფერს აკეთებ. **ქვეყანა უაღრესად დიდი გამოცდის წინაშე დგას. სექტემბერ-ოქტომბერში ახალი ძალა გამოჩნდება, ამის პროგნოზირებას თავისუფლად ვახდენ. ეს იქნება სერიოზული ძალა. ხალხს ერთი ლიდერი სჭირდება. ეს ის მომენტია, როდესაც ხალხი ქუჩაში გამოდის, ვიღაც მოირბენს და სათავეში ჩაუდგება. ხალხი გრძნობს, რომ შეიძლება ყველაფერი ცუდად დამთავრდეს. ხალხს არა მარტო პროტესტის გრძნობა უჩნდება ხელისუფლების მიმართ, არამედ თავის გადარჩენის ინსტიქტიც მუშაობს. ბევრმა იცის, რომ, თუ ყველაფერი კრახით დასრულდა, ქაოსში ჩავიძირებით.**

თუ არ დაინიშნება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, თუ არ დაიწყება რეჟიმის გასამართლებისთვის მზადება, მოხდება ის, რაზეც ვსაუბრობთ. დემოკრატიული სახელმწიფო არ ნიშნავს განუკითხაობას. დღეს კი სამართლებრივ საკითხში განუკითხაობაა.

**— გაიგებს ახალი ხელისუფლება ხალხის ხმას? თქვენ მათ ხვდებით და ამის შესახებ ესაუბრებით?**

— მე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. მათთან საუბრის საშუალება მაქვს. ისინი ზოგჯერ მისმენენ, ზოგჯერ — არა. არის ბევრი ნიუანსი, რაც მაძლევს საშუალებას, დავიჯერო, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება. დღეს დუნე ქაოსში ვცხოვრობთ, ხვალ ყველაფერი აირევა, ეს კი ყოველთვის ძალიან ცუდი შედეგის მომტანია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნაცმოძრაობა“ მორატორიუმს და კოაბიტაციას ვერასოდეს ეღირსება ქართველი ხალხისგან. ამიტომ რას გამოაცხადებს მმართველი გუნდი ან იქ დასავლეთი რას იტყვის, ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარმა მსაჯულმა, საზოგადოებამ, მათ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი და ეს განაჩენი შეიძლება რთულად, მაგრამ ადრე თუ გვიან აუცილებლად აღსრულდება...“

კახა მიქაია:

# მოვითხოვ პასუხს კითხვაზე — ვისი ბრძანებით აუპატიურებდნენ ხალხს ახალაიები და კოდუები?

**მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია.**

**— ბატონო კახა, წინა კვირას ზუგდიდში, სააკაშვილის რეზიდენციასთან დაგაკავეს და წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით 100 ლარით დაგაჯარიმეს. კონკრეტულად რა იყო სამართალდამცავებისთვის თქვენს ქმედებაში მიუღებელი?**

— ჩვენ მოვითხოვეთ სააკაშვილთან შეხვედრა და ეს ყველაფერი ხდებოდა აბსოლუტურად მშვიდობიანად. გვინდოდა, მისთვის კითხვები დაგვესვა და პასუხები მოგვესმინა, მაგრამ „ნაციონალების“ ვადაგასულმა პრეზიდენტმა, არა თუ არ მიგვიღო, ვერც კი გაბედა, ხალხს დანახვებოდა. **მე მაქვს კითხვა ამ ავადმყოფ კაცთან: რა გინდა, მიშა, შე უბედურ დღეზე გაჩენილო, იქ, სადაც ცხვირი არ გამოგეყოფა გარეთ?! რა გესაქმება?! წადი სადმე, დაიმალე!**

**— რა უნდა გეკითხათ მისთვის?**

— აქციის მთავარი მოთხოვნა იყო ის, რომ სააკაშვილმა პასუხისმგებლობა აიღოს იმ ცხრა წელიწადზე, რომლის განმავლობაშიც მართავდა მისი რეჟიმი ქვეყანას. მეორე მოთხოვნა იყო მიხეილ სააკაშვილის გასამართლება, რაც აუცილებლად და გარდაუვალად მიგვაჩნია. არა ერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: **მარტო მერაბიშვილზე, ახალაიებსა და სხვებზე ყველაფრის გადაბრალება უსამართლობაა, ამიტომ, ვინც იყო რეჟიმის შემქმნელი და შემოქმედი, პირველ რიგში, ის უნდა დაისაჯოს.** სწორედ ამისთვის შევიკრიბეთ ჩვენ იმ დღეს და შევიკრიბებით მომავალშიც. ასე რომ, არ გავჩერდებით. **პირადად მე, სანამ სააკაშვილი თავისუფლად დადის, არ მოვისვენებ.**

**— სააკაშვილთან შეხვედრას მაინც რა აზრი ჰქონდა, რატომ გეგონათ, რომ ის ასეთ კითხვებზე გიპასუხებდათ?**

— იმიტომაც დაგვემალა ეს კურდღელი, მისგან სხვა საქციელს არც ველოდი. ჩვენ, უბრალოდ, გვაინტერესებდა და გვინდოდა, პირადად პრეზიდენტისგან მოგვესმინა, რატომ შეიქმნა სამეგრელოში სამალავები, ვინ გააკეთა და რა მიზანს ემსახურებოდა.

**— ამასთან დაკავშირებით მან ხომ ერთხელ უკვე ისაუბრა სატელევიზიო ეთერში?**

— მე გითხარით, რომ პირადად გვინდოდა მასთან შეხვედრა, რა, პრეზიდენტები არ ხვდებიან მოქალაქეებს?! ახლა რაც შეეხება უშუალოდ ინციდენტს: ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ ის მოსვლას აპირებდა ოთხ საათზე, მაგრამ მოვიდა ღამის თერთმეტ საათზე. გაძლიერებული იყო დაცვაც, დაახლოებით 400-450 პოლიციელი და სპეცრაზმელი იცავდა მთლიან პერიმეტრს; ქუჩაც გადაკეტეს. მერე, როცა მოვითხოვეთ მასთან შეხვედრა, იქ მოხდა შეხლა-შემოხლა, რა დროსაც დამაკავეს და შემდეგ იმ ბრალდებით, რომელიც თქვენ ახსენეთ დასაწყისში, დამაკისრეს ასლარიანი ჯარიმა.

**— სააკაშვილის პასუხისმგებლობა ახსენეთ და რა ფორმით წარმოგიდგენიათ ეს?**

— ამათი პასუხისმგებლობა მხოლოდ სამართლებრივად წარმომიდგენია. უნდა გასამართლდეს რეჟიმი და, უპირველესად, სააკაშვილი. ის, რომ თურმე არჩევნებში წაგება იყო პასუხისმგებლობა, ცინიზმია და სხვა არაფერი. არჩევნებს ესენი ნებისმიერ შემთხვევაში წააგებდნენ. ეს ხომ დღესავით ნათელი იყო...

**— სხვათა შორის, მთავარმა პროკურორმაც რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ სააკაშვილი, შესაძლოა, მოწმის სტატუსით დაიბარონ.**

— არა მარტო უნდა დაიბარონ მოწმის სტატუსით, უნდა დააკავონ და გაასამართლონ კანონის მთელი სიმკაცრით. **ჩვენ საერთოდ ამორალურად მიგვაჩნია „ნაცმოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის, არსებობა. ეს არის ქართული „ალ ქაიდა“, რომელიც უნდა გაქრეს.** სხვათა შორის, მე ახლა ყურადღებით ვაკვირდები, რას აკეთებს პროკურატურა და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, **თუ ამ ხელისუფლებამაც ცოტა ჭკუას არ მოუხმო, ხალხი მეტს უკვე ვეღარ მოითმენს. დავიღალეთ ამათი კატათაგვობანას თამაშით, თუ რამის გაკეთება შეგიძლია, რას უცდი, შე დალოცვილო!**

**— გაკეთებას რაც შეეხება, რამდენიმე დღის წინ სასამართლომ ბაჩო ახალაიასთან ერთად ბრალდებული შვიდი პირი გაათავისუფლა. თავად ბაჩო ახალაიას კი ორ ეპიზოდში მოუხსნა ბრალი. რას ფიქრობთ ამაზე?**

— პირდაპირ გეტყვით, — **ესაა სამარცხვინოზე სამარცხვინო ფაქტი და მიუთითებს პროკურატურის უსუსურობაზე. თავიდან თითქოს კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს უწყება, მაგრამ, რაც დღეს ხდება, ამას, უბრალოდ, ახსნა არ აქვს.** ბუნებრივია, ძალიან ცუდად იმოქმედა ამან საზოგადოებაზე, არავინ ელოდა, რომ ახალაიას ჯალათებს ასე უცერემონიოდ გამოუშვებდნენ. ამის შემდეგ, ალბათ, მართლა ყველაფერს უნდა ველოდოთ; და საერთოდ, **სანამ სააკაშვილის ხროვა ისევ ბოგინობს ქვეყანაში, ბრძოლა არ არის დამთავრებული...**



## «სანამ სააკაშვილი თავისუფლად დადის, არ მოვისვენებ»

**— რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა თენგიზ გუნავა შეიწყალა და თანამდებობაზეც დააბრუნა. როგორ იმოქმედა ამან სამეგრელოს მოსახლეობაზე?**

— ეს გუნავა არის თხემით ტერფამდე ადამიანის სისხლში ამოსვრილი. ამ არაკაცს რომ გუბერნატორად დაგისვამენ, როგორ უნდა იმოქმედოს?! გაგიჟებულია ხალხი! იმ დროს, როცა ციხეებში ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ის იყო სამხარეო პოლიციის უფროსი. თქვენ როგორ ფიქრობთ, მან ეს არ იცოდა?! მისი მოადგილეები აკეთებდნენ ამას და ხელქვეითები...

**— თქვენი აზრით, იცოდა?**

— კი არ იცოდა, ხელს უწყობდა, იცავდა და ზურგს უმაგრებდა. ამიტომ მოვითხოვთ, რომ ეს მანიაკები ძირფესვიანად ამოიძირკვონ და გასამართლდნენ ისე, როგორც საჭიროა.

**— თავის დროზე სამეგრელო „ნაცმოძრაობის“ მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა. დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— თქვენ ამას წინათ ნახეთ, როგორ მიიღო ზუგდიდის მოსახლეობამ პრაიმერის ჩასატარებლად ჩასული „ნაციონალები“. ასევე ნახეთ, როგორ მიიღო სააკაშვილი და მისი გარემოცვა. მე რის თქმა მინდა: **გუნავა უკვე ვერაფერს აკონტროლებს, მას მხოლოდ ერთი ბასტიონი აქვს — გუბერნიის შენობა და იქ ხვდებიან ხოლმე ყვავილებით. დამთავრდა ის დრო, მიშა რომ ჩამოდიოდა და ხალხს ცერზე აყენებდნენ. მას უკვე აღარავინ სცემს აქ პატივს.** მე პირადად ყოველთვის დავხვდები სააკაშვილს სამეგრელოში აქციებით და შევახსენებ, რომ სისხლისსმელი ჯალათების ადგილი ამ კუთხეში არ არის. ასეთი განწყობაა ხალხში და მერწმუნეთ, მალე ისინი ჩვენთან საერთოდ ვეღარ ჩამოვლენ.

**— კანონით ვერ აუკრძალავთ.**

— კანონი ხალხს ემსახურება და არა მარტო ერთ პიროვნებას. ჩვენთვის მიუღებელი და აუტანელია ამ ვადაგასული პრეზიდენტის ვოიაჟები სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში. ამასთან, მოვითხოვთ პასუხს კითხვებზე: **ვისი ბრძანებით აუპატიურებდნენ ადამიანებს კოდუები და ახალაიები? რატომ აღმოჩნდა იმ სამალავებში 15 ათასამდე ფაილი? ვინ აკეთებდა ამას და რა მიზნით?** ხომ არ ჰგონიათ, რომ შეიწყალებს ან გაამართლებს მათ თავიანთი ჯიბის სასამართლო და მერე წელგამართული ივლიან?! არ გამოვა ეს, ხალხის რისხვას, საზოგადოების სამართალს ვერსად გაექცევიან!

**— თუ ასეთი მაღალია დღეს მოსახლეობაში უკმაყოფილების მუხტი, როცა გუნავა გამოუშვეს, როცა ახალაიასთან ერთად ბრალდებული შვიდი პირი გაათავისუფლეს, რატომ არ ჩატარდა ზუგდიდში თუნდაც ერთი ფართომასშტაბიანი აქცია?**

— სამეგრელოში, იმასთან შედარებით, რაც სააკაშვილის დროს იყო, დღეს რადიკალურადაა სიტუაცია შეცვლილი. **ადრე აქ ორი ადამიანი შიშით ერთმანეთს ვერ დაელაპარაკებოდა, მაგრამ 20 ივლისის აქციამ აჩვენა, რომ ეს შიში მოხსნილია.** ამას, რა თქმა უნდა, გრძნობს თითოეული ოჯახი, თითოეული მოქალაქე, ასე რომ, აქციებიც გაიმართება, პროტესტიც იქნება და არჩევნებშიც მიიღებს „ნაცბანდა“ საკადრის პასუხს. **სამეგრელო იყო ყველაზე მეტად შეურაცხყოფილი კუთხე საქართველოში, ამიტომ სამეგრელო აღარ მოითმენს სისხლისსმელი მიხეილ სააკაშვილის პარპაშს ამ ქვეყანაში.**

**— თქვენ თქვით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ უნდა აიკრძალოს, როგორც პოლიტიკური პარტია, მაგრამ სანამ ის საკანონმდებლო ორგანოშია წარმოდგენილი, პოლიტიკურ ასპარეზზე მაინც აქტიურად რჩება. როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?**

— აუცილებელია და სწორედ ეს უნდა იყოს საზოგადოების უპირველესი მოთხოვნა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მხოლოდ ასე თუ დამყარდება პოლიტიკურ ასპარეზზე ნამდვილი სამართლიანობა, თორემ, **სანამ „ნაცმოძრაობა“ 40 პროცენტითაა პარლამენტში, რომელ გამარჯვებაზე ვსაუბრობთ?! გამარჯვებული ჩვენ კი არა, ისინი არიან. ამდენი უბედურებისა და ტრაგედიის შემდეგ კიდევ გაიძახიან, მთავარი ოპოზიციური ძალა ვართო...**

**— ისე, ვადამდელი არჩევნები, არა მარტო „ნაცმოძრაობისთვის“, კოალიციაში შემავალი ასევე ძალიან ბევრი პოლიტიკური სუბიექტისთვისაც შეიძლება საპარლამენტო ოდისეის დასასრული აღმოჩნდეს.**

— ამიტომაცაა ეს აუცილებელი. ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები უნდა ყოფილიყო გარდამტეხი? ჰოდა, ეს გარდატეხა მომხდარია. ახლა თუ შენ უკეთესი ხარ, მიდი და ჩაატარე ნორმალური არჩევნები, რა გიშლის ხელს?!

**— თუმცა დაახლოებით თვე-ნახევრის წინ, ვადამდელ არჩევნებზე საუბრისას, პრემიერმა განაცხადა, რომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციას. რას ნიშნავდა ეს, როგორ ფიქრობთ?**

— ჯერ ერთი, კონსტიტუციის მიხედვითაც შეიძლება ვადამდელი არჩევნების ჩატარება და მეორეც, ხალხის ნებას წინ არაფერი დაუდგება. სწორედ კონსტიტუციას რომ გვინდა პატივი ვცეთ, იმიტომ ვითხოვთ ამ არჩევნებს. ასე რომ, უკანონო, არასამართლებრივი ამაში არაფერია. მთავარია, საზოგადოება იყოს ერთსულოვანი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **არა კოაბიტაციას! „ნაცმოძრაობაში“ დღეს პატარა ჯგუფიც კი არაა ისეთი, რომელთანაც შეიძლება ნორმალური ურთიერთობა. მთლიანად ეს პარტია არის დამნაშავეთა ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელიც იყო მთავარი კრიმინალი, მთავარი ტერორისტი მიხეილ სააკაშვილი.**

**— რას ფიქრობთ იმ მორატორიუმზე, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში სამართლებრივ პროცესს გამოუცხადა ხელისუფლებამ?**

— მე, სიმართლე გითხრათ, ბევრი რამ ამ ხელისუფლების ქმედებებშიც არ მესმის, მაგრამ აქ მთავარი სულ სხვაა: **„ნაცმოძრაობა“ მორატორიუმს და კოაბიტაციას ვერასოდეს ეღირსება ქართველი ხალხისგან. ამიტომ რას გამოაცხადებს მმართველი გუნდი ან იქ დასავლეთი რას იტყვის, ნაკლები მნიშვნელობა აქვს.** მთავარმა მსაჯულმა, საზოგადოებამ, მათ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი და ეს განაჩენი შეიძლება რთულად, მაგრამ ადრე თუ გვიან აუცილებლად აღსრულდება...

**— სააკაშვილი, ალბათ, მომავალშიც არა ერთხელ ესტუმრება სამეგრელოს. როგორ დახვდებით თქვენ და თქვენი მეგობრები მას?**

— მე კიდევ გადავიხდი ჯარიმას. გითხარით და კვლავ ვიმეორებ, სანამ ეს კრიმინალური ხროვა და მისი მეთაური თავისუფალია, არ მოვისვენებ.

## «სამეგრელო იყო ყველაზე მეტად შეურაცხყოფილი კუთხე საქართველოში, ამიტომ სამეგრელო აღარ მოითმენს სისხლისსმელი მიხეილ სააკაშვილის პარპაშს ამ ქვეყანაში»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„198 კაცს ხომ მიანიჭეს პოლიტპატიმრის სტატუსი. დღემდე არც ერთი მათგანის საქმე ბოლომდე არაა მიყვანილი. ის პროკურორები, რომლებმაც მათ განაჩენი გამოუტანეს, ისევ პროკურატურაში სხედან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი თანამშრომლებიც თავიანთ ადგილებზე არიან. ამის შემდეგ რა იმედი უნდა გვქონდეს სამართლიანობის და საერთოდ, რომელ სამართლებრივ პროცესზე ვსაუბრობთ.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იური ვაზაგაშვილი:

# ხელისუფლება პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე მიდის

**მას შემდეგ, რაც „მეოცნებე“ ხელისუფლებამ სამართლებრივ პროცესზე მორატორიუმი გამოაცხადა, პოლიტიკურ ასპარეზზე სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. პარლამენტს საზაფხულო არდადეგები დაეწყო, თავად პრემიერი კი, როგორც ამბობენ, თვეზე მეტია, ურეკში ისვენებს. მხოლოდ ესაა, რომ საზოგადოება ვერ ეღირსა „შვებულებას“. კოაბიტაციით შეშფოთებული ხალხი უკვე აქციებს აქციებზე მართავს კბილაშვილის გადადგომის მოთხოვნით. მოკლედ, კოალიცია სარეიტინგო დეფოლტს განიცდის, თუმცა მმართველი გუნდი ამით დიდად შეწუხებული არ ჩანს — არც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობენ და არც 1 ოქტომბრამდე გაცემული დაპირებების შესრულებაზე. მოსახლეობის უკმაყოფილება, რომ იტყვიან, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. რა გაკეთდა ხელისუფლების შეცვლიდან თერთმეტი თვის თავზე კონკრეტულად სამართლიანობის აღდგენის კუთხით და რას უნდა ველოდოთ მომავალში, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის „გადაარჩინე სიცოცხლე“ ხელმძღვანელი იური ვაზაგაშვილი.**



**— ბატონო იური, რამდენიმე დღის წინ თქვენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს მიმართეთ და დაპირებები შეახსენეთ. კონკრეტულად რით ხართ უკმაყოფილო?**

— უპირველესად, დიდი მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს, რომ დაინტერესდით ამ საკითხით.

ყველამ იცის, მთელმა საქართველომ, რა ხელისუფლება გვყავდა „ნაცმოძრაობის“ სახით და რა უბედურებაში ვიყავით განვლილი ცხრა წლის მანძილზე. გვახსოვს, რა გადავიტანეთ, თუ ამას გადატანა ჰქვია, და რის ფასად დაგვიჯდა ეს ყველაფერი. **მაშინდელი ოპოზიციის დიდი ნაწილი იმ დროს ჩვენთან ერთად იდგა ქუჩაში** (ვგულისხმობ იმ ოპოზიციას, რომელიც დღეს არის საკანონმდებლო ორგანოში და მთლიანად ხელისუფლებაში). კითხვები აქ ძალიან მარტივია: **სად არიან ახლა ის ადამიანები? რატომ არ იბრძვიან ადრინდელივით და რატომ არ ამბობენ სიმართლეს?** შევთანხმდით, რომ 1 ოქტომბრის არჩევნები იყო დიდი მონაპოვარი, მაგრამ ახლა ნუ გვაფიქრებინებენ, რომ თურმე დიდი სისულელე ყოფილა. **მეთერთმეტე თვე გადის, რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, რა ვიგრძენით, ერთი მითხარით? რამე უკეთესობა არის?**

**— ბევრს საუბრობენ „ქართული ოცნების“ რეიტინგის ვარდნაზეც. თქვენც მიგაჩნიათ, რომ კოალიციის მიმართ ხალხს ნდობა აქვს დაკარგული?**

— რა თქმა უნდა, რეიტინგი დაუვარდებათ, კუბლაშვილს რომ ცივ ნიავს არ აკარებ და „ნაცმოძრაობას“ მთავარ ოპოზიციურ ძალას ეძახი, აბა, რას ელოდები?! აქ მეორე მომენტიცაა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან: **1 ოქტომბრის შემდეგ ხალხი ეიფორიაში იყო და მოეშვა, რის გამოც ახალი ხელისუფლება, ფაქტობრივად, უკონტროლოდ დარჩა. ახლა ეს გამოსასწორებელია. ჩვენ არ უნდა მივცეთ უფლება ჩვენივე მოყვანილ ძალას, რომ თვითნებურად იმოქმედოს. აუცილებელია, ყველა შენიშვნაზე დავარტყათ და, თუ საჭიროა, მივუთითოთ.** სხვანაირად მათ ყოველთვის ექნებათ ცდუნება, მარტო თავიანთ ნებაზე მართონ სახელმწიფო. ამის ნათელი მაგალითი წინა ხელისუფლებებია.

**— თავიდან პროკურატურა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. თვითონ კბილაშვილიც პირობას იძლეოდა, რომ ბურუსით მოცულ საქმეებს ნათელი მოეფინებოდა. მერე რამ შეუშალა ამ ყველაფერს ხელი, როგორ ფიქრობთ?**

— მოდი, ასე შევხედოთ ამ საკითხს: **რა შეიცვალა პროკურატურაში ადეიშვილის შემდეგ? მე რომ ვუყურებ, თითქმის იგივე პროკურატურაა, იგივე კადრები და არც ერთი საქმე წინ არ მიდის.** კიდევ ვიმეორებ: **არ ვარ ამ ხელისუფლების მტერი, მაგრამ „ვაცალოთ, ვაცალოთ“, ძახილის დრო აღარაა.** რამდენჯერაც ვაცალეთ, ყოველთვის ვინანეთ, ამიტომ ჩვენ ახლა არავის მივცემთ უფლებას, ისევ ძველებურად წარიმართოს პროცესები.

**— ამ ეტაპზე ხელისუფლებას შეჩერებული აქვს რიგი საქმეების გამოძიება, წინასაარჩევნო პროცესებს ხელი არ უნდა შეეშალოსო.**

— ზუსტად ამ თემაზე უნდა მესაუბრა ახლა. **პროკურატურაში 25 ათასამდე საჩივარი დევს და თითოეული მათგანის უკან დგას გაუბედურებული ადამიანები. რომელს მიაქციეს ყურადღება?** გამოძიება გაჩერებული კი არაა, შეწყვეტილია და არავინ იცის, მომავალში გაგრძელდება თუ არა.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— აგერ სახეზეა ყველაფერი, თუნდაც ერთი საქმე მაჩვენონ ბოლომდე გასული. დავიწყოთ თუნდაც მკვლელობებით, რომელი ერთია გამოძიებული? ამ დროს ნახე, რა ხდება: დაიჭირეს ახალაია, ხალხი ელოდება სამართლიან განაჩენს და სამ ეპიზოდში ბრალი მოუხსნეს. მიდი ახლა და აუხსენი ეს საზოგადოებას.

**— თქვენი აზრით, რა ახსნა აქვს ამას?**

— რაც დასაწყისში გითხარით: **სააკაშვილის ჯალათებითაა ისევ პროკურატურა და სასამართლო გატენილი. კონკრეტულ პიროვნებებს გეტყვით: შაქრო ზაალიშვილი, თენგიზ ხარებავა და ძმანი მათნი... ესენი ამუშავებდნენ და აყალბებდნენ ჩემი შვილის მკვლელობის საქმეს.**

**— და კონკრეტულად სად არიან დღეს ეს ადამიანები?**

— პროკურატურაში. მაგალითად, შაქრო ზაალიშვილი იყო ბაჩო ახალაიას პროცესის პროკურორი. მე, სხვათა შორის, შევხვდი არჩილ კბილაშვილს და ლაშა ნაცვლიშვილს და ამაზე ძალიან ბევრი ვისაუბრეთ. ბოლოს რა მითხრეს, იცით? ეგენი ხელს ვერ შეგვიშლიანო. აი, თუ ვერ გიშლიან, მაშინ ამიხსენით, **რატომ გამართლდა ბაჩო ახალაია სამ ეპიზოდში, როცა მის წინააღმდეგ 95 მოწმე არსებობდა?**

**— იმ მოწმეებმა ჩვენება შეცვალეს.**

— მერე ჩვენი კანონმდებლობით ხომ ისჯება ჩვენების შეცვლა? რატომ არ მოთხოვეს პასუხი? შენ მოსამართლეს რომ აძლევ უფლებას, ვინც უნდა, გაათავისუფლოს, გაუშვას, ეს ვისი ბრალია — ჩემი და თქვენი?

**— იქნებ კადრების ნაკლებობაა პროკურატურაშიც და სასამართლოშიც.**

— თავის დროზე კონკურსი რომ გამოაცხადეს ახალ კადრებზე, სამიათასზე მეტი განაცხადი შევიდა პროკურატურაში. ახლა გეკითხებით, იმ სამი ათასი იურისტიდან ორმოცდაათი ვერ შეარჩიეს? **აქვე მინდა პოლიტპატიმრების თემასაც შევეხო. 198 კაცს ხომ მიანიჭეს ეს სტატუსი.** ჯერ ერთი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბევრად მეტს ეკუთვნოდა, მაგრამ დავანებოთ ამას თავი. **დღემდე არც ერთი მათგანის საქმე ბოლომდე არაა მიყვანილი. ის პროკურორები, რომლებმაც მათ განაჩენი გამოუტანეს, ისევ პროკურატურაში სხედან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი თანამშრომლებიც თავიანთ ადგილებზე არიან. ამის შემდეგ რა იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ სამართლიანობის და საერთოდ, რომელ სამართლებრივ პროცესზე ვსაუბრობთ?!**

**— დღევანდელ ხელისუფლებაში ბევრი თქვენი ყოფილი თანამებრძოლია. მათთან თუ გისაუბრიათ ამ თემაზე?**

— მე წელიწადში ორჯერ გავდიოდი კორტებთან და არ მახსოვს, იქ ჩვენთან ერთად ძიძიგური არ ყოფილიყო, თუნდაც ბესელია, ბიძინა გუჯაბიძე და სხვები. მაინტერესებს, ახლა სად არიან ეს ადამიანები? **გაგიგიათ ამ თერთმეტი თვის მანძილზე, ვინმეს ხმა ამოეღოს პარლამენტში და ან გაუხსნელი მკვლელობების გამოძიება, ან რამე კომისიის შექმნა მოეთხოვოს?** საუბარი საიდან მექნებოდა ვინმესთან, როცა თვალით არ მინახავს ეს ხალხი.

**— გასაგებია, რომ პროკურატურისა და სასამართლოს მუშაობა ბევრ კითხვას აჩენს, მაგრამ რის გაკეთება შეეძლო ცენტრალურ ხელისუფლებას ამ სისტემაში ძირეული ცვლილებების განსახორციელებლად? ბევრი, ალბათ, ამას მართლმსაჯულების საქმეში ჩარევად შეაფასებდა.**

— ვინ შეაფასებდა? დასავლეთი? მაშინ მე გეკითხებით, **სად იყო ის დასავლეთი, მოსამართლეებს ტელეფონით რომ კარნახობდნენ განაჩენს? მერაბიშვილი და ადეიშვილი რომ თითს უქნევდა სასამართლოს?** იცით, რა? არც დასავლეთის აზრი მაინტერესებს და არც სხვისი! მკვლელმა, გამაუპატიურებელმა და მწამებელმა პასუხი უნდა აგოს! **რისი ეშინიათ, არ მესმის, ამდენი მტკიცებულებაა, ამდენი მოწმე და ფაქტი, რა აფერხებს პროკურატურას?!**

**— როგორ ფიქრობთ, სანამდე მოითმენს საზოგადოება პროკურატურის და მთლიანად ხელისუფლების უმოქმედობას?**

— საზოგადოება უკვე ვეღარ ითმენს და ამაში მალე დარწმუნდებით. ჩვენ ორშაბათს გავხსენით საგანგებო შტაბი ჩვენს ოფისში, დავიწყეთ რეგისტრაცია და **29 სექტემბერს ვაპირებთ შეკრებას რუსთაველზე, პარლამენტის ძველი შენობის წინ. იქ ვიწვევთ ხელისუფლების წარმომადგენლებს. კერძოდ: პარლამენტის თავმჯდომარეს — დავით უსუფაშვილს, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს — ვახტანგ ხმალაძეს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს — ეკა ბესელიას, იუსტიციის მინისტრს — თეა წულუკიანს, მთავარ პროკურორს — არჩილ კბილაშვილს და სახალხო დამცველს — უჩა ნანუაშვილს. აი, ამ ხალხისგან მოვითხოვთ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც დაგროვდა ბოლო თერთმეტი თვის მანძილზე.**

**— ვთქვათ, მათაც, წინა ხელისუფლების მსგავსად, იგნორირება გაუკეთეს თქვენს მოთხოვნას. შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

— ასეთ შემთხვევაში ჩვენ დაველოდებით საპრეზიდენტო არჩევნებს და, შემდეგ რასაც გავაკეთებთ, ამას პირველად თქვენი გაზეთით ვიტყვით. ახლა, ამ ეტაპზე, უბრალოდ, არ იქნება სწორი, ამაზე საუბარი. ყველაფერს დრო გვიჩვენებს და პროცესების თანმიმდევრობა.

**— რას ელოდებით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? თქვენი აზრით, რა შეიცვლება?**

— ამ არჩევნებს ყველა ელოდება, მეტიც: შეიძლება ითქვას, ხალხს ეს აკავებს, რადგან ჰგონიათ, რომ მერე ხელისუფლება უფრო თამამად იმოქმედებს. ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ **ბოლო ათი თვის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, არც არაფერს უნდა ველოდოთ. ისე, ვისურვებდი, რომ პროკურატურაში უფრო პრინციპული ადამიანები ყოფილიყვნენ, ისეთები კი არა, ამერიკის ელჩს რომ შესციცინებენ თვალებში.**

**— გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთ მაღალჩინოსანს, უპირველესად, სააკაშვილს, შესაძლოა, ხელშეუხებლობის გარანტია მისცენ. რამდენად მოსალოდნელია ეს, როგორ ფიქრობთ?**

— გარანტია ვინ უნდა მისცეს? „ქართულმა ოცნებამ“? მაშინ რა გამოდის? პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე მიდის ხელისუფლება? გააკეთებენ ამას? არა მგონია. თუ გააკეთებენ, მიიღებენ საზოგადოების რისხვას! სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: **საკმარისია ერთი მსგავსი საბედისწერო შეცდომა და ივანიშვილის რეიტინგი იმ წუთში განულდება. აღარ აქვს უკვე ხალხს ის რაღაც მესიანისტური დამოკიდებულება მმართველი გუნდის მიმართ, როგორც ადრე ჰქონდა.**

**— სამაგიეროდ, ამერიკის მხარდაჭერას მიიღებენ.**

— ეგ რომ საკმარისი ყოფილიყო, სააკაშვილი 1 ოქტომბერს კი არ დამარცხდებოდა, აქ გვეყოლებოდა უვადოდ. ასე რომ, წინამორბედის გამოცდილება ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს. თუ არადა, არჩევნები კიდევ იქნება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«კუბლაშვილს რომ ცივ ნიავს არ აკარებ და «ნაცებს» მთავარ ოპოზიციას უწოდებ, რა რეიტინგი გინდა?!»**

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ახლის შექმნა არ შეგვიძლია, ის კარგად დავიწყებული ძველი წარმატება უნდა გამოვიყენოთ, რომელიც საქართველოს ოქროს ხანადაა ცნობილი. ძველ დროში ქვეყნის შენების უფრო ნაკლები შესაძლებლობები იყო, ვიდრე ახლა, უბრალოდ, მას ქვეყნის სათავეში მდგომი ადამიანების კეთილი ნება სჭირდება“.**

### დეკანოზი მიქაელ გვარამაძე:

# ტყვიის გასროლის გარეშეც შეიძლება ქვეყნის დაპყრობა

**უხსოვარი დროიდან სამყარო სხვადასხვა ცოდვას მოუცავს, რომელთა მთავარი მონაწილე და უშუალო შემოქმედი უფლის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი ყოფილა. თანამედროვე ეპოქის წარსულთან შედარებით ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის ბუნება ისევ ისეთად დარჩა, როგორიც საუკუნეების მანძილზე იყო. უბრალოდ, დროებასთან ერთად ცოდვის თუ მადლის გაკეთების შესაძლებლობები შეიცვალა. ამ ვითარებაში რა შეიძლება იყოს ცოდვის ჩადენის მთავარი შემაკავებელი ფაქტორი, როგორ უნდა შევაჩეროთ, მსოფლიოს მასშტაბით, ცოდვისკენ მიდრეკილების უმართავი პროცესები და გამართლებულია თუ არა ქრისტიანული დასავლეთის მიერ დემოკრატიის სახელით ჩადენილი ყველა ქმედება? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ტაძრის დეკანოზი მიქაელ გვარამაძე ესაუბრა.**



**— თქვენი აზრით, რა არის ცოდვის გამოწვევის მთავარი ფაქტორი?**

— ზოგადად, ცოდვისა და მადლის განმარტება ძალიან ვრცელია. საზოგადოებაში მრავალი განსხვავებული აზრი წარმოიშობა, რომლებიც რელიგიური, ეროვნული თუ მსოფლმხედველობრივი ნიშნითაა ნაკარნახევი. ერთი უნდა ითქვას: **ცოდვა, უპირველესად, საკუთარი თავის წინააღმდეგ გალაშქრებაა. როდესაც უფლის მიერ დაწესებულ წესებსა და კანონებს ადამიანი არ შეასრულებს, მასში იწყება პიროვნული თუ ფიზიოლოგიური რღვევები, რომელიც სხეულისა და სულის გაყოფით მთავრდება. ყოველი ადამიანის მიერ ზომიერება და ოქროს შუალედის დაცვა აუცილებელია. თითოეულმა ჩვენგანმა სხეულსაც და სულსაც ისე უნდა მივხედოთ, რომ არც ერთის კანონი და სჯული არ დავარღვიოთ.** სულს მღვიძარება უყვარს, მოშურნეა კეთილი საქმეებისთვის, სხეულს მოსვენება და მისადმი სამსახური ურჩევნია. თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგო კანონების მქონე ორ პიროვნებას მოუყრია თავი ერთ ადამიანში, სადაც გამუდმებით ომია, — რომელი გადაძლევს. არ დაგვავიწყდეს, გამარჯვება მაშინ მიიღწევა, როდესაც ორივე იმარჯვებს. ერთის დამარცხებით კი მეორეც მარცხს განიცდის. ადამიანის ცხოვრებაც ეს არის, შეიცნოს საკუთარი თავი და მშვიდობა მოიპოვოს, რომელიც ღმერთია.

**— მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცოდვისკენ სხვადასხვაგვარი მიდრეკილება უმართავ პროცესებშია გაძლიერებული, როგორ უნდა შევაჩეროთ ეს პროცესები?**

— სამწუხაროდ, მსოფლიოში ადამიანთა მასებმა ცოდვით ცხოვრება გადაწყვიტეს, რაც, ერთი შეხედვით, ადვილია. ისიც უნდა ითქვას, რომ ცოდვებს კატეგორიებად ყოფენ და დროთა განმავლობაში თითქოს მას ცოდვად აღარც აღიქვამენ. **რაც უფრო შორდება უფალს ადამიანი, მით უფრო არასწორი შეხედულება ექმნება ცოდვა-მადლზე. გუშინ თუ სიწმინდე, კდემამოსილება, ქალწულობა ადამიანის სულის სამშვენისი და მისაბაძი თვისება იყო, ახლა ამის აღიარება სირცხვილადაც კი იქცა. ვაჟკაცობის სწორი განმარტებაც კი დავიწყებას მიეცა და მოსაწონად ძალადობა იქცა.**

ადამიანი თავისუფალი არჩევანით ირჩევს ცხოვრების წესს. ამ ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში კი საზოგადოების დამოკიდებულება და გარემო პირობები დიდ როლს თამაშობს. ყოველი ადამიანი მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან არ არსებობენ ცუდი ადამიანები, უბრალოდ, გარკვეული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველას თავისი სახელი ერქმევა. მთავარი ისაა, რაზეა დაფუძნებული ადამიანის შეფასების კრიტერიუმი და რამდენად შეესაბამება ადამიანების აზროვნება უმაღლესი ადამიანის განვითარებულ გონს. **21-ე საუკუნეში ჰგონიათ, თითქოს თავისუფლება იმას ნიშნავს, რაც გინდა, ის აკეთო. თუ საზოგადოებას იმ ჭუჭყს მოვაშორებთ, რომელიც მასშია, მაშინ შესანიშნავ მშვიდობისმოყვარე, შრომისმოყვარე ადამიანს მივიღებთ.**

**— სხვადასხვა სახელმწიფო უმძიმესმა ცოდვებმა მოიცვა, ხომ არ ახლოვდება ქვეყნის აღსასრული?**

**«სადაც ფასეულობები, ბედნიერება, როგორც სულიერი მდგომარეობა, დაყვანილია მიწიერ წუთიერ სიამოვნებამდე, იქ სახელმწიფო, ქვეყანა, წესწყობილება, ტრადიციები დიდხანს ვერ გაძლებს»**

— ქვეყნის აღსასრული, შესაძლებელია, ადამიანის ცოდვებმა გამოიწვიოს, როგორიცაა გარემოს კანონებში უხეში ჩარევა, დედამიწის კანონების დარღვევა და ა.შ., რამაც, შესაძლებელია, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ეს ყველაფერი დღეს არავის აინტერესებს. პირიქით, **გამუდმებით ისმის: გვაჭამეთ, მოგვეცით და აგვიშენეთო. აღარ უჩანს პრეტენზიებსა და ცნობისმოყვარეობას ბოლო, მაშინ, როდესაც უფალმა დედამიწის მეფედ შეგვქმნა და არა მისი ბოროტ მომხმარებლად. საბოლოოდ კი ყველაფერი ადამიანის კუჭამდე დაიყვანება.** ამ მიზნის მისაღწევად ყველა ხერხია გამოყენებული. **სადაც ფასეულობები, ბედნიერება, როგორც სულიერი მდგომარეობა, დაყვანილია მიწიერ წუთიერ სიამოვნებამდე, იქ სახელმწიფო, ქვეყანა, წესწყობილება, ტრადიციები დიდხანს ვერ გაძლებს.** ქვეყნის აღსასრული მაშინ დადგება, როდესაც დედამიწაზე ცოდვა გამეფდება, როცა ადამიანები საკუთარი ნებით ღმერთს განუდგებიან და ცოდვას დაემონებიან, როდესაც ადამიანი ცხოველს დაემსგავსება და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნებს; სათავეში ცოდვის მოყვარული ადამიანები მოექცევიან და ამით ქვეყნის დამორჩილებას და საზოგადოების დამონებას გადაწყვეტენ.

**— მოგეხსენებათ, ჯვაროსნებს არაერთ ქვეყანაში გაულაშქრებიათ ქრისტიანობის გამო. ახლა კი ქრისტიანული დასავლეთი ყველგან თავის კვალს ტოვებს დემოკრატიის სახელით, რომელიც მრავალი სახელმწიფოსთვის ცხადად თუ ფარულად მრავალი უბედურების მომტანი ყოფილა. დემოკრატიის სახელით მიმდინარე პროცესები აქტუალობას დღესაც ინარჩუნებს, რომლისთვისაც ყველა ქმედება გამართლებულია. ესეც ერთგვარ სოდომის ცოდვად ხომ არ გესახებათ?**

— დასაბამიდან მიმდინარეობს ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ყველანაირ ხერხს იყენებენ ბოროტი განზრახვის მქონე ადამიანები, რათა მშვიდობით მცხოვრებთ სძლიონ. თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ყველა საუკუნეში ქრისტიანულ ქვეყანას მრავალი რჯულის მტერი დასხმია თავს. განა იმიტომ, რომ დამპყრობლებს ტერიტორიები არ ჰყოფნიდათ?! გაცილებით დიდია მიზეზი. **ტყვიის გასროლის გარეშეც შეიძლება ქვეყნის დაპყრობა ისე, რომ ყველას მშვიდად ეძინოს საკუთარ სახლში და სრულებით არ იცოდეს, რომ რომელიღაც ქვეყნის მონაა.**

**— თქვენი აზრით, ადამიანის ცოდვისკენ მიდრეკილება საუკუნეების განმავლობაში უფრო გაიზარდა თუ შემცირდა? თუ გაიზარდა, რა უწყობს ამას ხელს?**

— მუდმივად იბრძვის ადამიანი, რათა საკუთარ თავში დაძლიოს წინაპრების მიერ გენეტიკურად გადმოცემულ ცოდვისადმი მიდრეკილება. ზოგს ეძლევა საშუალება, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს, ზოგი კი ცოდვის მორევში ჩაინთქმება, რაც თითქოს ახალი ცხოვრების წესს წარმოშობს. **დღეს, ცოდვის გამართლების სახელით, იქმნება ორგანიზაციები, შენდება სახლები, დაწესებულებები, კეთდება სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რეკლამა, იქმნება კანონები, რათა ცოდვის დაკანონება ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამართლებული იყოს.** საკუთარ ნაკლს კარგად უნდა მივაქციოთ ყურადღება, რადგან გადამდები არ გახდეს და ეპიდემია არ გამოიწვიოს. გამოსავალი ადამიანის მიერ ცოდვისთვის სიკეთისა და მადლის დაპირისპირებაშია.

**— რა გესახებათ ცოდვის მთავარ შემაკავებელ ფაქტორად?**

— ცოდვის მთავარი შემაკავებელი ფაქტორი მრავალია, უპირველესად კი, მომავალი თაობების სწორად აღზრდა. მართებულად უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ფასეულობები, რომლებიც ამ თაობების დასაყრდენი იქნება. **არსებული სიტუაციის მთავარი შემაკავებელი ფაქტორი სახელმწიფოს კეთილი ნებაა, — გაამახვილოს ყურადღება, მიიტანოს საზოგადოებამდე ის ფასეულობები, რომლებმაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მოგვაღწევინა.** საქართველოს ისტორიაში ყველაფერია მოთხრობილი შეცდომებზე, ექსპერიმენტებზე, შედეგებზე. **თუ ახლის შექმნა არ შეგვიძლია, ის კარგად დავიწყებული ძველი წარმატება უნდა გამოვიყენოთ, რომელიც საქართველოს ოქროს ხანადაა ცნობილი.** ისტორიაში წერია, როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველი და რა კურსით უნდა წაიყვანოს ქვეყანა. ძველ დროში ქვეყნის შენების უფრო ნაკლები შესაძლებლობები იყო, ვიდრე ახლა, უბრალოდ, მას ქვეყნის სათავეში მდგომი ადამიანების კეთილი ნება სჭირდება.

სოლომონ მეფემ უფალს სიბრძნე სთხოვა და ყველაფერი გაიღო სანაცვლოდ. სიბრძნე უფლის მსახურება და სიყვარულია.

ესაუბრა **შორენა ღვაჩლიანი**

## სამ სასულიერო პირს მღვდელთმსახურების უფლება შეუჩერდა

პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორე ჭუაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რომ **მარგვეთისა და უბისის ეპარქიაში მღვდელთმსახურების უფლება სამ სასულიერო პირს** სხვადასხვა დროით შეუჩერდათ, ეს გადაწყვეტილება კი საპატრიარქოში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მიიღო.

რაც შეეხება კომისიის გადაწყვეტილების მოტივს, თეოდორე ჭუაძემ მიზეზების დასახელებისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ „ეს ეკლესიის შიდა საქმეა“. საპატრიარქოში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა უბისისა და მარგვეთის მოსახლეობის დაპირისპირება სასულიერო პირებთან.

მოსახლეობის ნაწილი სასულიერო პირებს, აღსარების გათქმაში, ეკლესიის ქონების მიტაცებასა და მრუშობაში ადანაშაულებდა.

საპატრიარქოში შექმნილი სპეციალური კომისია დაპირისპირებაში მას შემდეგ ჩაერთო, რაც მოსახლეობის ნაწილმა ეკლესიის კარი აჭედა.





**რუსეთის ალკოჰოლურ სასმელებს ბოიკოტი ლონდონის გეიბარებმა და გეიკლუბებმაც გამოუცხადეს, უწინარესად კი — „ვოდკას“. ამ აქციით ისინი შეუერთდნენ კამპანიას, რომელიც აშშ-ისა და კანადის გეიბარებმა გამოაცხადეს რუსეთის ლგბტ-ეთა მხარდაჭერის მიზნით.**

გეიჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პედერასტები ოლიმპიადის, ხიზილალის, არაყისა და რუსეთის წინააღმდეგ

**ცოტაც და მორწმუნე კაცობრიობა არნახული მკრეხელობის მოწმე გახდება: აგერ ნახავთ, რომ ბარაკ ჰუსეინ ობამას, აშშ-ის პრეზიდენტს, რომელიც პედერასტებმა პირველ გეი პრეზიდენტად გამოაცხადეს, მალე წმინდანადაც შერაცხავენ: ჟურნალ Newsweek-ის ბოლო ნომრის ყდაზე მისი პორტრეტი წმინდანთა ღირსი შარავანდედით არის გამოქვეყნებული და ეს შარავანდედი, არც მეტი, არც ნაკლები, მამათმავალთა და ლესბოსელთა ტრადიციულ ფერებშია გადაწყვეტილი. წარწერაც ამასვე გვეუბნება „პირველი გეი პრეზიდენტი“.**
**ჟურნალის ეს ნომერი ეს-ესაა აშშ-ის საგაზეთო ჯიხურებსა და დახლებზე გამოიფინა: პირველი გეი პრეზიდენტი „გასაყიდად“ გამოიტანეს.**




Newsweek-ის რედაქციის ეს პროვოკაციული ნაბიჯი დაკავშირებულია იმ განცხადებასთან, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა გასულ კვირას ჯორჯ კლუნის მიერ გამართულ საზეიმო სადილზე გააკეთა. **ობამამ მაშინ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ჰომოსექსუალთა ქორწინებებს და მათ ლეგალიზაციაში აშშ-ის მომავალს ხედავს.**

აუფორიაქებია ობამას სიტყვებს მწერალი-ჰომოსექსუალი **ენდრიუ სალივანი**, — ამას თავად წერს ჟურნალის ამავე ნომერში. სიხარულის ცრემლი უღვრია ბლომად. სტატიის ავტორი იმასაც ამბობს, რომ პრეზიდენტს კარგად უნდა ესმოდეს გეებისა და ლესბოსელების აუტანელი მდგომარეობა, იმიტომ, რომ იგი შავკანიანი მამის და თეთრკანიანი დედის შვილია (!). მან **„მზისქვეშეთში ადგილი მისცა მათ, ვინც დათრგუნული იყო თვითიდენტიფიკაციის პრობლემებით, ვისაც თავისუფლება სწყუროდა,** — ასკვნის **სელივანი, — მან დაუბრუნა მათ საყვარელი ოჯახები და პატივისცემა, რასაც ისინი იმსახურებენ“.**

ისტორიამ იცის აღმაშენებლები, დამპყრობლები, მოკლეები, მრისხანენი, ბოლოს და ბოლოს — თვითმარქვია თვითმპყრობელები, ახლა ახალი თავი იწყება, ანუ **ეპოქა ელგებეტე პრეზიდენტების.**

მზე, კარგა ხანია, დასავლეთიდან ამოდის, ახალი ისაა, რომ ცისარტყელის კამარითაა დამშვენებული — ცისარტყელას ფერებით, რომლებიც გეების თანამეგობრობამ უსინდისოდ მიითვისა.

სინდისი და ესენი?!

## სტივენ ფრაის სასოწარკვეთა

**მსოფლიო გადაიხმარეს** (გადინადირეს ანალოგია) **პედერასტებმა, თავიანთ გამრუდებულ ორიენტაციაზე გადაყვანა მოინდომეს. დღეს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებისკენ მოგვიწოდებენ, ხვალ ალულმებს არ დასჯერდებიან და თავიანთი ოლიმპიადების ჩატარებას მოსთხოვენ მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს.**

**ბრიტანელი მსახიობი და მწერალი სტივენ ფრაი** პოლიტიკას და სპორტს ისე ურევს, როგორც ორიენტაციააღრეული ტრანსვესტიტი, და ღია წერილით მიმართავს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს — დევიდ კემერონსა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, უარი თქვან სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე იმიტომ, რომ რუსეთში ელგებეტე საზოგადოების უფლებები ილახება. **„საკმარისი არაა,** — წერს იგი, — **იმის თქმა, რომ გეი ოლიმპიელებს ოლიმპიურ სოფელში არავინ შეავიწროებს. ჰუმანიზმის საერთო ინტერესები, რომელთაც ოლიმპიური მოძრაობა ქადაგებს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ავალდებულებს, მტკიცე უარი უთხრას ბარბაროსულ, ფაშისტურ კანონს, რომელიც დუმამ პუტინის ჩაწოდებით მიიღო“.** ერთმანეთს ისე ადარებს ფაშისტური მმართველობის პერიოდში, 1936 წელს ბერლინში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებს და სოჭში ჩასატარებელ ზამთრის ოლიმპიადას და ისე „ვაჟკაცურად“ გაჰყვირის, რომ ეს იქნება წარუშლელი დამღა მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაზე, თითქოს მისი ქვეყანა არ იყო, ფაშისტების დედაქალაქში ოლიმპიური თამაშების გამართვას მხარი რომ დაუჭირა.

მოკლე მეხსიერებას და გულმავიწყობას ვერ დააბრალებ ასეთ დეზინფორმაციას, რადგან **ეს არის დასავლეთისთვის ჩვეული ორმაგი სტანდარტის გამოვლენის კიდევ ერთი შემთხვევა.**

ფრაი, რომელიც თავის პედერასტობას არ მალავს, იცით, რითაა შეწუხებული? შეწუხებულია პრობლემებით, რომლებსაც რუსეთში ყმაწვილი გეები აწყდებიან. მომავალი თაობის ბედი ადარდებს ფრაის — ხელიდან ეცლებათ მათი გზის გამგრძელებლები. **ფეხი დაუბაკუნეს ამ სულიერმა საჭურისებმა რუსეთს: უარს ვიტყვით რუსულ „ვოდკაზე“, თუ რუსეთის ხელისუფლება ოლიმპიადამდე არ გააუქმებს კანონს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ. და ნიუ იორკში რუსეთის გენერალური საკონსულოს წინ 70-კაციან აქციაზე მსოფლიო ქალაქის ასფალტზე 6 ბოთლი „სტოლიჩნაია“ და „რუსკი სტანდარტი“ დაღვარეს.**

როგორც რამდენიმე წლის წინათ კომპანია „ბადაგონის“ შავი ღვინის დეკალიტრები სააკაშვილის კონტროლიორებმა თავიანთი „პრინციპული“ პოზიციის დასადასტურებლად კანალიზაციის კოლექტორში ჩაუშვეს.

იმ აქციიდან მხოლოდ ის გამოიწურა, რომ **ამერიკელმა პედერასტებმა მიშას რეფორმირებული აქცია უცვლელად გადაიღეს.**

ამაოდ, სრულიად ამაოდ, რადგან **იქ დაღვრილი არაყი რუსეთში კი არ იყო წარმოებული, არამედ ლატვიაში. აქაურმა კომპანია SPI-მ ეს ბრენდი შარშან რუსეთის მთავრობისგან იყიდა.**

ნიუ იორკის აქციაში მონაწილეებზე მეტი, ლამის მამათმავლების თანამეგობრობის ორგანიზაციები იყო წარმოდგენილი, მათ შორის „რუსულენოვანი (!) ელგებეტეს ამერიკული ორგანიზაცია“ (RUSA LGBT), რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თანათავმჯდომარეები — **ელენა გოლცმანი** და **ნინა ლონბი**, რომლის ქალიშვილობის გვარია **ზარეცკაია**. აქ იყვნენ სრულიად ამერიკის რამდენიმე რადიკალური ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის **Qveet Nation** და **Act Up**.

**დემონსტრანტები წარმოთქვამდნენ მრისხანე სიტყვებს, გაჰყვიროდნენ ანტირუსულ ლოზუნგებს, რომლებსაც დროდადრო ახშობდა ნარინჯისფერი ექსკავატორის გუგუნი. აბა, გეიპედერასტების ხათრით ვინ შეწყვეტდა ნიუ იორკის ქუჩებში საკომუნიკაციო სამუშაოებს?!**

არანაკლებ მრისხანე იყო წარწერები პლაკატებზე: **„გადააქციეთ რუსული ვოდკა!“, „რუსული ვოდკა სიძულვილითაა გაჟენთილი!“, „ბოიკოტი გამოუცხადეთ ხიზილალას!“, „გამოთქვით პროტესტი პუტინის წინააღმდეგ, იგი გეების მოწინააღმდეგეა!“, „ჰომოფობია დიქტატურის საფარი!“** და **„რუსეთი ავია“** — „ეზოში ავი ძაღლიას“ მსგავსად, უძაღლო ეზოს ჭიშკარზე ცარცით რომ წააწერდნენ უწინ.

და ჰკანკალებდა რუსეთი ევრაზიის კონტინენტზე — კალინგრადიდან ვლადივოსტოკამდე.

**რუსულენოვანი(!) მამათმავლები არა მარტო მოითხოვდნენ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს, არამედ მის ვანკუვერში გადატანას, და თამაშების ისეთ კორპორატიულ სპონსორებს, როგორებიცაა COCA-COLA, OMEGA WATCHES, VISA, PRICEWATERHOUSE COOPERS, PROCTER & GAMBLE, SAMSUNG და PANASONIC, სთხოვდნენ, უარი ეთქვათ სპონსორობაზე.**

ამ აქციაზე წესრიგს იცავდა ათიოდ პოლიციელი, მაგრამ მათი პროფესიული გამოცდილების გამოყენება საჭირო არ გამხდარა, რადგან ნიუიორკელებს სულ ფეხებზე ეკიდათ, რას მოითხოვდნენ რუსულენოვანი(!) გეიაქტივისტები.

## გეიაქტივისტი ჟურნალისტი ამერიკამ შეიფარა

**ეს გახლავთ ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ტელევიზიის ლამის უპირველეს ვარსკვლავად აღიარებული რომან მამონოვი,** ნტვ-ს ყოფილი წამყვანი, რომელიც 9 თვის წინათ აშშ-ში ჩავიდა და ლტოლვილის სტატუსი მოითხოვა: რუსეთში ჩემი ჰომოსექსუალობის გამო ჩემს ძვირფას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და შემიფარეთო.

მამონოვი დააფრთხო ვინმე ალექსანდრ ბოსიხის მუქარამ. ამ კაცთან კონფლიქტის შემდეგ საცოდავი მამონოვი შეაწუხა მობილურ ტელეფონზე უცნობი ნომრებიდან გამოგზავნილმა შეტყობინებებმა და, განსაკუთრებით, წარწერამ მისი ბინის კარზე, არაორაზროვანი მითითებით მის სექსუალურ ორიენტაციაზე.

თორემ ჟურნალისტიკაში პირველი იყო!

„და ამიტომ ვარ აქ“, — განუცხადებია ამერიკაში ჩასულ ექსვარსკვლავს, ხოლო მისმა მეგობარმა, რესტორატორმა **დანიელე კუჩერამ** კატეგორიულად და აშკარად საკუთარი თავის წარმოსაჩენად რუსულენოვანი(!) ელგებეტეების აუდიტორიის წინაშე განაცხადა: **„მენიუდან ყველა რუსული პროდუქტი — არყიდან ხიზილალამდე — ამოვიღე. აქ კი მოვედი ლგბტ-ს წინააღმდეგ რუსეთის ფაშისტური კანონების გასაპროტესტებლად“.**

**რუსეთის ალკოჰოლურ სასმელებს ბოიკოტი ლონდონის გეიბარებმა და გეიკლუბებმაც გამოუცხადეს, უწინარესად კი — „ვოდკას“. ამ აქციით ისინი შეუერთდნენ კამპანიას, რომელიც აშშ-ისა და კანადის გეიბარებმა წამოიწყეს რუსეთის ლგბტ-ეთა მხარდაჭერის მიზნით:** „ცხენს ვერ მისწვდნენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო“, — ასეა ზუსტად.

ბოიკოტის ამჟამინდელი კამპანიის სათავეებთან დგას ამერიკელი მწერალი და აქტივისტი **დენ სევიჯი**, რომელმაც სიეტლის გეიბარებს მოუწოდა, უარი თქვან რუსულ არაყზე, **„რათა გამოვხატოთ ჩვენი სოლიდარობა რუსი გეებისა და მათი მომხრეების მიმართ და საერთაშორისო ყურადღება მივაპყროთ გეების, ლესბოსელების, ბისექსუალების, ტრანსგენდერებისა და ჰეტეროსექსუალების დევნას პუტინის რუსეთში“.**

ეს რამდენი ყოფილანო, ვეჟო, გადაირეოდა თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მასთან ერთად ჩვენც, ვისაც გვეგონა, მთელი პრობლემა საცოდავი რომ მამათმავლებით იწყებოდა და მთავრდებოდა.

ახლა საკაცობრიო საქმე გახდა და უფლებადამცველი(!) **პიტერ ტეტჩელი** იმედოვნებს, რომ ბოიკოტი გლობალური გახდება. ესეც და კიდევ გეიბარების — G-A-Y ქსელის დამფუძნებელი **ჯერემ ჯოზეფი** ამ ბოიკოტს რუსეთის ლგბტ-ებისადმი სოლიდარობის აქციად მიიჩნევენ.

**„არიან ქვეყნები, რომლებშიც გეები კანონგარეშე ადამიანებად ითვლებიან, მაგრამ რუსეთთან დაკავშირებით დაშოკილნი ვართ იმიტომ, რომ ამ ქვეყანამ გადადგა ნაბიჯი უკან,** — განუცხადა ბიბი-სის რუსულ სამსახურს ზემოთ ნახსენებმა ჯოზეფმა. — **რაც ბოლო კვირების განმავლობაში რუსეთში ხდება, ეს საშინელებაა, ეს საშიშია“.**

რამდენი პედერასტი რას ამბობს, აქ რომ ჩამოთვლო, შეიძლება საქართველომდე მოვიდე, რაც ფრიად საწუხარ არს, ამიტომ დავსვათ აქ წერტილი.

## რუსეთი თავის პოზიციაზე დგას

**რუსეთს მიაჩნია, რომ არ ღირს ცისფერ თუ ცისარტყელის ფერებიანი თანამეგობრობის ბოიკოტისა და ბაქიბუქობისთვის ყურადღების მიქცევა — სოჭის ოლიმპიადაც ჩატარდება და არც გეი სპორტსმენებისთვის (თუ ასეთებიც იქნებიან) თითის დაკარება აპირებს ვინმე.** მამათმავლობის პროპაგანდის წინააღმდეგ ცნობილმა მებრძოლმა **ვიტალი მილონოვმა** „რიანოვოსტის“ განუცხადა: **„ჩვენ რუმინეთი რომ ვიყოთ, მაშინ სტივენ ფრაის მოსაზრებისთვის ანგარიში უნდა გაგვეწია, მაგრამ, რადგან ჩვენ დიადი რუსეთი ვართ, მშვიდად შეგვიძლია გავაგრძელოთ გზა და არავითარი ყურადღება არ მივაქციოთ ამას“.**

უფრო ადრე კი ვიცეპრემიერმა **დიმიტრი კოზაკმა** განაცხადა, რომ **არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების უფლებებს არავინ არანაირად არ შელახავს სოჭის ოლიმპიადის მსვლელობისას.** ასეთი განცხადების მიზეზი გახდა 2013 წელს რუსეთის მიერ მიღებული კანონი არასრულწლოვანთა შორის არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ. ეს დოკუმენტი ეფუძნება, მათ შორის, პეტერბურგის საკანონმდებლო კრების მიერ მიღებულ კანონს გეიპროპაგანდის აკრძალვის თაობაზე, რომლის ინიციატორია ხსენებული ვიტალი მილონოვი.

რუსეთის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომ** თქვა, რომ **ზოგიერთი ქვეყნის პოზიცია სოჭის ოლიმპიადის შესაძლო ბოიკოტირების შესახებ არის რუსეთზე ზემოქმედების მცდელობა.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. გაუძლებს ამ შემოტევასაც რუსეთი, ამერიკელებს კი გიხაროდენ: აშშ-ის პრეზიდენტი მამათმავლებმა თავიანთ პრეზიდენტად შერაცხეს.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დიალოგი აუცილებელია, მაგრამ მას სჭირდება მხარდაჭერა ყოველი მხრიდან, განსაკუთრებით კი — რუსეთის მხრიდან. თუ რუსეთი იტყვის, ჩვენ არაფერ შუაში ვართ და თქვენ ერთმანეთში მოილაპარაკეთო, ეს ოთხმოცდაათიან წლებში დაგვაბრუნებს — მაშინაც გვესმოდა და მაშინაც ვერავითარი შედეგი ვერ გამოილო."**



ზურაბ აბაშიძე:

# სექტემბრიდან ვითარება შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს

**2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მეხუთე წლისთავზე ამჟამად რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის, იმ ავადსახსენებელ წელს კი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის ინტერვიუ, რომელიც „რუსთავი 2"-მა გადმოსცა, საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში რომ მოექცეოდა, თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა.**
**ამ ინტერვიუს თაობაზე სახელდახელო კომენტარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძეს რომ ვთხოვდით, ესეც არ უნდა იყოს არაორდინალური და მოულოდნელი გადაწყვეტილება.**
**მაშ, ასე, „საქართველო და მსოფლიოს" დღევანდელი რესპონდენტია ბატონი ზურაბ აბაშიძე.**

— არა მგონია, რაღაც განსაკუთრებული მოლოდინი უნდა გვქონოდა ამ ინტერვიუსი. ის, რაც მოვისმინეთ, ასახავდა იმ საკმაოდ რთულ ვითარებას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით, აგვისტოს ომის შემდეგ. ზოგადად, ეს არის ის ხედვა, რომელიც რუსეთს აქვს. საინტერესო და საყურადღებო თავისთავად ისაა, რომ მედვედევმა ერთი კვირის მანძილზე ორი დიდი ინტერვიუ მისცა აგვისტოს ომთან დაკავშირებით.

**— თქვენი აზრით, რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო, რა მიზანი ჰქონდა ამ ინტერვიუს, თუ კვლავ იმას მოვისმენდით, რაც აქამდე არაერთხელ მოგვისმენია და წაგვიკითხავს? ეს ერთი, და მეორე, ხომ არ იყო აქ ჩადებული გარკვეული ძალების ინტერესი, რომ ერთგვარად მინავლებული მწვავე დაპირისპირება კონფრონტაციის ახალი მუხტით გაძლიერებულიყო და გადაღობვოდა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან დიალოგის გზების მოძებნის მცდელობას?**

— როცა რუსეთის პრემიერ-მინისტრი გამოდის, მას გაცილებით უფრო დიდი აუდიტორია ჰყავს, ვიდრე მხოლოდ საქართველოს მოსახლეობა. აუდიტორია არის რუსეთის საზოგადოებრიობა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო საზოგადოებრიობა, საქართველო, ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონების ჩათვლით. ადრესატი გაცილებით ფართოა. **წლეულს ომის მრგვალი თარიღი იყო და რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი შეფასებები ამ მოვლენისა, რადგან ეს თემა კვლავ აქტუალურია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ზოგადად საერთაშორისო მასშტაბითაც და ყოველთვის ფიგურირებს რუსეთთან ურთიერთობაში, როგორც კი კავკასიის რეგიონისა და, კერძოდ, საქართველოს საკითხი წამოიჭრება.** ორჯერ მისი გამოსვლა იმის მაჩვენებელია, რომ საკითხი კვლავ მწვავეა, კვლავ აქტუალურია და რუსეთი ცდილობს ამ ომთან დაკავშირებით მსოფლიოში დაამკვიდროს თავისი შეფასებები, დღევანდელი მიდგომები, თუ სამომავლო ხედვა.

**— ამ ინტერვიუთი გამოიკვეთა რაიმე პოზიტიური მომენტი რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობისთვის?**

— ძნელია ჯერ რაიმე პოზიტივის დანახვა, რამდენადაც ამ ურთიერთობაში ჯერ ძალიან მცირეა პოზიტივი. გასული წლის დეკემბრიდან, ჩვენი დიალოგის დაწყებიდან დღემდე რაღაც შედეგებს მივაღწიეთ, ეს უფრო პრაქტიკული შედეგებია გარკვეული პრაგმატული მიმართულებებით. მაგრამ იმ რთულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრიობას, მოსახლეობას აინტერესებს და ადარდებს, მხედველობაში მაქვს კონფლიქტური რეგიონები, რაიმე პროგრესი არ ჩანს. უფრო მეტიც, მოგეხსენებათ, რა ვითარებაცაა შექმნილი ადმინისტრაციულ საზღვარზე. სექტემბერში იგი შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს — შეიკვეცება სატრანსპორტო მიმოსვლა.

თუ ძალიან მოვინდომებთ, პოზიტივად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ტონალობა ორივე მხრიდან შეცვლილია და **არის ჯერ ფერმკრთალი, ვიმეორებ, ფერმკრთალი მინიშნებები** იმაზე, რომ, სამომავლოდ თუ მოვლენები ნორმალურად განვითარდა, თუ რუსეთი და საქართველო შეძლებენ წინსვლას დიალოგის მეშვეობით, ასევე, თუ ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები შეძლებენ დიალოგის დაწყებას და თუ ეს დიალოგი რაღაცას მოიტანს. **მედვედევის მოწოდება — დაიწყეთ დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან, ჯერ ბატონ პუტინის მიერ იყო ხაზგასმულად განცხადებული და ბატონმა მედვედევმაც თავის ტელეგამოსვლებში აღნიშნა — თავისთავად სწორია. უნდა ვესაუბროთ არა მარტო საზოგადოებრიობას, არამედ კონფლიქტური რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებასაც. მაგრამ ამ წინადადებას სჭირდება მეორე ნახევარი, მეორე ნაწილი — თუ ასეთი დიალოგი რუსეთის მხრიდან მხარდაჭერილი და მოტივირებული არ იქნა, მაშინ აფხაზები და ოსები დიალოგის დაწყების სურვილს არ გამოხატავენ, რადგან ისინი თავიანთ პოლიტიკას ყოველთვის კრემლის ზოგადი მიდგომების მიხედვით უწევენ კორექტირებას.**

კი, დიალოგი აუცილებელია, მაგრამ მას სჭირდება მხარდაჭერა ყოველი მხრიდან, განსაკუთრებით კი — რუსეთის მხრიდან. თუ რუსეთი იტყვის, ჩვენ არაფერ შუაში ვართ და თქვენ ერთმანეთში მოილაპარაკეთო, ეს ოთხმოცდაათიან წლებში დაგვაბრუნებს — მაშინაც გვესმოდა და მაშინაც ვერავითარი შედეგი ვერ მივიღეთ.

8 აგვისტოს გორში სამხედროების ფიცის დადების ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ საქართველო მზადაა, დაიწყოს პირდაპირი დიალოგი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებებთან. ვნახოთ, რა რეაქცია მოჰყვება.

**— თქვენ ბრძანეთ მკრთალი მინიშნებების თაობაზე. მოგეხსენებათ, ზოგჯერ სიტყვაზე მეტს ჟესტი ლაპარაკობს. როცა ჟურნალისტი საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე ლაპარაკობდა — პრემიერ-მინისტრის საგანგებო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ, საქართველოში წარმოებული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაშვების თუ ავიარეისების აღდგენის შესახებ, დიმიტრი მედვედევი თავის დაკვრით ეთანხმებოდა. არის ეს „მკრთალი მინიშნება"? და მეორე, როცა რუსეთის პრემიერი პირდაპირ ამბობს, რომ თქვენ ერთმანეთთან მოლაპარაკების გზით უნდა აღადგინოთ ურთიერთობა და პერსპექტივაზეც მონიშნოთ საერთო პოზიცია, ეს ხომ არ არის, აგრეთვე, „მკრთალი მინიშნება" კონფლიქტური რეგიონების ხელმძღვანელებისთვის, რომ რუსეთიც დაინტერესებულია, გაიმართოს ასეთი დიალოგი?**

— იცით, რა? გამოჩნდება ეს ყველაფერი, პროგნოზების გაკეთება ცოტა მარჩიელობას დაემსგავსება. თუ ბატონი მედვედევის საჯარო გამოსვლა რუსეთის შიდაპოლიტიკური მოძრაობის გამოძახილია, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა ამას მხოლოდ საქვეყნოდ გასაგებად არ აცხადებს, არამედ კულუარულად დაარწმუნებს აფხაზებსა და ოსებს დიალოგის გამართვაში, ჩვენ დავინახავთ, არის ეს მხოლოდ საჯარო განცხადებაა, თუ ამას პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვება. ეს არ დაიმალება.

**— დიმიტრი მედვედევის გამოსვლის პარალელურად ჩვენ მოვისმინეთ მიხეილ სააკაშვილის ტელეგამოსვლაც, რომელიც, ექსპერტების საერთო შეფასებით, არა მარტო თავის მართლების უსუსური მცდელობა იყო, არამედ პრეზიდენტისთვის მიუღებელი ვულგარიზმებით გაჟღენთილი და, უფრო მეტიც, ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირის", აშშ-ის, აშკარა დასმენა და, სლენგი რომ ვიხმაროთ, „ჩაშვება".**

**თქვენი შეფასება?**

— მოგეხსენებათ, ჩვენი ზოგადი შეფასება როგორიცაა. პრემიერ-მინისტრმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო 8 აგვისტოს აგრესიის მსხვერპლი გახდა, ამას მოჰყვა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, რასაც არც ჩვენ ვეთანხმებით, არც მსოფლიო თანამეგობრობის უდიდესი ნაწილი. ამასთანავე ვამბობთ, რომ ჩვენი მხრიდან დაშვებულია სერიოზული შეცდომები და საჭიროა ამის თვითკრიტიკულად შეფასება. **აგვისტოს მოვლენები ყველაზე უფრო ობიექტურად, ალბათ, განხილული და შეფასებულია ტალიავინის ცნობილი კომისიის მოხსენებაში.**

ახლა, ომის მრგვალ თარიღთან დაკავშირებით, მოსკოვშიც და თბილისშიც დაიწყო მოგონებების სერია. გამოვიდა მიხეილ სააკაშვილიც რაღაც დეტალების გახსენებით, ცხადია, მისეული ინტერპრეტაციით.

გეთანხმებით, რომ ჩვენი განცხადებები ისეთ განსაკუთრებულ მემუარებში არ უნდა გადაიზარდოს, რაც ჩვენს პოზიციას შეასუსტებს. **დავა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით კიდევ დიდხანს გაგრძელდება. რუსეთთან კიდევ დიდხანს ვერ შევთანხმდებით ამ შეფასებებში.**

გეთანხმებით აბსოლუტურად, რომ გაცილებით მეტი თავშეკავებულობაა საჭირო, გაცილებით მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას, თუნდაც პრეზიდენტი იყოს იგი, კი არ ეხება, არამედ ეხება ჩვენი სახელმწიფოს პოზიციას, და ისეთი ნაბიჯები არ უნდა გადავდგათ, წინ რომ დაგვხვდეს.

ერთი რამ მინდა გავიხსენო: ომი რომ დამთავრდა, 2008 წლის სექტემბერში, მთხოვეს, სტატია დამეწერა სათაურით „ჩვენი შეცდომები რუსეთის მიმართ". ცხელ გულზე კარგა დიდი, ათგვერდიანი სტატია დავწერე. სულ წვრილად მქონდა ჩამოთვლილი, რა შეცდომებიც დაუშვა საქართველომ წინა წლებში და აგვისტოს წინა პერიოდში. მაგრამ, როცა ცოტა დავშოშმინდი და გადავიკითხე, მივხვდი, რომ გამოქვეყნების შემდეგ ასეთი გულახდილობა მეც წინ დამხვდება და ქვეყნის საზიანოდაც იმოქმედებს, ვიღაც კონტრარგუმენტად გამოიყენებს — თქვენ თვითონ ამას ამბობდითო! ამიტომ ცოტ-ცოტა შევამცირე და საბოლოოდ 10 გვერდიდან გვერდ-ნახევარი დავტოვე... თუმცა ხელები თავიდან ძალიან მექავებოდა.

ასე რომ, ჩვენი მოგონებები და ჩვენი განცდები ისე უნდა მოვზომოთ, რომ სახელმწიფოს ინტერესებს ზიანი არ მივაყენოთ.

ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება სადღაც ჰე, 20 წლის შემდეგ, ვისაც რა უნდა ის თქვას, მაგრამ ახლა ამას შეიძლება მუგუზალზე ნავთის დასხმის ეფექტი ჰქონდეს.

**— დიმიტრი მედვედევისთვის ინტერვიუერს ისეთი ხასიათის შეკითხვები რომ დაესვა, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივას შეეხებოდა, მივიღებდით პოზიტიურ პასუხს?**

— არა მგონია. რუსეთის ამოცანა ამ ეტაპზე ნათლად, ობიექტურად და ყოველგვარი ეჭვების გარეშე უნდა დავინახოთ, იმიტომ, რომ ეს დამალული არ არის, ჩაწერილია დოკუმენტებში, კერძოდ, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, რომელიც ამ წლის დასაწყისში მიიღო რუსეთმა. იქ შავით თეთრზე აღნიშნულია, რომ **რუსეთის ამოცანაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის გაძლიერება, შემდგომი ლეგალიზება და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დამკვიდრება. ასეთია მათი პოზიცია, ასეთია მათი პოლიტიკა, საზღვარზე მავთულხლართების გაბმაც ნაწილია ამ პოლიტიკის, და ახლო ან საშუალო პერსპექტივაში ეს პოლიტიკა არანაირად არ შეიცვლება.** შემდეგ რა იქნება, პერსპექტივაში რამდენად შევძლებთ პარტნიორების მხარდაჭერით წარმატების მიღწევას, რუსეთთან ორმხრივი დიალოგის ფორმატში რამდენად წინ წავიწევთ და, მესამე, მოვახერხებთ თუ არა დიალოგს აფხაზებთან და ოსებთან, ალბათ, ბევრ რამეს გამოააშკარავებს. ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებული მოლოდინის შექმნა ახლა, მგონი, არარეალისტური იქნება. მაგრამ არც ის მინდა, რომ სრულ პესიმიზმს მივეცეთ, ვთქვათ, რომ მაინც არაფერი გამოვა და ხელი ჩავიქნიოთ. ბრძოლაა ეს ცხოვრება და პოლიტიკაც ბრძოლაა, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ დიპლომატიურ და გონიერ ბრძოლას. ყველაფერი იცვლება ჩვენ ირგვლივ, იცვლება ვითარება რეგიონშიც და, გამორიცხული არ არის, ამ ცვალებად მსოფლიოში რუსეთის მიდგომებიც სხვა მიმართულებით განვითარდეს.

**— ასეთ სიტუაციაში თქვენი მისიის მოვალეობაც და პასუხისმგებლობაც იზრდება, არა?**

— კი, ასეა. რუსეთთან ჩვენი დიალოგის პირველი ეტაპი უკვე დასასრულს უახლოვდება. ამ პერიოდში განვიხილავდით და ვცდილობდით, მოგვეგვარებინა პრაქტიკული საკითხები, კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების, სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა, ჰუმანიტარული საკითხები და წინ წავიწიეთ ნამდვილად. ჩვენი ექსპორტი რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა და დღეისთვის ეს პროცესი საკმაოდ აქტიურად ვითარდება. ვფიქრობ, რომ წლის ბოლოსთვის ასი მილიონის პროდუქცია შევა რუსულ ბაზარზე, დასრულდება სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა. **რამდენიმე დღის წინ მოსკოვში გაიმართა კონსულტაციები საგზაო-სატვირთო ტრანსპორტის, საავტომობილო ტრანსპორტის პრობლემების გადაწყვეტის საკითხებზე, რეგულარულ საავიაციო რეისებზეც არის საუბარი. ეს ხელს შეუწყობს ვაჭრობის განვითარებას, ტურიზმის ზრდას. დღეისთვის რუსი ტურისტების რაოდენობა შარშანდელზე, 30-35 პროცენტზე მეტია.**

ამჟამად ვფიქრობთ, რა საკითხები განვიხილოთ მეორე ეტაპზე, რომელ პრობლემებზე ვისაუბროთ. უახლოეს მომავალში ეს საკითხები გამოიკვეთება და საცნობარი გახდება ჩვენი საზოგადოებრიობისთვის. ამჟამად იდეების გენერირებაზე ვმუშაობთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში საქართველო (განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ) სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცა, გაართულა რა შეთანხმებები მთელ რიგ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე, როგორიცაა ირანი, სირია და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთი. ამ დაბრკოლების მოხსნა ძალიან სასურველია.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეუძლია თუ არა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს დამოუკიდებლად ცხოვრება?

## რა შეიცვალა რეალურად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ?

**თავიდანვე, 1990-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოს გამოყოფილ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, კონფლიქტის დარეგულირების პროცესი რთულად მიმდინარეობდა. ის ეფუძნებოდა ფართო საერთაშორისო ძალისხმევას, რომელშიც ფალსიფიკატორების სახით აქტიურად იყვნენ ჩართულები გაერო და ეუთო და, პარტნიორის სახით — რუსეთი. ომმა, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში გაჩაღდა, ეს ფორმატი დრამატულად შეცვალა.**

**საქართველოსთვის ეს ომი კატასტროფით დასრულდა, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. რუსეთმა უარი თქვა შუამავლის როლზე და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რითაც მათი უსაფრთხოების მთავარ გარანტორად იქცა. რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით, კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გაეროს და ეუთოს მანდატები შეუწყდა.**

ამ გამოყოფილ ტერიტორიებთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესი, რომელიც წლების განმავლობაში უზარმაზარი ძალისხმევის ფასად იგებოდა, სრულად დაინგრა. კონფლიქტის მართვის ერთადერთ ინსტრუმენტად ჟენევის სამშვიდობო მოლაპრაკებები დარჩა, რომლებიც ომის დამთავრებიდან 24 რაუნდად გაიმართა, თუმცა ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია.

**ამ ფონზე, რა პერსპექტივა აქვს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას?**

**დღესდღეობით, ვერც აფხაზეთი და ვერც სამხრეთ ოსეთი ეკონომიკურად საკუთარ თავს ვერ ინახავს. მათი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს რუსეთი ავსებს. საერთაშორისო არენაზე ორივე სახელმწიფო ვირტუალურად იზოლირებულია და მათ მხოლოდ რუსეთი, ვენესუელა და ნიკარაგუა აღიარებს. რუსეთის ისეთმა ახლო მოკავშირემაც კი, როგორიც ბელარუსია, აღიარებაზე უარი თქვა.**

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე საჯაროდ განიხილავდა სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან, რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკასთან მიერთების შესაძლებლობას.

რაც შეეხება საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა ცალმხრივი იყო, რადგან ის რუსეთს უპირისპირდებოდა და, ფაქტობრივად, მთელ გათვლას პირველ რიგში შეერთებული შტატების და შემდეგ ევროკავშირის მხარდაჭერაზე აკეთებდა, და ეს ყველაფერი ხდებოდა მისი რეალური კონტრიბუციის გარეშე.

**სააკაშვილის პოლიტიკა, რა თქმა უნდა, გაუაზრებელი და არაეფექტური იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით: ის არ ითვალისწინებდა მთავარ პრობლემას, ნდობის აღდგენისა და შერიგების აუცილებლობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომლებსაც სამჯერ მოუწიათ ომში ჩაბმა ქართველებთან, რის გამოც მათი მოსახლეობა შოკის და ტრავმის მდგომარეობაშია.**

მიუხედავად ამისა, ეს შეცდომები, შესაძლოა, ძალიან სერიოზულიც, ვერ გაამართლებს საქართველოს სრულად გარიყვას რომელიმე სამშვიდობო პროცესიდან, როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარებით.

არსებობს ასევე ახალი დინამიკა საქართველოს საშინაო პოლიტიკაში და იმის ნიშნები, რომ **საქართველოს მთავრობას სურს, ახლებურად შეხედოს კონფლიქტის დარეგულირების ზოგიერთ ასპექტს, მათ შორის ისეთს, როგორიცაა რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების აღდგენა. რუსეთისთვის კი ისეთი პრობლემა, როგორიცაა კავკასიაში გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევა, ვერ გადაწყდება ეფექტურად, თუ არა საქართველოსთან პარტნიორობით და არა მასთან დაპირისპირებით.**

და ბოლოს, არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ასევე განხილვის ღირსია, როდესაც ლაპარაკია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. **ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში საქართველო (განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ) სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცა, გაართულა რა შეთანხმებები მთელ რიგ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე, როგორიცაა ირანი, სირია და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთი. ამ დაბრკოლების მოხსნა ძალიან სასურველია.**

ცხადია, არსებობს საერთო ინტერესი იმისა, რომ კავკასიის რეგიონი მთლიანად სტაბილური იყოს და საქართველოს კონფლიქტების თემა, შესაძლოა, ხელახლა წამოიჭრას ამ კონტექსტში, მიუხედავად უკვე არსებული რამდენიმე გამაფრთხილებელი სიგნალისა.

პოლიტიკური დარეგულირების პროცესი არ უნდა ჩამოყალიბდეს აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა იმ ლეგიტიმური წუხილების ხარჯზე, რომელიც მათ საქართველოსთან თავიანთ მომავალ ურთიერთობაზე გააჩნიათ. პოლიტიკურ დარეგულირებასთან დაკავშირებული იდეები, რომელიც მათთვის ფართო ავტონომიის უზრუნველყოფას გულისხმობს, დიდი ხანია შემუშავებულია. შესაძლოა, ამ მოსაზრებების უფრო ყურადღებით გადახედვის დროა.

**დიტერ ბოდენი**
Russia Direct

# საქართველოსთან ომიდან ხუთი წლის შემდეგ რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში პოზიციები გაიმყარა

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამხედრო ავანტიურიდან ხუთი წელი გავიდა. ის შეეცადა, სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონტროლქვეშ დაებრუნებინა. 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით, როდესაც მისი ბრძანებით საქართველოს არმიამ ცეცხლი გახსნა ცხინვალის მიმართულებით, სამხრეთ კავკასიაში დროის ათვლა თავიდან დაიწყო. რუსეთმა ქართული არმია ავტონომიის ტერიტორიიდან გააძევა და შემდეგ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ამ ორ ავტონომიურ რესპუბლიკას ველარ აკონტროლებდა, მაგრამ მსოფლიო თანამეგობრობისთვის ეს ტერიტორიები კვლავ საქართველოს ნაწილია.**

## რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო და ეკონომიკურ გავლენას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში

**ამ ეგრეთ წოდებული ხუთდღიანი ომის შემდეგ, რომლის დროსაც ასობით ადამიანი დაიღუპა, რუსეთმა თავისი სამშვიდობოები ადგილებზე სერიოზულ სამხედრო ძალად გარდაქმნა, რაც ოსებსა და აფხაზებს ამშვიდებს და უზრუნველყოფს მოსკოვის გეოსტრატეგიულ ინტერესებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ნატოს კავკასიაზე გაფართოება მოუნდება.**

ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით, ზნაურში, ჩრდილოეთით ჯავასა და განსაკუთრებით საქართველოს საზღვართან გამაგრებული ნაგებობებია, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ რუსი სამხედროები, მესაზღვრეთა ოჯახის წევრები. იქვეა განთავსებული მეოთხე სამხედრო ბაზა. ოსები არ დავობენ იმაზე, რომ რუსებმა გადაარჩინეს, მაგრამ ზოგიერთები აცხადებენ, რომ სამხედრო ინფრასტრუქტურა უფრო ეფექტურად და ორგანიზებულად ვითარდება, ვიდრე სამოქალაქო ობიექტების აღდგენა.

**„რუს სამხედროებთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს, სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან სწორედ მათი დახმარებით გავთავისუფლდით ძალადობისგან, რომელსაც ჩვენ მიმართ საქართველო 20 წლის განმავლობაში ახორციელებდა“,** — აღნიშნავს პრეზიდენტი. **„ოსეთში მშვიდობა რუსი სამხედროების დახმარებით დამყარდა,... ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით მათ სამუშაოდ“,** — ამბობს თიბილოვი და დასძენს, რომ რუსი სამხედროებისა და მესაზღვრეების რიცხვი სამხრეთ ოსეთში 4000 კაცს აჭარბებს. თიბილოვი სკეპტიკურადაა განწყობილი თბილისის პოლიტიკის მიმართ მას შემდეგ, რაც მთავრობას ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგა სათავეში: **„ცვლილებებს ვერ ვხედავ. საქართველო განაგრძობს სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას და მას ისევ იგივე ძალები უჭერენ მხარს“.**

რუსების დახმარებით, სამხრეთ ოსეთი ყოფილი საბჭოთა ავტონომიის საზღვარს ადგენს, იმავე სახელწოდების ქვეშ. საქართველო თავის „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ საზღვრების დადგენის კატეგორიული წინააღმდეგია.

საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტების, ნიკოლა სარკოზისა და დიმიტრი მედვედევის შეთანხმების თანახმად, საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, ევროკავშირის, აშშ-ის, ეუთოსა და გაეროს წარმომადგენლები 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ პერიოდულად მართავენ შეხვედრებს, **„მაგრამ კონფლიქტების პრევენციის მექანიზმის გარდა, ვერაფრის შემუშავება ვერ მოხერხდა“,** — მიაჩნია მურატ ჯიოევს, რომელიც ხელმძღვანელობს სამხრეთ ოსეთის დელეგაციას პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში. **თვეში ერთხელ სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები მომხდარ მოვლენებს განიხილავენ კარავში, რომელიც ევროკავშირს სამხრეთ ოსეთის საზღვართან აქვს გაშლილი.**

სურსათის საყიდლად და აუცილებლობის შემთხვევაში, სამედიცინო დახმარებისთვის, ოსები კავკასიონის ქედის გავლით რუსეთში მიემგზავრებიან. თბილისი უფრო ახლოსაა, მაგრამ საქართველოში წასვლას სირთულეები ახლავს. ამის უფლება მხოლოდ ლენინგორის ქართველ მცხოვრებლებს აქვთ.

**სააკაშვილი დღეს ანტიგმირია, ხოლო ქვეყნის ახალი კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ საკითხებს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი წყვეტს, თუმცა თიბილოვი საპრეზიდენტო არჩევნებისგან, რომელიც ოქტომბერში ტარდება, არაფერს ელის. „ჩვენ არ ვენდობით საქართველოს. მისი პოლიტიკა არ შეიძლება შეიცვალოს, რადგან ის თავის მომავალს მხოლოდ ნატოს წევრობაში ხედავს“,** — მიაჩნია სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს. **„ივანიშვილის დროს ქართველებმა შეცვალეს ტაქტიკა, უფრო მოქნილები გახდნენ, მაგრამ მათთან ნორმალური ურთიერთობის აწყობას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც მოგვცემენ იურიდიულად გაფორმებულ უსაფრთხოების გარანტიებს და გააცნობიერებენ, რომ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანაა“,** — ხაზგასმით აღნიშნავს სანაკოევი. საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთს მეტი საფუძველი აქვს დამოუკიდებლობისთვის, ვიდრე კოსოვოს, სერბეთის ყოფილ ავტონომიას და დღეს „ხელოვნურად შექმნილ და გარედან მართულ“ სახელმწიფოს.

**პილარ ბონეტი**
EL PAIS

სტრატეგიული პარტნიორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ის, რაც იმ სისხლიან ღამეს მოხდა, კანონიერია და დემოკრატიის გამოვლენაა, მაშ, რაღა არის ადამიანის უფლებათა ძალადობრივი დათრგუნვის პოლიტიკა?! თუ ეს არის „დემოკრატიის შუქურად“ ყოფნა და ახალი წესრიგის დამყარება, მით უფრო სტრატეგიული მოკავშირეობა, ძალაუნებურად ირწმუნებ „ოქროს მილიარდის“ სტრატეგიის ნამდვილობას, რომლის უზენაესი პრინციპი — დანარჩენი უნდა ამოწყდეს! — მართავს მსოფლიოს.**

# ამერიკელები ადასტურებენ, რომ სააკაშვილმა სწორად დაარბია

**ცოტა კი, წაიტყუილა მიხეილ სააკაშვილმა, როცა წლეულს, 22 ივლისს განაცხადა, რომ 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გამართული საპროტესტო აქციის დარბევის პროცესს აკვირდებოდნენ აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები და მიიჩნიეს, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში განხორციელდა. ახლა ირკვევა, რომ იქ და იმ დროს ისხდნენ (თუ ისხდნენ) კომპანია „დენსუს გრუპის“ წარმომადგენლები, რომლებსაც მიშამ „მარკა აუწია“. ესენიც ამერიკელები არიან: ამათ გაამართლეს.**



ამას ადასტურებს კომპანია „დენსუს გრუპის“ მიერ მომზადებული ანგარიში.

დოკუმენტში ისე წვრილად არის აღწერილი, 21 მაისიდან როგორ დაიწყო ანტისამთავრობო საპროტესტო აქციები, როგორ განვითარდა და რა მიზანს ემსახურებოდა, რა საჯარო განცხადებებს აკეთებდა ოპოზიციური დაჯგუფება, როგორი იყო პოლიციის გეგმა, რის გაკეთებას აპირებდა ჩვენი სახელოვანი ძალოვანი სტრუქტურა, რომ, გინდა-არ გინდა, დაგაეჭვებს: **ამ დოკუმენტის შექმნაში „დენსუს გრუპის“ სპეცებს საქართველოს პოლიციის ხელმძღვანელობა ხომ არ ეხმარებოდა? ან უშიშროების საბჭოს ჩინოვნიკების მიერ შედგენილი ანგარიში შპარგალკად ხომ არ ედოთ ამერიკელებს?**

აშკარად ქართული აქცენტია!

ანგარიშში ნათქვამია:

**„გათვალისწინებული გეგმის მიხედვით, პოლიციის სპეციალური დანაყოფების ძირითადი ბირთვი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, რუსთაველის გამზირზე იმოძრავებდა და საპროტესტო აქციის მონაწილეების პარლამენტიდან აღმოსავლეთით მდებარე სამი ქუჩის მიმართულებით გადაადგილებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. ეს ქუჩები აქციის მონაწილეებისთვის გასასვლელ გზებად იყო განსაზღვრული. დასავლეთით, პარლამენტის შენობის მოსაზღვრე ორივე ქუჩა, პოლიციელებით იქნებოდა გამაგრებული, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე აიძულებდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებს აღმოსავლეთით მდებარე გასასვლელი გზებისკენ გადაადგილებას. სამხრეთით, თავისუფლების მოედანზე, პოლიციის კიდევ ერთი დანაყოფი განლაგდებოდა, რომელიც საპროტესტო აქციის მონაწილეების დაკავებას განახორციელებდა და, საჭიროების შემთხვევაში, ჩრდილოეთისკენ დაიძვრებოდა. პარლამენტის ტერიტორიაზე მყოფ სამართალდამცავთა კიდევ ერთ ჯგუფს პარლამენტის შენობის საპროტესტო აქციის მონაწილეთა შემოჭრისგან დაცვა ევალებოდა. და ბოლოს, თავისუფლების მოედნიდან დასავლეთით, პარლამენტის ავტოსადგომსა და „ქორთიარდ მარიოტს“ შორის, სარეზერვო ძალები იქნებოდა მობილიზებული...“**

**სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკელები საპროტესტო აქციის დაშლას მონიტორებზე აკვირდებოდნენო.**

აქციის დაშლის პროცესზე ლაპარაკობდა. **„დენსუს გრუპი“ კი, როგორც წაიკითხეთ, ღრმადაა ჩახედული იმ ტრაგიკული ღამის დეტალებში, გადმოგვცემს არა მხოლოდ იმას, რაც ნახა (სააკაშვილის ვერსია), არამედ იმასაც, თუ რა განზრახვა ჰქონდა პოლიციას, როგორ აპირებდა აქციის დაშლას. რა იყო მისი მიზანი, ამოცანა, რომელი დანაყოფები იყო მობილიზებული, როგორ იყო აღჭურვილი მთელი ეს მასა და ა. შ.**

„დენსუსი“ დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ პოლიციის განზრახულობა (გეგმა) რაღაც ოპერატიულ ინფორმაციებზე იყო დაფუძნებული: **„მთავრობას ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია,** — ნათქვამია მოხსენებაში, — **...რომ მომიტინგეები ხელნაკეთი ფარებითა და ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი (!) და მოლოტოვის კოქტეილებსაც გამოიყენებდნენ. არსებული ინფორმაციით, საპროტესტო აქციის ზოგიერთი მონაწილე ცეცხლსასროლ იარაღსაც ატარებდა“.**

მართალია, ანგარიშში ამ „შეიარაღების“ გამოყენების არც ერთი შემთხვევა არაა დაფიქსირებული, ისევე, როგორც რკინისბურთულებიანი შურდულები, რომლებითაც, როგორც იმ დღეებში პროსახელისუფლო ტელევიზიებიდან დაბეჯითებით გვარწმუნებდნენ, აქციაზე მისული ადამიანები იყვნენ აღჭურვილები. და კიდევ — იტალიელი პარტიზანების სიმღერას რომ მღეროდნენ.

რით იყო ამ დროს შეიარაღებული პოლიცია? „დენსუს გრუპი“ ამ საკითხშიც გარკვეულია: **პოლიცია შეიარაღებული იყო „სიცოცხლისთვის ნაკლებად საშიში დამხმარე საშუალებებით“.** რა არის ეს? **„წყლის ჭავლი, აკუსტიკური მოწყობილობები, სხვადასხვა ზედაპირული ზემოქმედების იარაღი და CS ტიპის ცრემლსადენი გაზი“.**

ჯერ ერთი, **ეს ცრემლსადენი გაზი ნერვიულ-პარალიტიკური ეფექტის მქონეა, იგი „ჩერიომუხასთან“ ერთად 1989 წლის 9 აპრილს გამოიყენეს იმავე რუსთაველზე გამართული აქციის დასაშლელად და შედეგად ასობით ადამიანი თვეობით მკურნალობდა ამ „ნაკლებად საშიში“ გაზით დაზიანებულ რესპირაციულ ორგანოებს.**

საწყალი პოლიციელები კი ლამის შიშველი ხელებით უწევდნენ წინააღმდეგობას მომიტინგეებს, რომლებიც თურმე სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდნენ. **„შემდგომ აღმოჩნდა, რომ ყველა პოლიციელს სრული აღჭურვილობა არ ჰქონდა: მაგალითად, ზოგიერთს არ ეკეთა კასკა“.** ამ „უკასკო“ პოლიციელებს ორი კაცი რომ შემოაკვდათ, მაღაზიის სახურავზე მკვდრები რომ დადეს და ცინიკურად რომ განაცხადეს — დენმა მოკლაო, ეს დაივიწყეს, ხოლო ერთი პოლიციელის და ერთი მოქალაქის დაღუპვა თავისუფლების მოედანზე ისე აღწერეს (თითქოს არ გვენახოს, რა და როგორ მოხდა), როგორც მტრის უპირატეს ძალასთან ბრძოლა და ჯახი.

**„პარლამენტის წინ CS ტიპის ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ, რამდენიმე ავტომობილმა, რომლებშიც საპროტესტო აქციის ორგანიზატორები და მათი პირადი მცველები ისხდნენ, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დატოვა. ავტომობილების ეს კოლონა დაკავების ჯგუფს შეეჯახა, რომელიც თავისუფლების მოედნიდან მოემართებოდა, რათა დახმარება აღმოეჩინა პოლიციელთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის, რომელმაც ტროსი გადაჭრა. ავტომობილების კოლონა პოლიციელების მიერ გაცემულ გაჩერების ბრძანებას არ დაემორჩილა, გაარღვია კორდონი და პოლიციას გაექცა, რის შედეგადაც ხუთი პოლიციელი დაშავდა, ხოლო ერთი პოლიციელი და ერთი მოქალაქე გარდაიცვალნენ“.**

ეს ტექსტი, თუ ჩვენი მკითხველი გაიხსენებს, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ტრაგედიის დღეებში გვამცნობდა ოფიციოზი.

ვინ ვის კარნახობდა ზემოთ ციტირებულ ტექსტს და, საერთოდ, ვინ იყო დამნაშავე? **„დენსუს გრუპის“ ანგარიშის მიხედვით, მთავარი დამნაშავენი საპროტესტო აქციის მონაწილენი არიან (იგულისხმება — ხელმძღვანელებიც), შინაგან საქმეთა სამინისტროს თავკაცები, რა თქმა უნდა, — არა: გაზით ხალხის მოწამვლის ბრძანება მათ არ გაუციათ: „პარლამენტის შენობის სამხრეთით CS ტიპის ცრემლსადენი გაზი იქნა გაშვებული, იმის მიუხედავად, რომ ოპერაციის ხელმძღვანელ პირებს გაზის გაშვების ბრძანება გაცემული არ ჰქონდათ“.** ხოლო ის, რომ პოლიციამ აქციის მონაწილეებს მიტინგის სხვაგან გადატანა შესთავაზა (მიტინგის რუსთაველზე გამართვა მერიის მიერ იყო ნებადართული), **„იყო პოლიციის მხრიდან მომიტინგეთა პროტესტის გამოხატვის უფლების დაცვის მზაობის დემონსტრირება, სხვა ვალდებულებებთან ერთად“.**

გიგა ბოკერიას პროვოკაციული სტილია აშკარად...

ასეთია შეფასება. ახლა კი ამ დასკვნის გამამართლებელ მაგალითს თუ არგუმენტს გადავავლოთ თვალი:

**პოლიციელები თურმე მომიტინგეებისგან თავიანთი კოლეგების დასაცავად და დასახმარებლად ხან სად მიაწყდებოდნენ, ხან სად.** მათი მოქმედება ქაოტური და არაორგანიზებული იყო, რადგან **წვიმამ მწყობრიდან გამოიყვანა ოპერატიული სპეცკავშირის საშუალებები და ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა მობილური ტელეფონებით ხდებოდა.**

მობილური ტელეფონებით ხელმძღვანელობა „ნოუ ჰაუა“ ჩვენი: აგვისტოს ომის დროს გამოიყენეს, თუმცა მაშინ არ წვიმდა.

„მეორედ მოსვლა“ მაისში იყო...

კვლავ ციტატა: **„პოლიციის მცირერიცხოვანი რაზმი პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქუჩაზე სამხრეთიდან და დასავლეთიდან ავიდა, რათა რკინის ბარიკადების დამაკავშირებელი ტროსი გადაეჭრა და საპროტესტო აქციის მონაწილეებისთვის ტერიტორიიდან გასასვლელი გზები გაეხსნა. ამ დანაყოფის მოძრაობას თან ახლდა ჩრდილოეთით პოლიციის უფრო დიდი დანაყოფის თვალთმაქცური გადაადგილება საპროტესტო აქციის მონაწილეთა ყურადღების მიპყრობის მიზნით. თუმცა მონაწილეთა მცირე ნაწილმა პოლიციის რაზმი შეამჩნია და მისკენ გარკვეული საგნების სროლა დაიწყო“.** რა საგნებს ესროდნენ, ვერ გაარკვიეს, ეტყობა იმიტომ, რომ წვიმდა, ან საერთოდ არავის არაფერი უსვრია. ამ სიტუაციაში სამაშველო რგოლია სიტყვათა თამაში — **„გაურკვეველი საგნები“.**

კარგ დროს იხმარეს სიტყვა **„თვალთმაქცური“: სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის, მეგობარი ქვეყნისა და ხელის გამმართველის — ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არა მარტო 26 მაისის ტრაგედიასთან დაკავშირებით, არამედ საერთოდ საქართველოს მიმართ.**

თუ ის, რაც იმ სისხლიან ღამეს მოხდა, კანონიერია და დემოკრატიის გამოვლენაა, მაშ, რაღა არის ადამიანის უფლებათა ძალადობრივი დათრგუნვის პოლიტიკა?! **თუ ეს არის „დემოკრატიის შუქურად“ ყოფნა და ახალი წესრიგის დამყარება, მით უფრო სტრატეგიული მოკავშირეობა, ძალაუნებურად ირწმუნებ „ოქროს მილიარდის“ სტრატეგიის ნამდვილობას, რომლის უზენაესი პრინციპი — დანარჩენი უნდა ამოწყდეს! — მართავს მსოფლიოს.** დასავლური პრინციპები კი არა. ცინიზმია ის ყველაფერი, რის საერთგულოდაც თავი გვაქვს გადადებული.

**მხოლოდ ხალხის, ერის აბუჩად აგდებით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე აშშ ცდილობს, ნამუსი შეუნახოს სააკაშვილის ანტიხალხურ, ანტიჰუმანურ ხელისუფლებას, გაამართლოს 26 მაისს მის მიერ ჩადენილი სისასტიკე** და საკმარისად მიიჩნიოს ყოფილი ხელისუფლების მიერ ტრაგედიის განმახორციელებელთა მიმართ გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებები. ასობით დაპატიმრებული, ხელკეტებით სასიკვდილოდ ნაცემი, დასისხლიანებული, მათ შორის, თვალისჩინდაკარგული, დახეიბრებული ადამიანების რაოდენობა 90-მდე შეამციროს, თანაც განაცხადოს, რომ მათ „სიცოცხლისთვის არასაშიში“ დაზიანებები მიიღეს, პოლიციელები — 27 კაცი კი სერიოზულად დაშავებულებად წარმოგვიდგინოს; ასეთი სადამსჯელო ოპერაციის ჩამტარებლები კი დასაჯოს ისე, რომ დაჯილდოებაზე უკეთესი აღმოჩნდეს:

**„ამ მოვლენების შემდეგ ჩატარებული შიდა მოკვლევის საფუძველზე, ოთხი პოლიციელი სამსახურიდან დაითხოვეს, ერთ პოლიციელს წოდება დაუქვეითეს და ცხრა პოლიციელს საყვედური გამოუცხადეს“.**

**პასუხისგებაში, რა თქმა უნდა, არავინ მიუციათ.**

**ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში „ამ მოვლენების“ შემდეგ, მინიმუმ, შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგებოდა... მაგრამ არა „დე-** ▶

**თუ დადასტურდა, რომ „დენსუს გრუპის“ ანგარიში შემოგდებულია სააკაშვილის მიერ, როგორც მორიგი პროვოკაცია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წინააღმდეგ, მაშინ ეს კაცი მისი ინფორმირებულობისა და იმპულსური ქმედების გამო ამერიკისთვის უფრო საშიში ყოფილა, ვიდრე სნოუდენი. ის დროა, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მისი ექსტრადიციის შესახებ საქართველოს მთავრობას შესაბამისი მოთხოვნა გამოუგზავნოს.**

სტრატეგიული პარტნიორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ მოკრატიის შუქურა“ სააკაშვილის მთავრობაში. ამაზეც კრინტი არ დაუძრავთ ამერიკელ სტრატეგიულ მოკავშირეებსა და ხელის გამმართველებს.**

ცოტა კრიტიკაც შეაპარეს, მსუბუქი, არაფრისმთქმელი: **„უცნობია, თუ რატომ მოხდა პარლამენტის წინ, აშკარად მცირე საფრთხის პირობებში, ამ დონის ძალის გამოყენება. არსებობს ვიდეო მასალა, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ ცალკეული პოლიციელები** აგრესიულად და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე იყენებდნენ გადამეტებულ ძალას **ზოგიერთი მომიტინგის წინააღმდეგ,** მაშინ, როდესაც ისინი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას ტოვებდნენ“.

**ცალკეულები ზოგიერთების მიმართ,** თორემ სხვა დანარჩენები იდილიურ ურთიერთობაში იყვნენ, ისეთ იდილიაში, როცა მგლები და ცხვრები ერთად ძოვენ.

მაგრამ „დენსუს გრუპის“ სპეციალისტები და მათი ხელისბიჭები ბოკერიას სტრუქტურიდან, უსუსურები აღმოჩნდნენ, გარკვეული მომენტებისთვის რაიმე ახსნა მოეძებნათ. იძულებული გახდნენ, ეღიარებინათ, რომ **„გარკვეულ მომენტში, პარლამენტის შენობაში განთავსებული, სპეციალური აღჭურვილობის მქონე პოლიციელები რუსთაველის გამზირზე გამოვიდნენ და მომიტინგეებს დაუპირისპირდნენ. მათი ვინაობის დადგენა ჯერ ვერ მოხერხდა.**

**უცნობია, თუ რატომ მოხდა ამ, აშკარად მცირე საფრთხის პირობებში, ასეთი ძალის გამოყენება, ისევე, როგორც ის, თუ რამდენად თვითნებურად გამოვიდა აღნიშნული დანაყოფი პარლამენტის შენობიდან. ვიდეომასალაში ნათლად ჩანს ცალკეული პოლიციელების მიერ გადამეტებული ძალის აგრესიულად და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გამოყენება ზოგიერთი მომიტინგის მიმართ, მაშინ, როდესაც ისინი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან რუსთაველის გამზირზე სამხრეთით გადაადგილდებოდნენ“.**

კვლავ ცალკეული პოლიციელების აგრესია ზოგიერთი მომიტინგის მიმართ — იმეორებენ ერთსა და იმავეს, გლახა ჭრიაშვილის მსგავსად.

## განსხვავებული აზრი

**არსებობს არგუმენტირებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, კომპანია „დენსუს გრუპი“, რომლის ანგარიშს ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო, არის კერძო კომპანია, რომელსაც არავითარი შეხება არ აქვს აშშ-ის ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის, არც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან.** ასე რომ, სააკაშვილის მტკიცება, 26 მაისის მოვლენებს აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალს და რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო აქციის სისხლიანი დარბევა მათ კანონის დარღვევად არ მიიჩნიესო, ტყუილია.

**კომპანია „დენსუს გრუპი“, როგორც ირკვევა, კონსულტაციას უწევდა საქართველოს შსს-ს, წვრთნიდა ქართველ პოლიციელებს, ამგვარი აქციების ეფექტიანად დაშლას ასწავლიდა. ცხადია, რომ მის მიერ მომზადებულ ანგარიშში სრულად უნდა ყოფილიყო** (და არის კიდეც) **გამართლებული ის ბარბაროსული დანაშაული, რაც მერაბიშვილისა და სააკაშვილის სპეცრაზმმა და ზონდერბრიგადებმა 25 მაისის ღამის 12 საათიდან განახორციელეს.**

ამ პოზიციაზე მდგარი მიმომხილველები (მაგალითად, **ირაკლი ბათიაშვილი**) აცხადებენ, რომ „დენსუს გრუპის“ ანგარიშის მაინცდამაინც ამ დღეებში გასაჯაროება არის **მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთი პროვოკაციული მცდელობა, თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას თბილისში „ბართლომეს ღამის“ მოწყობის გამო.** ახლა იგი „ხელს ადებს“ აშშ-ის ადმინისტრაციას. მისი ლოგიკით, **ეს ბარბაროსული აქტი საქართველოს სტრატეგიული მოკავშირის მიერ იყო სანქცირებული ელჩ ჯონ ბასის მიერ ანთებული „მწვანე შუქით“ და ამერიკელი ექსპერტების მიერ მოწონებული და გამართლებული.** რაც ფრიად საწუხარ არს!

ჩვენი პოლიტიკოსები (მათ შორის, **იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი** და პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**) გვეუბნებიან, რომ **აღნიშნული კომპანია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იყო დაქირავებული და მისი გამიჯვნა ოფიციალური სტრუქტურებიდან მხოლოდ პირობითია.**

ორგანიზაცია **„თავისუფალი ზონის“** ინფორმაციითაც **„დოკუმენტი, რომელიც მათ მოიპოვეს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებითა და დაფინანსებით ამერიკულმა ფირმა „დენსუსმა“ მოამზადა“.**

ყველა ეჭვის გასაფანტად დავიმოწმოთ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, რომელიც დაუკავშირდა ამ ჯგუფს და კომენტარი სთხოვა. მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ **„დენსუსის“ ჯგუფი აწარმოებდა და აგრძელებს ამერიკის მთავრობისა და მისი პარტნიორების, მათ შორის, საქართველოს მთავრობის, მხარდაჭერას. ამ მომსახურების ნაწილი იყო, რომ „დენსუსის ჯგუფმა“ მონაწილეობა მიიღო 2011 წლის 26 მაისის მოვლენების განხილვაში შს სამინისტროსთან ერთად (სამინისტროსთან ერთადო, მიაქციეთ ამას ყურადღება: ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ არის ეს ერთობლივი დოკუმენტი შს სამინისტროს გამართლების უსინდისო მცდელობა. — ა.ს.).**

ამ ანგარიშის შედეგები აქვს სამინისტროს და ყველა შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ სამინისტროს“, — ნათქვამია „დენსუსის“ პასუხში.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც ამასვე იმეორებენ. მით უარესი, რადგან მტკიცდება, რომ გულჩიტაიმ პირბადე ჩამოიხსნა და დაგვანახა თავისი სახე, რომელიც სრულიადაც არ არის კეთილშობილების განსახიერება. გულდასაწყვეტია, რომ **აშშ კბილებით იცავს მათ,**



# აშშ კბილებით იცავს მათ, ვისი ხელითაც საქართველოში განხორციელდა ასეთი მზაკვრული, არაადამიანური და მასშტაბური დარბევა

**ვისი ხელითაც საქართველოში განხორციელდა ასეთი მზაკვრული, არაადამიანური და მასშტაბური დარბევა.**

და ახერხებს კიდეც.

სამართალში მიცემული **ივანე მერაბიშვილი** უკვე ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ **„შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის განკარგულებით (!) 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა დაშლა საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული დასკვნის მომზადება სამინისტრომ კერძო კომპანიას აშშ-ის საელჩოს დახმარებით დაუკვეთა“.**

წერს ამას მერაბიშვილი თავის „ფეისბუქზე“ და რატომღაც ჰგონია, რომ ძველი ჭეშმარიტება — ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს — არავის გაუუქმებია. და ცოტასაც გვატყუებს, რადგან მისი მსჯელობა ამ დოკუმენტის ხელში ჩაგდების თაობაზე, ცოტაა თქვა, წინააღმდეგობრივიაო.

თავად განსაჯეთ.

მიუხედავად იმისა, რომ „დენსუს ჯგუფის“ პასუხში გარკვევით წერია, რომ მისი სპეცები საქართველოს შს სამინისტროსთან ერთად მუშაობდნენ და ანგარიში თავის დროზე ამ სამინისტროში გამოგზავნეს, მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილი თავად ამბობს: **„აღნიშნული დოკუმენტი სამინისტროს ჰქონდა 2011 წლიდან“,** მას მაინცდამაინც სურს, დაგვარწმუნოს, რომ **„ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, გაეჭიანურებინა დოკუმენტის გადმოცემის პროცესი და მისი მიღება მხოლოდ ჩვენი უცხოელი მეგობრების ჩარევით მოხერხდა“.**

ესე იგი, ხელისუფლებას (ცხადია, მის შესაბამის სტრუქტურებს) ჰქონდა „დენსუსის“ დასკვნა.

მაგრამ... არ ჰქონდა: **„მე ვფიქრობ, რომ დღემდე პროკურატურას არ გააჩნდა აღნიშნული დოკუმენტი** (თუ დღემდე არ გააჩნდა, როგორღა გააჭიანურებდა იმის გადაცემას?! — ა.ს.), **წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ბრალდება ჩემ წინააღმდეგ წარდგენილი არ იქნებოდა“,** — ნათქვამია ყოფილი პრემიერის განცხადებაში.

„ბეზსტრუნნაია ბალალაიკა“, — ამბობენ ასეთ შემთხვევაში რუსები.

ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ინფორმაციით, **„მერაბიშვილის ადვოკატებს დასკვნა მთავარმა პროკურატურამ გადასცა“.** და ამ დასკვნით მხარმიცემული **„ყოფილი პრემიერის დაცვის მხარე მერაბიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას ითხოვს“.**

მერაბიშვილის ადვოკატებმა სწორედ პროკურატურისგან რომ მიიღეს აღნიშნული დოკუმენტი, ეს ქალბატონმა თეა წულუკიანმაც დაადასტურა. წინა ხელისუფლების დროს ასეთი პრაქტიკა არ არსებობდა, ახლა კი ნორმადაა დამკვიდრებულიო, აგვიხსნა.

**თუ დადასტურდა, რომ „დენსუს გრუპის“ ანგარიში შემოგდებულია სააკაშვილის მიერ, როგორც მორიგი პროვოკაცია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წინააღმდეგ, მაშინ ეს კაცი მისი ინფორმირებულობისა და იმპულსური ქმედების გამო ამერიკისთვის უფრო საშიში ყოფილა, ვიდრე სნოუდენი. ის დროა, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მისი ექსტრადიციის შესახებ საქართველოს მთავრობას შესაბამისი მოთხოვნა გამოუგზავნოს.**

დაბოლოს, ამ არცთუ რთულ სიტუაციაში გარკვევის მიზნით, საკუთარი შეფასების დამოუკიდებლად გასაკეთებლად, აგრეთვე, ცინიზმის კლასიკური მაგალითის გასაცნობად, „საქართველო და მსოფლიოს“ განათლებულ მკითხველებს ვთავაზობთ ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებულ თარგმანს „დესუს გრუპის“ ანგარიშის დასკვნითი ნაწილიდან.

**არმაზ სანებლიძე**

### დასკვნა

„საპროტესტო აქციის დაშლის ტაქტიკური გეგმა და ოპერატიული სიტუაციის ანალიზი სრულიად გამართული იყო და ოპერაციის მონაწილე პოლიციელებისთვის სწორად და მართებულად იყო მიწოდებული. სპეციალისტთა ტაქტიკა, გაერღვიათ და მოეხსნათ სამხრეთით არსებული ბარიერი იმისთვის, რომ მომიტინგეებს გასასვლელი ჰქონოდათ, ადეკვატური და წარმატებული იყო. დაკავებების სტრატეგიაც კარგად იყო მომზადებული.

ოპერაციის გეგმის მიხედვით განხორციელებას შემდეგმა მოვლენებმა შეუშალა ხელი:

— პოლიციელთა ნაადრევმა გადაადგილებამ თავისუფლების მოედნიდან ჩრდილოეთით — რუსთაველის გამზირისკენ, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მათ, კინოთეატრ „რუსთაველთან“ შექმნილი სიტუაციისა და დაკავების ჯგუფში არსებული მსხვერპლის გამო, დახმარებისთვის მიმართეს. ამრიგად, დაკავებები პარლამენტის შენობასთან უფრო ახლოს განხორციელდა, ვიდრე ეს ჩაფიქრებული იყო, რაც პარლამენტის წინ მომიტინგეთა დაშლის ოპერაციის პარალელურად მოხდა.

— დაძრული ავტომობილებით გამოწვეულმა მსხვერპლმა ოპერაციის ძირითადი ფაზის მსვლელობისას მოულოდნელი კრიზისი შექმნა.

— საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ CS ტიპის ცრემლსადენი გაზის უნებართვოდ გაშვებამ მას შემდეგ, რაც სამხრეთით არსებული ბარიერი მოიხსნა, რამაც ზოგიერთი მომიტინგის, ცრემლსადენი გაზის გაშვების ადგილიდან შორს, ჩრდილოეთისკენ და არა სამხრეთისკენ ან აღმოსავლეთისკენ გადაადგილება გამოიწვია.

— კომუნიკაციის საშუალებების გაუმართაობამ და სათადარიგო რეჟიმში არასაიმედო მობილური ტელეფონების გამოყენებამ პოლიციის მოწინავე რაზმებისა და დანაყოფების მეთაურები ზემდგომთა ბრძანებების გარეშე დატოვა; ამასთან, მათ აღარ შესწევდათ უნარი, ხელქვეითების გადაადგილება სრულად გაეკონტროლებინათ და ამ უკანასკნელთა მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები გადაეწყვიტათ.

არსებობს ვიდეომასალა, რომელზეც ასახულია, პოლიციელთა ძალზე მცირე ჯგუფი ძალის გადამეტებას რომ ახდენს. ასევე, შეშფოთებას იწვევს სპეციალური საშუალებებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენება იმ პირობებში, როცა, არსებული მასალიდან გამომდინარე, ამის საფუძველი და საჭიროება არ არსებობდა.

აქვე, უნდა ვაღიაროთ, რომ 25-26 მაისის ღამეს ოპერაციაში მონაწილე პოლიციელების დიდი უმრავლესობა კარგად დისციპლინირებული იყო, ყოველთვის ბრძანების შესაბამისად მოქმედებდა და დასახული ამოცანებიდან გამომდინარე პროპორციულ და საჭირო ოდენობის ძალას იყენებდა. ამას ნათლად ადასტურებს არსებული მასალა, და საქართველოს პოლიცია ქებას იმსახურებს იმის გამო, თუ როგორ კარგად გაართვა თავი ამგვარ გამოცდასა და რთულ ვითარებას.

ამ ანგარიშის სულისკვეთებიდან გამომდინარე, მთელი რიგი სასწავლო, საწვრთნელი და საორგანიზაციო რეკომენდაციები იქნა შემუშავებული, რომლებიც საქართველოს პოლიციას მომავალში მსგავსი საპროტესტო აქციების დაშლის ოპერაციების უფრო მომზადებულად ჩატარებაში დაეხმარება. ეს რეკომენდაციები ანგარიშის მესამე დანართშია მოცემული. ქართული მხარის წარმომადგენლები, რომლებიც ამ მიმოხილვის მომზადებაში იღებდნენ მონაწილეობას, თანამშრომლობის სურვილს ამჟღავნებდნენ, მზად იყვნენ, ეღიარებინათ ხარვეზები, ესწავლათ შეცდომებზე და ამ გზით აემაღლებინათ თავიანთი პროფესიული დონე. ეს საქმისადმი მისასალმებელი დამოკიდებულება, რომელიც ამ სამსახურის გაუმჯობესებაში დიდ წვლილს შეიტანს“.

**P.S. ბატონო ბიძინა, ამ მასირებული შემოტევისა და, განსაკუთრებით, ამერიკულ ხომალდ „ბალკლიზზე“ თქვენი სტუმრობისას მიხეილ სააკაშვილის უტაქტო გამოხდომის შემდეგ კიდევ გჯერათ „ნაცებთან“ კოჰაბიტაციის?!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ჟურნალისტი ჯერ კიდევ 2000 წელს შეუდგა ევროპისა და აზიის ქვეყნებში ადამიანთა გატაცების საიდუმლოებებით მოცული შემთხვევების გამოძიებას. რამდენიმე წლის მანძილზე ინტერპოლი, უბრალოდ, უძლური იყო ამ საქმეში. ადამიანებს იტაცებდნენ დღისით, მზისით და ყველა გატაცებას მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ნიშანი აერთიანებდა: გამტაცებლებს მსხვერპლი ყოველთვის აეროპორტში მიჰყავდათ.**

# საგანგებო დავალება

## ცსს-ს აგენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ადამიანებს იტაცებენ

**მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, სხვადასხვა კონტინენტზე, ადამიანები ყოველგვარ მიზეზგარეშე, უბრალოდ წყვეტენ არსებობას. ისინი ისე ქრებიან უკვალოდ, რომ არანაირ შეტყობინებას არ ტოვებენ ნათესავებისთვის, არ ტოვებენ კვალსა და ხელჩასაჭიდს მილიციისა თუ პოლიციისთვის. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის მანძილზე, ვიდრე ერთხელაც შემთხვევით ადამიანთა გაქრობის მოწმეები არ მოიძებნენ.**





არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს სპოტერებს უწოდებენ. ეს უცნაური ჰობია, რომლით გატაცებულნიც საათობით დგანან აეროპორტების ასაფრენ ბილიკებთან და ფოტოებს უღებენ თვიმფრინავებს აფრენისა და დაჯდომის მომენტებში; აფიქსირებენ ამ თვითმფრინავების ტიპებს, განმასხვავებელ ნიშნებს და საბორტო ნომრებს. ფოტოებს ინტერნეტში აქვეყნებენ და შემდეგ სხვადასხვა საიტზე გამოქვეყნებული ამ ფოტოების შეჯამების საშუალებით შესაძლებელია შედგეს თვითმფრინავების მიმოსვლის მთელი რუკები და მათი ინდივიდუალური მარშრუტები.

ეს იყო უბრალოდ გართობა ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე, მაგრამ **პირველებმა სწორედ სპოტერებმა შენიშნეს ის უჩვეულო რეისები ევროპიდან ავღანეთის, ერაყის, აფრიკისა და გუანტანამოს ბაზის აეროდრომების მიმართულებით, რომელთაც რამდენიმე თვითმფრინავი ახორციელებდა. ამ ფრენების რუკა გახდა საბაბი გაცილებით უფრო სერიოზული გამოძიებისთვის.**

**მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ჟურნალისტი ჯერ კიდევ 2000 წელს შეუდგა ევროპისა და აზიის ქვეყნებში ადამიანთა გატაცების საიდუმლოებებით მოცული შემთხვევების გამოძიებას. რამდენიმე წლის მანძილზე ინტერპოლი, უბრალოდ, უძლური იყო ამ საქმეში.** ადამიანებს იტაცებდნენ დღისით, მზისით და ყველა გატაცებას მხოლოდ ერთი **განმასხვავებელი ნიშანი** აერთიანებდა: **გამტაცებლებს მსხვერპლი ყოველთვის აეროპორტში მიჰყავდათ.**

ვინ იყვნენ ეს გამტაცებლები? ადამიანთა ორგანოების გადანერგვის ინდუსტრიის ძლევამოსილი დამნაშავეები, საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციის ბოევიკები თუ რაღაც შეთქმულების მონაწილენი?

ხალედ ალ-მასრის ძალიან უნდოდა, რომ გერმანელ ბიურგერს დამსგავსებოდა. ამიტომ გაიპარსა წვერი, ცდილობდა, გერმანულად აქცენტის გარეშე ელაპარაკა და სამაგალითოდ იხდიდა გადასახადებს. **ალ-მასრი ლიბანში დაიბადა, ბადენ-ვინტერბერგს კი თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევდა. ახალ, 2004 წელს ოჯახთან ერთად უნდა შეხვედროდა, მაგრამ ახალი წლის დადგომამდე ოთხი საათით ადრე ქუჩაში ოთხმა ადამიანმა დაიჭირა...**

**ხალედ ალ-მასრი:**

**— თვალებახვეული მიმიყვანეს რაღაც ოთახში. ყველა მხრიდან მირტყამდნენ. შემდეგ რაღაც მჭრელი საგნით — დანით ან მაკრატლით — ტანსაცმელი შემომაჭრეს ტანზე და შემომახიეს. როდესაც უკვე სრულიად შიშველი ვიყავი, ფოტოაპარატის ხმაზე მივხვდი, რომ სურათებს მიღებდნენ. ამ დროს თვალებიდან სახვევი მომხსნეს და დავინახე, რომ სასტუმროს ნომერში ვიყავით. ჩემ გარდა კიდევ 7-8 ადამიანი იყო, ყველას შავები ეცვა.**

იმ დღეს ხალედ ალ-მასრი უბრალოდ გაქრა. გამოძიებამ მხოლოდ იმის დადგენა შეძლო, რომ მისი გამტაცებლები ერთმანეთთან ინგლისურ ენაზე საუბრობდნენ. მათ მაინცდამაინც არ ეშინოდათ მოწმეების და ღიად მოქმედებდნენ. ფურგონი, რომელშიც ტყვე ჩააგდეს, უკანასკნელად აეროპორტის სიახლოვეს შენიშნეს.

თითქმის ნახევარი წელი გავიდა ისე, რომ გატაცებული ადამიანის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაიგო. უკვე ყველას ეგონა, რომ ეს საქმე ბოლომდე გაუხსნელ, საიდუმლოებით მოცულ კიდევ ერთ დანაშაულად იქცეოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაუჩინარებულმა ალ-მასრიმ მოულოდნელად თავად დარეკა პოლიციაში.

**ხალედ ალ-მასრი:**

**— დამამცირეს, მცემეს, გამჭყიპეს ნარკოტიკებით და ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ავღანეთში წამიყვანეს. ეს არის საიქიოდან დაბრუნება.**

> **«დამამცირეს, მცემეს, გამჭყიპეს ნარკოტიკებით და ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ავღანეთში წამიყვანეს. ეს არის საიქიოდან დაბრუნება»**




სახლში დაბრუნების შემდეგ გერმანიის მოქალაქე ხალედ ალ-მასრი ასე იხსენებდა მომხდარს:

**„თავზე მუქი ფერის ტომარა ჩამომაცვეს და რაღაც მანქანაში ჩამაგდეს. სად მივდიოდი, არ ვიცოდი. შემდეგ შემომახიეს ტანსაცმელი და უკანა ტანში რაღაც საგანი შემარჭეს. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს ნარკოტიკებით სავსე ფლაკონი იყო. ხელები და ფეხები ჯაჭვით დამიბეს. არავინ არაფერს მიხსნიდა, უბრალოდ, ტომარაში ჩამაგდეს. თვითმფრინავში რომ ვიყავი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, როდესაც ავფრინდით".**

ალ-მასრი თითქოს კოშმარულ სიზმარში მოხვდა. ყოველდღე იღვიძებდა საკანში, სადაც მის გარდა არავინ იყო. ეუბნებოდნენ, რომ ციხეშია, ციხე კი ავღანეთშია. მას ყოველდღე დაკითხავდნენ და აწამებდნენ ადამიანები, რომელთაც სამხედრო ფორმები ეცვათ. ასე გავიდა ხუთი თვე. ერთ დღესაც პატიმარს კვლავ დაადეს ბორკილები და თავზე ტომარა ჩამოაცვეს. კვლავ ჩააგდეს მომცრო თვითმფრინავში და მიიყვანეს რომელიღაც ტყეში.

**ხალედ ალ-მასრი:**

**— მიბრძანეს, წავსულიყავი და უკან არ მიმეხედა. ყოველ წამს ველოდი, რომ ზურგში მესროდნენ. მივდიოდი და მივდიოდი. აბა, წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ჩემს ადგილას...**

ალ-მასრი სიკვდილს ელოდა. დგამდა ნაბიჯს და ყოველ ნაბიჯზე ფიქრობდა, რომ ეს უკანასკნელია. საკმაო დრო გავიდა, ვიდრე მიხვდა, რომ ტყეში მარტოდმარტო დატოვეს და ამ უცნაური ფორმით გაათავისუფლეს.

**ხალედ ალ-მასრი:**

**— ხუთი თვის მანძილზე გაუსაძლის პირობებში ვიყავი დაპატიმრებული. ეს იყო პირობები, რომელშიც ადამიანს საერთოდ არ შეუძლია არსებობა.**

იმ დროს, როდესაც ალ-მასრი გაათავისუფლეს, **ევროპის სხვა მოქალაქე, სკოლის მასწავლებელი, სახელად რეზა, გაიტაცეს. ლონდონში მისი ბინა გაჩხრიკეს ადამიანებმა, რომლებიც არაფრით ჰგავდნენ პოლიციელებს.** თავად რეზა ციხეში წაიყვანეს და დაკითხეს — არკვევდნენ, ვინ არის, საიდან არის და სინამდვილეში რას საქმიანობს.

**რეზა:**

**— არავის სჯეროდა იმის, რასაც ვამბობდი. მუდმივად მიმეორებდნენ, რომ არ სჯეროდათ არც ერთი ჩემი სიტყვის, მემუქრებოდნენ, რომ გამგზავნიდნენ სომალიში და მომკლავდნენ.**

საიდუმლოებით მოცულმა გამტაცებლებმა რეზა ასაფრენ მინდორზე მიიყვანეს და თვითმფრინავში ჩასვეს. ოღონდ ეს პატარა გოლფ-სტრიმი კი არა, დიდი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი იყო.

**რეზა:**

**— ჩემთვის ვფიქრობდი, ნუთუ შეიძლება, ასე მომექცნენ-მეთქი. ჩემ შესახებ პოლიციამ იცოდა, ბრიტანულ MI-6-საც უნდა სცოდნოდა. ნუთუ შეიძლებოდა, რომ ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში მომხდარიყო? თვითმფრინავში რომ ჩამსვეს, ყველა რაღაცას ელოდა. გარკვეული დროის შემდეგ დავინახე სხვა მანქანები, სატვირთოები, რომელთაც სხვა პატიმრები მოჰყავდათ. მაშინ მივხვდი, რომ სადღაც მივყავდი და ეს ლონდონი ნამდვილად არ იქნებოდა.**

ამის შემდეგ პატიმარს თავზე მუქი ფერის ტომარა ჩამოაცვეს. თვითმფრინავი დაეშვა და სკოლის მასწავლებელი რაღაც საკანში შეაგდეს. როგორც გაირკვა, ეს სომალი იყო.

**რეზა:**

**— ჩემს მოპირდაპირე საკანში დავინახე ქალი და ხუთიოდე წლის ბავშვი. ეს წარმოუდგენელი იყო — ხუთი წლის ბავშვი ციხის საკანში... რეალობის შეგრძნება დავკარგე.**




> **«ჩემს მოპირდაპირე საკანში დავინახე ქალი და ხუთიოდე წლის ბავშვი. ეს წარმოუდგენელი იყო — ხუთი წლის ბავშვი ციხის საკანში... რეალობის შეგრძნება დავკარგე»**

მასწავლებელს გაუმართლა — ის იყო ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი, ვინც სომალიში ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

**რეზა:**

**— კამერაში შემოვიდა ვიღაც ადგილობრივი ჩინოვნიკი, რომელმაც მითხრა, რომ უნდა გავმგზავრებულიყავი. დამიბრუნეს დოკუმენტები, ტანსაცმელი; შემდეგ მოიტანეს ფეხსაცმელებით სავსე დიდი ჩანთა, წინ დამიყარეს და მიბრძანეს, ჩემები ამერჩია. იქ გაცილებით მეტი ფეხსაცმელი იყო, ვიდრე პატიმრები ვიყავით. ამით მივხვდი, რომ ბევრი ადამიანი ამ ციხიდან საერთოდ ვერ გადის.**

რეზამ არც ახლა იცის, სად არიან ის ადამიანები, რომლებსაც ოდესღაც მის წინ დაყრილი ფეხსაცმელები ეცვათ. ასევე არ იცის, რატომ წაიყვანეს სხვა ქვეყანაში და ჩააგდეს ციხეში, მაგრამ ახლა მას ამ კითხვების დასმისაც კი ეშინია...

**აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს შენობაში ყოფილი ტყვე ჟურნალისტებთან ერთად შევიდა. მას სურდა, რომ ეს საქმე ვაშინგტონში გამოეძიათ, რადგან გამტაცებლები ამერიკელებს ჰგავდნენ, ციხე კი — ამერიკულ სამხედრო ბაზას. მაგრამ სასამართლომ არ განიხილა სარჩელი და უმალ უარი თქვა მასზე. აშშ-ის უზენაესმა მოსამართლემ განაცხადა, რომ არსებობდა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების საფრთხე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შვედეთი. ქვეყანა, რომელიც ამაყობს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში საკუთარი გამოცდილებით და მშვიდი, წყნარი, საცხოვრებლად თუნდაც ცოტათი მოსაწყენი ქვეყნის რეპუტაციით. მაგრამ **2001 წლის 18 სექტემბერს სტოკჰოლმის აეროპორტში დაეშვა პატარა კერძო თვითმფრინავი გოლდსტრიმი. ბორტზე გაურკვეველმა ადამიანებმა შვედი პოლიციელების დახმარებით აიყვანეს ორი ადამიანი.**

**კიელ ჯონსონი, გატაცებული მუჰამედ ალ-ზერის ადვოკატი:**

— იმ დღეს ჩემს კლიენტს ვესაუბრებოდი ტელეფონით, როდესაც უცებ ვიღაცამ თქვა: — გათიშე ტელეფონი! — და კავშირი გაწყდა.

**მასუდ ანვარი, ჟურნალისტი:**

**— გატაცების მოწმეები ამბობენ, რომ ყველა გამტაცებელს სახეზე ნიღაბი ჰქონდა ჩამოცმული. ვიღაცამ მოახერხა, თვითმფრინავის კუდზე საბორტო ნომერი ამოეკითხა — N379P.**

თვითმფრინავში ტყვეები გააშიშვლეს, ბორკილები დაადეს და შავ ტომრებში „ჩააწყვეს“. საიდუმლოებით მოცული თვითმფრინავი, რომელიც აეროპორტის არანაირ საფრენ განრიგში არ იყო გატარებული, აფრინდა. მან სადღაც წაიყვანა შვედეთის ორი მცხოვრები, რომლებიც სახლში აღარასდროს დაბრუნებულან. მათ ცოლებსა და შვილებს ისინი აღარ უნახავთ...

**ჯულია ჰოლი, უფლებადამცველი, ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოჩის“ თანამშრომელი:**

**— წარსულში შვედეთს ჩვენ მივიჩნევდით ქვეყნად, რომელშიც ადამიანის სიცოცხლე ყველაფერზე მაღლა დგას. მაგრამ ეს შემთხვევა — ადამიანების გადაცემა ვიღაცებისთვის, შვედეთის ხელისუფლების მხრიდან ამაზე ადეკვატური რეაგირების არარსებობა — ძალიან უცნაურია.**

როდესაც უფლებადამცველმა ჯულია ჰოლმა გატაცების შესახებ რეპორტაჟი ტელევიზიით ნახა, მიხვდა, რომ ეს შემთხვევა მას ეხებოდა. უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ჯულია ადამიანების უკვალოდ გაუჩინარების შემთხვევებს იკვლევდა. **ხალხი ქრება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და პოლიციისთვის რაიმე კვალი თითქმის არასდროს რჩება, მაგრამ არის ამ გაუჩინარებებში რაღაც საერთო** და ჯულიაც სწორედ ამ საერთო ნიშანს ეძებდა.

**ჯულია ჰოლი:**

**— ვფიქრობ, რომ აქ საჭიროა დამოუკიდებელი გამოძიება. მხოლოდ ასე შეიძლება მდგომარეობის არსშის ჩაწვდომა.**

ჟურნალისტებმა ხალედ ალ-მასრისთან შეხვედრა მოახერხეს. **ერთადერთმა ადამიანმა, რომელიც გერმანიიდან გაიტაცეს, შინ დაბრუნება შეძლო. მისი მოგონებების საშუალებით შესაძლებელი გახდა იმის გაგება, თუ ვინ გაიტაცა და რატომ.**

ტყვეობაში ყოფნისას ხალედმა ყველაფერი უწვრილეს დეტალებამდე დაიმახსოვრა. იგი რამდენიმეჯერ გადაიყვანეს სხვადასხვა საკანში და პატიმარმა მოახერხა შენობის შიდა და გარე აგებულების შესწავლა. დაბრუნების შემდეგ მან შეადგინა იმ ციხის გეგმა, რომელშიც თითქმის ნახევარი წელი გაატარა. კოსმოსიდან გადაღებულ ავღანეთის ფოტოებზე მსგავსი ობიექტი არის. ეს ამერიკული სამხედრო ბაზაა.






**ხალედ ალ-მასრი:**

**— ძალიან მიხარია, რომ ბოლოსდაბოლოს დამრთეს ნება, ჩამოვსულიყავი აშშ-ში და ჩვენება მიმეცა სასამართლოსთვის. მე მჯერა ამერიკული იუსტიციის. ერთადერთი, რაც მსურს, არის ის, რომ მართლმსაჯულება აღსრულდეს.**

აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს შენობაში ყოფილი ტყვე ჟურნალისტებთან ერთად შევიდა. მას სურდა, რომ ეს საქმე ვაშინგტონში გამოეძიათ, რადგან გამტაცებლები ამერიკელებს ჰგავდნენ, ციხე კი — ამერიკულ სამხედრო ბაზას. მაგრამ **სასამართლომ არ განიხილა სარჩელი და უმალ უარი თქვა მასზე. აშშ-ის უზენაესმა მოსამართლემ განაცხადა, რომ არსებობდა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების საფრთხე.**

მოსამართლის ამ განცხადების შემდეგ ხალედის უფლებადამცველები აღშფოთებას ვერ მალავდნენ. მათი კომენტარით, ნაცვლად იმისა, რომ პატიება ეთხოვათ ჩვენი ანტიტერორისტული პოლიტიკის უდანაშაულო მსხვერპლისთვის, **ამერიკის შეერთებული შტატები ირწმუნება, რომ ფედერალურ სასამართლოში იმის განხილვა, რაც მთელმა დანარჩენმა მსოფლიომ უკვე ამ განხილვის გარეშეც მშვენივრად იცის, ზიანს მიაყენებს ნაციას.** ეს არგუმენტი არანაირ ნდობას არ იმსახურებს. **მას იყენებენ არა იმისთვის, რომ დაიცვან ნაციონალური უსაფრთხოება, არამედ იმიტომ, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა.**


კიელ ჯონსონი

**«იმ დღეს ჩემს კლიენტს ვესაუბრებოდი ტელეფონით, როდესაც უცებ ვიღაცამ თქვა: — გათიშე ტელეფონი! — და კავშირი გაწყდა»**

როდესაც ორი სხვადასხვა ადამიანის ფოტოები შეადარეს ერთმანეთს, **ჟურნალისტებმა დაადგინეს, თუ რის დამალვას ცდილობდა ამერიკის სასამართლო.** პირველ ფოტოზე ასახული წვერებიანი მამაკაცი ისლამისტი ტერორისტი ალ-მასრი იყო. მას 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ეძებდნენ. ცსს ვარაუდობდა, რომ იგი, შესაძლოა, ამ ტერაქტის ორგანიზებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მეორე ფოტოზე გამოსახული მამაკაცი კი გატაცებული ალ-მასრი გახლდათ.

ამ ორ ადამიანს ერთნაირი გვარი ჰქონდათ და გარეგნულადაც საკმაოდ ჰგავდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს ნიშნავდა იმას, რომ ცსს-ს თანამშრომლებმა ჯერ გაიტაცეს ადამიანი სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ცნობების შეგროვება. შესაძლებელია თუ არა ეს? ანუ **სახელმწიფო საიდუმლო, რომელსაც აშშ-ის უზენაესი სასამართლო იცავდა, ცსს-ს აგენტების მუშაობის მეთოდები იყო და იმ ოპერაციების გაუმჟღავნებლობა, რომელთაც ძალზე დელიკატურად უწოდებენ საგანგებო დავალებას, რათა საუბრისას სიტყვა „გატაცება“ არ გამოიყენონ.**

**ჯულია ჰოლი:**

— ეს საგანგებო დავალება იყო. ასე ეწოდება ადამიანთა გატაცებას ცსს-ს ჟარგონზე. ეს არის გატაცება-დაკავება, როდესაც ეჭვმიტანილს არანაირი შანსი არ აქვს, როგორმე წინ აღუდგეს მომხდარს, თუნდაც სულ მცირედ იქონიოს კანონიერი პროცესის იმედი.

მაგრამ როგორ შეიძლება, სადღაც წაიყვანონ გაკოჭილი და ნარკოტიკებით ძალით გაჭყეპილი ევროპის მოქალაქეები სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით მრავალი ქვეყნისა და მრავალი აეროპორტის გავლით?


ჯულია ჰოლი

**«ეს საგანგებო დავალება იყო. ასე ეწოდება ადამიანთა გატაცებას ცსს-ს ჟარგონზე. ეს არის გატაცება-დაკავება, როდესაც ეჭვმიტანილს არანაირი შანსი არ აქვს, როგორმე წინ აღუდგეს მომხდარს, თუნდაც სულ მცირედ იქონიოს კანონიერი პროცესის იმედი»**

**ევროპელი ჟურნალისტები სამი წლის მანძილზე იკვლევდნენ ევროპის თავზე ამოუცნობი თვითმფრინავების უცნაური ფრენის მარშრუტებს. თვითმფრინავების ფრენაზე დაკვირვების მოყვარულთა მიერ მოგროვილი მონაცემების და კერძო ფოტოგრაფების წყალობით, ჟურნალისტებმა რამდენიმე საეჭვო საბორტო ნომერი გამოთვალეს.**

ლუქსის ტიპის თვითმფრინავი საბორტო ნომრით N379P ჰოლივუდის ვარსკვლავებს არ ემსახურებოდა. მას შემთხვევითმა მოყვარულებმა ფოტოები დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან გადაუღეს. მისი და კიდევ რამდენიმე თვითმფრინავის რეისები სერავდა აშშ-ის, დანიის, შვედეთის, რუმინეთის, პოლონეთის, გერმანიის, უკრაინის, უზბეკეთის, ერაყის, ავღანეთის, ეგვიპტის, იორდანიის, სომალისა და სხვა ქვეყნების ცას. თვითმფრინავის პატრონებს ინტერესების ძალზე ფართო გეოგრაფია ჰქონდათ...


რობერტ ბაიერი



**ამერიკელი რობერტ ბაიერი სახლიდან გასვლისთანავე ბრბოს ერევა. თუნდაც მოკლე გზა ცარიელი ქუჩებით მიდიოდეს დანიშნულების ადგილამდე, იგი მაინც ხალხმრავალ და გრძელ გზას აირჩევს. იგი ამერიკული დაზვერვის ყოფილი აგენტია და მშვენივრად იცის, რომ დედამიწაზე არ არსებობს ადგილი, სადაც ვერ გიპოვნიან. არავინაა დაზღვეული საგანგებო დავალებისგან.**

ერთხელ მას ჰკითხეს, ხომ შეიძლება, პატარა გოლდსტრიმები ვიპ-ფრენებისთვის იყოს განკუთვნილი ან მომცრო ტვირთის, მაგალითად ყავის გადატანისთვის? მან კი უპასუხა, რომ **ეს არის სახელმწიფო სამსახურებრივი გადაზიდვები, ეს მთელი სტრუქტურაა და აღნიშნული თვითმფრინავები ნამდვილად არ გამოიყენება ყავის გადასაზიდად.**









**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი ამერიკის მასშტაბით დროებითი სამუშაო ეკონომიკის საფუძვლად იქცა და დღითიდღე იზრდება ის, რასაც მეცნიერები „დღიური მუშების ქალაქებს“ უწოდებენ. ეს, ხშირ შემთხვევაში, მჭიდროდ დასახლებული ლათინოამერიკული რაიონია, რომელშიც დროებითი დაქირავების უამრავი სააგენტოა, ან ეს არის ქალაქი, რომელშიც, ფაქტობრივად, შეუძლებელია სამსახურის შოვნა ფაბრიკაში ან საწყობში თვით პროფესიურ-ტექნიკური განათლების მქონეთათვისაც კი, თუკი მათ არ აქვთ დროებითი დაქირავების სააგენტოს მიმართვა.**

# სახარჯო მასალა

## როგორ იქცა დამანგრევლად კორპორატიული გიგანტების მკვებავი დროებითი დაქირავების სისტემა

**დღევანდელი ამერიკა მოფენილია დაქირავებული დღიური მუშახელის ქალაქებით, რომლებშიც ადამიანი ძნელად თუ იშოვის სამსახურს დროებითი დაქირავების სააგენტოს გვერდის ავლით, იქ კი მშრომელები იძულებულნი არიან, შეეგუონ ხელფასის გადაუხდელობას, ყოველგვარი შეღავათების არარსებობას და ტრავმების მაღალ მაჩვენებლებს. დილის ოთხ საათზე, როდესაც ჯერ კიდევ ყველაფერი დაკეტილია, იღება დასაქმების ბიუროს კარი და დარბაზი, რომელშიც ასობით პლასტიკატის სკამი დგას, სწრაფად ივსება სამუშაოს მაძიებლებით. შემდგომი სამი საათის მანძილზე დისპეტჩერები დაიძახებენ მათ სახელებს, რომელთაც დღეს გაუმართლათ და სამუშაო მიიღეს.**

მთელი ქვეყნის მასშტაბით დღიური მუშები დგანან ქუჩების კუთხეებში, რიგებში ან იცდიან ძველი ფურგონების სალონებში, რათა როგორმე მიაღწიონ საწყობებამდე, სადაც, შესაძლოა, რაიმე მოიძებნოს მათთვის. ზოგიერთი ფურგონი იმდენადაა გადავსებული, რომ სამსახურში მისაღწევად ადამიანები სხედან პროდუქტების ყუთებზე, უცნობი ადამიანების კალთაში ან სულაც ძირს, სხვათა ფერხთით.

**ეს მექსიკა, გვატემალა ან ჰონდურასი არ არის. ეს არის ჩიკაგო, ნიუ-ჯერსი, ბოსტონი...**

ეს ადამიანები არ არიან დღიური მუშები, რომლებიც შემთხვევით დამქირავებელთან ეძებენ შემთხვევით სამსახურს. ისინი არიან შტატიანი თანამშრომლები, რომლებმაც შტატიანი სამსახური იშოვეს დროებითი დაქირავების სააგენტოების საშუალებით ამერიკის მრავალი მსხვილი კომპანიის (Walmart, Macys, Nike, Frito-Lay) მომარაგების სისტემაში. ისინი ამზადებენ ამერიკელებისთვის გაყინულ პიცას, ახარისხებენ ნაგავს გადამუშავებისთვის, ჭრიან ბოსტნეულს სუპერმარკეტებისთვის და ასუფთავებენ იმპორტირებულ თევზეულს. ისინი ჩამოტვირთავენ საზღვარგარეთ დამზადებულ ტანსაცმელსა და სათამაშოებს და ფუთავენ სათანადოდ ამერიკის მაღაზიების თაროებზე დასამწკრივებლად. ისინი ისევე მნიშვნელოვანნი არიან მსოფლიო ეკონომიკისთვის, როგორც სატრანსპორტო კონტეინერები და აზიური სამკერვალო ფაბრიკების მკერავები.

**მრავალი მათგანი მინიმალურ ხელფასზე თანხმდება, ქირაობს უკვე ნანგრევებად ქცეულ სახლს, სადილად კარტოფილს და ლობიოს ჭამს და სიცოცხლეს საქველმოქმედო პროდუქტების ბანკებისა და გადასახადების გადამხდელთა მიერ დაფინანსებული ჯანდაცვით ინარჩუნებს. ისინი თითქმის არასდროს იღებენ დახმარებას და თითქმის არასდროს აქვთ დაწინაურების თუნდაც მინიმალური შანსი.**

**მთელი ამერიკის მასშტაბით დროებითი სამუშაო ეკონომიკის საფუძვლად იქცა და დღითიდღე იზრდება ის, რასაც მეცნიერები „დღიური მუშების ქალაქებს“ უწოდებენ. ეს, ხშირ შემთხვევაში, მჭიდროდ დასახლებული ლათინოამერიკული რაიონია, სადაც დროებითი დაქირავების უამრავი სააგენტოა, ან ეს არის ქალაქი, რომელშიც, ფაქტობრივად, შეუძლებელია სამსახურის შოვნა ფაბრიკაში ან საწყობში თვით პროფესიურ-ტექნიკური განათლების მქონეთათვისაც კი, თუკი მათ არ აქვთ დროებითი დაქირავების სააგენტოს მიმართვა.**

ივნისში აშშ-ის შრომის სამინისტრო იტყობინებოდა, რომ **ქვეყანაში დროებით სამუშაოზე უფრო მეტი ადამიანია დაქირავებული, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მათი რიცხვი 2,7 მილიონს აღწევს.** როგორც ფედერალური მონაცემებიდან ჩანს, 2009 წლის ვარდნის დასრულების შემდეგ სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდის ერთი მეხუთედი სწორედ დროებითი დაქირავების სამუშაოებზე მოდის. მაგრამ **ამერიკის საკადრო ასოციაციის მონაცემებით, სავაჭრო ინდუსტრიაში დროებით დაქირავებული მუშახელის წილი გაცილებით მეტია: ყოველწლიურად ყველა დასაქმებული ამერიკელიდან ყოველი მეათე სამსახურს საკადრო სააგენტოებში შოულობს.**

შრომით რესურსებში დროებითი დაქირავებულების რესურსმა პიკს 2000 წლის დასაწყისში მიაღწია, 2001 წლის მკვეთრი ვარდნის და მისი მომდევნო დიდი რეცესიის წინ. მაგრამ, ვინაიდან ეკონომიკა განაგრძობს ნელ, არათანაბარ აღდგენას, დღიური სამუშაო პოზიციას ათჯერ უფრო სწრაფად იმაგრებს, ვიდრე კერძო სექტორის დასაქმებულობა მთლიანობაში. საკადრო ასოციაციის აზრით, **ტემპები 1990-იანი წლების დრამატული ვარდნის დროინდელ ზრდის ტემპებსაც კი აღემატება. გასულ წელს ამერიკაში ყოველი მე-20 დასაქმებული დროებითი დაქირავების შეთანხმებით მუშაობდა.**







დროებითი დაქირავების რამდენიმე სააგენტო ამერიკაში უკვე უმსხვილესი დამსაქმებლების სიაშია.

დროებითი დასაქმების სისტემა იცავს კომპანიებს, რომლებიც ასაქმებენ სამუშაოს მძებნელებს და არიდებს მათ ამ ადამიანების პრეტენზიებს კომპენსაციების შესახებ, ასევე, გადასახადს უმუშევართა დასაქმების ფონდში, პროფკავშირულ მოძრაობას და იმ გარანტირების ვალდებულებას, რომ დაქირავებული პირები ქვეყნის მოქალაქეები ან ლეგალური იმიგრანტები იქნებიან.

თავის მხრივ, **ფედერალური ჩინოვნიკების განცხადებით და სამეცნიერო კვლევების თანახმად, დროებით დაქირავებულები, როგორც წესი, ეგუებიან მაღალი ტრავმატულობის რისკს, აუნაზღაურებელ საათებს და ხელფასს, რომელიც შრომის მინიმალურ ანაზღაურებაზე დაბალია.**

მიუხედავად საფონდო ბაზრის მაღალი ინდექსებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდისა, მრავალი მომუშავე დროებითი დაქირავების ან არასრული დასაქმების პრაქტიკას უბრუნდება. ეს ტენდენცია აძლიერებს ამერიკაში შემოსავლების არათანასწორობის მრავალწლიან ზრდას, რომლის დროსაც დაბალი და საშუალო ანაზღაურებით მომუშავეები ხედავენ, რომ მათი რეალური ხელფასი არ იცვლება ან იკლებს. დროებითი დაქირავებულები საშუალოდ 25%-ით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე საწარმოების შტატში მომუშავენი.

**ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ დროებით დაქირავების სისტემაში მომუშავეთა რაოდენობა ზრდას განაგრძობს რეცესიის შემდეგაც, ერთი მხრივ, ჯანდაცვის რეფორმის გამო, რაც, როგორც ამბობენ, აიძულებს დამსაქმებლებს, აიყვანონ დროებითი თანამშრომლები, რათა თავიდან აიცილონ სრულად დაქირავებული თანამშრომლების მომსახურების ხარჯები.**




დროებითი დაქირავებულებისთვის ყოველი დღე ლატარიაა. ისინი უნდა მივიდნენ დასაქმების სააგენტოში დილის ხუთის ნახევარზე და იცადონ. თუ გაუმართლებთ და მათ სახელს გამოაცხადებენ, ესე იგი იმ დღეს სამსახური აქვთ. ჩასხდებიან ფურგონებში ან ავტობუსებში და სამუშაო ადგილამდე თუნდაც 6 საათი იყოს სავალი, ეგრეთ წოდებული დამქირავებელი ამ დროს არ აუნაზღაურებთ.

**ამერიკის მთელ რიგ ქალაქებსა და ოლქებში ყოველი მე-14 დასაქმებული დღიური მუშაა. ამგვარ ქალაქებს შორისაა კალიფორნია და ლოს-ანჯელესიც. სამხრეთ კაროლინაში, BMW-ს ქარხანაში ყოველი მე-12 დასაქმებული დღიური მუშაა.**

დღიური მუშების ქალაქებში ხშირად შეხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაერთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე საწყობში მუშაობენ დღიურ მუშად. მაგალითად, ხოსე მიგელ როხო გაყინულ პიცას ფუთავდა Walmart-ისთვის ყოველ დღე მთელი რვა წლის განმავლობაში, ვიდრე ტრამვა არ მიიღო და უმუშევარი არ დარჩა. ▶

## გურამ მისაბიშვილი: ცენტრისტი დეპუტატი ვარ და მხარს იმ ხელისუფლებას დავუჭერ, რომელიც სწორი მიმართულებით მიდის

**სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურ გახსნაზე მცირე ინციდენტი მოხდა.**

არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები მშვიდობისთვის“ დამფუძნებლები სენაკის მაჟორიტარს, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დამოუკიდებელ დეპუტატ გურამ მისაბიშვილს დაუპირისპირდნენ და მისი ღონისძიებაზე მისვლა გააპროტესტეს.

ლალი ანთიასა და ინგა ქარდავას თქმით, გასულ წელს გურამ მისაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს წინასააარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელს უშლიდა და წინასაარჩევნო შეხვედრებზე ქვებით „შეიარაღებულ“ მოწინააღმდეგეებს უგზავნიდა.

ლალი ანთიას თქმით, თუ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი მისაბიშვილს და მსგავს ფიგურებს გვერდით დაიყენებენ, კოალიცია „ქართული ოცნება“ მომავალ არჩევნებს აუცილებლად წააგებს.

თავად გურამ მისაბიშვილის განცხადებით, იგი ცენტრისტი დეპუტატია და იმ ხელისუფლებას დაუჭერს მხარს, რომელიც სწორი მიმართულებით მიდის.

**პროფკავშირები თავიდანვე გვერდზე გადგნენ დღიური მუშების პრობლემებისგან, რადგან დროებითი დაქირავების სისტემამ თავიდანვე აუარა მას გვერდი. ამას დაემატა ახალი გადაწყვეტილება — შრომითი ურთიერთობების ნაციონალური სამმართველოს ბრძანებით, დროებით მომუშავეებს ეკრძალებათ მუდმივ თანამშრომლებთან გაერთიანება კოლექტიური მოლაპარაკებებისთვის.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზოგიერთი სახის საქმიანობაში შტატიანი თანამშრომლები მთლიანად ჩაანაცვლეს დღიური მუშებით. ფიზიკური შრომით დაკავებული ყველა ადამიანიდან ახლა ამერიკაში ყოველი მეხუთე დღიური მუშაა. ყოველი მეექვსე ასევე დღიური მუშაა საავტომობილო ქარხნებში.**

ნაწილობრივ დღიური მუშის პრაქტიკა ეხმარება ეკონომიკას, რადგან მთელ რიგ საწარმოებს ამის ხარჯზე საშუალება ეძლევათ, მხოლოდ სეზონურად ან დიდი შეკვეთების შემთხვევაში დაიქირაონ დამატებითი მუშახელი, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ამ პრაქტიკამ მანკიერი სახე მიიღო — **დღიურ მუშებს, რომლებიც ზუსტად იმავეს აკეთებენ, რასაც შტატიანი თანამშრომლები, უხდიან ბევრად უფრო ნაკლებს, ვიდრე შრომის მინიმალური ანაზღაურებაა. ამერიკაში, სულ მცირე, 840 ათასი დღიური მუშა, შრომის ფედერალური ბაზრის მონაცემების თანახმად, წელიწადში 25 ათას დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს.**

**დასაქმების სააგენტოებში დღიური მუშების სამუშაოზე გაშვების პროცესი ძალიან ჰგავს იმას, რაც ისტორიულ პორტებში ხდებოდა, როდესაც სამუშაოს მძებნელები პირდაპირ გამწკრივდებოდნენ ხოლმე ბოსის წინ და ისიც სათითაოდ არჩევდა მუშებს.**

1960 წელს ედვარდ რ. მეროუმ გამოაქვეყნა რეპორტაჟი სახელწოდებით „სირცხვილის მოსავალი“, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო მუშების მძიმე მდგომარეობას ასაბუთებდა. დღეს ინფლაციის გათვალისწინებით ამერიკაში დღიური მუშები გამოიმუშავებენ იმდენივეს, რამდენსაც მეროუს ნაშრომის გმირები. პროდუქცია კვლავაც იცვლება. თუ 50 წლის წინ მუშები ხან მარწყვს კრეფდნენ, ხან კი — პომიდორსა და სიმინდს, ახლა ისინი უზარმაზარ საწყობებში ხან ვალენტინობის დღისთვის ფუთავენ ტკბილეულს, ხან კი — ტანსაცმელსა და სათამაშოებს — საშობაოდ.

**ამერიკაში დასაქმებულებს შორის 11%-ს შავკანიანები შეადგენენ, დღიურ მუშებს შორის კი მათი რაოდენობა 20%-ს აღემატება. ბევრ ქალაქში სააგენტოებმა მოაწყვეს მთელი რაიონები, რომლებშიც მასობრივად ცხოვრობენ დოკუმენტების არმქონე იმიგრანტები, რომლებიც კიდევ უფრო ნაკლებ ხელფასზე მუშაობენ.**

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ დღიური მუშების გამოყენება ბუნებრივი გზით გახშირდა, მაგრამ ათი წლის წინ „აუტსორსინგი“ მხოლოდ სიტყვა იყო, **დროებითი დაქირავების ინდუსტრია კი ატარებდა კამპანიას, რათა დაერწმუნებინა ამერიკის კორპორაციები, რომ მუდმივი მუშახელის დაქირავება მხოლოდ ზედმეტი ტვირთია.**

ეს ინდუსტრია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. იმ პერიოდში თითქმის ყველა შტატში მოქმედებდა კანონი, რომელიც არეგულირებდა დასაქმების სააგენტოების მოღვაწეობას და მოწოდებული იყო, შეეჩერებინა ევროპელი იმიგრანტებისგან შეუსაბამოდ დიდი მოსაკრებლის ბოროტად გამოყენება. უწოდებდნენ რა დროებით სამუშაოს ახალ დარგს, დროებითი დაქირავების მსხვილი ფირმები წარმატებით ლობირებდნენ კანონების ისე შეცვლას, რომ ისინი გამოყენებული ყოფილიყო დროებითი დასაქმების ფირმებისთვის.

**1960-იან წლებში ისეთი სააგენტოები, როგორებიცაა Kelly Services და Manpower საკუთარ საქმიანობას რეკლამას უკეთებდნენ, როგორც დიასახლისებისთვის ჯიბის ფულის შოვნის საშუალებას. ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ თანამშრომლებს, რომლებიც თანახმანი იყვნენ, რომ კომპანიების მფლობელებს მათზე პასუხისმგებლობა არ ეკისრათ. ეს თემა დღემდე განაგრძობს მოქმედებას აღნიშნულ ბიზნესში.**

„კელის გოგონების“ ერთ-ერთ განცხადებაში, რომელიც 1971 წელს გამოქვეყნდა და რომელსაც „გოგონა-ოცნება“ ჰქვია, წერია:

**„არასდროს ითხოვს შვებულებას ან დასვენებას დღესასწაულზე. არასდროს ითხოვს ხელფასის მომატებას. არ დაგიჯდებათ არც ერთი ცენტი, როდესაც არ გაქვთ მისთვის სამუშაო (როდესაც სამუშაოს მოცულობა მცირდება, თქვენ მას დაითხოვთ სამსახურიდან). არასდროს გაცივდება, არასდროს ასტკივდება წელი ან კბილი (ყოველ შემთხვევაში, თქვენთან მუშაობის პერიოდში!). თქვენ არ დაგჭირდებათ გადასახადის გადახდა უმუშევართა დახმარების ფონდში და სოციალურ დაზღვევაში (ამასთან, არავითარი დოკუმენტები!). თქვენ არასდროს მოგიწევთ დამატებითი შეღავათების გაწევა და ხელფასზე დანამატების გაცემა (რაც ჩვეულებრივ ანაზღაურებად უწყებებში ყოველ დოლარზე 30 ცენტს შეადგენს). თუ თქვენ მიერ დაქირავებული გოგონა არ იქნება წარმატებული, არაფერს გადაიხდით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ყველა გოგონას შესაძლებლობებში“.**

ამის შემდეგ დღიური მუშების ბიზნესი სწრაფი ტემპებით იზრდებოდა და უკანასკნელ პერიოდში დროებითი დაქირავების ფირმებმა წარმატებით გაუწიეს ლობირება კანონების საიმისოდ შეცვლას ამერიკის 31 შტატში, რომ მუშებმა, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო ადგილები, ვერ მიიღონ უმუშევრობის შემწეობა, ვიდრე მათ არ გაამწესებენ დროებითი დაქირავების ფირმაში და არ შესთავაზებენ სხვა დანიშნულებას.




**დასაქმების სააგენტოებში დღიური მუშების სამუშაოზე გაშვების პროცესი ძალიან ჰგავს იმას, რაც ისტორიულ პორტებში ხდებოდა, როდესაც სამუშაოს მძებნელები პირდაპირ გამწკრივდებოდნენ ხოლმე ბოსის წინ და ისიც სათითაოდ არჩევდა მუშებს**

**დღიური მუშები, როგორც წესი, ლამის ნანგრევებში ცხოვრობენ, მათთვის საწოლის ფუნქციას დამტვრეულ იატაკზე დაგდებული მატრასი ასრულებს, ოთახებს შორის კარს ზეწრები ცვლის, ვირთხებისგან თავის დასაცავად კი იატაკის ღრიჭოები ნაჭრებით აქვთ ამოქოლილი.** ისინი, როგორც წესი, რამდენიმე ერთად ცხოვრობენ და საერთო აბაზანა-ტუალეტს მეზობლებთანაც ინაწილებენ. ამგვარი ბინების დაქირავება დღიურ მუშებს თვეში 450-500 დოლარი უჯდებათ. **მათ შორის არაერთი ემიგრანტია და ისინი იმ ფულიდან, რომელსაც ამგვარი ტანჯვა-წამებით შოულობენ, ძირითად ნაწილს სამშობლოში ოჯახებს უგზავნიან.**

დროებითი დაქირავების სააგენტოში დილის ხუთ საათზე პირველი „დასაქმებული“ ჯგუფის ბედნიერი წევრების სახელებს აცხადებენ. იქ ამბობენ, რომ მუშებს უფასო ტრანსპორტი ელით სამუშაო ადგილამდე მისაყვანად, სინამდვილეში მათ ეს ტრანსპორტი იმისთვის სჭირდებათ, რომ მუდმივ კლიენტებს — მსხვილ დამქირავებელ ფირმებს — საჭირო დროს საჭირო რაოდენობის მუშა მიუყვანონ. ასე გაჩნდა დროებითი დაქირავების ფურგონების სისტემა, რომელსაც, ცხადია, დროებითი დაქირავების სააგენტოები ჰყავს კლიენტებად. დღიური მუშები სამსახურში წასვლასა და უკან დაბრუნებაში დღეში 7-8 დოლარს ხარჯავენ.

როგორც წესი, 15-ადგილიან ფურგონში 22-მდე ადამიანს ტენიან. გამოიყენება ხის ჩასადგმელი სკამებიც, საბარგულიც, საბავშვო დასაჯდომებიც...

**დღიური მუშების ბიზნესის კიდევ ერთი რგოლია თავად მუშების უფლებადამცველი ორგანოები. მათი დახმარებით, შესაძლოა, ეს ადამიანები უფრო აქტიურები ხდებიან, მაგრამ მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ კვლავ დღიური სამუშაო რჩება.** ამ ორგანიზაციებში ხანდახან რომელიღაც დღიური მუშა ოთახის ცენტრში დგას და ითხოვს, რომ აღარ აიძულონ, ანაზღაურების გარეშე ელოდოს სამუშაო საათების დაწყებას, მისცენ საშუალება, პირდაპირ სამუშაო ადგილზე წავიდეს, დილის 4 საათზე დასაქმების სააგენტოში გამოცხადების გარეშე, აღარ ჩატენონ ფურგონებში არაადამიანურად და ასე შემდეგ. ორგანიზაციის წარმომადგენლები მის ლაპარაკს მობილურ ტელეფონზე იწერენ.

**პროფკავშირები თავიდანვე გვერდზე გადგნენ დღიური მუშების პრობლემებისგან, რადგან დროებითი დაქირავების სისტემამ თავიდანვე აუარა მას გვერდი. ამას დაემატა ახალი გადაწყვეტილება — შრომითი ურთიერთობების ნაციონალური სამმართველოს ბრძანებით, დროებით მომუშავეებს ეკრძალებათ მუდმივ თანამშრომლებთან გაერთიანება კოლექტიური მოლაპარაკებებისთვის.**

დროებითი დაქირავების მზარდი სექტორი არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი მომუშავეების ცხოვრების დონე რამით გააუმჯობესოს. ფედერალური ორგანოების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, დროებითი დაქირავების სააგენტოები ყველაზე უარეს მაჩვენებლებს აფიქსირებენ მსხვილ ორგანიზაციებს შორის ანაზღაურებისა და იმ დარღვევების მიხედვით, რომლებიც სამუშაო დროს ეხება. უკანასკნელი ანგარიში, რომელიც შრომის სამინისტრომ 2005 წელს დაწერა, ადასტურებს, რომ **დროებითი დაქირავების სექტორში მხოლოდ ოთხ პროცენტს აქვს პენსია, მათგან მხოლოდ რვა პროცენტი იღებს დაზღვევას. დანარჩენებს დამსაქმებლები ამ სიკეთეებით არ უზრუნველყოფენ და ისინი კუთვნილ მინიმალურ სოციალურ გარანტიებს გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე იღებენ სახელმწიფოსგან.**

ჯანდაცვის რეფორმის შემდეგ დამსაქმებელი ვალდებულია, ჯანმრთელობის დაზღვევა აანაზღაუროს ყველასთვის, ვისაც კვირაში 30 საათზე მეტ ხანს ამუშავებს, დღიურ მუშებს კი ეს არ შეეხებათ, რადგან, შიდა საგადასახადო სამსახურის დადგენილებით, კომპანიას აქვს ერთ წლამდე დრო, რათა თანამშრომლის კვალიფიკაცია შეაფასოს.

ამერიკაში ხელისუფლება აკონტროლებს თითქმის ყველა სხვა დარგს, მაგრამ სტატისტიკასაც კი არ აწარმოებს დროებით დაქირავებულთა ტრავმატიზმთან დაკავშირებით. **ვაშინგტონში საწარმოო ტრამვების გამო კომპენსაციების გაცემის შესწავლამ აჩვენა, რომ სამშენებლო და სამრეწველო დარგის დროებით დაქირავებულებს ტრამვის მიღების ორჯერ მეტი საფრთხე ემუქრებათ, ვიდრე შტატში მომუშავეებს.**

2011 წელს ჩიკაგოში დღიური მუშა ლიმონმჟავამ მოკლა. მუშას მთელ ტანზე ტყავი გადასძვრა, შამპუნების კომპანიამ კი სასწრაფო დახმარებასაც კი არ გამოუძახა. 2012 წელს დღიური მუშა პირველივე დღეს გაჭყლიტა მანქანამ, რომელიც საქონელს პოდონებზე აწყობდა. ასეთი შემთხვევა უამრავია.

**უკანასკნელ ორ წელიწადში კონგრესის წევრებმა განსახილველად წარადგინეს რამდენიმე კანონპროექტი, რომლებმაც დროებით დაქირავებულები უნდა დაიცვას. კომიტეტს ერთიც არ გასცდენია. სახელმწიფოებრივ დონეზე მცდელობებსაც იგივე წინააღმდეგობები შეხვდა.**

მასაჩუსეტსის შტატში ძალაში შევიდა რაღაც კანონი დროებით დაქირავებულთა უფლებების დაცვის თაობაზე, რომელიც ითხოვს, რომ დროებითი დაქირავების სააგენტომ მუშებს წერილობით გააცნოს პირობები და არ გადაუხადონ მათ დადგენილ მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. მსგავსი კანონპროექტები დაამტკიცეს ნიუ-ჯერსისა და ილინოისშიც. მაგრამ ამ კანონებს ებრძვის ამერიკის საკადრო ასოციაციის მორალური კოდექსი, რომლის მტკიცებითაც დღიურ მუშებზე უნდა ვრცელდებოდეს ყველა ის პირობა, რომლებიც მუდმივ თანამშრომლებს ეხებათ.

**იმ შტატებშიც კი, რომლებშიც დღიური მუშების მინიმალურად დასაცავად აღნიშნული კანონები მიიღეს, ამ კანონების გვერდის ავლის უამრავი გზა მოიძებნა. მაგალითად, ილინოისში დროებითი დასაქმების სააგენტოებს აეკრძალათ სამუშაო ადგილამდე დღიური მუშების მიყვანისთვის მათგან საფასურის მოთხოვნა.** სააგენტოებმა კანონს გვერდი აუარეს „რაიტეროსის“ საშუალებით. ეს უკანასკნელნი მოქმედებენ, როგორც სააგენტოების რაიონული შრომითი ბროკერები და სწორედ ისინი ახორციელებენ სამუშაო ადგილამდე მუშების გადაყვანის საფასურის ამოღებას მათგან. კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ სამუშაოს მძებნელებს დაქირავების შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა მიაწოდონ, მაგრამ ასეთ შეტყობინებას, როგორც წესი, არავინ იღებს. **დღიური მუშები კვლავაც დილის 4 საათიდან სხედან დასაქმების სააგენტოს დარბაზში და ელიან ბედნიერ წუთს. ხშირად კი მათ სახელს არავინ აცხადებს. ისინი მიდიან ოპერატორთან და საკუთარ გვარს უსახელებენ, რომ კიდევ ერთხელ გადაამოწმებინონ, რაიმე ხომ არ გამორჩათ. ოპერატორი კი ცივად პასუხობს, რომ მათთვის დღეს სამუშაო არ არის...**

PROPUBLICA.ORG

## ნანა კაკაბაძე: დღევანდელი ხელისუფლება არის ნაძირლებისა და კრიმინალების ხელისუფლება

არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი — ნანა კაკაბაძის განცხადებით, „თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან გათავისუფლებული გიორგი გაბედავას დაკავება უკანონო იყო, რადგან მას არაფერი დაუშავებია, თავისთვის იდგა და უმიზეზოდ დაიჭირეს“.

„100 კაცი უყურებდა და ყველა ტელევიზიამ დააფიქსირა, თუ რა ხდებოდა ადგილზე და ახალიას ადვოკატმა ონიანმა როგორ შეურაცხყოფა მიაყენა გიორგი გაბედავას. დღევანდელი ხელისუფლება არის ნაძირლებისა და კრიმინალების ხელისუფლება. ესენი ბაჩო ახალიას გაასამართლებენ და მას ციხეში გაუშვებენ?! პოლიციელები იდგნენ, უყურებდნენ, რაც ხდებოდა და ონიანს ხელი ვერ ახლეს. ესენი სამართალს ვერ აღადგენენ, სამართალი ხალხმა უნდა აღადგინოს. დემოკრატია ლობიოს ჭამა არაა, დემოკრატია წესრიგს და სამართლიანობას ნიშნავს,“ — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

შსს-ს ცნობით, გაბედავას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — წვრილმანი ხულიგნობა ედება ბრალად.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკასთან მეგობრობა და პარიტეტულ საწყისებზე პარტნიორობა იმიტომ მინდა, რომ, როგორც პატარა ქვეყანამ, თვითმყოფადობა შევინარჩუნო და ეროვნულობა გადავირჩინო. იმიტომ ვიღებთ ამდენ მსხვერპლს, რომ ქვეყანა მსოფლიოს რუკაზე არ წაიშალოს. აბა, თუ ტრადიციებს დამავიწყებ, ეროვნებას წამართმევ, წინაპრებისა და უფროსებისადმი პატივისცემას დამაკარგვინებ, ასეთი არც ევროპა მინდა და არც ამერიკა.**

# «ძირს დრომოჭმული ქართული ტრადიციები, გაუმარჯოს ევროპას და ჩვენი ქვეყნის პედერასტიზაციას»!



**ძალზე გამაღიზიანებელი და მდგომარეობიდან გამომყვანია ამ ვითომდა, ე. წ. ადამიანის უფლებათა დამცველი ასობით ორგანიზაციის გააქტიურება, და დიდი წუხილი 17 მაისს მომხდარი ინციდენტის ირგვლივ. უკვე აუტანელი და ამაზრზენი გახდა მათ მიერ ყბადაღებული ძახილი უმცირესობის მსხვერპლად, ხოლო ქვეყნის პატრიოტი უმრავლესობის აგრესიულ ბრბოდ მოხსენიება. იცავ პედერასტების უფლებადამცველ 45 წარმომადგენელს და არაფერს ამბობ მათ წინააღმდეგ გამართულ მიტინგში მონაწილე 50 ათასამდე თბილისელის უფლებებზე. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ეს ლიბერასტი უფლებადამცველები ჯერჯერობით მოთელვის ფაზაში არიან და უფრო დიადი მიზნის, „ერთსქესიანი ქორწინების“, დასაკანონებლად ნიადაგს სინჯავენ. თავს არ ზოგავენ და ყველაფერს აკეთებენ, რათა მასონური პოლიტიკის გატარებაში ვალში არ დარჩნენ და უფრო მეტი სამსახური გაუწიონ თავიანთ ოკეანისგაღმელ პატრონებს.**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ამ უფლებადამცველთა უმეტესობა სიმართლისა და ობიექტურობის სამსახურში კი არა, თავისი მფარველების, ანუ დამფინანსებლების დაკვეთების შესრულებასა და მათი ინტერესების დაკმაყოფილებაში არიან ჩართულნი. მოკლედ, **დაფინანსება რომ არ შეუწყდეთ და ფული ჰქონდეთ, ამისათვის ყველაფერს კადრულობენ და ობიექტურობას, სიმართლესა და ქვეყნის ინტერესების დაცვას დიდად არაფრად დაგიდევენ.**

**ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია და გამოირჩევა ქ-ნი ნინია კაკაბაძე. ამ ვითომ უფლებადამცველი ქალბატონის ქმედებები გამაღიზიანებელ სფეროს ბევრად სცილდება და ამაზრზენი ხდება.** როგორც ჩანს, ქ-ნ ნინიას, ამ მხრივ რაღაც სერიოზული პრობლემები თვითონ აქვს, თორემ მარტო ფულისთვის, არა მგონია, ადამიანი ასე გამომწვევად იქცეოდეს, ასე გამწარებული თავს იკლავდეს და მედგრად იცავდეს, ამ გადახრების მქონე ავადმყოფ თუ ზნედაცემულ უმცირესობას. **წამდაუწუმ ახსენებენ 17 მაისს და ხმას არ იღებენ 7 ნოემბერსა და 26 მაისზე. ერთ ამბავს ტეხენ და ხმაშეწყობით გაჰკივიან, არავითარ შემთხვევაში წამების ვიდეომასალა არ უნდა გამოქვეყნდეს და იგი მოსახლეობის ფართო მასებმა არ უნდა ნახონო, რადგან ამით დაზარალებულთა უფლება დაირღვევაო.**

ქ-ნო ნინია, ამათი უფლებები, კარგახანია, დაირღვა, ღირსებაც შეულახეს და ოჯახიც წაუბილწეს. ახლა ეს ვიდეომასალა გინდ გამოაქვეყნე და გინდა არა, ამით მათთვის არც არაფერი შეიცვლება. **სად იყავით მაშინ, როცა ამ ადამიანებს აწამებდნენ, არაადამიანურად ექცეოდნენ და მათი უფლებები მართლა ირღვეოდა. ამასთან, არაფერს ამბობთ და მიჩუმათებულია ამ წამების უშუალო ორგანიზატორები და შემსრულებლები. ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, წამების ამსახველი ვიდეომასალა გამოქვეყნდეს თუ არა. ყოველდღიურად ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობით იწყებს მუშაობას ყველა საინფორმაციო საშუალება.** ამ საკითხის გადაწყვეტა ისეთ ხარისხშია აყვანილი, თითქოს ქვეყანაში სხვა ყველაფერი მოგვარებულია და მხოლოდ ერთი პრობლემაა დარჩენილი. **სირცხვილია, როცა ქვეყნის უმთავრესი პრობლემის, აფხაზეთისა და ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების გზებისა და საშუალებების ძიებაზე ამის ნახევარი ძალისხმევითაც რომ არ მიმდინარეობს მსჯელობა. არ მახსენდება შემთხვევა, ამ ე. წ. უფლებადამცველებს ამაზე ისე აქტიურად ებრძოლოთ, როგორც უმცირესობის დასაცავად.** ამ ვიდეომასალების განადგურებაზე კი, თანაც რაც შეიძლება მალე, მთელი ქვეყანაა შეყრილი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ვიდეომასალებში მისი განადგურების მომხრეთა უმრავლესობაზე კომპრომატებია დადებული და მისი გამჟღავნების ეშინიათ.

**ქვეყანაში ასობითაა ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაცია და რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს წამებები და ადამიანთა ასეთი გახშირებული უფლებების დარღვევა, მათ თვალწინ ხდებოდა. უფრო სამწუხარო ისაა, რომ მათ აღსაკვეთად და რაიმე პრევენციული ზომების გასატარებლად ამ ე.წ. უფლებადამცველთა როლი ნულის ტოლია.** თუ ორგანიზაცია თავის მოვალეობას ვერ ასრულებს და ადამიანთა იმედებს ვერ ამართლებს, მაშინ რაღა საჭიროა ასეთი ორგანიზაციები; მარტო იმისათვის, რომ გრანტები ჩაიჯიბონ და პოსტფაქტუმ იყვირონ, აი, ამა და ამ ადამიანის უფლება დაირღვაო? **თქვენ ყოველთვის იმას გაიძახით და ახმოვანებთ, რასაც თქვენი პატრონი და მამამარჩენალი დამფინანსებელი მეგობრები გკარნახობენ ოკეანის გაღმიდან. თქვენთვის მთავარია, არ შეგიწყვიტონ დაფინანსება, დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს და დიდად არ გადარდებთ, მათი კარნახის შესრულება ქვეყნის ინტერესებიდანაა გამომდინარე თუ ეწინააღმდეგება მას.** დროა, ქვეყნის ინტერესებისადმი ასეთი ტენდენციური დამოკიდებულება დამთავრდეს და იგი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სასარგებლოდ შეიცვალოს. **რაც შეეხება ვიდეოკადრებს, ის საქართველოს მთელმა მოსახლეობამ უნდა ნახოს, რათა ქართველი ხალხი საბოლოოდ დარწმუნდეს, თუ რა სატანური ხელისუფლება გვყავდა „ნაციონალური მოძრაობის“ სახით და როგორ ექცეოდა საკუთარ მოსახლეობას ამ 9 წლის მანძილზე.**

ამ „ნაციონალებისა“ და მათი ნარჩენების მხრიდან ავადმყოფურ აზროვნებასა და უნამუსობას მართლა არ აქვს საზღვარი.

საფრანგეთის პარლამენტის მიერ 2013 წლის 23 აპრილს ერთსქესიანი ქორწინების კანონის მიღებასა და ამ კანონის დაკანონებაზე პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის მიერ ხელის მოწერის გამო ცნობილმა ფრანგმა მემარჯვენე ისტორიკოსმა, 78 წლის დომინიკ ვენერმა 2013 წლის 21 მაისს, პროტესტის ნიშნად, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინ თავი მოიკლა. ამას მოჰყვა ამ საკითხთან დაკავშირებით პარიზის ქუჩებში ადრე გამართული ხალხმრავალი საპროტესტო აქციების განახლება, რომელმაც მ. წ. 26 მაისს ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უკვე 150 ათასი პარიზელი გამოიყვანა ქუჩაში. **არა მგონია, საქართველო საფრანგეთზე მეტად დემოკრატიული ქვეყანა იყოს, რომ ერთი ამბავი ატეხეს ამ პედერასტებმა და მათმა მხარდამჭერმა ვაიდე-** ▶

# და იტანჯება ენა ქართული...

**მოკრძალებული პენსია საშუალებას არ მაძლევს, პრესას ძირეულად გავეცნო, მაგრამ რამდენიმე გაზეთის ყიდვას მაინც ვახერხებ. სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემასაც ვადევნებ თვალყურს და ვრწმუნდები, დღევანდელ საქართველოში ქართული ენის სიწმინდეს ძალიან შემოაკლდა ქომაგი. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ბევრი გაზეთი და ჟურნალი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. სხვადასხვა სახის მასალები ისე იკითხება, თითქოს ერთი ავტორის დაწერილია. განსაცვიფრებელია, გაუთავებელ ინტრიგებზე, ლანძღვა-გინებაზე, ჭორებზე, აყალ-მაყალზე, პიარზე როგორ კოწიწდება და იჩეკება ამდენი მასალა. ზღვა რეპორტაჟებში, ინტერვიუებში, სტატიებში, შოუებში საქმიან პუბლიკაციებს იშვიათად თუ წააწყდება ადამიანი.**

**ქართულ ენას უცხო სიტყვები ისე მოეძალა, როგორც ციცინათელებით აციმციმებულ წყნარ საღამოს გადაგვარებული ღამურები. ასე თუ გაგრძელდა, რუსთაველის ენა თვითმყოფადობას თვალსა და ხელს შუა დაკარგავს. მეცნიერების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების უცხო სიტყვების კორიანტელში ხშირად ქართული სიტყვა უმწეობის ტყვეობაშია.** სხვადასხვა ერის ენების ისტორიაში არის ტერმინები, რომლებიც გარკვეული ეპოქების მაჯისცემაზეა მორგებული. იმ ქვეყანას, რომელსაც ხელმწიფე მართავდა, ქართულად სახელმწიფო ერქვა. ხელმწიფე ორი სიტყვის შენაერთია. **ხელი** ადამიანის სხეულის უმთავრესი ნაწილია, რომელიც ტვინის უჯრედებში წარმოქმნილი აზრების აღსრულებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. **მწიფე** კი ზრდასრულობას ნიშნავს. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ როგორი გამჭრიახობითა და სიფრთხილით ეკიდებოდნენ ჩვენი წინაპრები ქართულ სიტყვიერებას. **ხელმწიფემ** წარმოშვა სიტყვა **სახელმწიფო**. თუ ახლა ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოა, სადაა მაშინ ხელმწიფე? კაცმა რომ თქვას, მაშინდელი გულიანი ხელმწიფე გაცილებით სჯობდა დღევანდელ ზოგიერთ უგულო პრეზიდენტს.

**ავიღოთ სიტყვა „პრეროგატივა“.**

მის ნაცვლად **უფლება** ან **უპირატესობა** რომ გვეხმარა, რაიმე დაშავდებოდა? ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას ვაშენებთ, — გაუთავებლივ ისმის მავანთაგან. დემოკრატიაც და რესპუბლიკაც ხალხის მმართველობას ნიშნავს. საკითხავია, ქვეყანას, რომლის ხელისუფლებაც ხალხის ხმას არაფრად აგდებს, შეიძლება რესპუბლიკა უწოდო? ვინც ამ სიტყვების კეკლუცობას უწყობს ხელს, არაა იგი ქვეყნის მოჭირნახულე მამულიშვილი. **ჩვენი ერისთვის სიტყვა „პარლამენტიც“** შეუფერებელია. **სომხეთმა მთავარ საკანონმდებლო ორგანოს „ეროვნული კრება“** რომ დაარქვა და აზერბაიჯანმა **„მილი მეჯლისი“,** შეცდნენ ვითომ? ანდა პარლამენტის ხელმძღვანელს „სპიკერი“ რომ დავარქვით, ამით პარლამენტმა მუშაობას მოუმატა? **ამიხსენით, რით სჯობს ინგლისური „სპიკერი“** ქართულ **„თავმჯდომარეს“** ან კიდევ ქართული **„საკრებულო“** ფრანგულ **„პარლამენტს“** რაიმეთი ჩამოუვარდება? სიტყვა **„იმპიჩმენტის“** წარმოთქმის დროს ახლაც ბევრი იტეხს ენის წვერს. თუ პრეზიდენტი ქვეყნის კონსტიტუციას ხშირად არღვევს და ხალხისადმი მიცემულ დაპირებებს არ ასრულებს, საჯაროდ გამოუცხადე მას **უნდობლობა,** გამოაცალე საყრდენ-სავარძელი და მორჩა, ამით თვითონაც მოისვენებს და ხალხიც.

ქართული ენის კამკამა მდინარე ეკონომიკური ტერმინების ნიაღვარმაც საკმაოდ აამღვრია. **„სუპერმარკეტი“, „ბიზნესი“, „მენეჯმენტი“, „ბარმენი“** და ვინ მოთვლის, რამდენმა უცხო სიტყვამ ფითრივით და ხვიარასავით მოიმძლავრა სამყოფელი ქართული ენის მუხის ტოტებზე. **უცხოეთის მიერ აგერ ახლახან ვითომ სასარგებლოდ შემოგდებულმა სიტყვამ „კოაბიტაციამ“** ხომ მთლად აურია და აუწეწა წინსავალი გზა საღათას ძილში მყოფ, გამძლეობისადმი იმუნიტეტდაქვეითებულ საქართველოს. მოზღვავებული უცხო სიტყვების ასე უპრინციპოდ დანერგვით როდემდე უნდა გაგრძელდეს დაკნინება იმ ენისა, რომელიც ამდენ საიდუმლოს ინახავს და, შესაძლოა, ახლო მომავალში იგი დედამიწაზე არსებულ ენათა შორის საწყის ენად აღიარონ.

**ხშირად ქართული ენის უპატივცემულობაზე მიანიშნებს სხვადასხვა უცხოური თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ადმინისტრაციულ შენობებზე მიკრული აბრები თუ წარწერები, რომლებზეც დარღვეულია სახელმწიფო და უცხოური ენების რიგითობა და ზოგჯერ გრამატიკული შეცდომებიცაა დაშვებული.**

ჩვენს ენას უცხო ენიდან გადმოღებული კალკებიც აკნინებს. ენის თავისუფლად და ბუნებრივად განვითარება მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაშია შესაძლებელი. როცა ერთი ერის ენა თავისუფალია მეორე ერის ენის ზემოქმედებისგან, მაშინ ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის გამომხატველი სიტყვებიც თვითმყოფადი, ბუნებრივი და ეროვნულგენიანია. ქართული სიტყვა **„ცისარტყელა“** იმდენად ზედმიწევნით გამოხატავს მზისა და წვიმის წვეთების ფონზე ცაზე შვიდფერა რკალის გამოჩენას, რომ, ალბათ, შეუძლებელია ამ მოვლენის ამსახველი უფრო პოეტური და ზუსტი სიტყვის მიგნება. არანაკლებ დიდებულია ამ ბუნებრივი მოვლენის ამსახველი რუსულენოვანი სიტყვაც **„რადუგა“**, ანუ სიხარულის მომგვრელი შვიდფერა რკალი. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ეს სიტყვები ერთმანეთის ზეგავლენის გარეშე შეიქმნა. ამგვარი ▶

ცნობისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთ-საქართველოს ომის გამოცდილებამ ესტონეთს აჩვენა, რომ ის კარგად ინტეგრირებული და განსწავლული უნდა იყოს ნატოსთან ურთიერთქმედებისთვის, მაგრამ ამავე დროს ესტონეთმა უნდა იზრუნოს საკუთარი თავდაცვის დამოუკიდებელ შესაძლებლობებზე.**

**მოკრატებმა, ამერიკული ფულით ნასაზრდოებმა ბოკერია-ჩერგოლეიშვილებმა, ნინია კაკაბაძეებმა, თუთბერიძეებმა და თავისუფლების ინსტიტუტიდან გამოჩეკილმა მათმა მსგავსმა ლიბერასტებმა, რომლებიც თურმე მათ უფლებებს იცავენ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არც ერთი პედარასტი, რომელსაც პრეტენზია გამოეთქვას, რომ ვინმეს მისი უფლებები დაერღვიოს და ლოგინში კოტრიალის დროს თავის კოლეგა პარტნიორთან გახურებული სქესობრივი ორგია შუა გზაზე შეეწყვეტინებინოს.** ეს პედარასტთა გულდამწვარი ჭირისუფლები, უფრო სწორად ამერიკულ დოლარებს დახარბებული, ქართული ტრადიციების აბუჩად ამგდები, ქვეყნის გამყიდველი და ვითომ დემოკრატიული პრინციპების მატარებელი **სერგო რატიანი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, თეა თუთბერიძე** და მსგავსნი მათნი გამწარებული გაჰკივიან, რომ თურმე საქართველოში მათი უფლებები ირღვევა.

ქვეყანაში ათასობით გადაუჭრელი ყოფითი და სოციალური პრობლემაა მოსაგვარებელი, ამ დროს ამ არარსებული პრობლემის წინა პლანზე წამოწევა და მისი მსოფლიოს მასშტაბით აჟიტირება ახალი ხელისუფლების მიმართ პროვოკაციისა და საბოტაჟის მოწყობის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე ამ ავადმყოფი უმცირესობების უფლებების დაცვას. **რამდენად ამაზრზენია, როცა ეს პედერასტების დამცველი ლიბერასტები გამწარებული იცავენ და მკერდით ეფარებიან იმ გაუკუღმართებული ორიენტაციის მქონე უმცირესობის დამცველ 45-კაციან ჯგუფს და არაფრად აგდებენ მათ წინააღმდეგ ამხედრებულ ათიათასობით ქუჩაში გამოსული თბილისელის აზრს. მიტინგის ჩატარებას ითხოვდნენ ზუსტად იმ ადგილას, სადაც წინა დღეს ავღანეთში გმირულად დაღუპული 3 ქართველი ვაჟკაცის ცხედარი ესვენა და მთელი თბილისი მათ უკანასკნელ გზაზე აცილებდა.** თუ ეს არის დემოკრატია, და ჰომეროსის, შექსპირის, გოეთეს, მიქელანჯელოს, რემბრანტის, ბისმარკისა და რობესპიერის ევროპული ღირებულებები ამ დონეზეა დასული, მაშინ არც ასეთი ევროპა მინდა და არც მათი ღირებულებები. ყველაფერი ეს უკონკურსოდ დამითმია და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ **სერგო რატიანს, ჩიორა თაქთაქიშვილს, ზურაბ ჯაფარიძეს, თეა თუთბერიძეს, ხათუნა გოგორიშვილს** და მათ მსგავს ალხანა-ჩალხანებს.

ძვირფასო მკითხველო, თქვენი არ ვიცი და პირადად მე **ამერიკასთან მეგობრობა და პარიტეტულ საწყისებზე პარტნიორობა იმიტომ მინდა, რომ, როგორც პატარა ქვეყანამ, თვითმყოფადობა შევინარჩუნო და ეროვნულობა გადავირჩინო. იმიტომ ვილევთ ამდენ მსხვერპლს, რომ ქვეყანა მსოფლიოს რუკაზე არ წაიშალოს. აბა, თუ ტრადიციებს დამავიწყებ, ეროვნებას წამართმევ, წინაპრებისა და უფროსებისადმი პატივისცემას დამაკარგვინებ, ასეთი არც ევროპა მინდა და არც ამერიკა.** თუ კი ევროპისა და ამერიკის მხრიდან, კვლავ გაგრძელდება ასეთი მდარე ღირებულებების თავსმოხვევის ტენდენცია, მაშინ საქართველოს, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და არანაკლებ მტკივნეული ძირითადი ღირებულებების გადასარჩენად და შესანარჩუნებლად, ალბათ, მოუწევს თავისი საგარეო კურსის შეცვლა და ისეთ სტრატეგიულ ქვეყანასთან დამეგობრება, რომლისთვისაც ეს ჩვენი ღირებულებები მისაღები იქნება და რამდენიმე კინკილა პედერასტის გულისთვის მთელ საქართველოს მტრად არ მოიკიდებს.

**ომარ გოცაძე**

პარალელების გავლება სხვადასხვაენოვან სიტყვებს შორის მრავლად შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა. აქედან გამომდინარეობს ერთი საკაცობრიო მნიშვნელობის დასკვნა: **ენა ერისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი წიაღიდან იბადება, იკვებება და ვითარდება.**

**დიდი ილიას, ვაჟას, აკაკის, იაკობის მოსაზრებებს თუ მოვიშველიებთ, მშობლიური ენა ყველა ადამიანთან გენეტიკურადაა დაკავშირებული და სწორედ ამის გამოა, ბავშვი ძალიან პატარა ასაკში ღრუბელივით რომ ისრუტავს მამულისეულ ტერმინებს. ბავშვისთვის, მშობლიურ ენასთან ერთად პირველი კლასიდან უცხო ენის სწავლება როდია გამართლებული.**

ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად და გასავითარებლად საქართველოში არც ისე დიდი ხნის წინ გარკვეული ღონისძიებები ტარდებოდა: არსებობდა ქართული ენის პალატა; ენას ყურადღებას არ აკლებდა ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი; მწერლობაც ენის სამსახურში იდგა; მოქმედებდა ენათმეცნიერებისგან შემდგარი კომისია, რომელიც ფრთხილად ეკიდებოდა ქართულში უცხო სიტყვების ჩანერგვას, ამკვიდრებდა ახალ ქართულ სიტყვებს; პერიოდულად გამოიცემოდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ენის შესახებ ტარდებოდა სიმპოზიუმები უცხოელი ქართველოლოგების მონაწილეობით და ასე შემდეგ. დღეს ყველაფერი თავის დინებაზეა მიშვებული. **ჩვენი უნიათობით, უპატრონობითა და უდიერობით იტანჯება ენა ქართული, რომელსაც ხანდახან პატრიარქის, რამდენიმე ერისკაცის შემოძახილი ამხნევებს და არ უკარგავს რწმენას მომავლისადმი.**

იგი დიდი მოთმინებით ელოდება იმ დროს, როცა მისი ფენომენის გაბრწყინების ეპოქა დადგება თავისი საკაცობრიო მისიის ღირსეულად შესასრულებლად.

**ელგუჯა კეკელიძე,**
**მეცნიერი, პენსიონერი**

**P.S. ინსინუაციად, დენუნციაციად, პარანოიზმად თუ არ მოგეჩვენებათ და ამ აზრს ამფიბოლიად, გლოსალალიად არ მონათლავთ, ჩვენში ბევრს დიპლოპია, დიზოსმია და დისიმულაცია სჭირს, თორემ ქართულ ენას ასე ადინამიაში, ასფიქსიაში და სტაგნაციაში არ ჩააგდებდა.**

**ესტონეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი:**

# საქართველოს იმედი, რომ ვინმე აქტიურად დაეხმარებოდა, ომის დროს გაქარწყლდა

**„რუსეთ-საქართველოს ომი — 10 გაკვეთილი ესტონეთისთვის“, — ამ სათაურით აქვეყნებს ესტონური გამოცემა Postimees ესტონეთის ექსპრემიერისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, მარტ ლაარის, სტატიას.**



როგორც ავტორი აღნიშნავს, რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ კონფლიქტის შესახებ ბევრი დაიწერა, ფილმიც კი გადაიღეს, მაგრამ დღემდე ბევრი კითხვა რჩება უპასუხოდ.

**„ასე მაგალითად, ჯერაც განსხვავებული მოსაზრებებია იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად როდის დაიწყო და დამთავრდა ეს ომი, ვინ დაიწყო და ვინ არის დამნაშავე. პოლიტიკური ასპექტების გვერდის ავლით, მინდა ყურადღება გავამახვილო ომისგან მიღებულ 10 გაკვეთილზე, რომლებიც, ვიმედოვნებ, ესტონეთის თავდაცვისთვის სასარგებლო იქნება“,** — წერს მარტ ლაარი და დასძენს, რომ ტკბილ ილუზიებს მწარე სიმართლე სჯობს.

როგორც ესპანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი აღნიშნავს, **მაშინ, როცა რუსეთი წლების განმავლობაში ომისთვის ემზადებოდა და ზუსტად იცოდა, რა უნდოდა, საქართველო ამაზე არ ფიქრობდა.**

„საქართველომ საკუთარ თავს ომში ჩათრევის ნება ყოვლადშეუფერებელ დროს მისცა. მისი სამხედროების ნაწილი ერაყში იბრძოდა, ნაწილი ერაყისკენ მიემართებოდა მათ შესაცვლელად. არმიის ერთი ნაწილი შეუიარაღებელი იყო, საბრძოლო ტექნიკა კი — შესაკეთებელი, უამრავი ოფიცერი შვებულებაში იყო ისევე, როგორც თავდაცვის მინისტრი, რომელიც იტალიაში იმყოფებოდა. საქართველოს არმია ილუზიებით ცხოვრობდა და ქვეყნის დაცვისთვის არანაირი სერიოზული მზადება არ მიმდინარეობდა. ბევრი ქართველის აზრით კი, რუსების ჩარევა ნაკლებმოსალოდნელი იყო ამ ომში და ოპერაციის დაგეგმვისას მისი ფაქტორი დიდად არ გაუთვალისწინებიათ. ამიტომ რუსეთის არმიასთან დაპირისპირება ქართველი სამხედროებისთვის სრული მოულოდნელობა და შოკი იყო, რომლიდანაც რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ გამოვიდნენ. ქართველი ჯარისკაცების უმრავლესობა ილუზიებით ცხოვრობდა და სწორედ ამიტომ მარცხისთვის იყვნენ განწირული“, — წერს მარტ ლაარი.

ესტონეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი აღნიშნავს, რომ **რუსეთის არმია სრულად იყო მზად ომისთვის, ოპერაციის წამოწყებამდე წვრთნებს გადიოდა და ზედმიწევნით ჰქონდა დაგეგმილი ყველა დეტალი. მათ უნდა აეძულებინათ ქართული არმია, დაეწყო შეტევა სამხრეთ ოსეთში, შემდეგ კი თავად გადასულიყვნენ შეტევაზე,** რის შემდეგაც რუსებისთვის ადვილი იქნებოდა ყოვლადდაუცველ ქართველებზე თავდასხმა და სამხრეთ ოსეთში ხელისუფლების შეცვლა.

**„იმავე დროს, ქართული მხარის გეგმები ძალიან სუსტი იყო. რა თქმა უნდა, მისი გეგმის ერთი ნაწილი მოიაზრებდა რუსული არმიის ჩარევის შეჩერებას, მაგრამ არ იგეგმებოდა ცხინვალზე თავდასხმა. ერთ ნაწილს ქალაქისთვის მარცხნიდან უნდა შემოევლო, მეორეს კი — მარჯვნიდან და გუფთის ხიდისა და როკის გვირაბის მიმართულებით უნდა ემოძრავათ, რათა ხელი შეეშალათ რუსეთის ნებისმიერი დახმარებისთვის. ცხინვალის აღება მოგვიანებით გადაწყდა. ბოლო წუთს ქართველებმა შეცვალეს გეგმა და პირდაპირ ცხინვალზე თავდასხმის ორგანიზება მოახდინეს. ქართველი სამხედროები გუფთის ხიდამდე ველარ მივიდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ როკის გვირაბზე. ყოველივე ამან ომის ბედი გადაწყვიტა“,** — წერს მარტ ლაარი.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ **ნებისმიერი არმიისთვის დაზვერვა მნიშვნელოვანია და რუსეთ-საქართველოს ომისას ორივე მხარე ამ საკითხს თავხედურად მიუდგა** — რუსეთის დაზვერვას არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია საქართველოს შესახებ და ვერ შეაფასა მათი მისწრაფება წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე.

**„საქართველოს დაზვერვას რუსეთის შესახებ არცთუ ისე ცოტა მონაცემები ჰქონდა, მაგრამ კარგი ანალიტიკა აკლდათ. თანაც, ისინი ზედმეტად ენდობოდნენ ნატოს ტექნიკურ დაზვერვას. ასევე არსებობდა მოსაზრება, რომ რუსეთი მეზობლებს არ დაესხმოდა თავს, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ომმა ბოლო მოუღო ამ მოსაზრებას“,** — აღნიშნავს ესტონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი და დასძენს, რომ ომის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფსიქოლოგიური დაცვა.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ **რუსეთ-საქართველოს ომმა აჩვენა, რომ თანამედროვე ომის კონვენციონალური მეთოდები კონფლიქტის წარმოებაზე ახალს ერწყმის, ისეთს, როგორიც კიბერ ან ინფორმაციული ომია.**

მარტ ლაარი ასევე წერს, რომ ნებისმიერ ომში სამედიცინო სამსახური სათანადო დონეზე უნდა იყოს.

**„რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად 1200 ქართველი მებრძოლი დაშავდა, მათგან ორი მესამედი დაიჭრა. ბევრი მათგანი, შესაძლოა, დაღუპულიყო კიდეც, თუმცა, ტყვიაგაუმტარი ჟილეტებისა და ჩაფხუტების წყალობით, მათ სიცოცხლე შეუნარჩუნდათ. დაჭრილები სწრაფად გაჰყავდათ ბრძოლის ველიდან, სამედიცინო სამსახური კარგად მუშაობდა. ჭრილობების შედეგად ჯარისკაცების მხოლოდ 3% გარდაიცვალა“,** — აღნიშნავს ესტონეთის ყოფილი პრემიერმინისტრი.

მარტ ლაარი ასევე წერს, რომ ომის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჰაერო სივრცეს. მისივე თქმით, საქართველოს საბრძოლო-საჰაერო ძალები არცთუ ისე ძლიერია და რუსეთთან აგვისტოს კონფლიქტის დროს მათ მხოლოდ ერთი მისიით იყენებდნენ.

**„ეს გონივრული გადაწყვეტილება იყო, რადგან სხვა შემთხვევაში ეს თვითმფრინავები განადგურდებოდა. რუსეთის ავიაციას საქართველოს ცაში შეეძლო თავისუფლად ეგრძნო თავი, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, თუმცა სწრაფად აღკვეთეს და რადარების დაკარგვის შემდეგ, პრაქტიკულად, გამოუყენებელი გახდნენ“,** — წერს მარტ ლაარი და დასძენს, რომ უფრო ეფექტური ჯარისკაცების მხრიდან მობილური საზენიტო იარაღის გამოყენება იყო.

სტატიის ავტორის აზრით, **რუსეთ-საქართველოს ომმა იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ თანამედროვე ომში ტანკებსა და არტილერიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.**

ესტონეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ასევე აღნიშნავს, რომ **ნატოს იმედად ყოფნის პარალელურად, ჩახმახი ყოველთვის შემართული უნდა გქონდეს.**

**„საერთაშორისო ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა საბოლოო ჯამში, მაინც საკუთარი თავის იმედად უნდა იყო. საქართველოს იმედი, რომ მას ვინმე აქტიურად დაეხმარებოდა, ომის დროს გაქარწყლდა. თუ ისინი თავად არ იბრძოლებდნენ და, დაშვებული შეცდომებისა და არასასურველი სიტუაციის მიუხედავად, არ შეაჩერებდნენ რუსული ჯარის შეჭრას, საქართველოს სახელმწიფო განადგურდებოდა და ხელისუფლებაში სულ სხვა მთავრობა მივიდოდა. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, საქართველოს სახელმწიფო თავად ქართველებმა გადაარჩინეს“,** — წერს მარტ ლაარი და დასძენს, რომ **რუსეთ-საქართველოს ომის გამოცდილებამ ესტონეთს აჩვენა, რომ ის კარგად ინტეგრირებული და განსწავლული უნდა იყოს ნატოსთან ურთიერთქმედებისთვის, მაგრამ ამავე დროს ესტონეთმა უნდა იზრუნოს საკუთარი თავდაცვის დამოუკიდებელ შესაძლებლობებზე.**

მისივე თქმით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძლიერი ნება და სურვილი — საჭიროების შემთხვევაში დაიცვა შენი სახელმწიფო და რამდენადაც ძლიერია ეს სურვილი, მით უფრო ძლიერია სახელმწიფო.

**ინტერპრესნიუსი**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ძველ სამყაროში, კერძოდ, აღმოსავლური ცივილიზაციებისთვის, ჯვარი წარმოადგენდა ამულეტს. ჯვრის ყველაზე ძველი გამოსახულება — ეგვიპტელების „ანხი“ — წარმოადგენდა იეროგლიფის ტრანსფორმაციას და მარადიულ არსებობას ნიშნავდა. დასავლური აზიის ტომები იყენებდნენ ჯვარს, როგორც სოლარულ ნიშანს, როგორც ალის და სხივის სიმბოლოს, სამყაროს დედაბოძის გეომეტრიულ ვარიანტს. ყოფა-ცხოვრებაში ჯვარს ხმარობდნენ ავგაროზის როლში, მის გამოსახულებას განათავსებდნენ საცხოვრებლის და სალოცავის კედლებზე, დგამზე, იარაღზე, ტანსაცმელზე.



# დღევანდელ ქართულ დროშაზე გამოსახულია «ხაჩ ვორდან კირმიზის» ხუთეული...

**თემა, რომელსაც „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი დღეს გვთავაზობს, ვფიქრობთ, აქტუალურია და ამიტომაც გამოგვაქვს სამსჯელოდ. როგორც ჩანს, ავტორს — არქიტექტორ ბაადურ ჩხატარაშვილს ბევრი უმუშავია, სერიოზულ ნაშრომებს გაცნობია და აი, მცირე ნარკვევის სახით წარმოგვიდგინა თავისი მოსაზრებები და დასკვნები.**
**თუკი ვინმეს სურვილი გაუჩნდება და გამოგვეხმაურება, მათ მოსაზრებასაც სიამოვნებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველს.**



2004 წელს, როდესაც ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი სახელმწიფო დროშა, საზოგადოებამ გამოთქვა გარკვეული ეჭვი ტილოზე გამოსახული ჯვრების ეროვნული ხასიათის მიმართ. საპასუხოდ, **ესკიზის ერთ-ერთმა ავტორმა, ქართული ჰერალდიკის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, იოსებ ბიჭიკაშვილმა,** განაცხადა, რომ წრის სეგმენტებით გამოხაზული სოლისებური ჯვრის გამოსახულება მოძიებულია ჩვენ მიერ ბოლნისის, ბოჭორმის, ჩხარის ტაძრების კედლებზე. ისინი თარიღდება მეხუთე საუკუნით და წარმოადგენს ადრინდელი ქართული მართლმადიდებლობის სიმბოლოს.

გაუგებარია, რისთვის დასჭირდა ბატონ ბიჭიკაშვილს რაიმე „ძიება“. ბოლნისის სიონი ჯერ კიდევ 1904 წელს აღწერა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. შემდგომ, 1936 წელს, აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა დეტალურად შეისწავლა ნაგებობა. 1938 წელს ლ. მუსხელიშვილმა ჩაატარა შენობის სათანადო აზომვები და გამოაქვეყნა ვრცელი ანგარიში. ძეგლის შესწავლა გრძელდებოდა შემდგომშიც. **დანართი №1** გვიჩვენებს, რომ ბოლნისის ტაძრის კედლები ნამდვილად არის ორნამენტირებული ორმაგი მრგვალი ნაყშიანი მედალიონებით, რომლებშიც მოთავსებულია სოლისებური ჯვარი. მინდა დავამატო: ანალოგიური ბარელიეფები ამშვენებს მცხეთის ჯვრის ტაძრის კედლებს **(დანართი 2).** იოსებ ბიჭიკაშვილმა მოიყვანა კიდევ ერთი არგუმენტი, რომ არსებობს შუა საუკუნეებში დამზადებული რუკები, რომლებზეც ქართველთა მიწები დანიშნულია ანალოგიური ჯვრებით (ამ განცხადების თაობაზე მოგვიანებით ვიმსჯელოთ).

უფრო ფრთხილობს დასკვნების გამოტანისას ბატონი ბიჭიკაშვილის თანაავტორი — **საქართველოს ჰერალდიკური ასოციაციის ხელმძღვანელი, ეროვნული ატრიბუტიკის კომისიის წევრი მამუკა გონგაძე.**

რუსეთის მედიასთან ინტერვიუში ბატონი მამუკა ამტკიცებს, რომ:

**— ეროვნული ჯვარი, როგორც ასეთი, არ არსებობს;**

**— შუა საუკუნეების პერიოდში ქართველებს გააჩნდათ დროშა, რომელიც წარმოადგენდა თეთრ ტილოზე ხუთი მართკუთხა ჯვრის გამოსახულებას;**

**— რომ 1995 წელს მან გადაწყვიტა, მართკუთხა ჯვარი შეეცვალა „წმინდა ლეოპოლდის“ ჯვრით;**

**— წითელი ფერი წარმოადგენს წმინდა გიორგის სიმბოლოს.**

„ყველაფერი ნათქვამი აქსიომაა“, — გაუსვა ხაზი ბატონმა გონგაძემ. ამგვარი „აქსიომები“ ჩნდება განათლების უკმარისობისგან. **ქართულ წესჩვეულებაში წმინდა გიორგის ასახავს თეთრი ფერი** („როგორც მთვარეს, ანუ ბადრის“ შედარებით გვიანი ინტერპრეტაცია); ხუთჯვრიანი **ალამი ქართულმა ისტორიამ არ იცის,** ხოლო ახალი დროშის ესკიზი ჩვენმა „ჰერალდიკის მცოდნეებმა“ ინათხოვრეს ლოტარინგიის ჰერცოგებისგან **(დანართი 3).**

**გოტფრუა დე ბულიონმა, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა წინამძღოლმა, უფლის სამარის დამცველმა (ADVOCATUS SANCTI SEPULEHN), იერუსალიმის მეფედ ნაკურთხმა, თავისი საგვარეულოს გერბი და დროშა გამოაცხადა ახალი ქრისტიანული სამეფოს ატრიბუტებად.** რაც შეეხება „წმინდა ლეოპოლდის ჯვარს“ — 1485 წელს წმინდანად აღიარებულმა ავსტრიის მაკგრაფმა, ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილემ, ლეოპოლდ ბაბენბერგმა იერუსალიმიდან დაბრუნებისთანავე ცისტერიანელების ორდენს უბოძა მიწა ვენის ტყეში, სადაც ააგეს წმინდა ჯვრის მონასტერი. ეს ტაძარი დღემდე ფუნქციონირებს. შენობის ნაოსში მონასტრის არსებობის პირველი დღიდან განთავსებულია ტრადიციული რვაწვერა ლათინური ჯვარი, ხოლო საყდრის თავზე ჯვარცმაა დამაგრებული **(დანართი 4).** მართალია, კიდევ არსებობს ლეოპოლდის ორდენი, ჯილდო, რომელიც 1808 წელს დააწესა ავსტრიის იმპერატორმა ფრანც პირველმა, საკუთარი მამის — ლეოპოლდ ავსტრიელის საპატივცემულოდ, მაგრამ ეს ჯვარი სტავროგრაფიის საგანი როდია. **ჯილდოს ნახატს აღრიცხავს და აკანონებს ფალერისტიკა, ანუ დისციპლინა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს არც ეროვნულ და არც სულიერ ატრიბუტიკასთან** *(დანართი 5).*

დანართი 1



**შევეცადოთ, გავერკვეთ ე. წ. ბოლნისის ჯვრის, ანუ, რაც უფრო შეესაბამება დაკანონებულ ტერმინოლოგიას, „შემოფარგლული სხივური ჯვრის“ ეტიოლოგიაში და განვსაზღვროთ მისი შემდგომი გენეზისი. ჩამოვყალიბდეთ, თავიდან რას წარმოადგენს ჯვარი, როგორც სიმბოლო:**

**ძველ სამყაროში, კერძოდ, აღმოსავლური ცივილიზაციებისთვის, ჯვარი წარმოადგენდა ამულეტს. ჯვრის ყველაზე ძველი გამოსახულება — ეგვიპტელების „ანხი“ — წარმოადგენდა იეროგლიფის ტრანსფორმაციას და მარადიულ არსებობას ნიშნავდა. დასავლური აზიის ტომები იყენებდნენ ჯვარს, როგორც სოლარულ ნიშანს, როგორც ალის და სხივის სიმბოლოს, სამყაროს დედაბოძის გეომეტრიულ ვარიანტს. ყოფა-ცხოვრებაში ჯვარს ხმარობდნენ ავგაროზის როლში, მის გამოსახულებას განათავსებდნენ საცხოვრებლის და სალოცავის კედლებზე, დგამზე, იარაღზე, ტანსაცმელზე.** ლოურენს უოდელი, ბრიტანელი არქეოლოგი და ისტორიკოსი წლების მანძილზე იძიებდა დღემდე აღმოჩენილი ყველა ჯვრის ნახატებს და რელიეფურ ნიმუშს.

რაც შეეხება ჯვრის გამოსახულების ტიპებს წარმართულ საქართველოში, **ჩვენი დაინტერესების აღმძვრელი — შემოფარგლული სხივური ჯვარი წარმოადგენდა კასების ტომთა ატრიბუტს** (ბაბილონის კასიტების დინასტია — ძვ.წ. VIII-XII ათწლეული). **ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ცილინდრული ამულეტი-ბეჭედი ბაბილონიდან, რომელსაც აქვს ამგვარი ჯვრის რელიეფი.** ძვ.წ. 1225 წელს ბაბილონში შეიჭრნენ ასირიელები და შვიდი წლის განმავლობაში ფლობდნენ შუმერის მიწებს. მას შემდეგ სხივური ჯვრის გამოსახულება ჩნდება ასირიის ძეგლებზე — „მეფე შამში-ადადის სტელა“ და სხვ.

ძვ.წ. აღრიცხვამდე მე-12 საუკუნეში ბალკანეთიდან ცენტრალურ ანატოლიაში შეიჭრა პროტოსომეხთა მუშკების ტომი. ძვ.წ.აღ. 1160 წელს მუშკებმა დაიპყრეს ასირიის პროვინციები ალზი და პურუკუზი და ამავე დროს დაარბიეს დასუსტებული ხეთების სახელმწიფო. ამის შემდეგ მათ დააარსეს კაპადოკიაში სახელმწიფო ხატი. **ძვ.წ. 681 წელს ურარტუს ხელმწიფემ რუსა მეორემ დაიწყო თავისი მიწების გაშენება, დააარსა ახალი დედაქალაქი რუსახინილი და ქალაქები ბასტამი, აიანისი, ტეიშებანი. მუშახელის უკმარისობის გამო, რუსამ დაარბია, ტყვედ აიყვანა და ურარტურში ჩამორეკა გაწაფული მშენებლების ტომი — მუშკები. დროთა განმავლობაში მუშკების მიერ ასირიელებისგან გადმოღებული სხივური ჯვარი ამოტივტივდება ყოფილი ურარტუს ტერიტორიაზე და ახ. წ. აღ. IV საუკუნის დროიდან გამოიყენება, როგორც ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობების დეკორის ელემენტი** *(დანართი 6).*



დანართი 2

შემდგომ **სომხეთში ფართოდ ვრცელდება მოჩუქურთმებული ქვის სტელების — ხაჩკარების კულტურა. ხაჩკარის დეკორში სომეხი ქვის მჭრელები იყენებდნენ ტრანსფორმირებულ სხივური ჯვრის ნახატს** *(დანართი 7).* **ახალი დროების პირველივე საუკუნეებიდან სომეხი ხუროთმოძღვრების „არტელები“ სხვადასხვა ეკლესიის დაკვეთით ახორციელებდნენ ტაძრების მშენებლობას მთელ ქრისტიანთა სამყაროში — პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, კათოლიკურ ევროპაში. ევროპულ ტრადიციაში სომეხი მშენებლების მიერ დანერგილი სხივური ჯვარი მიღებულ იქნა არა როგორც საეკლესიო, არამედ როგორც ჰერალდიკის ატრიბუტი და სტავროგრაფიამ მიანიჭა მას დასახელება CREOUSS PATTE, ანუ „თათისებური“ ჯვარი (PETTEE — ფრ. თათი). წრეში ჩასმული თათისებური ჯვარი (CRPIX PATTE CERCLE) ცნობილია, როგორც ყველაზე აგრესიული შუასაუკუნოვანი სექტის — კატარების (ალბიგოელების) ემბლემა** *(დანართი 8).*

თვალსაჩინოა ამ სექტის ჩამოყალიბების ამბავი: ანტიკლერიკალური სწავლება და მოციქულთა ტრადიცია განვითარდა, როგორც მანიქეების მოძრაობის განშტოება სომხეთში გრიგორ-განმანათლებლამდე. შემდგომ, **მეშვიდე საუკუნეში სომეხმა კონსტანტინემ ჩამოაყალიბა არალეგალური პავლიკიანთა ეკლესია. მოციქულთა მიმდევართა მოძრაობამ კონსტანტინეს მეთაურობით, რომელმაც შეიცვალა სახელი და გახდა სილვანე, მიიღო ფართო მასშტაბი და თანდათანობით გავრცელდა მცირე აზიასა და ბიზანტიის იმპერიის ევროპულ ნაწილში. 872 წელს სექტა დაარბიეს და ყველაზე აქტიური ადეპტები გაასახლეს ბულგარეთში, ქალაქ ფილიპოპოლისში** (თანამედროვე პლოვდივი). **პლოვდივში მწვალებლობამ ახალი ბიძგი აიღო და გარდაიქმნა იმავე შინაარსის სექტათ, რომელსაც დაერქვა ბიგომილების თემი.** X საუკუნეში მწვალებლობამ შეაღწია ▶

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლნისის სიონის შენობა წარმოადგენს სომხური ტრადიციის ტიპიურ ბაზილიკას, აგებულია სომხური წყობის ტექნიკის გამოყენებით, გააჩნია ცილინდრული კამარას ელემენტები, რაც უბრალოდ გამორიცხულია აღმოსავლეთ საქართველოს მშენებლობის ტრადიციაში. იგი დეკორირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მშენებლობის ტრადიციაში. იგი დეკორირებულია სხივური ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ჩასმულია სომხურივე კლასიკური სამკუთხა ორნამენტით დეკორირებულ მედალიონებში...**

ევროპაში, კერძოდ ლანგედოკში, არაგონში, ჩრდილოეთ იტალიაში, დასავლეთ გერმანელების მიწებზე და მიიღო ალბიგოელების (კატარების) მოძრაობის სახე. **პაპმა ინოკენტი მესამემ სექტანტების საწინააღმდეგოდ დააარსა საეკლესიო ინკვიზიცია და სანქცია მისცა ჯვაროსნულ ლაშქრობას.** ლაშქრობა გაგრძელდა 20 წლის განმავლობაში, 1244 წელს ჯვაროსნებმა გაანადგურეს მონსეგიურის ეზოში კატარების ჯვრის გამომსახველი ობელისკი. **მანიქეების ტრადიციის გამგრძელებელი პავლიკიანები ქადაგებდნენ ადამიანთა გვარის გაგრძელების უარყოფას, ამიტომაც სექტის წევრებს შორის სექსუალური აქტიურობა ხშირად ღებულობდა არატრადიციულ ფორმებს. პავლიკიანებს, ბოგომილებსა და კატარებს ბრალად ედებოდათ სექსუალური გარყვნილობა და ჰომოსექსუალიზმი.**

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროიდან რაინდებმა ტრადიციად შემოიღეს ალმების სხვადასხვა ფერებით cross patte მოხატვა. **ფრანკები იყენებდნენ წითელ ჯვარს, ბრიტანელები — თეთრს, იტალიელები — ლურჯს, ფლანდრიელები — მწვანეს** (ბრიტანელ ქრონიკოსი მეტიუ პერი). **1147 წლის 24 აპრილს რომის პაპმა — ევგენი III-მ პარიზში ლუდოვიკო VII-ს თანდასწრებით ტამპლიერების ორდენის გენერალური კაპიტულის ჩატარებისას, მიანიჭა უფლება ორდენის მაგისტრს — ედვარ დე ბარს, დაეტანა ტამპლიერების ლაბადაზე ალისფერი სხივური ჯვარი.** იმავე პერიოდს მიეკუთვნება პაპის განკარგულება, რომელიც ავალებდა რუქების მხაზველებს, დაენიშნათ ქრისტიანი ხელმწიფეების სამფლობელოების ადგილსამყოფელი სხივური ჯვრით **(გავიხსენოთ ბ-ნ ბიჭიკაშვილის არგუმენტი).**

დავუბრუნდეთ საქართველოს. მემატიანეთა და ისტორიკოსების მოწმობით, **ქართველთა რაზმები მონაწილეობდნენ იერუსალიმის იერიშში. ასევე ვიცით, რომ დავით აღმაშენებლის ჯარის შემადგენლობაში იყო იერუსალიმის სამეფოში დაქირავებული სამასამდე ფრანკი ჯვაროსანი. ამ პერიოდში ხდება სხივური ჯვრის შეღწევა ქართულ გამოყენებით ხელოვნებაში** (მინანქარი, ნაჭედი) **და არა საეკლესიო ატრიბუტიკაში.** დვინის თავშეყრის და ქართული და სომხური ეკლესიის განცალკევების შემდეგ **ჩვენი წინაპრები წესის აგებისას და საეკლესიო შენობების გაფორმებისას სარგებლობდნენ ბერძნული ჯვრით** (crux quadrata). **დავით აღმაშენებელმა ერთხელ გამოიყენა სხივური ჯვარი, როდესაც მცირე რაოდენობით მოჭრა „საექსპორტო მონეტა“, ქრისტიანული მიწების — იბერიის, აფხაზეთის, სომხეთისა და ალბანეთის მმართველის სტატუსის აღსანიშნავად.** მონეტის ერთადერთი ნიმუში ინახება ბრიტანეთის მუზეუმში *(დანართი 9).*

საინტერესო ფაქტი აქვს აღწერილი გერმანელ ეთნოგრაფს კარლ განს XIX საუკუნეში. მაღალმთიან საქართველოში მოგზაურობისას მან მიაქცია ყურადღება იმას, რომ **ხევსურების დგამი და ტანისამოსი მორთულია კათოლიკური სიმბოლოებით, კერძოდ კი სხივური ჯვრის გამოსახულებით.** ადგილობრივმა მოსახლეობამ აუხსნა, რომ **ხევსურების რაზმი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა პალესტინაში და შინ დაბრუნებისას საპატიო ჯილდოს სახით ჩამოიტანეს ნაჩუქარი ალმები და იარაღი.**

დავუბრუნდეთ **„ბოლნისის ჯვრის“** პრობლემას. როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, სომხების წინაპრები დაწყებული ძვ.წ. VII საუკუნიდან, იყვნენ სამშენებლო სამუშაოებით დაკავებულნი ურარტუს სამეფოში, რაც ბუნებრივია. ფორტიფიკაციური ნაგებობების საცხოვრებლის და საზოგადოებრივი შენობის გარდა, შენდებოდა ასევე სალოცავები. **ურარტუს ტაძრებს ახასიათებს ფრიგიის და პაფლაგონიის ანალოგიურ ნაგებობებთან კავშირი. ფრიგიიდან სომხების წინაპრებმა გადმოიღეს ნაგებობების ორი ტიპი — ბაქანზე შედგმული კარვისებური კონტრფორსიანი მეგარონი და მოცულობით-სივრცითი სამნეფიანი მოგრძო შენობა, შეზღუდული აღმოსავლეთიდან ნახევრადწრიული აპსიდით** (ბაზილიკის პროტოტიპი). ბუნებრივია, რომ სომხების ტრადიციაში ვითარდება ამგვარი კონსტრუქციების ტიპები: სამნეფიანი მართკუთხა ბაზილიკა ცენტრალური აპსიდით და ტრანსფორმირებული გუმბათოვანი აპსიდური კონტრფორსებიანი მართკუთხედი ოთხფურცლა ტეტრაკონხი. მართკუთხა ძირიდან რვაწახნაგა გუმბათისკენ გადასვლა ხორციელდებოდა ეგრეთ წოდებული „ტრომპების“, ანუ საფეხურებრივ მოწყობილი თაღების სისტემების მეშვეობით — **რიფსიმეს ტაძარი ეჩმიაძინში, ტერგამანაპაცი, ავანი, ადამიანი. სომხური ტაძრების ფასადები მორთულია მდიდრული ბარელიეფებით, რაც ბუნებრივია — სომეხი ქვისმჭრელები განთქმულნი იყვნენ მაშინდელ სამყაროში.**


დანართი 3


დანართი 4


დანართი 5

**გადავხედოთ ქართული საეკლესიო მშენებლობის ტრადიციას. ადრე ბრინჯაოდან ცნობილია ქართველთა მიწებზე „ბერიული“ გვირგვინოვანი კიბურ-გუმბათოვანი გადახურვებით აგებული დარბაზის ტიპის შენობები. ამ ტიპის ნაგებობების ერთ-ერთი ნიმუშია მეხუთე საუკუნეში აგებული ბოლნისის ნასახლარი.**

ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად, **გვირგვინის ტიპის კონუსური ფორმის გუმბათი, ანუ დარბაზის აგების ძირითადი პრინციპი ჩვენმა წინაპრებმა პირველი სალოცავების მშენებლობისას გამოიყენეს.** განვითარების მანძილზე გამომუშავდა მთელი რიგი თვითმყოფადი ხერხებისა, შეთანხმებული ადგილობრივ პირობებთან. კერძოდ — ხის ფორმებიდან გადასვლა ქვის ორდერში, მზიდავი და ზიდური ელემენტების სისტემის შერწყმა დარბაზის სპეციფიკური პირობების შესაფერისად. კონუსური ფორმის გუმბათი გამოიყოფა ნაგებობის საერთო კომპლექსიდან, წამოიწევა მიწის ზედაპირიდან და ახასიათებს ცალკე სივრცეს (**ცხრა-კარი, ყველა წმინდა ვაჩნაძიანის, ოშკი, ნინოწმინდა, შიომღვიმე, ერადაანთ საყდარი, ძველი გავაზი — ყველა VI-VII საუკუნე**). ფორმის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ჯვარისებული გუმბათიანი ნაგებობები. პირველი ნიმუში — **წრომის ტაძარი (VIII ს.)** — თავისუფალი კედლისპირა ბოძებზე შემდგარი გვირგვინის ტიპის გუმბათი, რომლის მართკუთხა ძირი შეესაბამება ქართლ-კახური დარბაზის სტანდარტებს. გადასვლა ოთხკუთხა ძირიდან გუმბათის დოლურაზე პანდატივების (აფრის ტიპის კონსტრუქცია) მეშვეობით ხდება, რაც გამორიცხავს კიბისებურ გადასვლას და უშუალოდ ახდენს მართკუთხას ტრანსფორმაციას წრეში. ამ დროისთვის ქართველმა ოსტატებმა დახვეწეს ქვის დამუშავების და ჩუქურთმის მოჭრის ტექნიკა, რაც შემდგომში, არაბების ბატონობის დამთავრებისას გამოიხატა ისეთი შედევრების შექმნაში, როგორიცაა: **სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, ახალი შუამთა, ბეთანია, გელათი, ახალი იყალთო, მთავარანგელოზი, ახალი ნეკრისი** და სხვა. აღსანიშნავია, რომ **ბიზანტიის საეკლესიო არქიტექტურაში თავიდან და მეცხრე საუკუნის ჩათვლით აღინიშნებოდა სომხური გავლენა, X საუკუნიდან კი იბერიული სტილი ჭარბობს.**

ახლა შევხედოთ, რას წარმოადგენს 478-493 წლებში აგებული ბოლნისის სიონი: მართკუთხა სამნეფიანი ბაზილიკა ნახევრადწრიული აპსიდით. ჩრდილოეთიდან შენობას მიერთვის გალერეა-ნარტექსი გადახურული ცილინდრული კამარით. შენობის დეკორი წარმოდგენილია ორმაგ მრგვალ მედალიონებში ჩართული სხივური ჯვრების რელიეფური გამოსახულებით. მედალიონის ორნამენტი წარმოადგენს გეომეტრიულ წნულს, რომელიც შედგება სამკუთხა კბილებისგან. კედლები ამოყვანილია გათლილი ჭოჭანაჭებით, ორმხრივი ჯავშნის ტიპის წყობით და ბუტო-ბეტონის შევსებით — ეგრეთ წოდებული სომხური ტექნოლოგია „მიდის“.

დასკვნა: **ბოლნისის სიონის შენობა წარმოადგენს სომხური ტრადიციის ტიპიურ ბაზილიკას, აგებულია სომხური წყობის ტექნიკის გამოყენებით, გააჩნია ცილინდრული კამარას ელემენტები, რაც უბრალოდ გამორიცხულია აღმოსავლეთ საქართველოს მშენებლობის ტრადიციაში. იგი დეკორირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მშენებლობის ტრადიციაში. იგი დეკორირებულია სხივური ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ჩასმულია სომხურივე კლასიკური სამკუთხა ორნამენტით დეკორირებულ მედალიონებში** („პალმეტას“ ტიპის ქართული საეკლესიო ორნამენტი არ სცნობს გეომეტრიულ ფორმებს). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ტაძარი მდებარეობს იმავე პერიოდში აშენებული ნასახლარის ცენტრში და აბსოლუტურად ყველა გარშემო მდგომი შენობა გვირგვინიანი დარბაზის ტიპისაა. აქედან გამომდინარე, **ტაძარი ააგო სომხეთიდან დაპატიჟებულმა „არტელმა“, მით უმეტეს ეკლესია ჯერ ერთიანი იყო.** ამ მოკლე ნარკვევის თავში მე აღვნიშნე **ჯვრის მონასტრის** ფასადზე ანალოგიური მედალიონების არსებობა. აღარ დავკარგავ დროს დაწვრილებითი ანალიზისთვის, მოვიყვან რამდენიმე ფაქტს:

— **ჯვარის ტაძრის კონსტრუქცია** — ოთხფურცლა ჩახაზული მეგარონი სამიარუსიანი ტრომპების გადასვლის სისტემით (ტექნიკა „გლახათუნ“). სომხეთში აგებული **ავანის, ვაგარშაპატის, არამუსის ტაძრების** სრული ანალოგი. **682-689 წლებში ქართლში აშენდა კიდევ ერთი, მცხეთის ჯვრის სრული ასლი — ატენის სიონი, რომლის კედელზე სომხურ ენაზე წერია — ტაძარი და ჩემთან იყვნენ ჩემი ხალხისა — აარონ, გევოქი, გრიგორი და დაპსი.**

**— ჯვრის ფასადზე განთავსებული ბარელიეფები მოჭრილია ვარდისფერ ტუფის ფილებზე, რომელიც საქართველოში არ მოიპოვება.**

— ტაძრის ცენტრალური შესასვლელის თავზე, სხივური ჯვრის ქვეშ ჩაშენებულია კლასიკური სომხური ხაჩკარის გამოსახულება. ტაძრის დასავლეთის ფასადზე დამაგრებულია ქართლის მმართველის — სტეფანოს პირველის ბარელიეფი. სტეფანოზ პირველი ჭრიდა საკუთარ ფულს. მონეტის რევერსზე იკვეთებოდა ჯვრის გამოსახულება, — ფოთლისებური ჯვარი ერთადერთი მიზეზის გამო: **608 წლის დვინის „გაყრამდე“ ქართულ ეკლესიას არ გააჩნია ჯვარის დამტკიცებული ატრიბუტი. ხოლო მოგვიანებით დამტკიცდა, როგორც კანონიერი სიმბოლო, ბერძნული წმინდა გიორგის ჯვარი.**

**ვფიქრობ, ზედმეტია ეგრეთ წოდებული ბოლნისის ჯვრის ეროვნულ ნიშან-თვისებაზე მსჯელობის გაგრძელება. სიტყვამ მოიტანა და მე „ამერიკა არ აღმომიჩენია“ — ყველა ფაქტი დიდი ხნის შესწავლილია, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ისტორიკოსების მიერ და ამ საკითხზე არა ერთხელ გამართულა მსჯელობა. ზოგჯერ ცხარე ფორმებშიც კი, მაგრამ ჩემთვის უცხო მიზეზების გამო ეს საკითხი არ ხმაურდებოდა ფართო საზოგადოების წინაშე.**

გადავხედოთ ეროვნული ფერების ტრადიციას. **ჩვენი ხალხის ტრადიციული ფერებია — შინდისფერი, შავი, თეთრი.** ქართული ეროვნული ფერების გენეზისი ძალზე ვრცელი საკითხია და მე არ შევეხები ამ თემას. დავეყრდნოთ ჩემზე ბევრად კომპეტენტური ავტორების მტკიცებას. ახლა ქართული დროშის ფერების შერჩევის დროს ბატონებმა ბიჭიკაშვილმა და გონგაძემ არ გაითვალისწინეს, რომ **წითელი ფერი სომხური ტრადიციაა.** ამის ახსნა ძალზე მარტივია: **წითელი საღებავი მზადდებოდა საქართველოში ჰენდროს ნახარშისგან, აქედან — მუქი შინდისფერი, ხოლო სომხეთში იმავე მიზნით იყენებდნენ სპეციფიურ ენდემურ მწერს სომხურ კოშენილს (porphyrophora lameliii).** მიღებული **საღებავი ალისფერს იძლეოდა და სახელად ერქვა „ვორდან კირმიზ“.** ასე რომ, **დღევანდელ ქართულ დროშაზე გამოსახულია „ხაჩ ვორდან კირმიზის“ ხუთეული...**

**ბაადურ ჩხატარაშვილი,**
არქიტექტორი

**P.S.** დღევანდელ ვითარებაში წითელის ფერი **cross patte** ამშვენებს რომის პაპის ეპიტრაქილს, ამავე დროს იგივე ჯვარი წარმოადგენს ბაიკერების, მეტალისტების და თავისუფალი მასონების ბრაზილიის ლოჟის ემბლემებს.


დანართი 6


დანართი 7


დანართი 8


დანართი 9

ჰაჰ, დრონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰარამხანის ქალები, რომელთა თეთრი, ატლასივით კრიალა კანი და ხშირი თმა ანდაზებშიც კი მოიხსენიებოდა, ჰამამში ძალიან დიდხანს რჩებოდნენ, უვლიდნენ თავიანთ სრულყოფილ სხეულებს. მიმზიდველად ყოფნა მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, ამაზე იყო დამოკიდებული ქალების ბედნიერება და კეთილდღეობა. საკუთარ თავზე ამგვარი ზრუნვა ჭეშმარიტად ფანტასტიკურ შედეგებს იძლეოდა, ოდალისკები ემსგავსებოდნენ ნაზ ყვავილებს, რომლებსაც პოეტები უმღეროდნენ.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-29 (204-216)

## წყალთან თამაში

**აუზი ჰარამხანის ქალების გართობის უსაყვარლესი ადგილი იყო. ერთში ჭყუმპალაობდნენ ცხელ დღეებში, მეორეში, რომელიც მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, სეირნობდნენ პატარა ნავებით. სულთნებსაც უყვარდათ დროსტარება წყლის ნაპირზე: აუზში აგდებდნენ ძვირფას ქვებს და თვალს ადევნებდნენ, როგორ ყვინთავდნენ მათ ამოსაღებად ქალები.**

**სულთანმა მურად III-მ აუზი ეროტიკული თამაშების ასპარეზად აქცია.** იწყებდა შუა დღისით ხიუნვარ საფასიდან, სადაც ნახევრადშიშველი მონაქალები ართობდნენ მას სიმღერებითა და ცეკვებით. მათგან ერთ-ერთს აირჩევდა და მასთან ერთად ჩადიოდა აუზში, რომელიც სარდაფში ჰქონდა მოწყობილი. ამ აუზის წყლის ზედაპირი ალაგზნებდა მას და იძირებოდა სიყვარულში. ზოგჯერ ფარულად თვალს ადევნებდა იმ აუზში მოთამაშე თავის მზეთუნახავებს, ზოგჯერ კი, სავარძელში ნებიერად მჯდარი, თვითონ იგონებდა მათთვის ახალ-ახალ თამაშებს. ამ ავხორცი სულთნის უსაყვარლესი თამაში ის იყო, რომ უბრძანებდა, წყალზე დაედო ფიცი, რომელზეც უნდა ასულიყვნენ ქალიშვილები, რომელთა საცურაო კოსტიუმი თეძოებზე შემოხვეული მარმაში იყო მხოლოდ. ასულებს სულთანი ცივ წყალს შეასხურებდა, ისინი კივილით ვარდებოდნენ წყალში და თავიანთ მარმაშებს კარგავდნენ. **მურად III-ის სექსუალურ გმირობებს ვერც ერთმა სხვა სულთანმა ვერ გადააჭარბა, მისი შვილების რაოდენობა ვერ დათვალეს ისტორიკოსებმაც კი, თუმცა გავრცელებული აზრით, მათი რაოდენობა 130-ზე ნაკლები არ იყო.**

**აუზში ზოგჯერ ულმობელი დრამები თამაშდებოდა.** ერთხელ, სულთან იბრაჰიმის მმართველობის დროს (1640-1648), მის ყიზლიარაღასს გაუგონარი ამბავი შეემთხვა. ლამაზი მონაქალი, რომელიც მან თავისთვის შეიძინა, არა მარტო ქალიშვილი არ აღმოჩნდა, როგორც გამყიდველი იფიცებოდა, არამედ ორსულადაც იყო. ამ ქალმა ბიჭი შვა და შახზადე მეჰმედს, თურხანის პირველი ყადინის შვილს, ძიძად მიუჩინეს. ძიძის შვილი სულთნის ვაჟთან შედარებით დევგმირი ჩანდა. სულთანს მოეწონა, თანაც ისე, რომ საწყალ მეჰმედს არად აგდებდა და მთელ ყურადღებას მონაქალის შვილს უთმობდა. თურხანი მორჩილად იტანდა ამ ამბავს, მაგრამ ერთხელ ვერ მოითმინა და მსუბუქად უსაყვედურა ქმარს. იბრაჰიმი გამხეცდა, გამოგლიჯა დედას შვილი და წყალში მოისროლა. მეჰმედის გადარჩენა კი შეძლეს, მაგრამ ნაჭდევი შუბლზე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შერჩა, გადარეული მამის საქციელს ყოველთვის ახსენებდა. **შეიძლება სწორედ ეს იყო სულთან იბრაჰიმის სიგიჟის გამოვლენის პირველი შემთხვევა, მომდევნო შემთხვევები გაცილებით საშინელი და ტრაგიკული იყო. უცხოელებმა მას „ნახევრად გიჟი ჭონის“ სახელი შეარქვეს, იმდენად იყო იგი გატაცებული ბეწვეულით, რომლის ყველგან დაფენას ბრძანებდა. ქალებში ეს კაფანდარა სულთანი განსაკუთრებით სიმსუქნეს აფასებდა. მთელს იმპერიაში ეძებდნენ წარმოუდგენლად მსუქან ქალებს, რომელთაგან ერთ-ერთმა ისე დაიპყრო მისი გული, რომ მბრძანებელმა იგი დამასკოს გუბერნატორად დასვა. იბრაჰიმის გართობა იყო უხეში და საზიზღარი. მის დროს ჰარამხანა შიშით იყო მოცული.**

## ჰამამი

სტამბოლში უამრავი აბანო იყო. ოდესღაც ისინი ბიზანტიური აბანოებიდან გადააკეთეს, რომლებიც თავის საწყისს რომაული **თერმებიდან** იღებდა (ბერძ. **ცხელი აბანოები**). ურთიერთობის მოყვარულმა რომაელებმა სასიამოვნოდ დროს გატარების ადგილად აქციეს აბანოები, ოსმანებმა ეს ტრადიცია შეინარჩუნეს, მაგრამ აბანოების პოპულარობა ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე ძველ რომში. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მუსლიმური ცივილიზაციის სისუფთავის მოყვარულობა, რადგან, ყურანის მიხედვით, ადამიანის კიდურები უნდა განიბანოს და განიწმინდოს ხუთივე ლოცვის წინ, განბანვა აუცილებელი იყო სქესობრივი კავშირის შემდეგაც. მაგრამ რელიგიური დებულებების გარდა, **აბანოებში** (თურქულად — **ჰამამი**) მისვლა გართობაც იყო, ქალებისთვის კი — ყველაზე ნათელი მოვლენა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

**სერალის ოცდაათამდე აბანოდან ყველაზე მდიდრული, რა თქმა უნდა, სულთნის და ვალიდეს აბანოები იყო. ისინი არაჩვეულებრივი გემოვნებით იყო გაწყობილი. თურქულ აბანოში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქოშები, რომლებიც სადაფით იყო გაწყობილი.**

ჰამამი სულთნებსაც უყვარდათ, სადაც განბანვა ეროტიკულ გართობასთან იყო შეხამებული. ერთხელ სელიმ II-მ გადაწყვიტა, სწორედ აბანოში გაემართა მცირე დღესასწაული. ბრძანა, რომ აბანოში გამოცხადებულიყვნენ ჰარამხანის ის ასულები, რომლებსაც მისი ყურადღება ჯერ არ ღირსებიათ — ყველაზე ნორჩი და ქორფა ოდალისკები. მაგრამ ზეიმი ტრაგიკულად დამთავრდა. სელიმ II, რომელსაც სამართლიანად შეარქვეს „ლოთი-სელიმი“, შეზარხოშებული მივიდა აბანოში და შიშველ ქალიშვილებთან თამაშს ვერ გაუძლო. **მას შემდეგ, რაც იგი დაბანეს და მასაჟი გაუკეთეს, მოთენთილი სულთანი შეეცადა, ხელთ ეგდო მათგან ერთ-ერთი, მაგრამ როცა ხელით შეეხო ატლასივით სხეულს, გულმა ვერ გაუძლო, მარმარილოს იატაკზე დაეცა და აღარც ამდგარა.**



**თურქები, ისინიც კი, ვისაც შინ ჰქონდა აბანო, კვირაში ორჯერ აუცილებლად საერთო აბანოში მიდიოდნენ. ჰარამხანის ქალებს თან ახლდა მონაქალეების მთელი პროცესია**

**თურქები, ისინიც კი, ვისაც შინ ჰქონდა აბანო, კვირაში ორჯერ აუცილებლად საერთო აბანოში მიდიოდნენ. ჰარამხანის ქალებს თან ახლდა მთელი პროცესია მონაქალეების, რომელთაც მიჰქონდათ დიდი რაოდენობით პირსახოცები, საცურაო ხალათები, ტკბილეული და ხილი.** ხმაურით შედიოდნენ გასახდელ დარბაზში, რომლის ცენტრში შადრევანი ჩქეფდა, იხდიდნენ კაბებს, გაეხვეოდნენ ნაირფერ **ზეწრებში — ფეშტემალებში** და დაცალკევებულები აუჩქარებლად ნებივრობდნენ. ჰამამში მისვლა ბევრ შესაძლებლობას იძლეოდა. იქ შეიძლებოდა ახალი კაბებით გაკეკლუცება, ახალი ჭორების გაგება, შეეძლოთ თავადაც აღფრთოვანებით ეჭორავათ, მიეღოთ აქტიური მონაწილეობა გარიგებაში. **ინგლისელებს ჰქონდათ კლუბები, თურქ ხანუმებს — ჰამამები, და ჰარამხანაში მცხოვრები ქალები უდიდესი სიამოვნებით სტუმრობდნენ მათ. იქ პოულობდნენ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ გასართობს, რომლებიც ჩვეულებრივი იყო ევროპელი ქალებისთვის და უჩვეულო მათთვის. აბანოში ყოფნის სიამოვნებაში ჩაწვდომა შეიძლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთში ცხოვრების შედეგად.**

„თითქმის სული შემეხუთა... ორთქლით გაჟღენთილ შენობაში რომ აღმოვჩნდი, — წერდა **ჯულიანა პარდო** 1830 წელს „ბოსფორის ლამაზმანებში“, — **ქალების ჩუმი სიცილი და საუბარი ისმის ყოველი მხრიდან... სამასამდე ნახევრადშიშველი ქალი, რომელთა თხელი საცვალი იმდენად იყო სინოტივით გაჟღენთილი, რომ ეტმასნებოდა მათ ფიგურებს. აქეთ-იქით მიმოდიან წელზევით შიშველი მონაქალები, მკლავები მკერდზე აქვთ დაკრეფილი, თავზე უწყვიათ მოქარგული პირსახოცები და ზეწრები... გოგოები ერთად შეკრებილან და მხიარულად საუბრობენ, შეექცევიან ცუკატებს და შარბათითა და ლიმონათით გრილდებიან... პატარა ბავშვები, ეტყობა, შეგუებულები არიან სიცხეს, რომელშიც სუნთქვა ჭირს... ეს ყველაფერი ქმნის სურათს, რომელიც ველურ ფანტასმაგორიას ჰგავს; გეჩვენება, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში კი არ ხდება, არამედ ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფია“.**

სიტუაცია ნამდვილად საშიში ხდებოდა ინგლისელი ქალებისთვის, როცა ჰამამში ჩხუბი და დავიდარაბა ატყდებოდა. ისინი შეიძლება სერიოზულად დაშავებულიყვნენ, ვთქვათ, მძიმე ტაშტისგან, რომელსაც ერთი მხარე მოწინააღმდეგეს ესროდა, ან რომელიმე სხვა ნივთისგან, რომლითაც მშვენიერი მობანავენი შეტევაზე გადადიოდნენ.



**ჰარამხანის ქალები, რომელთა თეთრი, ატლასივით კრიალა კანი და ხშირი თმა ანდაზებშიც კი მოიხსენიებოდა, ჰამამში ძალიან დიდხანს რჩებოდნენ, უვლიდნენ თავიანთ სრულყოფილ სხეულებს. მიმზიდველად ყოფნა მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, ამაზე იყო დამოკიდებული ქალების ბედნიერება და კეთილდღეობა. საკუთარ თავზე ამგვარი ზრუნვა ჭეშმარიტად ფანტასტიკურ შედეგებს იძლეოდა, ოდალისკები ემსგავსებოდნენ ნაზ ყვავილებს, რომლებსაც პოეტები უმღეროდნენ.**

თურქი ქალები ნაადრევ ჭკნობას მონდომებითა და საქმის ცოდნით ებრძოდნენ. აბანოში მიჰქონდათ სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალება, სუნამოები და არომატული მალამოები. კანს ითეთრებდნენ ნუშის რძითა და ჟასმინის საცხით. კოსმეტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ ბადრიჯნის მწარე წვენსაც. სხეულში იზელდნენ მიხაკსა და ზარდანჩოს. ამ საშუალებებს მოხიბლვის თვისებას მიაწერდნენ. ამავე მიზნისთვის იყენებდნენ ამბრს, სანდალს, რომლებითაც ტანსაცმელს სურნელოვნებას ანიჭებდნენ. თმას, რომელიც ბუნებრივ ფერს კარგავდა, აბანოში ინით იღებავდნენ, მასვე ხმარობდნენ ხელების, ფეხების, ფრჩხილების შესაღებად. ქორწინების წინ ინით ტანზე ორნამენტს იხატავდნენ.

**სხეული მარმარილოსავით კრიალა უნდა ყოფილიყო და ამიტომ აბანოებში იცილებდნენ ყველა თმას, რომლის არსებობა, განსაკუთრებით, საიდუმლო ადგილებში, წარმოუდგენლად იყო მიჩნეული.** თმას პასტით იცილებდნენ, რომელსაც **რუსმა** ერქვა და დარიშხანს შეიცავდა; საჭიროზე მეტ ხანს მისი ტანზე დატოვება ხორცს წვავდა.

მაგრამ სილამაზე, როგორც ცნობილია, მსხვერპლს მოითხოვს.

* * *

მრავალი პროცედურის შემდეგ თურქები დასვენებაში ჰპოვებდნენ შვებას. საამისოდ იყო განკუთვნილი სპეციალური სათავსი — თეპიდარიუმი, რომელშიც ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ ადამიანს სრულად ეგრძნო ჭეშმარიტად აღმოსავლური განცხრომა და ნეტარება. ფეხებს ესალბუნებოდა მდიდრული აღმოსავლური ნოხები, სხეული იძირებოდა ბალიშებში, რომლებიც დაბალ ტახტებზე იყო დალაგებული. მომსახურე ქალები აბანოდან გამოსული პატრონების მოთენთილ სხეულს ატლასის ან სუსხურის ბუმბულისგან დამზადებული გადასაფარებლით ბურავდნენ, თმაში სურნელოვან ზეთებს უზელდნენ. ▶

**მრუშ ქალებს ღამე თუ დაიჭერდნენ, ზინდანში ჩააგდებდნენ, დილით კი მოღალატე ცოლს შესვამდნენ ვირზე, რომელსაც თავზე ირმის რქებს დაადგამდნენ. წინ მაცნე მიდიოდა, რომელიც საყვირში უბერავდა და აუწყებდა ხალხს ჩადენილი დანაშაულის შესახებ. საყვარელს, რომელსაც ვირი აღვირით მიჰყავდა და უბედურ ქალს, რომელიც სახედარზე იჯდა, ხალხი მისდევდა, დასცინოდა, ესროდა ქვებს, დამპალ ფორთოხლებსა და ტალახს. კაცი დამატებით სასჯელად ას დარტყმას იღებდა ტერფებზე, ქალი ვირის ქირას იხდიდა.**

ვაჰ, დრონი...
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქალების ერთი ნაწილი თვლემდა, მეორენი სვამდნენ ყავას და ტკბილეულს მიირთმევდნენ ან ეწეოდნენ ყალიონს.

ლედი მონტეგიუ ასე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს, რომლებიც მან ჰამამებში სტუმრობისას მიიღო: **„იქაურობა მოფენილი იყო მდიდრული ნოხებითა და ბალიშებით, რომლებზეც ისხდნენ ქალბატონები, მათი მსახური ქალებითურთ... ყველა ევას კოსტიუმში იყო, მარტივად რომ ვთქვათ, სრულიად შიშვლები იყვნენ, არაფერს მალავდნენ — არც თავიანთ სილამაზეს, არც ნაკლს და არც ერთი გარყვნილი ღიმილი ან მოურიდებელი ჟესტი. ისეთი გრაციოზულობით მიმოდიოდნენ, როგორც მილტონის მიერ აღწერილი ჩვენი მშობელი წინაპარი. ქალთაგან ბევრი ისეთი მშვენიერი იყო, როგორც ქალღმერთები ტიციანის ფუნჯით ნახატი. მათი კანი თვალისმომჭრელად თეთრია, რასაც ხაზს უსვამს შესანიშნავი თმები, ნაწნავებად მხრებზე ჩამოშლილი და მარგალიტებითა და ბაფთებით დამშვენებული. ისინი ნამდვილი გრაციები არიან... ვერაფერი შეედრება ამ უამრავი ლამაზმანის ხილვას, რომლებიც... საუბრობდნენ, სვამდნენ ყავასა და შარბათს, ისვენებდნენ ბალიშებზე, მონაქალები (ძირითადად, 16-17 წლის გოგონები) უწნიდნენ თმებს. მოკლედ, ეს ჰგავს ქალთა ყავახანას, სადაც ერთმანეთს უზიარებენ ქალაქის ახალ ამბებს, ხლართავენ სკანდალებს და ასე შემდეგ“.**

ლედი მონტეგიუმ შეამჩნია მხოლოდ ის, რაც სურდა, მაგრამ ჰამამებში იკვანძებოდა სულ სხვა ხასიათის რომანებიც. ზოგიერთ ქალბატონს უყვარდებოდა მასაჟის ოსტატი ქალი ან თავისი მეგობარი ქალი. **აბანოებს აქტიურად იყენებდნენ მაჭანკლები, რათა კარგად დაეთვალიერებინათ ის, ვისი გათხოვებაც ჰქონდათ გადაწყვეტილი; იქვე აწყობდნენ თბილ, სასიყვარულო ბუდეებს, რომლებშიც მოფერებას მონატრებული ქალები ეროტიკულ გართობას ეძლეოდნენ.** უაღრესად ნაზი ურთიერთობა მყარდებოდა შეყვარებულ ქალთა შორის — ერთნაირ კაბებს იცვამდნენ, ერთნაირ სუნამოებს იპკურებდნენ, ერთნაირი კოსმეტიკით ლამაზდებოდნენ.

ვნება ყოველთვის ორმხრივი არ იყო, მაგრამ ვერ იტანდა წინააღმდეგობას. შემორჩენილია სტამბოლის ერთი მდიდარი ქალბატონის სკანდალური ისტორია, რომელსაც შეუყვარდა ქალიშვილი, გამოეწყო მამაკაცის ტანსაცმელში და იმ ქალიშვილის მამას მდიდრული ყალიმის (საჩუქრის) სანაცვლოდ გოგოს ცოლობა სთხოვა. შედგა ქორწილი, მაგრამ პირველ ღამეს „ქმარმა“ ვერ მოხიბლა ცოლი, რომელმაც ატეხა ყვირილი და დავიდარაბა, გაიქცა თავის სახლში. საქმე, რომელიც სკანდალურად გახმაურდა, სტამბოლის **ყადს** — მოსამართლეს გადაეცა. სასჯელი დაუნდობელი და შუა საუკუნეების თურქეთისთვის ტრადიციული იყო: **შეყვარებული ქალბატონი ტყავის ტომარაში ჩასვეს, გაუკერეს თავი და ზღვაში ჩააგდეს.**

**ქალთა შორის სიყვარული ჰარამხანებში დასჯად ქმედებად ითვლებოდა, თუნდაც პლატონური ყოფილიყო იგი. ეჭვმიტანილ წყვილებს ერთმანეთს აცილებდნენ.**

ზოგიერთი ქალი, გამოსავალს რომ ვერ პოულობდა, საჭურისებთან ცდილობდა ვნების დაცხრომას. ამიტომ იყო, რომ სულთანმა აბდულ-ჰამიდ II-მ, რომელიც მანიაკალურად ეჭვიანი იყო, „ღალატის თავიდან ასაცილებლად“ თავის ჰარამხანაში კასტრირებული ცხოველების შესვლაც კი აკრძალა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ **არც მამაკაცთა შორის სიყვარული იყო უცხო ხილი, აბანო კი მათი ვნების დაცხრომის საშუალებას იძლეოდა. ასეთი მიდრეკილების მამაკაცებს აბანოში სთავაზობდნენ არჩევანს — შეეძლოთ მიეწვიათ ნაზი 15-17 წლის ბიჭები, ან ძლიერი მასაჟისტები, რაც მათ აქტიურობასა და პასიურობაზე იყო დამოკიდებული.** ეროტიკულ ნაწარმოებში „დელაკნამე და დილკიუშ“ („გულის დასამშვიდებელი მასაჟი“), რომლის ავტორია დერვიშ ისმაილ ეფენდი, ჩაწერილია პრეისკურანტი და აღწერილია ზოგიერთი ყმაწვილის ღირსებები: **„პირველია ბალი, რომელიც სილამაზის სრულყოფილებითაა გამორჩეული, ზრდილია და დახვეწილი მანერები აქვს. იგი ვარდის კვირტია, რომელიც სიყვარულის დროს იფურჩქნება და უსასო ბულბულია თქვენს მკერდზე მისვენებული, მისი თმები გიაცინტია... მისი მზერა ჯალათის მზერის დარია... მისი უკანალი ბროლის თასია, ჭიპი — აფეთქებასავითაა. ასე შეიძლება მისი აღწერა“.**

აბანოებს კიდევ ერთი საიდუმლო ფუნქცია ჰქონდა: ზოგჯერ **აბანოში წასვლის მომიზეზებით შეიძლებოდა სასიყვარულო პაემანზე გაპარვა.**

გამომგონებლობა, რომელსაც ამ შემთხვევაში მიმართავდნენ, ეჭვიანი ქმრების მიერ გამოყენებული ღონისძიებების პირდაპირპროპორციული იყო. **დიდ უპირატესობას იძლეოდა ერთფეროვანი ტანსაცმელი, რომელსაც სახლიდან გასვლის დროს იცვამდნენ. ქმარსაც კი არ შეეძლო, გამოეცნო თავისი ცოლი სხვა ქალებს შორის.** დაეჭვებულ ქმარს საშუალება არ ჰქონდა, გაერკვია, ვინ ვინ იყო, რადგან, მუსლიმთა წესით, ქალის გაჩერება აკრძალულია.

**„თავისუფალ ადამიანად დაბადებულ ქალს ყოველთვის შეუძლია სახლიდან სტუმრად წასვლა. ღალატის თავიდან ასაცილებლად ქმარს მონის მიჩენა შეუძლია. მაგრამ ეს უმნიშვნელო შედეგს იძლევა, რადგან ქალბატონს შეუძლია მოისყიდოს მონა ან ადვილად დაუსხლტეს მას: შეუმჩნევლად გავიდეს მეგობრების სახლიდან ან აბანოდან, სადაც მას მონა მხოლოდ გარედან უთვალთვალებს. დაფარული სახე და ერთნაირი სამოსი მუსლიმ ქალებს სასიყვარულო ინტრიგების მოწყობის იმაზე მეტ შესაძლებლობას აძლევს, რაც მათ ევროპელ კოლეგებს გააჩნიათ. თავშესაქცევი ისტორიები, რომლებსაც ყავახანებში გაიგებთ, ხშირად ეხება სასიყვარულო თავგადასავლებს, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ შეაღწიეს ქალად გადაცმულმა კაცებმა სხვის ჰანამხანაში“.**

ეს დაწერა ჟენარ დე ნერვალმა XIX საუკუნეში, მაგრამ ასეთივე ტენდენციები საუკუნეების წინათაც არსებობდა. ბარონი ბრატისლავი, რომელიც 1851 წელს თან ახლდა ავსტრიის ელჩობას სტამბოლში, ადასტურებს ამგვარი მოტყუების ფაქტს: **„მუსტაფა შეხვდა ერთ ქალბატონს და საელჩოში მიიწვია. მე მოვამზადე დესერტები და ვიყიდე საუკეთესო ღვინო. ჩვენ ვმეგობრობდით მუსტაფასთან, რადგან იგი წარმოშობით ბოჰემიიდან არის. ჩემთან ურთიერთობაში ყოველთვის თავაზიანი იყო. მუსტაფას საყვარელს უკიდურესად ეჭვიანი ქმარი ჰყავდა, ასაკით მასზე ბევრად უფროსი, არასოდეს სჯეროდა ცოლის და ყოველთვის თან დაჰყვებოდა, სადაც გინდა წასულიყო. მაგრამ ვის როდის გაუჩერებია ქალი, რომელმაც გადაწყვიტა მეუღლის მოტყუება?! რა თქმა უნდა, არავის. მან გამოიყენა აბანოს ფანდი და მოახერხა პაემანზე მისვლა. ქმარს უთხრა, რომ ჰამამის დრო დადგა და წავიდა აბანოში, სახელწოდებით ჩემბერლიში, თან გაიყოლა ორი მონაქალი. ჰამამი საელჩოსთან ძალიან ახლოს მდებარეობდა და, სანამ იქ მივიდოდა, მოასწრო, ენიშნებინა მუსტაფასთვის, რომ წვეულებაზე დაუგვიანებლად გამოცხადდებოდა. იმ საათებში ჩემბერლეი მხოლოდ ქალებისთვის იყო ღია და ვერც ერთი კაცი ვერ გაბედავდა იქ შესვლას, თუ, რა თქმა უნდა, თავის მოკვლა არ ჰქონდა გადაწყვეტილი.**

**ეჭვიანმა ქმარმა დაინახა, როგორ შევიდა მისი ცოლი ჰამამში და იქვე, კუთხეში ჩაუსაფრდა. ამასობაში მისმა მეუღლემ თავისი მწვანე კაბა გაიხადა, ჩაიცვა წითელი, რომელიც ფუთაში ჰქონდა შენახული. მონაქალები ჰამამში დატოვა, გავიდა აბანოდან და მალე მუსტაფას ოთახში აღმოჩნდა. მუსტაფა მხიარულად მიესალმა და... კარგადაც გაართო სტუმარი. ნავახშმევს ქალი დაბრუნდა ჰამამში, ჩამოიბანა ცოდვის კვალი, ჩაიცვა მწვანე კაბა და შინ ქმართან ერთად დაბრუნდა...“**

შეყვარებულები რისკავდნენ. არაკანონიერი სიყვარული თურქეთში უმკაცრესად ისჯებოდა. **მრუშ ქალებს ღამე თუ დაიჭერდნენ, ზინდანში ჩააგდებდნენ, დილით კი მოღალატე ცოლს შესვამდნენ ვირზე, რომელსაც თავზე ირმის რქებს დაადგამდნენ. წინ მაცნე მიდიოდა, რომელიც საყვირში უბერავდა და აუწყებდა ხალხს ჩადენილი დანაშაულის შესახებ. საყვარელს, რომელსაც ვირი აღვირით მიჰყავდა და უბედურ ქალს, რომელიც სახედარზე იჯდა, ხალხი მისდევდა, დასცინოდა, ესროდა ქვებს, დამპალ ფორთოხლებსა და ტალახს. კაცი დამატებით სასჯელად ას დარტყმას იღებდა ტერფებზე, ქალი ვირის ქირას იხდიდა.**

გარყვნილების საწინააღმდეგო კანონი, რომელიც სულთანმა სელიმ I იავუზმა (1512-1520) მიიღო, ითვალისწინებდა ფულად ჯარიმას. ცოლიან კაცს, რომელსაც აქტის დროს დააკავებდნენ, უნდა გადაეხადა 400 ვერცხლის მონეტა. საშუალო კლასის მამაკაცს ჯარიმას 300 მონეტამდე უმცირებდნენ, ღარიბს — 200-მდე, ღატაკს კი მხოლოდ 100 ვერცხლის ფულს ართმევდნენ.

ჯარიმას იხდიდა ქმარი.





## გასეირნება

**1808 წელს ტახტზე ავიდა სულთანი მუჰამედ II, ემე დე რივერის შვილი, ფრანგი ქალისა, რომელიც ოსმანთა სახლის ლეგენდა იყო. იმპერიაში დაიწყო ქალთა გათავისუფლების ეპოქა, რომელიც ჰარამხანის ქალებსაც შეეხო. ამ პროგრესული სულთნის წყალობით, მათ სტამბოლის სანახებში სეირნობის ნება დართეს. ესტაფეტა ადგილობრივმა არისტოკრატიამ აიტაცა, პიკნიკების მოდა გავრცელდა დედაქალაქში და, მოგზაურთა თქმით, ვისაც სურდა თურქი ლამაზმანების ხილვა, შეეძლო ენახა ისინი ბოსფორის თვალწარმტაც სანაპიროზე, მცირე მდინარის ნაპირზე და მწვანე მინდვრებში. აბრეშუმის ტანსაცმელში გამოწყობილ, ამ მხიარულად მოსაუბრე ქალთა კრებულის ხილვა „დიდი სიამოვნება იყო“.**

ჰარამხანიდან გასვლა მკაცრ ეტიკეტს ექვემდებარებოდა.

მდივანი გამოუცხადებდა ქალებს, სად უნდა გამგზავრებულიყვნენ, შეკრების შემდეგ დახურულ ეკიპაჟებში სხდებოდნენ ზუსტად დადგენილი თანმიმდევრობით: ყველაზე მნიშვნელოვანი ქალბატონები კოლონის თავსა და ბოლოში იყვნენ, „ახლები“ — შუაში. ტანსაცმელი გასეირნებისთვის ასევე რეგლამენტირებული იყო: ყველა ქალს ერთი ფერის კაბები უნდა სცმოდა.

**მხედარი საჭურისების უდიდესი ესკორტი მიაცილებდა პროცესიას პიკნიკის ადგილამდე. იქ ქალები გამოდიოდნენ ეკიპაჟებიდან, სუნთქავდნენ ზღვაურს, მიირთმევდნენ იქვე მაყალზე შემწვარ მწვადებს და უცქერდნენ თოჯინების წარმოდგენასა და მუშაითების გამოსვლას, რომელთაგან მათ გამოჰყოფდა აუცილებელი ფარდა.**

ზოგჯერ უფრო ხანგრძლივი ექსკურსიები ტარდებოდა, როდესაც შუადღის ნამაზის ჟამს პროცესია სულთნის სასახლეებში ჩერდებოდა, მაგრამ უსაყვარლესი გართობა მოოქროვილი ნავებით ბოსფორზე ღამის გასეირნება იყო.

**ღამით, მთვარის შუქზე ზღვის ტალღებზე მისრიალებდა ასობით ნავი, რომლებშიც მშვენიერი ქალები ისხდნენ. ისინი მღეროდნენ, შესციცინებდნენ ვარსკვლავებს და ასე ატარებდნენ დროს გათენებამდე. ეს გასეირნება ჰარამხანაში დიდხანს საუბრის თემად რჩებოდა, ისევე, როგორც ქალაქში საყიდლებზე გასვლა.** ვაჭრები მოუთმენლად ელოდნენ ასეთი პერსპექტიული მყიდველების მისვლას, და, როგორც წესი, იმედი არ უცრუვდებოდათ. ქალები ყიდულობდნენ ფეხსაცმელს, ქსოვილებს, რომლებიც დაუყოვნებლივ მიჰქონდათ სულთნის კარის მკერავებთან. ზოგჯერ ვაჭარ ქალებს ჰარამხანაში შესვლის ნებას რთავდნენ. იქ მათ არანაკლები მოუთმენლობით ელოდნენ, რადგან საქონლის შეძენასთან ერთად შეეძლოთ გაეგოთ უახლესი ჭორებიც და გაეჩინათ შუამავლები ინტრიგებსა და საიდუმლო შეთქმულებებში.

ჰარამხანა დროთა განმავლობაში თავის არსში უცვლელი რჩებოდა.

გაგრძელება იქნება

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თვითმარქვია იმან დალუპა, რომ ვინმე დოქტორმა უილკინსონმა გულთან ახლოს მიიტანა და სერიოზულად აღიქვა კარაბუს ამბავი და მისი ენის, ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის შესწავლას შეუდგა. მან ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში პრინცესა კარაბუზე რამდენიმე სტატიაც გამოაქვეყნა. ბრისტოლის ჟურნალში'გოგონას ფოტოც დაიბეჭდა და ვინმე მისის ნილმა პრინცესა კარაბუში უითერიჯელი მეწაღის ქალიშვილი მერი უილკოქსი (ქმრის გვარი ბეიკერი) ამოიცნო. როგორც აღმოჩნდა, რაღაც დროის განმავლობაში მერი მისის ნილის მდგმური იყო.**



# ხე სახურავზე

**ინდიანის შტატის ქალაქ გრინსბურგში ხე ისტორიული სასამართლოს შენობის (Decatur County Courthouse) სახურავზე იზრდება.**

გრინსბურგი ტურისტებისთვის ცნობილია, როგორც „ხის ქალაქი". ხე ქალაქის ისტორიული შენობის სახურავზე 1870 წლიდან ხარობს. არსებული ცნობებით, ადგილობრივებმა შენობის სახურავის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში პაწაწინა ტოტი შენიშნეს. თუმცა, ამისთვის მაშინ დიდი მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია. დროთა განმავლობაში ხე გაიზარდა და ამ უჩვეულო მოვლენაზე მალე მთელი ქალაქი ალაპარაკდა. მოგვიანებით სახურავზე მეორე ხეც ამოიზარდა, თუმცა ის მოჭრეს, ვინაიდან მისი ფესვები შენობის კედლებს საფრთხეს უქმნიდა.

სასამართლო შენობის სახურავზე მზარდი ხე თუთაა. დღემდე მისი საიდუმლო ვერავინ ამოხსნა.

შენობასთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებულ ინტერესს ტურისტები იჩენენ.




# 1 წლის ბავშვმა აუქციონზე იშვიათი ავტომობილი შეიძინა

**პორტლენდში 14 თვის ამერიკელმა გოგონამ მამის სმარტფონით თამაშისას ონლიან-აუქციონზე იშვიათი ავტომობილი შეიძინა. პატარა სარელი სტაუტის ხელში სმარტფონი შემთხვევით აღმოჩნდა. ბავშვმა ონლაინ-აუქციონ EBAY-ს აპლიკაცია გახსნა და რამდენიმე ღილაკზე დაჭერით 1962 წელს გამოშვებული AUSTIN HEALY SPRITE-ი შეიძინა.**

ავტომობილი საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო, ამიტომ მისი ფასი მხოლოდ 225 დოლარს შეადგენდა, თუმცა შეიძლებოდა, მოვლენები უფრო ცუდადაც განვითარებულიყო. რამდენიმე დღით ადრე სარელის მამა, პოლი, 38 000 დოლარად შეფასებული Porsche-ს შესახებ განცხადებებს ათვალიერებდა. გოგონას რომ სმარტფონით თამაში გაეგრძელებინა, მშობლებს საკმაოდ დიდი თანხით დააზარალებდა.

პოლ სტაუსის თქმით, ის ავტომობილს შეაკეთებს და ქალიშვილს მე-16 დაბადების დღეზე უსახსოვრებს.

**„ეს ავტომობილი ხომ თავად შეიძინა?!"** — აცხადებს პატარა გოგონას მამა.

# თვითმარქვია პრინცესა კარაბუ

**1617 წელს დიდ ბრიტანეთში, გლოსტერშირში, გამოჩნდა ეგზოტიკურად ჩაცმული, თავზე დოლბანდწაკრული ახალგაზრდა გოგონა, რომელიც გაურკვეველ ენაზე ლაპარაკობდა. ენის იდენტიფიკაციისთვის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ბევრ უცხოელს მიმართეს, სანამ ერთმა პორტუგალიელმა მეზღვაურმა არ „გადათარგმნა" მისი ამბავი. როგორც აღმოჩნდა, ქალიშვილი ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე მცხოვრები პრინცესა კარაბუ ყოფილა, თუმცა სინამდვილეში ავანტიურისტ პრინცესას მერი ბეიკერ-უილკოქსი ერქვა.**



1817 წლის აპრილში გლოსტერშირის პატარა დასახლება ალმონსბერიში უცნაურად ჩაცმული ქალიშვილი პირველად ადგილობრივმა მეწაღემ შეამჩნია. იმის გამო, რომ არ იცოდა, რა ექნა, ცოლის თანხლებით უცნობი ადგილობრივ ღარიბთა თავშესაფარში გაგზავნა. თვითმხილველების თქმით, რომლებიც იმ დროს თავშესაფარში იყვნენ, უცნობმა მიანიშნა, რომ თანახმა იყო, რაღაც დროით იქ ეცხოვრა. ქალიშვილი დაღლილი იყო და მოძრაობა უჭირდა.

სამწუხაროდ, მისი ლაპარაკი ვერავინ გაიგო. თავშესაფრის მზრუნველმა მისტერ ფილმა თავი ვალდებულად ჩათვალა, დახმარებისთვის მიემართა საგრაფოს საერთაშორისო მსაჯულ სემიუელ უორალისთვის, რომლის ერთ-ერთი მოსამსახურე ბერძენი იყო და რამდენიმე უცხო ენა იცოდა. უცნობი უხალისოდ, მაგრამ მაინც დათანხმდა უორალის მამულში სტუმრობას. სამწუხაროდ, ვერც ბერძენმა და ვერც ვერავინ მოახერხეს გოგონას ენის გაგება.

**მეწაღე და მისი ამერიკელი ცოლი ჟესტების ენით ცდილობდნენ, გამოერკვიათ, ჰქონდა თუ არა თან უცნობს რაიმე დოკუმენტები. ბოლოს და ბოლოს, გოგონა მიხვდა, რასაც სთხოვდნენ, ჯიბიდან გახეხილი, სხვა ვერსიით კი ყალბი ექვსპენსიანი, ნახევარპენსიანი მონეტა და შალში გახვეული საპონი ამოიღო. ამის გარდა არაფერი ებადა. ამ ფაქტს, შესაძლოა, სერიოზულად გაეუარესებინა მისი მდგომარეობა, რადგან, იმდროინდელი კანონების მიხედვით, ყალბი ფულის მქონე პირს სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ უცნობი ვერ ხვდებოდა, რამდენად მძიმე იყო მისი მდგომარეობა. ამ ფაქტმაც შეუწყო ხელი დამატებით მტკიცებულებას, რომ იგი საიდანღაც შორიდან მოვიდა.**

დოკუმენტებში ზედმიწევნითაა გადმოცემული ქალიშვილის ტანსაცმელი: შავი შალის კაბა და მუსლინის ნაოჭაყრილი საყელოიანი საცვლის მაისური ეცვა. თავზე დოლბანდად გადაქცეული შავი ტილოს შალი ჰქონდა წაკრული, მხრებზე შავ-თეთრი შალი ჰქონდა მოსხმული, ფეხზე შავი წინდა და შავი ტყავის ფეხსაცმელი ეცვა.

ხუთ ფუტზე მაღალი იყო, შავგვრემანი, შავი თვალები და წაბლისფერი თმა ჰქონდა, ეტყობოდა, საყურეს ატარებდა. მის ნაზ ხელებს თითქოს არაფერი გაეკეთებინოს, დახვეწილი და რბილი მანერები ჰქონდა.

**იმდროინდელი კანონებით, მაწანწალებს ციხე ან გამოსასწორებელი სახლი ემუქრებოდათ. საეჭვო უცხოელები იმ დროს, ნაპოლეონის ომის დამთავრებისთანავე, პოლიტიკურ აგენტებად ან დივერსანტებად მიიჩნეოდნენ. გოგონა შრომით ბანაკში წასვლის წინააღმდეგი იყო.**

ცოლთან მოთათბირების შემდეგ, საერთაშორისო მსაჯულმა, სანამ ბოლომდე გამოიძიებდა მის ვინაობას, ორი მოახლის თანხლებით გოგონა ღამის გასათევად სოფლის სასტუმროში გაგზავნა.

როდესაც სასტუმროში მისულმა გოგონამ კედელზე დახატული ანანასი დაინახა, აღგზნებულმა რამდენიმეჯერ წამოიძახა „ანანა" — ასე ეწოდება ამ ხილს ბერძნულად და ბევრ სხვა ენაზე. ასევე მიანიშნა გარშემო მყოფებს, რომ მისთვის ნაცნობი იყო ეს ხილი და თითქოს ანანასი იმ ადგილებში ხარობდა, სადაც ცხოვრობდა.

მისის უორალი, რომელიც ვერაფრით ხვდებოდა, საიდან იყო მისი სტუმარი, ფიქრობდა, რომ მის წინაშე ესპანელი ან ბერძენი იდგა, მაგრამ ბოლო ვარაუდი გამორიცხეს, რადგან მისმა ბერძენმა მსახურმა უცხოელს ვერაფერი გააგებინა. უცნობის ჩინური წარმომავლობაც გამორიცხეს — გოგონას სახის ნაკვთები მის ევროპელობაზე მეტყველებდა. **როდესაც ქალიშვილს ჩაი მიართვეს, სანამ დალევდა, თვალები დახუჭა და გაუგებარ ენაზე ლოცვა დაიწყო. მორიგ ფინჯან ჩაიზე უარი თქვა, ჟესტებით ჭიქის გარეცხვა მოითხოვა, ილოცა და მხოლოდ ამის შემდეგ მიირთვა ჩაი. რთული აღმოჩნდა მისი საწოლში ჩაწვენაც, ჯერ იატაკზე დაწოლა გადაწყვიტა, მაგრამ სასტუმროს დიასახლისის მონდომებით, როგორც იქნა, დააძინეს.**

**ქალაქში უცნობის გამოჩენის ამბავი უმალვე გავრცელდა და უცხოელები მისი ვინაობის დადგენას შეეცადნენ, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა.**

შემონახულია საინტერესო დოკუმენტი, მეზღვაურის წერილი, რომელიც კარგად იცნობდა ხმელთაშუა ზღვის აუზებსა და მის გარშემო მდებარე ქვეყნებს. აი, რა ეწერა წერილში: **მადამ, მგონია, რომ კარაბუ თქვენი სტუმრის კი არა, მისი ქვეყნის სახელია. მგონია, რომ ის წარმოშობით კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე უბე კარაბუდანაა. გოგონას ადვილად შეეძლო, აქ სპარსეთის ყურიდან ან შავი ზღვიდან მოხვედრილიყო, რადგან ამ წლის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვიდან ევროპაში უამრავი გემი შემოვიდა. იქნებ თქვენმა სტუმარმა ეს ადგილი რუკაზე ამოიცნოს. იმედი მაქვს, ჩემი ინფორმაცია გამოგადგებათ. თქვენი ერთგული მოსამსახურე.**



გამოცდილი მოგზაურები, რომლებიც კარგად იცნობდნენ წყნარი ოკეანის კუნძულებს, თანდათან ამჩნევდნენ, რომ რაღაცები არ ემთხვეოდა პრინცესა კარაბუს ჩვევებსა და სამხრეთის ქვეყნების წეს-ჩვეულებებს შორის. თუმცა ამ საკითხზე მისი თანდასწრებით ლაპარაკობდნენ, რაც საშუალებას აძლევდა კარაბუს, მაშინვე გაეთვალისწინებინა და გამოესწორებინა შეცდომები.

**სიმართლე მაინც გაირკვა. თვითმარქვია იმან დალუპა, რომ ვინმე დოქტორმა უილკინსონმა გულთან ახლოს მიიტანა და სერიოზულად აღიქვა კარაბუს ამბავი და მისი ენის, ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის შესწავლას შეუდგა.** მან ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში პრინცესა კარაბუზე რამდენიმე სტატიაც გამოაქვეყნა. ბრისტოლის ჟურნალში'გოგონას ფოტოც დაიბეჭდა და **ვინმე მისის ნილმა პრინცესა კარაბუში უითერიჯელი მეწაღის ქალიშვილი მერი უილკოქსი (ქმრის გვარი ბეიკერი) ამოიცნო. როგორც აღმოჩნდა, რაღაც დროის განმავლობაში მერი მისის ნილის მდგმური იყო. მისის ნილი ირწმუნებოდა, რომ მერი ხშირად ეთამაშებოდა მის პატარა ქალიშვილებს და თავისივე გამოგონილ ენაზე ელაპარაკებოდა. მისის ნილი ასევე ამტკიცებდა, რომ სახლიდან წასვლისას მერიმ შალი თავზე ჩალმასავით შემოიხვია.**

ამ ჩვენების შემდეგ მერი იძულებული გახდა, სიმართლე ეღიარებინა და იქიდან გადახვეწილიყო...



## დნობადი ბოთლები

**„კოკა-კოლას“ კომპანიაში სპეციალურად კოლუმბიისთვის, ახალი ბოთლები შექმნეს, რომლებიც მთლიანად ყინულისგანაა დამზადებული. ძირითადი აქცენტი გარემოს დაცვაზე კეთდება — როდესაც ცხელ ზაფხულში ცივ სასმელს დალევთ, რამდენიმე წუთში ბოთლი დადნება და მიწაში გაიჟღინთება. შესაბამისად, გარემოც ნაკლებად დაბინძურდება.**

კლიენტის თითები ყინულმა რომ არ დააზიანოს, ბოთლის ქვედა ნაწილზე „კოკა-კოლას“ ლოგოს ტრადიციული წითელი ლენტია მიკრული, რომლითაც ბოთლის ადვილად და კომფორტულად დაჭერაა შესაძლებელი.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომავლის სასტუმროები

**იტალიელმა დიზაინერმა და არქიტექტორმა სიმონ მაიქლმა შექმნა HouseStreet-ის ახალი კონცეფცია. ხელოვანის ჩანაფიქში ქალაქის ზოგი ტერიტორია სასტუმროს ნომრებად გარდაიქმნება.**

თითოეულ ნომერში გათვალისწინებულია ცალკე შესასვლელი და ფანჯარა, რომელიც ქუჩას გადაჰყურებს. პირველად ასეთი ნომრები წარმოდგენილი იყო 2010 წელს მილანში. ისინი დამონტაჟდა მილანის ერთ-ერთ სავაჭრო შენობაში და არ ჰქონდა სტუმრების რეგისტრაციისთვის ფართი, დარბაზი, დერეფანი და ოთახები.

ვარაუდობენ, რომ მსგავსი სასტუმრო-ნომრები დამონტაჟდება პირდაპირ ქალაქის ქუჩებში. იმისათვის, რომ მოვხვდეთ ასეთი ნომერში, საკმარისი იქნება ოთახის დაჯავშნა ონლაინ რეჟიმში, მივიღოთ სარეგისტრაციო კოდი და შევიყვანოთ ეს კოდი საჭირო ადგილას...

თითოეული ოთახი-ნომერი უნიკალურია და განსხვავდება ჩვეულებრივი, უკვე შეჩვეული სასტუმროს ნომრისგან. ოთახები დამშვენებულია ფოტოგრაფ მაურისიო მარკატოს ქალაქის პეიზაჟების გიგანტური ფოტოებით. ...

**თითოეული ნომრის ფართობი 35 კვადრატულ მეტრს შეადგენს, რაც საკმაოდ მისაღებია კომფორტული ცხოვრებისა და ღამის გასათევად.**

ცოტა მეტი სივრცე არის ორადგილიანი ნომრისთვის – ნომრის ფართობი ორი ადამიანისთვის შეადგენს 50 კვადრატულ მეტრს. ასეთი აპარტამენტები აღჭურვილია სამზარეულოთი, კარადითა და სველი წერტილებით.









# ყველაზე საშიში საქანელა

**ექსტრემალური გართობის მოყვარულები ეკვადორში, ქალაქ ბანოსში მიდიან, რათა მსოფლიოში ყველაზე საშიშ საქანელაზე იქანაონ.**

ადგილობრივები საქანელას „მსოფლიოს დასასრულთან ქანაობას“ ეძახიან. სახლი ხეშია ჩაშენებული და ეზოში, მთის კიდეზე — საქანელა. საქანელა დიდ მანძილზე ქანაობს და შესაძლებელია სიმაღლიდან ღრმა ხეობისა და მთების თავზე მოექცეთ. **„ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს თქვენ გარშემო სრული სიცარიელეა. თუ გეშინიათ და ექსტრემალი არ ხართ, ამ ადგილას მისვლას არ გირჩევთ“**, — ამბობენ ადგილობრივები.

საქანელას არ აქვს უსაფრთხოების ღვედები, ქვემოთ კი ძალიან ღრმა ხევია. როგორც წესი, საქანელასთან გრძელი რიგია მაშინ, როდესაც წვიმს ან ხეობაში ნისლია ჩამოწოლილი.

# სერფერი თხა

**კალიფორნიაში პლაჟზე სეირნობისას, შესაძლოა, სერფინგის დაფაზე მოსრიალე თხა დაინახოთ.**

ცოტა უცნაურად ჟღერს თხა და სერფინგი, მაგრამ ყველაფერი ხდება. თხა გოატი წარმოშობით გროვერ ბიჩიდანაა. მისი, როგორც სერფერის, ისტორია კი დან მაკგრეგორით დაიწყო.

ახალგაზრდა ყმაწვილმა ერთ დღეს გადაწყვიტა, ბაღის სარეველებისგან გასუფთავების მარტივი და ეკონომიური გზა ეპოვა, ამიტომაც იყიდა თხა, რომელსაც ძალიან შეეჩვია და ცოტა ხანში შინაურ ცხოველად დაიტოვა.

თხას რომ არ მოეწყინა, მზრუნველ პატრონს ხშირად დაჰყავდა პლაჟზე, ცოტა ხანში კი აღმოჩნდა, რომ გოატს სერფინგის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. მან დან მაკგრეგორის დახმარებით შეძლო დაფაზე დგომა და ტალღებზე სრიალი.

თხა გოატი დღესდღეობით წარმატებით აგრძელებს სრიალს თავის პატრონთან ერთად. ასე რომ, კალიფორნიაში მოხვედრისას თუ თხის კიკინს გაიგონებთ ტალღებიდან, ეს ნამდვილად გოატია.







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იაპონელი პლასტიკური ქირურგები ხელისგულზე ოპერაციას 1000 დოლარად აკეთებენ. როგორც პაციენტები ჟურნალისტებთან საუბარში ამბობენ, ამ ხერხით ისინი სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, ჯანმრთელობას იუმჯობესებენ, სატრფოს „შოულობენ“ და უმეტესობას ისიც კი სწამს, რომ ლატარეაში დიდ ფულს მოიგებს.**




## ქალი ცოლად გაჰყვა ხიდს

**ავსტრალიელი ხელოვანი ჯოდი როუზი ხიდზე დაქორწინდა. მან მეუღლედ ეროს დეპარტამენტში (საფრანგეთის სამხრეთ ნაწილი) მდებარე 600 წლის ქვის ხიდი — Le Pont du Diable შეარჩია.**

ჯოდი პროექტზე „ხიდების სიმღერა“ რამდენიმე წელი მუშაობდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ესტუმრა, რათა ხიდებისთვის ფოტოები გადაეღო და მათი არქიტექტურა შეესწავლა, საფრანგეთში ყოფნისას კი მიხვდა, რომ Le Pont du Diable ის „ერთადერთია“, რომელზეც ოდესმე გათხოვდებოდა. **„ხიდი არაჩვეულებრივი ქმარია, ძალიან ძლიერი და მშვიდი. ძალიან მიყვარს — ის დედამიწასთან მაკავშირებს“,** — ამბობს ქალი.

ქორწინების ცერემონიალს ჯოდის რამდენიმე მეგობარი დაესწრო. პატარძალს თეთრი კაბა ეცვა და თაიგული ეჭირა, ხოლო „ნეფე“ წვეულების შესაბამისად მორთეს. ქორწინება სიმბოლური იყო, მაგრამ დასავლელმა ჟურნალისტებმა ჯოდის ტრფობის ობიექტს ვრცელი სტატიები მიუძღვნეს.

# ბედისწერის შეცვლა პლასტიკური ქირურგიით



**იაპონიაში ხელისგულზე მკითხაობა ძალიან პოპულარულია და ხელის ხაზების დახმარებით მომავალ კეთილდღეობასა თუ უიღბლობას განსაზღვრავენ.**

იაპონელებს სწამთ, რომ ბედისწერის შეცვლა შეუძლიათ და ამიტომ პლასტიკურ ქირურგებთან მიდიან და ხელისგულზე ღარებს იცვლიან. იაპონელი პლასტიკური ქირურგები ხელისგულზე ოპერაციას 1000 დოლარად აკეთებენ. როგორც პაციენტები ჟურნალისტებთან საუბარში ამბობენ, ამ ხერხით ისინი სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, ჯანმრთელობას იუმჯობესებენ, სატრფოს „შოულობენ“ და უმეტესობას ისიც კი სწამს, რომ ლატარეაში დიდ ფულს მოიგებს.

ამ პროცედურის ჩასატარებლად პლასტიკურ ქირურგებთან პაციენტთა რიგები არ წყდება. პროცედურა 10-15 წუთს გრძელდება. ხელისგულის შეცვლის მსურველთა ასაკი 30 წელს არ აღემატება. ამ ასაკის იაპონელებმა უკვე იციან, ცხოვრებაში რა უნდათ, რისი შეცვლა სურთ და რა არ მოსწონთ.

**კაცები ღარებს ძირითადად იმ იმედით იცვლიან, რომ ფინანსები გაზარდონ და ფული იღბლიან საქმეში დააბანდონ. ქალების მთავარი პრობლემა არასასურველი პარტნიორების მოშორება და გათხოვებაა.** ზოგიერთი იაპონელი ქალი ფიქრობს, რომ მის ხელისგულზე გათხოვების ხაზი არ არის და ამიტომ შესაბამისი სიმბოლოთი „ბედს იხსნის“. ზოგიერთი იმაზე დარდობს, რომ ნაადრევი გათხოვება უწერია, ზოგს კი ოპერაციის შემდეგ სჯერა, რომ არასასურველ ქმარს მალე გაეყრება და ახალი კარგი საქმროც ჰორიზონტზე გამოჩნდება.



## ერთსქესიან ქორწინებაზე პირველი მულტფილმი გადაიღეს

**ანიმაციური ფილმი Boxtrolls შეიძლება გეებისა და ლესბოსელების მიმართ ტოლერანტულ პირველ მულტიპლიკაციურ ფილმად ჩაითვალოს.**

ფილმის ტიზერის გამოსვლა გასულ კვირას, სექსუალური უმცირესობების უფლებათა დაცვის ყველაზე მასშტაბურ და გახმაურებულ მოვლენებს დაემთხვა — აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ერთსქესიანი ქორწინება ლეგალურად ცნო.

მულტფილმი პატარა ბიჭის ისტორიას მოგვითხრობს. იგი იმ მიწისქვეშა არსებების არატრადიციულ ოჯახში იზრდება, რომლებიც მუყაოს ყუთებში ცხოვრობენ. **„ოჯახები არსებობენ განსხვავებული ფორმისა და სიდიდის, სწორკუთხოვნებიც კი“,** — აცხადებს მთხრობელი. **„ჩვენ არ ვართ გეების მოძრაობის აქტივისტები. ჩვენ, უბრალოდ, ვცდილობთ, ვიყოთ ისინი, რანიც ვართ. ყველა მხატვარს აქვს თავისი აზრი და საკუთარი შეხედულება სამყაროზე. ჩვენ გვსურს, თამამი და განსხვავებული ფილმები შევქმნათ, რომელთა მეშვეობითაც რაღაც გააზრებულის თქმა შეიძლება“,** — აცხადებს ტრევის ნაიტი, Laika Studios-ს პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი.

ფილმი ალან სნოუს სათავგადასავლო-ფანტასტიკური ჟანრის რომანის „აქ იყავით მონსტრები“ მიხედვითაა გადაღებული. მულტფილმს ბენ კინგსლი, საიმონ პეგი და ტრეისი მორგანი ახმოვანებენ. პირველი მულტიპლიკაციური სურათი ერთსქესიან ქორწინებაზე 2014 წლის სექტემბერში გამოვა.

# ტაილანდში ჰიტლერი სუპერგმირად შერაცხეს

**ბანგკოკის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოსაშვები საღამოსთვის დახატეს პლაკატი, რომელზეც სუპერგმირები იყვნენ გამოსახულნი. სუპერგმირებს შორის ადოლფ ჰიტლერიც აღმოჩნდა. პლაკატი უმაღლესი სასწავლებლის შენობაზე გამოფინეს.**



ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ბოდიში 15 ივლისს „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე მოიხადა.

უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა წერილში განაცხადეს, რომ სტუდენტებმა, რომლებმაც პლაკატი გააფორმეს, ვერ გაიაზრეს საკუთარი საქციელის მნიშვნელობა. **პლაკატი, რომელზეც ჰიტლერი სუპერგმირებთან — ჰალკთან, სუპერმენთან და ბეტმენთან ერთადაა გამოსახული, უნივერსიტეტის შენობაზეა გამოფენილი.** ფოტოზე, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული გოგონა ნაცისტური მისალმების ჟესტით ჰიტლერის გამოსახულების წინ პოზირებს.

## კბილების წმენდის რეკორდი

**აფრიკაში ბავშვებმა სინქრონულად კბილების წმენდის რეკორდი დაამყარეს. ღონისძიებაში ნიგერიის დაახლოებით 3000 სკოლის 300 ათასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.**

აქცია სტომატოლოგების ასოციაციის ინიციატივით ჩატარდა. მათ გადაწყვიტეს, ბავშვებისთვის კბილების სწორი მოვლა ესწავლებინათ.

შედეგად, ნიგერიელმა ბავშვებმა 2007 წელს კბილების მასობრივი წმენდით დამყარებული რეკორდი მოხსნეს.

მაშინ რეკორდულ წმენდაში 117 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ჯერჯერობით მიღწევა გინესის რეკორდების წიგნში არ შეუტანიათ. შეიტანეს თუ არა ორგანიზატორებმა რეკორდის რეგისტრაციაზე მოთხოვნა, უცნობია.



ბიჭს სახელი ბაბუის საპატივცემულოდ დაარქვეს, ბაბუამისი დაუქორწინებლად გარდაიცვალა და, რადგანაც ახალგაზრდობაში არ შედგა ქორწილი ბაბუისა და ჰელენ შაბანგუს შორის, რომელიც ძალიან უყვარდა, ამიტომ მან თხოვნით მიმართა თავის შვილიშვილს, მის მაგივრად პატარა სანელს გაეკეთებინა ეს. „ეს ცერემონია წინაპართა სულების პატივსაცემად მოვაწყვეთ და ძალიან კმაყოფილი ვარ“, — განაცხადა ქორწილის შემდეგ პატარძალმა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






# უცნაური ვარსკვლავები

ცნობილი ადამიანები ხშირად ათასგვარი უცნაურობით ხასიათდებიან. მაგალითად, ზოგჯერ **ჯორჯ ქლუნის** ლოს ანჯელესში მდებარე სახლის გარდერობში სძინავს — მსახიობის თქმით, მისი ყველა საძინებელი ოთახი ძალიან ნათელია. სანამ ცნობილი გახდებოდა **ჰიუ გრანტი** მუშაობდა აგრონომის თანაშემწედ საფეხბურთო კლუბ „ფულჰემში“.

**ნიკოლ კიდმანს** პეპლების ეშინია (ლეპოდოპტეროფობია), **ჯონი დეპს** კი — კლოუნების (კოულპროფობია).

**ლედი გაგამ** თავისი ცნობილი ჰიტი „born this way“ 10 წუთში შექმნა. თავის დროზე, **კოლინ ფარელმა** ვერ გაიარა გასაუბრება ჯგუფ „boyzone“-ში. როდესაც **ჯულია რობერტსი** ნერვიულობს, მას მარცხენა თვალიდან ცრემლი სდის.

**მარკ კოულბერგი** იყო ქუჩური დაჯგუფების წევრი და სისტემატიურად მოიხმარდა კოკაინს.

ბეისბოლის ლეგენდარული მოთამაშეს, **ბეიბი რუტს**, არასოდეს ავიწყდებოდა კომბოსტოს ფურცლის დადება თავზე, ქუდის ქვეშ. ის ყოველ მეორე ჩაწოდებაზე ცვლიდა კომბოსტოს ფურცელს.






# 61 წლის პატარძალი და 8 წლის სიძე

**8 წლის სანელ მასილელა 61 წლის ჰელენ შაბანგუზე დაქორწინდა. რასაკვირველია, ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო და უცნაური ქორწილია, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაცვლილი წინაპრის სულის კარნახით და ბრძანებით შედგა. სულმა თითქოსდა ბიჭს მიუთითა საბედოზე....რადგან მასილელათა ოჯახს არ სურდა, გარდაცვლილ წინაპართა „სულების რისხვა და წყევლა“ დასტეხოდა თავს, გადაწყდა, რომ 8 წლის სანელი სასწრაფოდ შეირთავდა 61 წლის ქალბატონს.**

ბიჭის ოჯახმა 2 თვის განმავლობაში ორგანიზაცია გაუკეთა ქორწინებას, რათა თავიდან აეცილებინა მკვდარი სულების რისხვა. პატარძალი ამ დროს უკვე 5 შვილის... დედა იყო.

ბევრი ადგილობრივი მცხოვრები მშობლიურ სამხრეთ აფრიკის სოფელში შოკირებული იყო ამ ქორწილით, მაგრამ ბიჭის მშობლები განმარტავენ, რომ ეს მოვლენა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ოფიციალური კავშირი, არამედ როგორც მხოლოდ რიტუალი.

სიძის დედის, 46 წლის ქალბატონის თქმით, ასეთი რამ მათ ოჯახში პირველად ხდება.

ბიჭს სახელი ბაბუის საპატივცემულოდ დაარქვეს, ბაბუამისი დაუქორწინებლად გარდაიცვალა და, რადგანაც ახალგაზრდობაში არ შედგა ქორწილი ბაბუისა და ჰელენ შაბანგუს შორის, რომელიც ძალიან უყვარდა, ამიტომ მან თხოვნით მიმართა თავის შვილიშვილს, მის მაგივრად პატარა სანელს გაეკეთებინა ეს.

**„ამ გზით ჩვენ გავაბედნიერეთ ჩვენი წინაპრები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ოჯახში შეიძლებოდა მომხდარიყო უბედურება და დაწყევლილი ვყოფილიყავით მარად!“**

ქორწილი ბეჭდების გაცვლითა და სხვა ყველა წესის დაცვით ჩატარდა. 8 წლის სიძე-ბატონს და პატარძალს ოფიციალურად არ აქვთ ხელი მოწერილი და მათი მოვალეობები არ მოიცავს თანაცხოვრებას; ქორწილის შემდეგ ისინი თავიანთ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. **„ეს ცერემონია წინაპართა სულების პატივსაცემად მოვაწყვეთ და ძალიან კმაყოფილი ვარ“**, — განაცხადა ქორწილის შემდეგ პატარძალმა.

სანელ მასილელა იმედოვნებს, რომ, როდესაც გაიზრდება, აუცილებლად შეიყვარებს თავისი ასაკის გოგონას და ნამდვილ ოჯახსაც შექმნის.

პატარძლის ნამდვილ მეუღლეს და მათ შვილებს ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეზობელი ამ მოვლენამ შოკში ჩააგდო.





## The National Interest:

# ვაშინგტონმა საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებები საბოლოოდ უნდა ჩაკლას

**„ნატოს ქართული კოშმარი", — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა The National Interest დუგ ბენდოუს სტატიას საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ბოროტების იმპერია აღარ არსებობს, საბჭოთა კავშირი, კარგა ხანია, დაიშალა, ვარშავის პაქტი ისტორიის ნაგავსაყრელზეა, ევროპა ამერიკაზე მდიდარია და საინტერესოა, რატომ ითხოვს დღემდე შეერთებული შტატები ნატოს გაფართოებას?**



**„მაისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კერიმ განაცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებებს ნატოსა და ევროპისკენ. ივნისში კი ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი საქართველოს ეწვია, სადაც აღნიშნა — საქართველო ნატოს უახლოვდება, თუმცა მეტი რეფორმებია საჭირო და, როცა ეს რეფორმები შესრულდება, ნატო იძულებული იქნება, შეასრულოს დანაპირები, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდეს",** — წერს დუგ ბენდოუ და დასძენს, რომ ვაშინგტონმა უნდა შეაჩეროს ეს პროცესი.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია იოსებ სტალინის საბჭოთა კავშირის შესაჩერებლად შეიქმნა, ამერიკამ კი სისტემა ომის იარების შეხორცების შემდეგაც შეინარჩუნა.

**„1970-იანი წლებისთვის ალიანსის გამართლება შეწყდა. ბოროტების იმპერია ბოროტადაც დარჩა და იმპერიადაც, თუმცა საბჭოთა ნომენკლატურა მცირე ინტერსს იჩენდა, სამხედრო აგრესიაში ჩართულობით რისკის ქვეშ დაეყენებინათ პრივილეგიები. საბჭოთა კავშირის დაშლამ კი ნატო მტრის გარეშე დატოვა",** — წერს დუგ ბენდოუ და აღნიშნავს, რომ რაღაც პერიოდში ალიანსის დაბნეული მომხრეები ახალი მისიების ძიებაში იყვნენ.

სტატიის ავტორი წერს, რომ **ნატომ ახალი ვალდებულებების აღება გადაწყვიტა — ალიანსი საბრძოლველად ომებს ეძებდა. ავღანეთში, ბოსნიაში, კოსოვოსა და ლიბიაში დროდადრო მიმდინარე კონფლიქტებში ნატოს პრესტიჟული სოციალური კლუბის როლი ჰქონდა, რომელიც ამ კლუბში აღმოსავლეთ ევროპის ახალ გათავისუფლებულ და შექმნილ სახელმწიფოებს იწვევდა.**

დუგ ბენდოუ ასევე აღნიშნავს, რომ ეს პროცესი ახლაც გრძელდება და ალიანსის გენერალური მდივნის სიტყვებს ციტირებს, რომლის თქმითაც, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ის მიზანია, რომელსაც ყველა იზიარებს და თუ საქართველო ყველა საჭირო მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ნატოში დაიდებს ბინას.

**„ეს უგუნური იდეაა. საქართველო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი რჩება. მნიშვნელობა არ აქვს, მოაწესრიგებს თუ არა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემას და გააძლიერებს თუ არა სამხედრო ძალებს. ვაშინგტონმა არ უნდა დადოს თბილისის დაცვის პირობა. სამწუხაროდ, საქართველო ცუდ სამეზობლოშია. ჯერ რუსეთის იმპერიისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ შთანთქმულმა თბილისმა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვა. თუმცა, ცუდი ურთიერთობები გაგრძელდა და 2008 წელს ომმა იფეთქა. მანამდე ერთი წლით ადრე გაკეთებული განცხადების იმედად, რომ საქართველო ალიანსში გაწევრიანდებოდა, სააკაშვილის მთავრობამ სროლა დაიწყო. დასავლელი ლიდერები უფრო ფრთხილად მოეკიდნენ საქართველოს ალიანსურ პერსპექტივებს, თუმცა კონფლიქტიდან ერთი თვის შემდეგ, ნატოს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა, რომ საქართველოს ნატოსკენ მიმავალი გზა კვლავაც ღიაა და ალიანსის 26-ვე წევრი თანახმაა, რომ საქართველო ერთ დღეს ალიანსის წევრი გახდეს",** — აღნიშნავს დუგ ბენდოუ და დასძენს, რომ ეს სულისკვეთება უფრო საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან იდენტიფიცირდებოდა, თუმცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანა გააგრძელებს ნატოსკენ სვლას.

**2008 წელს ომმა იფეთქა. მანამდე ერთი წლით ადრე გაკეთებული განცხადების იმედად, რომ საქართველო ალიანსში გაწევრიანდებოდა, სააკაშვილის მთავრობამ სროლა დაიწყო**

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ივანიშვილმა ცოტა ხნის წინ ავღანეთში ქართული შეიარაღებული ჯარების რიცხვის გაზრდა გადაწყვიტა.

**„მაგრამ მოკავშირეობის შენარჩუნება არ ნიშნავს იმას, რომ ავღანეთში სამხედროების კონტრიბუციას რაიმე კავშირი აქვს ნატოს წევრობასთან. სინამდვილეში, თბილისი ბევრს ვერაფერს იგებს ავღანეთში არაკომპეტენტური, არაეფექტიანი, არაკეთილსინდისიერი ცენტრალური მთავრობის მხარდაჭერით",** — აღნიშნავს სტატიის ავტორი და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის კომენტარს ციტირებს, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს უახლოესი მიზანი ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღება და შემდგომში ალიანსში გაწევრიანებაა. ის ჯარისკაცები კი, რომლებიც ახლა ავღანეთში იბრძვიან, ყველაზე მეტად უწყობენ ამას ხელს.

**«სინამდვილეში, თბილისი ბევრს ვერაფერს იგებს ავღანეთში არაკომპეტენტური, არაეფექტიანი, არაკეთილსინდისიერი ცენტრალური მთავრობის მხარდაჭერით»**

**„სინამდვილეში კი ის ჯარისკაცები სიცოცხლეს თავიანთი ხელისუფლების მიზნებისთვის წირავენ. მაისის შემდეგ განხორციელებული ორი თავდასხმის შედეგად ათი ქართველი სამხედრო დაიღუპა, საერთო ჯამში კი სულ 29 ჯარისკაცია დაღუპული. მიუხედავად ამისა, ქართველი ჯარისკაცები კვლავაც პაიკებად დარჩებიან თავიანთი მთავრობის ძალიან დიდ პოლიტიკურ თამაშში",** — აღნიშნავს დუგ ბენდოუ.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ **ვიდრე თბილისისთვის ნატოს წევრობას აზრი აქვს, ამერიკისთვის ეს ცუდი გარიგება იქნება და ვაშინგტონისთვის ამერიკის უსაფრთხოება ალიანსის მიზანზე წინ უნდა იყოს.**

**„რა თქმა უნდა, ალიანსის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ამერიკის მუქარა, ჩაერიოს კონფლიქტში, შეაჩერებს რუსეთს. მაგრამ, ისტორიას უამრავი მაგალითი აქვს, როცა შეჩერება ვერ მოხერხდა. ამერიკელ დამგეგმავებს არასდროს უფიქრიათ ბევრი კავკასიაზე. განსხვავებით ამისგან, მოსკოვი ისე შეშფოთებული რჩება საზღვრის უსაფრთხოებაზე და საერთაშორისო პატივისცემაზე, როგორც არასდროს",** - აღნიშნავს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ ნატოს ფორმალური უსაფრთხოების გარანტიები გაამხნევებს საქართველოს, ნაკლები პასუხისმგებლობით იმოქმედოს და რომ თბილისმა უკვე გაიღო მსხვერპლი — ტერიტორიული უსაფრთხოება — ნატოს წევრობის სანაცვლოდ.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ **2008 წელს ამერიკული მხარდაჭერის იმედით, საქართველოს მთავრობამ სულელურად პროვოცირებული ომი წამოიწყო მოსკოვთან** და ამონარიდი მოჰყავს გერმანული გამოცემა „შპიგელიდან", რომელშიც ნათქვამია, რომ **სააკაშვილმა არავის გაფრთხილებას უგდო ყური და ქართულმა რაკეტებმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყეს.**

**„საქართველოს ალიანსში გაწევრიანებით კიდევ უფრო სავარაუდოა ომის დაწყება. ვაშინგტონმა საბოლოოდ და მკაცრად უნდა ჩაკლას საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებები. რა თქმა უნდა, ეს არ შეაჩერებს ევროპელების დამოუკიდებელ ქმედებას, თუ მათ სჯერათ, რომ თბილისის დაცვით მიღებული სარგებელი გაწეულ დანახარჯებად ღირს. მაგრამ, ვაშინგტონმა უარი უნდა უთხრას კავკასიაში ომის წამოწყების შესაძლებლობას",** — წერს დუგ ბენდოუ.

### მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

### ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

### სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დაიწყეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო & მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894